

**მურიდ ალ-გარღუთი**

*მე ვნახე ღამეებში*



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
არაბისტიკის დეპარტამენტი

---

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

---

**მურიდ ალ-ბარღუთი**

*მე ვნახე რამდენა*



არაბულიდან თარგმნა  
და  
განმარტებანი დაურთო  
**ნინო ღოლიძემ**

„ჩვენი მწერლობა“  
თბილისი  
2014

## თარგმანი ეძღვნება ვახუშტი კოტეტიშვილის ხსოვნას

„მე ვნახე რამალამ“ პალესტინელ პოეტს მურიდ ალ-ბარლუთის განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა. მემუარები ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, ნორვეგიულ, ჰოლანდიურ, ინდურ, ჩინურ, პორტუგალიურ და სხვ. ენებზე.

ავტორი აღნიშნავს, რომ ნიგნის წერისას არც უფიქრია, თუ ვილაც, მაგალითად, შორეულ ბრიტანეთში (როგორც ეს მოგვიანებით შეიტყო) „მე ვნახე რამალას“ წაკითხვის შემდეგ აზრს შეიცვლიდა პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებით. შინაგან ხმას მინდობილი ის უბრალოდ წერდა - წერდა, რაც იყო, რაც თავს გადახდა. არასოდეს ჰქონია პრეტენზია, ისრაელის ძალის საპირწონე გამხდარიყო ან, თუნდაც, რაიმე განსხვავებული, ორიგინალური ხედვა წარმოეჩინა.

ერთ-ერთ ინტერვიუში ალ-ბარლუთი აცხადებს: „ამ წიგნში პალესტინელის ცხოვრება ანი-დან ჰოე-მდეა აღწერილი. აქ ის გარკვეული დროით იკავებს სცენას. და ვინც კითხულობს ამ წიგნს, მე ან ჩემ ხალხს — ისრაელის ოკუპაციის მსხვერპლს ხედავს სცენაზე.“

„მე ვნახე რამალას“ ქართული თარგმანი პირველად გამოიცა 2009 წელს.

مرید البرغوثی، رأیت رام الله

Mourid al-Barghouti, *Ra'aitu Ramalla*

Originally Published in Arabic in 1997

Translated from Arabic into Georgian by Nino Dolidze

Georgian Copyright arranged with The American University in Cairo Press

The Second Edition

გარეკანზე ამინ საიბის ალ-აჯიზის ფოტო

Photo on the cover is by Ameen Saeb al-Ajez

მეორე, შესწორებული და შევსებული გამოცემა

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-0-7375-5

© ნინო დოლიძე, 2014



## წინასიტყვა

ეს ლაკონური, ლირიკული ნარატივი გაგრძელებული ემიგრაციიდან 1996 წლის ზაფხულში რამალაში, დასავლეთ სანაპიროზე დაბრუნების შესახებ ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი რეალისტური მონათხრობია პალესტინურ გადასახლებაზე აქამდე დაწერილ ნაწარმოებთა შორის. მისი ავტორი ცნობილი პოეტი მურიდ ალ-ბარლუთია, რომლის მეუღლე ასევე განთქმული ეგვიპტელი მეცნიერი და რომანისტი რადვა აშური გახლავთ. ისინი ერთად ეუფლებოდნენ ინგლისურ ენასა და ლიტერატურას კაიროს უნივერსიტეტში 60-იან წლებში. თავიანთი ქორწინებიდან ჩვიდმეტი წელიწადი ერთმანეთისგან განცალკევებით გაატარეს — მურიდმა ბუდაპეშტში „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის“ წარმომადგენლად, ხოლო რადვამ ვაჟთან, თამიმთან ერთად — კაიროში, სადაც ის ინგლისური ლიტერატურის პროფესორია აინ შამსის უნივერსიტეტში. „მე ვნახე რამალაში“ ასახულია არა მხოლოდ ამ იძულებითი გაყრის პოლიტიკური მიზეზები, არამედ დასავლეთ სანაპიროდან გასახლებასთან და იქ მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ დაბრუნებასთან დაკავშირებული გარემოებებიც.

მთელმა არაბულმა სამყარომ აღფრთოვანებით მიიღო 1997 წელს გამოსული ეს წიგნი, რომელმაც ნაჯიბ მაჰფუზის ლიტერატურული ჯილდო მოიპოვა.

თავად მე 45 წლის ინტერვალის შემდეგ გახლდით მსგავსი ვიზიტით იერუსალიმში. კარგად ვიცი, როგორ ირევა ამ დროს ერთმანეთში ემოციები — ბედნიერება, რალა თქმა უნდა, გულის დაწყვეტა, სინანული, გაოცება და გაბრაზებაც — ყველაფერი ეს თან ახლავს ამგვარ დაბრუნებას.

ალ-ბარლუთის წიგნის ინოვაციურობა და ძალმოსილება იმაში მდგომარეობს, რომ ის ზედმინწევით ზუსტად აღწერს და ააშკა-

რავებს მოძალებული გრძნობების ქარიშხალს, რომელიც თავს დაატყდება ხოლმე ასეთ ვითარებაში მყოფ ადამიანს. პალესტინა, ბოლოს და ბოლოს, არ არის ჩვეულებრივი ადგილი. ეს მიწა გაჯერებულია ყველასათვის ცნობილი ისტორიებითა და მონოთეიზმის ტრადიციებით. მას ყველა მოდემის ცივილიზაცია და დამპყრობელი უნახავს, რომლებიც მოდიოდნენ და მიდიოდნენ. XX საუკუნეში პალესტინა თავდაუზოგავი შეჯიბრისა და ბრძოლის ველი გახდა ადგილობრივ არაბ მოსახლეობასა და სიონისტი ებრაელების პოლიტიკურ მოძრაობას შორის. პირველნი ტრაგიკულად იქნენ გამოსახლებულნი და გაფანტულნი 1948 წელს, მეორე ძალა კი სათავეს ევროპაში იღებდა. სწორედ მათ დააარსეს ებრაული სახელმწიფო, 1967 წელს დაიპყრეს დასავლეთი სანაპირო და ღაზა. ეს ტერიტორია, ფაქტობრივად, ახლაც მათ ხელთაა.

ამის გამო დღეს თითოეული პალესტინელი უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდა: იცის, რომ აქ ერთ დროს იყო პალესტინა, მაგრამ ხედავს ახალი სახელის, ხალხისა და იდენტურობის მქონე ადგილს, სადაც აღარავინ აღიარებს პალესტინის არსებობას. ამიტომაც „დაბრუნება“ პალესტინაში არ არის ჩვეულებრივი მოვლენა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის უცილობელ სიმძიმესა და სირთულეებზე.

ალ-ბარლუთის ნაწარმოების არსებობა რეალურად შესაძლებელი გახდა „პალესტინის გათავისუფლების ორანიზაციის“ ხელმძღვანელს — იასირ არაფატსა და ისრაელს შორის წარმართული, აბსურდულად სახელდებული „სამშვიდობო პროცესის“ შედეგად. აშშ-ის შუამავლობით 1993 წლის სექტემბერში დაწყებულმა ამ მოლაპარაკებამ არც პალესტინის სუვერენიტეტის მოპოვებას შეუწყო ხელი ღაზასა და დასავლეთ სანაპიროზე, არც ებრაელთა და არაბთა შერიგებას. თუმცა 1967 წლის ტერორის შედეგად დაზარალებულ ზოგიერთ პალესტინელს შინ დაბრუნების ნებართვა მიეცა. სწორედ ამ ბედნიერმა შემთხვევამ აამუშავა საზღვარი, რომელზე შემდგარი სცენითაც იწყება „მე ვნახე რამალა“.

როგორც ალ-ბარლუთიმ უეცრად აღმოაჩინა, ირონია ყოფილა პალესტინელი ოფიცრების ყოფნა მდინარე იორდანეზე გა-

დებულ ხიდთან, რომელიც ჰაშიმიანთა სახელმწიფოს პალესტინისგან ჰყოფს, რადგანაც იქ მთელი პასუხისმგებლობა ისრაელის სამხედროებს აქვთ დაკისრებული. ავტორი ძუნწად მიუთითებს მხოლოდ ერთს — ისევ სხვები არიან ადგილის პატრონები. მიუხედავად იმისა, რომ ის დასავლეთ სანაპიროელია და შეუძლია განახორციელოს ვიზიტი, რომლის შესახებაც ასე მჭევრმეტყველურად მოგვითხრობს, 1948 წლის მოვლენების შემდეგ ლტოლვილად ქცეული პალესტინელებისათვის (დაახლოებით 3,5 მილიონი ადამიანისთვის) ამგვარ პირობებში დაბრუნება თითქმის წარმოუდგენელია.

ალ-ბარლუთის წიგნში გარდაუვალია საუბარი პოლიტიკაზე, თუმცა არც ერთგან არის ის აბსტრაქტული ან იდეოლოგიურად მართული. პოლიტიკის შესახებ დანერგილი სიტყვები ყოველთვის პალესტინელთა ცხოვრების კონკრეტული ყოფითი დეტალებიდან გამომდინარეობს. მათი ყოფა კი პალესტინაში ცხოვრებასთან და გადაადგილებასთან დაკავშირებული აკრძალვებითაა შემოფარგლული. ერთმანეთისაგან განუყოფელი ეს ორი რამ, რაც მსოფლიოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ბოძებული აქვს მოქალაქეობის, პასპორტის, თავისუფლად მგზავრობის უფლების სახით, განსაკუთრებულად ავალდებულებს უსახელმწიფოდ დარჩენილ პალესტინელებს. მათ უმეტესობას პასპორტი აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელს არაბულ სამყაროში, ევროპაში, ავსტრალიაში, ჩრდილოეთსა თუ სამხრეთ ამერიკაში ისინი ისევ გადაადგილებულის და შესაბამისად, უადგილოს ტვირთს ეზიდებიან.

აქედან გამომდინარე ალ-ბარლუთის ტექსტი სავსეა პრობლემებით, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, თუ სად შეუძლია გაჩერება და სად არა, სად შეუძლია წასვლა და სად არა, რამდენ ხანში და რა ვითარებაში უნდა დატოვოს ესა თუ ის ადგილი და რა ხდება იქ, სადაც ის არ არის თუ ვერ არის. ძმა, მუნიფი უკვდება სასტიკი და უაზრო სიკვდილით საფრანგეთში იმიტომ, რომ ვერავინ უშველა (ან არავინ გაუნოდა დახმარების ხელი).

წიგნში გამუდმებით ჩნდებიან კულტურის მნიშვნელოვანი მოღვაწეები, როგორიცაა მოკლული რომანისტი ღასან ალ-ქანა-

ფანი და კარიკატურისტი ნაჯი ალ-‘ალი, რომლებიც გვახსენებენ, რომ მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად ნიჭიერი თუ შემოქმედებითი უნარით დაჯილდოვებულნი არიან პალესტინელები, ისინი მაინც უეცარი სიკვდილისა და გამოუცნობი გაქრობის მსხვერპლნი ხდებიან. ამიტომაც, რომ ამ წიგნის მდიდრულსა და სადღესასწაულო ტონალობაში პერიოდულად დაღონებული, სევდიანი და სინანულით აღსავსე ტონი გამოერევა ხოლმე.

და მაინც, ის, რაც „მე ვნახე რამალას“ გამორჩეული აუთენტურობის უეჭველ დაღს ასვამს, გახლავთ საკუთარი ცხოვრებით გამოვლილი გამოცდილების პოეტური ასახვა. ამასთან, ტექსტში არ იგრძნობა ავტორის განრისხება ან გაბოროტება. ალ-ბარლუთი არც ისრავს ლანძლავს ჩადენილისთვის და არც პალესტინის ლიდერებს — უცნაური შეთანხმებების გამო. ავტორი აბსოლუტურად კორექტულია, როდესაც უბრალოდ აღნიშნავს, რომ ებრაული დასახლებები წერტილებივით მოჩანან და, როგორც წესი, ამახინჯებენ პალესტინის მთაბორცვიან ლანდშაფტს. მხოლოდ ამას ამბობს და კიდევ ხაზს უსვამს ე.წ. მშვიდობისმყოფელებისათვის ერთ უხერხულ ფაქტს, კერძოდ კი იმას, რომ რამალასა და დირ ლასანას მსგავსი ადგილები ასე აშკარად, ასე უცვლელად პალესტინურია.

მკვეთრი ირონია გამოსჭვივის მწერლის მიერ საკუთარი გვარის ეტიმოლოგიის კვლევა-ძიებისას. (მიუხედავად იმისა, რომ არ მაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, ვფიქრობ, ალ-ბარლუთი ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან პალესტინურ გვარს წარმოადგენს. მის მატარებელთა რაოდენობა სავარაუდოდ 25 000-ს აღემატება). თავს ვერ არიდებს ფაქტს, რომ გვარი მომდინარეობს არაბული სიტყვიდან „რწყილი“. ეს უბრალო დეტალი თხრობას უცნაურად სძენს მეტ ადამიანურობასა და პიკანტურობას.

„მე ვნახე რამალა“ ძირითადად მოგვითხრობს დაბრუნებისას და საკუთარ ხალხთან ხელახლა შეხვედრისას განცდილი დანაკარგის შესახებ. „ოკუპაციამ — წერს ალ-ბარლუთი, — შექმნა ჩვენი თაობაც, რომელიც უცნობ შეყვარებულს უნდა ეთაყვანებოდეს — შორეულს, რთულს, დაცვით, კედლებით,

ატომური რაკეტებითა და ჩუმი ტერორით გარშემორტყმულს.“ ამიტომაც, რომ მის პოეზიასა და ამ პროზაში, რომელიც დაბრუნების აკომპანიმენტიცაა, ის ლამობს კედლების დანგრევას, მცველებისგან თავის დაძვრენას, რათა მიაღწიოს თავის პალესტინამდე, რომელსაც ის რამალაში ნახულობს.

ერთ დროს იერუსალიმის ბალიანი გარეუბანი რამალა ბოლო წლებში პალესტინის ურბანული ცენტრი გახდა. ის შედარებით მეტი ავტონომიურობით სარგებლობს, გამოირჩევა თავისი მოკრძალებული კულტურული აქტივობითა და სწრაფად მზარდი მოსახლეობით. სწორედ ამ ახლადსულჩადგმულ და ხელახლა აღმოჩენილ რამალაში ამოყოფს თავს გადასახლებული და საკუთრებაზე უფლებააყრილი პოეტი და ცდილობს, ისევ და ისევ აღმოაჩინოს საკუთარი თავი უსასრულო გადაადგილებების ახალ-ახალ ფორმებში. „საკმარისია, ადამიანმა ერთხელ გამოსცადოს ამოძიკვა, რომ სამუდამოდ უფესვოდ დარჩეს“.

ამგვარად, სიხარულისა და ემოციური მომენტების მიუხედავად, ეს ნარატივი სამშობლოში დაბრუნებაზე მეტად იმ მიზეზებს უბრუნდება, მწერალს ხელახლა გადასახლებას რომ აიძულებს. ამით ძლიერდება წიგნის ტრაგიკულობაცა და წინასწარგაუთვლელ მდგომარეობებზე დამოკიდებულების მტკივნეული შეგრძნებაც. შედეგად კი ის, რაც პალესტინელებმა გადაიტანეს, ადამიანურ ასპექტში წარმოჩინდება და სრულიად ახლებურად ისხამს ხორცს.

## **ედვარდ საიდი**

*ნიუ იორკი, 11 აგვისტო, 2000*





## წინათქმა ქართული გამოცემისთვის

მურიდ ალ-ბარლუთი არ გახლავთ საუკეთესო პალესტინელი პოეტი. ის ერთ-ერთი ცნობილი თანამედროვე არაბი მწერალია, ხოლო „მე ვნახე რამალა“ არის პალესტინაში შექმნილ ვითარებაზე დაწერილი წიგნი, სადაც ყველაზე საღადაა აღქმული რეალობა. ეს არის მემუარები, რომელიც ასახავს იმ ადგილებში დაბრუნებასა და მოგზაურობას, ჯერ კიდევ პალესტინას რომ ეკუთვნის. ალ-ბარლუთიმ მეგობრები და ახლო ნათესავები მოინახულა თორმეტდღიანი ვიზიტისას რამალასა და დირ ლასანაში, სადაც ის დაიბადა 1944 წელს. წაიკითხა თავისი ლექსები პალესტინის პოლიტიკური დედაქალაქის ჩრდილოეთით მდებარე მიტოვებული და გაჩანაგებული სოფლის პატარა მოედანზე. და, თუმცა, ბევრი მხცოვანი თუ ახალგაზრდა უსმენდა მის სტრიქონებს, მსმენელთაგან ცოტას თუ იცნობდა და ასევე ცოტა თუ იცნობდა პოეტს. პარიზში მოკლული ძმის, მუნიფის არყოფნა ავსებდა, ტბორავდა და ძირავდა აუდიტორიის არსებობას. ალ-ბარლუთი მისთვის ჩვეული მახვილი და ლაკონური სტილით გვიამბობს სამშობლოს დაკარგვაზე და გადასახლების გაუცხოებაზე.

კაიროს უნივერსიტეტში, ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე სწავლისას, ალ-ბარლუთი შეხვდა გამოჩენილ ეგვიპტელ რომანისტს, „გრანადის ტრილოგიის“ (1995) ავტორს, რადვა ამურს, რომელიც მოგვიანებით მისი მეუღლე და ცხოვრების თანამგზავრი, ასევე მისი ვაჟის, თამიმის, დედა გახდა. თამიმმა უკვე არაერთი პოეტური კრებულის გამოცემა მოასწრო. სულ ახლახანს ცნობილ კონკურსში „პოეტთა უფლის-

წელის“ წოდებისათვის ლექსით „იერუსალიმში“ დიდი წარმატება მოიპოვა. სწორედ რადვა და თამიმი აგულიანებდნენ მეუღლესა და მამას, რომ არ მიეტოვებინა და განეგრძო იმის გადმოცემა, რაც ნახა და დაამახსოვრდა თავისი მოგზაურობიდან. ალ-ბარლუთიმ კი იმოგზაურა იმ ადგილზე, რომელსაც ერთ დროს მისი სახლი ერქვა. შედეგად მივიღეთ ქრონოლოგიურად აღწერილი მოვლენები, სადაც დროდადრო გაიელვებს მოგონებებიც, საბოლოოდ ერთ მთლიანობად რომ აკონინებს იმ ურთულესი მდგომარეობების ქსოვილს, რომელმაც უამრავი პალესტინელის ცხოვრება ტკივილით აავსო.

როდესაც ალ-ბარლუთიმ პირველად გადაკვეთა ალენბის, იგივე მეფე ჰუსეინის, იგივე დაბრუნების ხიდი, მას კაიროს უნივერსიტეტში სწავლა დაესაბა მიზნად. კაიროში მუშაობდა რადიო „პალესტინის ხმისათვის“. ლიბანის სამოქალაქო ომის დასაწყისში გადასახლდა ბეირუთში. შემდეგ კვლავ კაიროში დაბრუნდა, მაგრამ როდესაც უარი თქვა, მხარი დაეჭირა და ხელი მოეწერა 1978 წელს ანვარ სადათის სამშვიდობო ინიციატივისთვის ისრაელთან ზავის დასამყარებლად, დაუყოვნებლივ ბაღდადში იქნა გადასახლებული. ასე მოგზაურობდა არაბულ დედაქალაქებში, ვიდრე ბუდაპეშტში არ დაიდო ბინა. აქ ის პალესტინის წარმომადგენელი იყო „დემოკრატი ახალგაზრდების საერთაშორისო ფედერაციაში“. შემდეგ პალესტინის საელჩოში გადაინაცვლა და პირველი კონსული გახდა. თუმცა ყოველთვის საყვედურით ამხელდა „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის“ მეთაურთა კორუმპირებულობას. ერჩივნა, პოლიტიკური ელიტისგან თავი შორს დაეჭირა. ალ-ბარლუთიმ თავიდანვე განჭვრიტა პალესტინური სახელმწიფოს სავარაუდო აღსასრული იასირ არაფატის მიერ ხელმოწერილ ოსლოს შეთანხმებებში (1993). ეს „მე ვნახე რამალაშიც“ კარგად ჩანს.

ალ-ბარლუთი მახვილგონივრულად, შემგუებლურად აღიქვამს პალესტინაში გაგრძელებულ რთულ ვითარებას და მაღალმხატვრულად აღგვიწერს, თუ როგორ განასახიერებს მისი ოჯახის სამოსახლოში მთლად ძირში გადაჭრილი უზარმაზარი ხე პალესტინელ ხალხს. მწერალი ხაზს უსვამს იერუსალიმთან

დაკავშირებულ სიმბოლიზმსაც, ახსენებს სხვადასხვა ისტორიულ, პოლიტიკურ და რელიგიურ დონეებს, რომლებიც „მარადიული“ ქალაქის დაპყრობაში ჩაბმულან. შესაძლოა, ზეციური იერუსალიმის საბრძანებელი სასუფეველშია, მინის იერუსალიმი გამყოფი კედლით მთლიანად ისრაელის ტერიტორიაზე მოქცეულა. ალ-ბარლუთი აღნიშნავს, თუ რა თანმიმდევრულად ჰყვება ისრაელის პოლიტიკა იმას, რაც შემდეგ და შედეგად მოხდა, თუმცა, მომხდარის მიზეზს გვერდს უვლის. განსაკუთრებული პირდაპირობით ავტორი სწორედ აქ სდებს ბრალს ისრაელს დახვეწილ ეშმაკობასა და ხრიკებში, ფაქტებისა და რეალობის დამახინჯებაში იმისათვის, რომ წინა პლანზე თავისი პოლიტიკური მიზნები და სურვილები წამოსწიოს. ყველაზე ზომიერად ალ-ბარლუთი მაინც მასადას ციხესიმაგრის პლაკატს ეხმინება. მასადაში გამაგრებულმა ებრაელმა ფანატიკოსებმა — ზელოტებმა მასობრივი თვითმკვლელობა მოაწყვეს, რომაელებს რომ არ დანებებოდნენ. ალ-ბარლუთიმ ეს პლაკატი ნახა ხის ხიდთან, რომელიც უკვე აღარ არსებობს. სამაგიეროდ, იქ ახლა ისრაელის სათვალთვალ კოშკებია წამომართული...

პოეტი ვერსად გაექცა პალესტინაში შექმნილი მდგომარეობისთვის ყველაზე ნიშანდობლივ ფაქტს, ისტორიულ რეციდივს, რომელიც დამღუპველი აღმოჩნდა ამ ქვეყნისთვის და მინიმუმამდე შეამცირა შესაძლებლობა იმ რაღაცის არსებობისა, რასაც პალესტინა ჰქვია. პალესტინელს ის ახასიათებს, როგორც „ცხოვრების საქანელაზე“ მდგომ არსებას, რომლის გაქანების ორი უკიდურესობა ფარსი და ტრაგედიაა. „და სამყაროც განაგრძობს ქანაობას. სინათლის ბურუსშია გახვეული ორივე ჰორიზონტი“. ეს სუვერენული სახელმწიფოს არსებობის ძლიერი სურვილის ტრაგიკომედიაა. თუმცა, ოკუპაციის პირობებში ხშირად იკვეთება თვითდამღუპველი ტენდენციები, რაც „მე ვნახე რამალაშიც“ აისახა. ყველაზე მკაფიოდ ფათჰისა და ჰამასის „მოღვანეობა“ წარმოჩინდა, ეფექტურად რომ შეუწყო ხელი პალესტინის ტერიტორიის გეოგრაფიულ და პოლიტიკურ დანაწილებას დასავლეთ სანაპიროდ და ლაზად. არც

საქართველოსთვისაა უცხო იმ გარეშე ძალების როლი, რომლებიც ერევიან და ვნებენ კეთილგონიერი ხალხის ეროვნულ ერთობას. აქ ალ-ბარლუთი კვლავ ყველასათვის საერთო სიმებს შეარხევს. მისი რჩეული კრებულიდან „პატარა მზე“ (2003) ერთ-ერთი ლექსი გამოირჩევა იმით, რომ არა მხოლოდ პალესტინის მძიმე ხვედრზე, არამედ მთელი კაცობრიობისთვის ერთიან, ეგზისტენციურ თემაზე დაგაფიქრებთ:

## **ცისა**

**კაცმა თქვა:**

**კურთხეულ არიან ჩიტები გალიაში,  
რადგანაც იმათ, როგორც მინიმუმ,  
იციან თავიანთი  
ციხის საზღვრები.**

მაშინ, როდესაც ბევრი პოეტი მყისიერ, წამიერ, გადაუდებელ სიხარულს გვიზიარებს, ალ-ბარლუთი გადადებულ, ნაგვიანევ მხილებასა და აღიარებას გვთავაზობს. „მე ვნახე რამალა“ წარმოგვიდგენს პალესტინური გამოცდილების გლობალურ, უნივერსალურ მახასიათებელ შტრიხებს და მათში უმკაფიოესა და უზუსტეს წვდომას.

## **სტიშარტ რეიგელუთი**

*მადრიდი, 1 ოქტომბერი, 2007*



## ხილი

ხიდზე ძალიან ცხელა. ოფლის წვეთი ჩამომიცურდა შუბლიდან ჯერ სათვალის ჩარჩოზე, შემდეგ — მინაზე. ყველაფერი ბურუსშია გახვეული — რასაც ვხედავ, რასაც ველოდები, რაც მახსოვს. თვალწინ მიკრთება სცენები, ცხოვრების იმ მონაკვეთს რომ რთავდნენ, რომელიც აქამდე მოღწევის მცდელობაში გავატარე. აი, აქ ვარ — მდინარე იორდანეს ვკვეთ, მესმის ხის ჭრიალი საკუთარ ფეხებქვეშ. მარცხენა მხარზე პატარა ჩანთა მაქვს გადაკიდებული. თითქოს ჩვეულებრივ მივდივარ — დასავლეთისკენ მივემართები. ჩემ უკან მთელი სამყაროა, ჩემ წინ კი — ჩემი სამყარო.

ბოლოს, მახსოვს, ოცდაათი წლის წინ გავიარე ამ ხიდზე, როცა რამალადან ამანში მივდიოდი. ამანიდან კაროში გავემგზავრე — სასწავლებელს დავუბრუნდი. მაშინ კაიროს უნივერსიტეტის მეოთხე, დამამთავრებელ კურსზე ვსწავლობდი.

1967 წელი... 5 ივნისი... ორშაბათი დილა... ლათინურის გამოცდა... სულ ცოტაღა დარჩა: ლათინური, ორი დღის შემდეგ რომანისტიკა, მერე დრამატურგია და შევასრულებ მუნიფისათვის მიცემულ დაპირებას, ავასრულებ დედაჩემის სურვილს — ერთ-ერთი ვაჟი მაინც უმაღლესდამთავრებული ენახა. ჩვეულებრივ ჩავაბარე წინა გამოცდები: ევროპული ცივილიზაციის ისტორია, პოეტიკა, ლიტერატურის კრიტიკა, თარგმნა. სულ ცოტაც და... შედეგებს რომ გავიგებ, ამანში წავალ, იქიდან — იმავე ხიდით — რამალაში, სადაც, როგორც მშობლების წერილებიდან შევიტყე, ჩემი დაბრუნებისთვის საგანგებოდ დაუნყიათ ალ-ლიფთავის შენობაში ახალი ბინის მოწყობა.

საგამოცდო დარბაზში ძალიან ცხელა. ოფლის წვეთი ჩამომიცურდა წარბზე, შემდეგ სათვალის ჩარჩოზე შეჩერდა, მინა-

ზე განაგრძო გზა და საგამოცდო ფურცელზე — ზედ ლათინურ სიტყვებს დაეცა: ალტუს, ალტა, ალტუმ... მაგრამ რა ხმაურია გარეთ? აფეთქება? ეგვიპტური ჯარის მანევრებია? ბოლო დღეებში სულ ომზე ლაპარაკობდნენ. ომია? პატარა ნაჭრით ვნმენდ სათვალეს, პასუხებს ვამონმებ და ვტოვებ დარბაზს. ნაწერს მეთვალყურეს ვაბარებ. ყვითელი საღებავი ცვივა ჭერიდან და ჩვენ შორის მდგარ მაგიდას ეცემა. ის ზიზლით იყურება ჭერში. მე გარეთ გამოვდივარ.

ხელოვნების ფაკულტეტის კიბეებზე ჩავრბივარ. ჩვენი კურსელი, საშუალო ასაკის ქალბატონი აიშა, რომელიც ქმრის გარდაცვალების შემდეგ ჩაირიცხა უნივერსიტეტში, პალმის ხეებქვეშ თავის მანქანაში შენუხებული სახით ზის და ფრანგული აქცენტით მეძახის:

— მუღიდ, მუღიდ, ომი დაიწყო. ჩვენ უკვე ოცდასამი თვითმფრინავი ჩამოვაგდეთ.

მანქანის კარს დავეყრდენი. აჰმად საიდი აღელვებით მისჩერებია რადიოს. ხმამაღლა გაისმის პატრიოტული ჰიმნები. სტუდენტების გროვა შემოგვეხვია. ზოგი ეჭვნარევ, ზოგი კი შეუვალ აზრებს წამოისვრის. მარჯვენა ჩავავლე პელიკანის მელნის ბოთლს, რომელიც სულ თან დამქონდა გამოცდებზე. დღემდე არ ვიცი, რატომ მოვიქნიე ხელი და რატომ მივანარცხე ის პალმის ხეს. ბოთლი დაიმსხვრა, შავი მელანი კი გაზონზე დაიღვარა.

სწორედ ამ მომენტში აჰმად საიდმა რადიოსადგურ „არაბების ხმის“ ინფორმაცია მამცნო, რომ რამალა ჩემი აღარ არის და იქ ველარ დავბრუნდები. ქალაქი დაეცა.

გამოცდები რამდენიმე კვირით შეჩერდა, შემდეგ განახლდა. დავამთავრე. ინგლისური ენისა და ლიტერატურის ბაკალავრის ხარისხი მომენიჭა, მაგრამ ველარ ვნახე კედელი, რომელზედაც დიპლომი უნდა დამეკიდა.

ომის დაწყებისას სამშობლოს გარეთ დარჩენილები სხვადასხვა გზებით ცდილობდნენ იქ დაბრუნებას — პალესტინელი ნათესავებისა თუ წითელი ჯვრის საშუალებით. ზოგიერთები, ჩემი ძმის — მაჯიდის მსგავსად, ფარულად შელწევასაც კი ბედავდნენ.

ისრაელმა ასეულობით მსცოვან ადამიანს მისცა ქვეყანაში შესვლის უფლება, ასი ათასობით ახალგაზრდას კი დაბრუნება აუკრძალა. მსოფლიომ სახელიც გამოგვიძებნა — „ნაზიჰინ“ — გადაადგილებულები.

იძულებით გადაადგილება სიკვდილს უდრის. ყველას ჰგონია, რომ ეს სხვებს ემართებათ. 1967 წლის ზაფხულის მერე მეც გავხდი „უცხო“, თუმცა, ყოველთვის მეგონა, რომ „უცხო“ სხვა იყო.

უცხო ის ადამიანია, რომელიც განუწყვეტლივ ანახლებს „ცხოვრების უფლებას“ — ავსებს ანკეტებს, ყიდულობს მათზე დასაკრავ მარკებს. ყოველთვის თან უნდა იქონიოს დამადასტურებელი მოწმობები და დამამტკიცებელი საბუთები. სულ ეკითხებიან: „საიდან ხარ, ძმაო?“ ან: „შენს ქვეყანაში ზაფხული ცხელია?“ მას არ ენალვლება არც იმ სახელმწიფოს მცხოვრებთა ყოფის დეტალები, სადაც იმყოფება და არც „ადგილობრივი“ პოლიტიკა, თუმც, პირველივე გრძნობს მისი ცვლილებით გამოწვეულ შედეგებს. შესაძლოა, ყოველთვის არ უხაროდეს, რაც სხვებს უხარიათ, მაგრამ ყოველთვის ეშინია იმისა, რაც სხვებს აშინებს. დემონსტრაციებზე გამუდმებით „საეჭვო პირის“ როლშია, იმ დღეს საერთოდ რომ არ გასულიყო სახლიდან. უცხო ის ადამიანია, რომელსაც დამახინჯებული დამოკიდებულება აქვს ადგილებთან, ერთსა და იმავე დროს კეთილგანწყობილიც და ზიზღნარევიც. არ შეუძლია, თავისი ამბავი გაბმულად მოყვეს. ყოველი მომენტი მისთვის ბუნდოვანია, მუდმივიც და დროებითიც. მისი მახსოვრობა წესრიგს ეწინააღმდეგება. ძირითადად საკუთარ თავშივე დაფარულ ჩუმ ადგილას ცხოვრობს, უფრთხილდება თავის საიდუმლოს და არ უყვარს, როცა სხვები ინტერესდებიან მისით. ის სულ სხვა ცხოვრების დეტალებით სულდგმულობს და საუბრისას მათ დაფარვას ცდილობს. უყვარს ტელეფონის ზარი, მაგრამ ეშინია კიდევ მისი. უცხოს კეთილი ადამიანები ეუბნებიან — შენ შენს მეორე სახლში ხარ შენიანებით გარშემორტყმულიო. ის არ უყვართ იმიტომ, რომ უცხოა და სიმპატიითაც იმის გამო განწყობიან, რომ უცხოა. მეორის ატანა პირველზე გაცილებით მძიმეა.

იმ ორშაბათის შუადღეს იძულებით გადაადგილებულობა დამატყდა თავს.

\* \* \*

ნუთუ საკმარისად მომნიჭებული ვიყავი იმისთვის, რათა შემეგნო, რომ ჩემნაირი უცხოები თავიანთ საკუთარ ქალაქებშიც ცხოვრობენ, მათი ქვეყნები კი ოკუპანტების ჯარებს აქვთ დაკავებული?! აბუ ჰაიან ათ-თავჰიდმა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში არ განჭვრიტა მომავალი, როცა დაწერა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენი გაუცხოების შესახებ? ეს მეორე ნახევარი პირველზე გრძელია? არ ვიცი.

მაგრამ მე ვიცი, რომ უცხო ვერასოდეს დაუბრუნდება იმას, რაც იყო. რომც დაუბრუნდეს... მორჩა, გათავდა. ადამიანი „გადაადგილება“ იკიდებს, როგორც ასთმას. მისგან ველარ განიკურნება. პოეტის ხვედრი კი უარესია, რადგან პოეზია უკვე გაუცხოებაა. ასთმა სად მოვა ამასთან? განა ხველა შეედრება იორდანეს სანაპიროსთან გატარებულ ლოდინის გრძელ საათებს, ვიდრე „მეორე მხარე“ (როგორც პალესტინის პოლიცია უწოდებს) დაუშვებს ჩემი ტერფის შეხებას ორ დროს შორის საზღვართან?!

ამანიდან ჩამოვედი და ხიდს იორდანის მხრიდან მივადექი. ჩემმა ძმამ ‘ალაამ მომაცლია. მისი ცოლი ელჰამი და დედაჩემიც გვახლდნენ. შმაისანის სახლიდან დილის ათის თხუთმეტ წუთზე გამოვედით და ათისთვის უკვე ხიდთან ვიყავით. განსაზღვრულ პუნქტს იქით წამოყოლა აღარ შეეძლოთ. გამოვემშვიდობე. ისინი ამანში დაბრუნდნენ.

დავჯექი მოსაცდელ ოთახში, რომელიც ზედ ხიდთან იყო გამართული და იორდანელ ოფიცერს ვკითხე, თუ რა უნდა გამეკეთებინა.

— აქ დაიცადეთ მანამ, სანამ სიგნალს არ მივიღებთ მათგან. შემდეგ გადახვალთ ხიდზე.

ცოტა ხანს ვიცადე, ვიდრე არ მივხვდი, რომ ლოდინი დიდხანს მომიწევდა. კარისკენ გავემართე, დავდექი და მდინარეს დავუწყე ყურება.

მისი სივინროვე არ მიკვირდა — იორდანე ყოველთვის ძალიან წვრილი იყო. ასე მახსოვს ბავშვობიდან. გასაკვირი ის გახლდათ, რომ ამდენი წლის გასვლის შემდეგ ის უწყლო მდი-



ნარე გახდა, თითქმის უწყლო. ბუნებამ საიდუმლო მოლაპარაკება აწარმოა ისრაელთან, რათა წყალი მოეპარათ მისთვის. იორდანე ხმიანი მდინარეც იყო. ახლა კი, უცნაურად დადუმებული, სადგომზე გაჩერებულ მანქანას ჰგავდა.

მეორე ნაპირი კარგად ჩანდა. თვალი იმას ხედავს, რასაც ხედავს. ჩემს მეგობრებს, დიდი ხნის ინტერვალის შემდეგ დაბრუნებისას რომ გადაკვეთეს ეს მდინარე, უტირიათ კიდეც აქ. მე არ ვიტირე.

ოდნავ დაბუყებასაც არ გადაუვლია ჩემს სახეზე — ნიკაპიდან თვალეზამდე. მაშინ არავინ მყავდა გვერდით, მერე რომ ეთქვა, რა სახე მქონდა მოლოდინის იმ გრძელი საათების განმავლობაში.

ხიდს გავხედე. მართლა გადავალ მასზე? იქ ბოლო წუთში რამე პრობლემა ხომ არ შემხვდება? უკან გამომიშვებენ? პროცედურულ შეცდომას მოიგონებენ? იმ ნაპირზე მართლა გავივლი — აი, იქ, იმ ბორცვებზე, სულ წინ რომ მოჩანს?!

არავითარი ტოპოლოგიური განსხვავება არ არის ამ მიწასა (სადაც მე ვდგავარ) და ხიდის მეორე ნაპირს შორის.

მხოლოდ ერთია — ის არის „ოკუპირებული ტერიტორია“.

1979 წლის ბოლოს არაბ მწერალთა კავშირის კონფერენციაზე ვიყავი დამასკოში. ჩვენმა მასპინძლებმა ქალაქ კანტარას დასათვარიელებლად წაგვიყვანეს. მანქანების კოლონამ მიგვაცილა ისრაელის მიერ მინგრეულ-მონგრეული ადგილის სახაზავად. ჩვენ ვიდექით ეკლიან მავთულხლართებთან, რომლის უკანაც ისრაელის დროშა ფრიალებდა. მავთულეებში გავაძვრინე ხელი და ოკუპირებული გოლანის მხარეს ამოსულ ველურ ბუჩქნარს შევეხე. შევარხიე და გვერდით მდგომ ჰუსეინ მურუვას ვუთხარი:

— აი, აბუ ნიზარ, ოკუპირებული ტერიტორია, მე ის ხელში მიჭირავს!

როცა რადიოში მოკრავ ყურს ან ჟურნალ-გაზეთებსა თუ წიგნებსა და მოხსენებებში წაიკითხავ სიტყვებს „ოკუპირებული ტერიტორია“ წლიდან წლამდე, ფესტივალიდან ფესტივალამდე, სამიტიდან სამიტამდე, ფიქრობ, რომ ის სადღაც სამყა-

როს დასალიერშია. გგონია, რომ საერთოდ შეუძლებელია მისი მიღწევა. ხედავ, რა ახლოა? რა რეალური, რა შეხებადი? ცხვირსახოცივით მიჭირავს ხელში.

ჭუსენ მურუვას ანყლიანებულ თვალებში პასუხი თვითონ გამოიხატა.

ახლა მე ვუყურებ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს. მაშ, ესაა „ოკუპირებული ტერიტორია“? არავინ იყო გვერდით, რომ მისთვის გამემეორებინა სიტყვები, რომელიც წლების წინ მურუვას ვუთხარი:

— ეს ხომ მხოლოდ ფრაზაა, ერთგვარი შესიტყვება ახალი ამბების კოლაჟში. აი, როცა თვალი ხედავს მას, ის აშკარად მიწნა მოშიშვლებული ადგილებით, ბორცვებით, კლდეებითა და კენჭებით. თავისი ფერები აქვს, თავისი ტემპერატურა და ველური მცენარეები.

ვინ გაბედავს, ეს ყველაფერი აბსტრაქციად აქციოს, თანაც ახლა, როცა მისი ფიზიკურობაც კი გრძნობებშია გაცხადებული?!

ის არ არის „საყვარელი“ პროტესტით გამსჭვალულ პოეზიაში, ან „საკითხი“ პოლიტიკური პარტიის პროგრამაში, ის აღარც არგუმენტი და აღარც მეტაფორა. ჩემ თვალწინ გადაშლილი ის ისეთივე შეხებადია, როგორც მორიელი, ჩიტი, წყარო; ხილული, როგორც ცარცის მინდორი, როგორც ფეხსაცმლის ნაფეხურები.

საკუთარ თავს ვკითხვ: კი, მაგრამ რა არის განსაკუთრებული ამაში გარდა იმისა, რომ ჩვენ ის დავკარგეთ?

ის მიწაა ზუსტად ისეთივე, როგორც ნებისმიერი სხვა მიწა.

ჩვენ მას ვუმღერით, თუმცა, ამით მისი დაკარგვით გამოწვეული დამცირება გვახსენდება. ჩვენი სიმღერა არ არის რაღაც წმინდა რამ წარსულიდან შემორჩენილი. ის ახლანდელი საკუთარი ღირსების შეგრძნებაა, იმ ღირსებისა, ყოველდღიურად რომ იქელება ოკუპაციის მიერ.

აი, აქვეა, ჩემ პირდაპირ — თითქოს ქვეყნიერების შექმნის დღიდან ასეთი იყო. ვფიქრობ: „მიწა არსად წავა“. ჯერ არ მიმიღწევია, ვხედავ მხოლოდ და ვგავარ ადამიანს, რომელსაც უთხრეს დიდი პრიზი მოიგეო, მაგრამ ხელში ჯერ არ გადაუციათ მისთვის.

ისევ იორდანის მხარეს ვარ. საათები გადის. მოსაცდელ ოთახს ვუბრუნდები. ნათელია, ჯერ არაფერია ჩემთვის ახალი. ვჯდები, ვიღებ საკუთარ ფურცლებს, ნაწერებს და მათში ვიწყებ ქექვას — დრო გამყავს. ეპიგრამები და პოეტური ჩანახატები... ჩემი პოეზიის რიგით მეცხრე კრებულს გამოსაქვეყნებლად ვამზადებ სათაურით „არსებათა ლოგიკა“. თვალს ვავლებ სტრიქონებს და ისევ ჩანთაში ვუკრავ თავს. ლოდინის დაძაბულობა მუშაობასაც არ მანებებს. მათი გამოცემის წინ ენთუზიაზმს ვკარგავ და ეჭვი მეპარება ტექსტის ფასეულობაში, ტექსტისა, რომელიც ჩემს კონტროლს აღარ ემორჩილება.

მიყვარს ლექსი, ჩემს თითებქვეშ რომ იღებს ფორმას, იხვეწება ხატებიდან ხატებამდე, სიტყვიდან სიტყვამდე. შემდეგ შიში ძლიერდება და თვითრწმენა სადღაც ქრება. კმაყოფილების ის მომენტი, როცა შემოქმედი იხიბლება საკუთარი ნამოქმედართ, ჩემთვის მთავრდება.

ეს ასეა და ასე იყო იმ დროიდან, როცა პირველი ლექსი გამოვაქვეყნე. კარგად მახსოვს. უნივერსიტეტის მეოთხე კურსზე ვიყავი. მეგობრებმა და ზოგიერთმა ლექტორმა იცოდნენ, რომ ვწერდი ლექსებს. რამდენიმე მათგანი რადვას წავუკითხე ბიბლიოთეკის კიბეებზე. მან დამარწმუნა, რომ ეს მშვენიერი ლექსები იყო და ერთ მშვენიერ დღეს მე ნამდვილად გავხდებოდი პოეტი. ერთხელაც ერთი ლექსი ფარუქ 'აბდ ალ-ვაჰაბს მივეცი „თეატრალურ ჟურნალში“ დასაბეჭდად. ამ ჟურნალს რამად რუში გამოსცემდა. რამდენიმე დღე შიშში გავატარე.

ვფიქრობდი, უკან გამომერთმია ლექსი, მაგრამ მეშინოდა, რომ სუსტ და მერყევ ადამიანად ჩამთვლიდა. უნივერსიტეტში ვხვდებოდი ხოლმე და სულ ვაპირებდი კითხვას, რა აზრის იყო ჩემ ლექსზე, მაგრამ ბოლო მომენტში ვეღარ ვეკითხებოდი. იმ წუთიდან, როცა ლექსმა დამტოვა, ვიგრძენი, რომ ის არ იყო კარგი და არ უნდა გამოქვეყნებულიყო. ახლა უკვე ნამდვილად ვიცი, რომ არ ვარგოდა.

დღეები გადიოდა, ვიდრე ორშაბათი, 1967 წლის 5 ივნისი არ დადგა.

პურის საყიდლად წავედი. ვფიქრობდით, რომ წინ ხანგრძლივი ომი გველოდა და პური უნდა მოგვემარაგებინა. გრძელ რიგში ვიდექი და ტროტუარზე, ჩემს გასწვრივ, წიგნების პატარა მაღაზიაში ჟურნალ-გაზეთები შევნიშნე. მათ შორის იყო „თეატრალური ჟურნალი“. ფული გადავიხადე და ვეტაკე ჟურნალის გვერდებს ჩემი ლექსის ძებნაში. ვიპოვე კიდევ: „მურიდალ-ბარლუთი: შორეული ჯარისკაცის აპოლოგია“.

ჩემი პირველი ლექსი იმ უცნაურ დილას დაიბეჭდა. ყდაზე ეწერა ორშაბათი, 5 ივნისი, 1967. ერთხელ ჟურნალისტმა მკითხა ამის თაობაზე. მე ყველაფერი ვუამბე და ხუმრობით დავამატე: „ნეტა არაბები იმიტომ ხომ არ დამარცხდნენ და პალესტინა იმის გამო ხომ არ დაიკარგა, რომ მე ლექსი დავწერემეთქი“.

გაგვეცინა, მაგრამ... არც გაგვეცინა.

ისევ დავტოვე ოთახი.

ოთახსა და ხიდს შორის პატარა მანძილზე გავისეირნე. ვფიქრობ და ვმსჯელობ ჩემთვის. აღარაფერი დამრჩენია ფიქრის გარდა.

უდაბნოს მიწა ისე ახლოსაა წყალთან... მზე ღრიანკალია...

„უთხარი მზის თვალს...“ — თავში მომდის ნაღვლიანი სიმღერა, აქედან სულ ახლოს, სხვა უდაბნო ადგილას დაკარგული კაცების ელეგია რომ გახდა.

19 ივნისი, 1965 წელი... მოულოდნელად კაკუნი გაისმა ჩემი ბინის კარზე, ზამალექში, კაიროში. უცნაური გარეგნობისა და ჩაცმულობის სახეგარუჯული კაცი შემოვიდა. გადავეხვიე ისე, თითქოს პირდაპირ ღრუბლებიდან ჩამვარდნოდეს მკლავებში:

— აქამდე როგორ მოაღწიე, ბიძია ‘ატა?

თოთხმეტი დღე უვლია სინას უდაბნოში — 5 ივნისიდან მოყოლებული მოდიოდა.

— ჩვენ არ გვიბრძოლია. იარაღი გაგვინადგურეს და თვითმფრინავებით დავგედევნენ პირველივე საათიდან...

ბიძაჩემი ოფიცერი იყო და იორდანის ჯარში მსახურობდა. შემდეგ, სამოციანი წლების დასაწყისში, ქუვეითის ჯარში წავიდა მწვრთნელად. 1967 წლის ომის დროს ქუვეითის ბატალი-

ონთან ერთად ეგვიპტეში საბრძოლველად გაგზავნეს. მითხრა, რომ დაჰშურის სიახლოვეს იყვნენ დაბანაკებულნი, ეგვიპტურ არმიას ექვემდებარებოდნენ და არ იცოდა, რა უნდა ყოფილიყო შემდეგი ნაბიჯი.

არ შევხვედრივარ ბიძაჩემივით მყარ და შეუდრეკელ პიროვნებას... შინ და გარეთ ყველა პატივს მიაგებდა, ყველა ემორჩილებოდა. მბრძანებლური იერი ჰქონდა, თუმცა, შინაგანად ძალიან მგრძნობიარე იყო. როდესაც იმ უცნაურ დღეს ვნახე, მისი მკაცრი გამომეტყველება სადღაც გამქრალიყო, მის სახეზე სიცოცხლის სიყვარულის ნატამალიც აღარ აღიბეჭდებოდა — მხოლოდ გულგატეხილობა, სევდა-ნალველი და ტირილის სურვილი...

ბიძია 'ატას გარდა იმ ბრძოლის ველიდან მობრუნებული არც ერთი ჯარისკაცი მინახავს, მაგრამ ეს ერთიც საკმარისი იყო, გული რომ დამწვოდა. ერთი კაციც კმაროდა დამარცხების მთელი ტრაგიზმის განსასახიერებლად.

უკვე შუადღეა. ჩემი დაძაბულობა ლოდინის ყოველ წუთთან ერთად მატულობს. დამრთავენ ნებას, მდინარე გადავკვეთო? რატომ აგვიანებენ?

უცებ გავიგონე, ვიღაცამ დაიძახა ჩემი სახელი:

— აიღე ჩანთა და გადადი ხიდზე!

\* \* \*

როგორც იქნა! აი, მივდივარ ჩემი პატარა ჩანთით, მდინარეს ვკვეთ. ეს ხიდი ხის რამდენიმე მეტრს და გადასახლების ოცდაათ წელს არ აღემატება.

როგორ შეეძლო ამ შავი ხის ნაჭერს, მთელი ერი დაეცილებინა მისი ოცნებებისგან? როგორ შეეძლო, მთელი თაობებისთვის აეკრძალა, ყავა საკუთარ სახლებში დაეღიათ? როგორ გვაიძულა, ამდენი მოგვეთმინა და ამდენ სიკვდილს შევგუებოდით? როგორ შეეძლო ჩვენი მიმოფანტვა გადასახლებებსა და კარვებში, პოლიტიკურ პარტიებსა და შიშნარევ ჩურჩულებში?

მადლობას არ გიხდი მოკლე, უმნიშვნელო ხიდო. შენ არც ზღვა ხარ და არც ოკეანე, შენს მრისხანებაში ჩვენი გამართლება რომ გვეპოვნა. არც მთაგრეხილი ხარ ტყეურებითა და ფან-

ტასტიკური ურჩხულებით დასახლებული, ჩვენი ინსტინქტები რომ მოგვეკრიბა შენგან თავის დასაცავად. მადლობას გეტყოდი, ხიდო, სხვა პლანეტაზე რომ ყოფილიყავი, ან იმ ადგილას, ძველი მერსედესი ოცდაათ წუთში რომ ვერ მიაღწევს. მადლობას გეტყოდი, ვულკანისა და მისი სქელი, სტაფილოსფერი ლავისგან რომ იყო გაკეთებული. მაგრამ შენ საზიზღარმა ხუროებმა დაგამზადეს, მათ, ვისაც ფრჩხილები ტუჩის კუთხეებში ეწყობოთ, ხოლო ყურს უკან სიგარეტი ჰქონდათ გაჩრილი. მადლობას არ გიხდის, პატარა ხიდო. რა, შენ წინაშე უნდა დავიმორცხვო? თუ შენ უნდა გრცხვენოდეს ჩემი? ისე ახლო ხარ, როგორც მიამიტი პოეტის ვარკვლავები და ისე შორი, როგორც პარალიზებულის ნაბიჯი. რა უხერხულობაა? არ გპატიობ და არც შენ მპატიობ. ხის ძრიალი ჩემ ფეხებქვეშ...

ფაირუზი მას დაბრუნების ხიდს უწოდებს, იორდანიელები — მეფე ჰუსეინის ხიდს, პალესტინის მთავრობა — ალ-კამარას გადასასვლელს, ხოლო უბრალო ხალხი, ავტობუსისა და ტაქსის მძღოლები — ალენბის ხიდს. დედაჩემი, მანამდე კი ბებიაჩემი და მამაჩემი, ჩემი ბიცოლა უმ ტალალი მას, უბრალოდ, ხიდს ეძახდნენ.

ახლა, პირველად ოცდაათი ზაფხულის შემდეგ, კვლავ გადავივარ ამ ხიდზე. 1966 წლის ზაფხული და უცებ, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, 1996 წლის ზაფხული...

აქ, ამ აკრძალული ხის ფიცრებზე მივაბიჯებ და მთელ ჩემს ცხოვრებაზე ვბურღლუნებ ჩემთვის, ვბუტბუტებ უხმოდ და პაუზების გარეშე. წარმოსახვები ჩნდება და ქრება არეულად, უნესრიგოდ — სცენები ჩემი მოუწყობელი ცხოვრებიდან, ხსოვნა, რომელიც ნავივით ირხევა წინ და უკან. ეს წარმოსახვები თანდათან იკვეთება, ფორმას იძენს, თუმცა, მათი ფორმა ქაოსია.

შორეული ბავშვობა... მტრებისა და მეგობრების სახეები... მე სხვების კონტინენტებიდან მოვდივარ, მათი ენებიდან და მათი საზღვრებიდან — სათვალეებიანი კაცი მხარზე გადაკიდებული პატარა ჩანთით. ეს ხიდის ფიცრებია, ეს კი — ჩემი ნაბიჯები მათზე. ლექსების მინისკენ მივდივარ... მნახველი? ლტოლვილი? მოქალაქე? სტუმარი? არ ვიცი.

ეს პოლიტიკური მომენტი? თუ ემოციური? სოციალური? პრაქტიკული? თუ სიურეალისტური? სხეულის? ტვინის? ხეჭრიალებს. განვლილი ცხოვრება ნისლის საბურველით შემოსილა — ხან იმალება, ხან ჩნდება. რატომ მინდება, რომ ეს ჩანთაც არ მქონდეს თან? ხიდს ქვემოთ ძალიან ცოტა ნყალია, უნყო ნყალი. თითქოს ნყალი ბოდის იხდის ორი ისტორიის, ორი სარწმუნოების, ორი ტრაგედიის ზღვარზე არსებობის გამო. კლდე... ცარცი... სამხედრო... უდაბნო... კბილის ტკივილივით მტკივნეულია.

აი, იორდანის დროშა არაბული ამბოხის ფერებით. სულ რამდენიმე მეტრში ისრაელის დროშაა ნილოსისა და ევფრატის სილურჯეებს შორის დავითის ვარსკვლავით. ნიავის ერთი დაბერვა აფრიალებს ორივე დროშას. „თეთრი ჩვენი გმირობებია, შავი ჩვენი ბრძოლებია, მწვანე კი — ჩვენი მიწები...“ — პოეტური სტრიქონი მომდის თავში. მაგრამ ეს სცენა ისეთივე პროზაულია, როგორც ანგარიშის ქვითარი.

ხის ფიცრები ჭრიალებს...

ივნისის ჰაერი დღეს ისეთივე მწველია, როგორც გუშინ. „ო, ხის ხილო...“ — უცაბედად ფაირუზი წამომიტივიტოვდა. უჩვეულოა მისთვის — სიმღერის ტექსტი სასურველზე უფრო პირდაპირია. როგორ ჩაუსახლდათ ეს სიტყვები გულში როგორც ინტელექტუალებსა და სტუდენტებს, ისე გლეხებსა და ჯარისკაცებს, როგორც დეიდებს, ისე რევოლუციონერებს?! განა ხალხს სჭირდება, თავისი ხმა სხვისი პირიდან გაიგონოს?! ნუთუ მათ უყვართ, როცა სხვისი ხმა გამოხატავს იმას, რაც მათშია?! თავიანთთვის მიყურებულები ხმამაღლა მოსაუბრებზე უთითებენ წარმოსახვითსა და აკრძალულ პარლამენტში მათ წარსადგენად. პირდაპირი პოეზია ხალხს მხოლოდ უსამართლობისა და საყოველთაო მდუმარების ხანაში ხიბლავს, იმ დროს, როცა არც ლაპარაკი შეუძლიათ და არც ქმედება. მართო თავისუფალ ადამიანებს ძალუძთ, შეიგრძნონ პოეზია, რომელიც ჩურჩულებს და შთააგონებს. ისინი მოქალაქეები არიან, აზრს ხმამაღლა რომ გამოთქვამენ. ჩვენი ლიტერატურის კრიტიკოსები დასავლურ თეორიებს ნახევრადდახუჭული თვალე-

ბით იღებენ და თავიანთ არაბულ არახჩინებზე კოვბოის ქუდე-ბივით ირგებენ-მეთქი — ვფიქრობ ჩემთვის. (ქუდების ეს მეტაფორა კლიშეა. ახლა რატომ მახსენდება?)

და აი, ისრაელის პირველი ჯარისკაცი სამხედრო ქუდით. ეს ნამდვილი ქუდია და არა ლიტერატურული მეტაფორა. იარალი სიმალლეში უსწრებს თითქოს. ის დასავლეთ სანაპიროზე კენტად მდგარი თავისი ოთახის კარს მიყრდნობია. ამ ნაპირიდან უკვე ისრაელის სახელმწიფოს ძალაუფლება ვრცელდება. ვერაფერს გეტყვით ჯარისკაცის გრძნობებზე — მისი სახე არაფერს გამოხატავს. ისე ვუყურებ, როგორც დაკეტილ კარს. აი, ჩემი ფეხი მდინარის დასავლეთ სანაპიროზეა. ხიდი უკან მოვითოვებ. ერთი წამით შევჩერდი ქვიშაში, მინაზე. კოლუმბის მეზღვაური არ ვარ, რომ ნახევრადცოცხალმა დავიყვირო: „მინა, მინა, მინაა!“ არქიმედე არ ვარ, რომ შევძახო „ევრიკა, ევრიკა!“ არც გამარჯვებული ჯარისკაცი ვარ, მინას რომ კოცნის. არც მიკოცნია, არც სევდა მომრევია და არც მიტირია.

მხოლოდ მისმა სახემ გამიელვა თვალნი ამ მკრთალ, უდაბნო ადგილას, გამიღიმა საიდანღაც, იმ საფლავიდან, საკუთარი ხელებით რომ გაფუთხარე, უკანასკნელად მოვეხვიე და როცა სხვა მგლოვიარეებმა გვერდით გამიყვანეს, მარტო დავტოვე საფლავის ქვის ქვეშ, რომელსაც ასე წავანერეთ: „მუნიფ ‘აბდ არ-რაზიკ ალ-ბარლუთი, 1941-1993“.

\* \* \*

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ჯარისკაცს თვალებში ჩახედე. ის უფრო დაქირავებულს ჰგავდა — მოწყენილი და უკმაყოფილო ჩანდა. არა, ის გაჭიმულია, მობილიზებული და ფხიზელი. იქნებ მეჩვენება? ეს ხომ მოსაწყენი საქმიანობაა — ყოველდღე ათასობით ჩემნაირ პალესტინელს უყურებს. ზოგი თავისი პატარა ჩანთით საზაფხულო ვიზიტით ჩამოდის, ზოგიც ამანში მიემგზავრება, ცხოვრება რომ გააგრძელოს... მაგრამ ჩემი მდგომარეობა სხვანაირია. საკუთარ თავს ვეკითხები: რატომ ფიქრობს მსოფლიოში ყველა, რომ მისი განსაკუთრებული მდგომარეობა მაინც „სხვანაირია“? ეს ეგოიზმია, რო-



მელსაც თავიდან ვერ ვიშორებთ? განა სამართალია, ამ ხიდზე ოცდაათი წლის შემდეგ პირველად რომ გადმოვდივარ? მათ, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა, საშუალება ჰქონდათ მდინარის გადაკვეთისა; ასევე მათაც, გადასახლებულები რომ იყვნენ და დროდადრო ვიზიტის ან, სულაც, დაბრუნების ნებართვას რომ იღებდნენ. ოცდაათი წელი ვერ შევძელი აქამდე მოღწევა! მაგრამ ამ ჯარისკაცმა საიდან უნდა იცოდეს ეს?! და რატომ მოვიტხოვ, რომ იცოდეს?

წინა ჯერზე ჩემი სათვალის მინები ასეთი სქელი არ იყო, ხოლო თმა სულ შავი მქონდა, მოგონებები — უფრო ნათელი და მახსოვრობაც — უკეთესი. მაშინ ბიჭი ვიყავი. ახლა მამა ვარ — ბიჭის მამა. ეს ბიჭი კი დღეს ზუსტად იმ ასაკშია, მე რომ მაშინ — ოცდაათი წლის წინ გახლდით. მაშინ ჩემს ქვეყანას ვტოვებდი შორეულ უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად, ახლა ჩემი ბიჭი მყავს დატოვებული იმავე უნივერსიტეტში. მაშინ არავინ მედავებოდა რამალაში შესვლის უფლებაზე. ახლა უნდა ვიკითხო: რა გავაკეთო, რომ ჩემს შვილს ჰქონდეს მისი ნახვის უფლება? ნუთუ მანაც უნდა გაიაროს რეგისტრაცია, როგორც იძულებით გადაადგილებულმა ან დევნილმა? ის არასოდეს გადაადგილებულა — სამშობლოს გარეთ დაიბადა.

მე კი... ჩემი გადასახლებიდან მათ სამშობლოში ვბრუნდები? თუ ჩემსაში? დასავლეთი სანაპირო და ლაზა... ოკუპირებული ტერიტორიები... თავისუფალი სივრცეები... იუდეა და სამარია... ავტონომიური მთავრობა... ისრაელი... პალესტინა... განა არსებობს მსოფლიოში სხვა ქვეყანა, ასე რომ დაგაბნევთ თავისი სახელებით? წინა ჯერზე მეც გარკვეული ვიყავი და ყველაფერი ნათელი იყო ჩემ გარშემო. ახლა დაბნეული და არეული ვარ. ყველაფერი არეულია და გაურკვეველი.

აი, ქუდიანი ჯარისკაცია ცხადზე ცხადი. ყოველ შემთხვევაში, მისი იარაღი პირდაპირ ბრწყინავს. ეს იარაღი ჩემი პირადი ისტორიაა. ეს გახლავთ ჩემი გაუცხოების ისტორია. ამან ნაგვართვა ლექსების მინა და დაგვტოვა ამ მინაზე დანერილი ლექსების ამარა. ამ ჯარისკაცს ხელში მინა უკავია, ჩვენ კი — ჩვენ მხოლოდ მირაჟი გვიჭირავს.

თუმცა იგი სხვა მხრივაცაა გაურკვეველი. მისი მშობლები გერმანიიდან არიან თუ ჰოლანდიიდან? იქნებ ის ახლახანს ჩამოვიდა ბრუკლინიდან? ცენტრალური ევროპიდან? ჩრდილოეთ აფრიკიდან? იქნებ დისიდენტია რუსული ემიგრაციიდან? იქნებ, სულაც, აქ დაიბადა და თავად არც უფიქრია, ისე აღმოჩნდა ამ ადგილას? ნეტა, მოუკლავს რომელიმე ჩვენგანი ომებში ან ჩვენს გაუთავებელ აჯანყებებსა და დაპირისპირებაში მისი სახელმწიფოს წინააღმდეგ? ღვივის მასში მოკვლის სურვილი? თუ, უბრალოდ, ასრულებს სამხედრო მოვალეობას, რომელსაც ვერაფრით აიცილებს თავიდან? ვინმეს აუნონია მისი ადამიანურობა? მე ყველაფერი ვიცი მისი სამსახურის არაჰუმანურობის შესახებ. ის ოკუპაციის ჯარისკაცია და ნებისმიერ შემთვევაში მისი მდგომარეობა ჩემგან განსხვავებულია, განსაკუთრებით კი ახლა, ამ მომენტში. ის თუ ამჩნევს ჩემს ჰუმანურობას ან იმ პალესტინელთა ადამიანურობას, მისი მოელვარე იარაღის ჩრდილქვეშ რომ მიდი-მოდინ ყოველდღე?

ერთად ვდგავართ მინის ერთ ნაჭერზე, მაგრამ მას ჩანთა არ უჭირავს ხელში — საერთაშორისო ლეგიტიმურობასა და ჰაერში მოფარფატე ორ ისრაელის დროშას შორის დგას.

— დაიცადეთ, ვიდრე მანქანა არ მოვა.

ამას არაბულად ამბობს.

— სად წამიყვანს მანქანა?

— სასაზღვრო პოსტზე. ყველა პროცედურა იქ არის.

დავიცადე.

მის პატარა ოთახში, რომელიც, ველოდი, რომ უფრო მონეს-რიგებული და სუფთა იქნებოდა, კედლებს ამშვენებდა ტურისტული პლაკატები... ისრაელისა! მასადას პლაკატზე შევაჩერე მზერა. გადმოცემის თანახმად, მასადას ციხე-სიმაგრეში გამაგრებულ ებრაელთაგან ყველა დაიხოცა, მაგრამ მტერს არ დანებდნენ. ნუთუ ეს ჩვენსკენ მომართული გზავნილია — კარიბჭესთან აღმართული მინიშნება, რათა გვახსოვდეს, რომ ისინი სამუდამოდ დარჩებიან აქ? სპეციალურადაა საზღვარზე ეს ნიშანი თუ, უბრალოდ, ერთი ჩვეულებრივი პოსტერია?

ოთახს მოგავლეთ თვალი: ორი ძველი სკამი, კვადრატული მაგიდა, სარკე ჩამოტეხილი მარცხენა კუთხით, ებრაული გაზეთები, პატარა სამზარეულო, ელექტრო მადულარა ჩაისთვის ან ყავისთვის. დაცვის ჩვეულებრივი ოთახია, მცველის, რომელიც ჩვენს ქვეყანას იცავს... ჩვენგან.

ფიქრობდი, რომ დამკითხავდა. არაფერს ამბობდა.

განა მოვუსმენდი, რომ დამლაპარაკებოდა ან შეკითხვა დაესვა? თუ ნაფუყრუებდი? მისთვის როგორ უნდა დამეგდო ყური, როცა როგორც კი ამ სკამზე დავჯექი, მათმა ხმებმა დაარღვიეს ჩემი სიჩუმე. ერთი მეორის მიყოლებით შემოვიდნენ ამ ოთახში და გარს შემომეხვივნენ. ხიდი ორ სამყაროს ჰყოფს — სამყაროს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, სწყინთ და უხარიათ და სამყაროს, რომელსაც მე სულ მალე ვნახავ.

ამ ჯარისკაცს როგორ მოვუსმენდი მაშინ, როცა მათი შინაგანი დუმილის ხმამ ააღელვა და ააფორიაქა აქაურობა — დიახ, სწორედ ეს ადგილი, რომლისგანაც საკმაოდ შორს დაიხოცნენ ან მოკლულ იქნენ, ვიდრე მოაღწევდნენ აქამდე?!

გარდაცვლილები კარზე არ აკაკუნებენ. შემოდის ჩემი ბებიია. ის იყო პოეტი, რომელმაც მოხუცებულობაში მხედველობა დაკარგა. იმპროვიზებულ ლექსებს ამბობდა — ხალისიანს და ნაღვლიანს — ქორწილებსა და სოფლის პანაშვიდებზე. ახლაც ჩამესმის ჩურჩულით ნათქვამი მისი ლოცვები განთიადისას — ლოცვები, რომლის მსგავსი არც პროზაში შემხვედრია და არც პოეზიაში. ეს იყო რაღაც უნიკალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი. მე საბნის კიდე ვწევდი და მისი სიტყვების მუსიკას ვუსმენდი. შემდეგ, როცა დასაძინებლად ბრუნდებოდა, გვერდით ვუწვებოდი, ვთხოვდი, გაემეორებინა ლოცვის მომწუსხველი ფრაზები და იმ თბილ მუსიკასთან ერთად ვიძინებდი. ეს მუსიკა სკოლაშიც მიმყვებოდა, ჩემი სახელმძღვანელოების გვერდებზეც უკრავდა და გადიდებული ცხრილების მოწყენილობას ჩემი ბავშვობის პირველ მტრად აქცევდა.

შემოდის მამა საფლავიდან, ამანში, ვადი ას-საირზე რომ დავტოვე. შემოდის თავისი წყნარი მგრძნობიარობით, წვრილი

თვალებით და მისთვის ჩვეული სიმშვიდით ამ ცხოვრებისგან დაღურჯებულ-დაშავებულს და, იმავე დროს, კმაყოფილს.

შემოდის მუნიფი, რომელიც სულ ტყუილად მოკვდა. მათ მოსპეს მისი გულისა და მიზნების სილამაზე, სამუდამოდ გაანადგურეს მისი ოცნება რამალას ნახვისა, თუნდაც რამდენიმე დღით.

მოდი, ლასან ალ-ქანაფანი. შენს ხმას ვერაფერი დაადუმებდა იმ ნაღმის გარდა, მთელი ჰაზიმიია რომ დაანგრია.

როგორ ვუსმინო ამ მწვანე ჯარისკაცს მაშინ, როცა ლასანი ინსულინიან შპრიცს ირჭობს მკლავში და თან ღიმილით გვესალმება მის კაბინეტში შესულებს — მე და რადვას. მის მხრებს უკან კედლებს კი ელვითა და ქექა-ქუხილით მოფენილი პლაკატები ამშვენებს. მაშინდელი პლაკატები სულ სხვანაირი იყო: ვარსკვლავი გუევიარას ბერეტზე... შეკითხვები ლენინის შუბლზე... პასტითა და ფუნჯით გაკეთებული მინანერები პალესტინაზე... ჩარჩოთი დასაზღვრული აღვირახსნილი მერანი... აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა ფოტოები... გაუთავებელი მოწოდებები, რომლებიც, გვეგონა, პალესტინამდე მიგვიყვანდა.

ნეტავ, ახლა ლასანი უფრო ახლოსაა 'აქადან თუ უფრო შორსაა მისგან?

ამ პირტიტველა ჯარისკაცის ოთახის პოსტერებს ბეირუთში, ლასანის კაბინეტში გაკრულ პლაკატებს ვუდარებ. ურთიერთდაპირისპირებული სამყაროებია: ლასანის სამყაროში ნერუდას ლექსებისთვისაც იყო ადგილი, ქებრალის სიტყვებისთვისაც, ლენინის წინ გამოშვერილი ხელებისთვისაც, ფანონის ხედვისთვისაც და იმ ინტიმური ფერებისთვისაც, რომელთა მეშვეობით რომანისტი თავისი ოცნების დახატვას ცდილობდა: მიამიტი ცისფერი, ჭერმისფერი და ნარინჯისფერი. და ამ ყველაფერთან ერთად, ცისარტყელა ავისმომასწავლებელი ნიშნებით, უბედური შემთხვევებითა და დანაკარგებით სავსე მოქუფრულ ცაზე. აქ კი? შევყურებ კედლებსა და ნახატებს. ეს სცენებია ჩემი ქვეყნის ცხოვრებიდან, თუმცა, მათი აზრი და მიზეზი ამ ადგილზე, ამ კონტექსტში არსებობისა საშინლად აგრესიულია. და მახსენდება ნახატი, ნაჯი ალ-ალიმ რომ მაჩუქა.

მან მე და რადვას ბეირუთში, სანაპიროზე მდებარე რესტორან „მაიაში“ სადილი შემოგვთავაზა, რომლის შემდეგაც მანქანიდან უზარმაზარი ტილო გადმოათრია:

— ეს დაიბეჭდა შენს ლექსთან ერთად „ას-საფირში“. აი, ხელახლა გავაკეთე — უფრო დიდი — შენთვის, რადვასთვის და თამიმისთვის.

მერე ის შინ გაემგზავრა — სიდონში. რადვა და მე ჩვენს ნომერს დავუბრუნდით სასტუმრო „ბუ რივაჟში“.

ნახატის ცენტრალურ ნაწილში ბავშვის სახეა გამოსახული. მისი ორი კიკინა ჰორიზონტალურადაა გაშვერილი: ერთი მარჯვნივ, მეორე — მარცხნივ. კიკინები მავთულხლართებში გადაიზრდება და ნახატის კიდეებს სწვდება — უმუქეს ცაში იჭრება.

შემოდის ნაჯი ალ-ალი თავისი ძველი სიკვდილიდან, ახალი სიკვდილიდან. აი, ღიმილი მის თვალებში და მისი თხელი ტანი. საკუთარი მკერდიდან ამოხეთქილ ტირილს ვუგდებ ყურს, რომელიც ნაჯის საფლავის წინ მდგარს აღმომხდა ლონდონის გარეუბანში. ვუყურებდი საფლავზე ამოზურცულ ქვიშის გორაკს. მხოლოდ ერთი სიტყვა დავიჩურჩულე:

— არა!

დავიჩურჩულე, არავის გაუგია, არც ცხრა წლის უსამას, ჩემ წინ რომ იდგა. ხელი გადავხვიე და ორივე მამამისის სამარეს მივაშტერდით. მაგრამ არაფრით შემეძლო მდუმარების შენარჩუნება.

ეს „არა“ ვერ თავდებოდა.

ის იზრდებოდა.

ის ზემოთ იწევდა.

მე ვტირი ერთი გრძელი, გაგრძელებული ტირილით.

მას ყურიდან ვერ ვიგლეჯ — გამუდმებით იქ კიდია, იმ წვიმის წვეთებში — უსამას, ჯუდის, ლაილას, ხალიდს, ვიდადს და მე — ერთად რომ გვაცრიდა. თითქოს განკითხვის დღემდე იქ უნდა იყოს — ცაში, რომელიც ისეთი შორია, არც თეთრია, არც ცისფერი, არც ჩვენია, არც...

ვიდადის ძმამ ხელები მხრებზე მომიჭირა. გავიგონე, როგორ მითხრა:

— ღვთის გულისათვის, მურიდ, დამშვიდდი. დამშვიდდი იმისთვის, რომ ფეხზე მყარად შევეძლოთ დგომა.

ჩემი მოთქმა-ტირილი ნახევრად გონდაკარგულ მდგომარეობაში გადაიზარდა. ხელებით მოვიკუმე პირი და ცოტა ხანში ძლივს ნავილულულე:

— ჩვენ კი არა, ის დგას.

მის სახლში მივბრუნდით, ვიმბილდონში.

ოჯახმა დაიჟინა, რომ გარდაცვლილის ოთახში მე უნდა გავჩერებულყავი. ასე მეძინა ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ტილოებსა და ჩანახატებს შორის. ვუყურებდი მის სკამს, დაფას, რომელიც საკუთარი ხელით გაკეთებულ ხის სადგარზე აქმაღლებინა ისე, რომ ფანჯრის რაფას უსწორდებოდა. იქიდან კი ბალი და ცა მოჩანდა. ფანჯარაზე ფარდა არ ეკიდა. დაუცველი მინები სამყაროს პირისპირ იდგა. ვიდადმა მიაგებო, რომ როცა აქ ფარდები დაკიდა, ნაჯიმ თავისი ხელით ჩამოხსნა ისინი, რადგანაც სივრცე უყვარდა, ხოლო ფარდები სულს უხუთავდა. როდესაც ვიდადი ამას ჰყვებოდა, ნაჯის სამარის ნყვდიადი მომანვა ყურზე.

იმ ოთახში ერთი კვირა გავატარე. მის მაგიდასთან, მის ცარიელ ფურცელზე, მისი ერთ-ერთი კალმით რაღაც დავწერე მასზე — არაჩვეულებრივი ადამიანის სიცოცხლეზე, ნახატებსა და სიკვდილზე. ლექსი ასე დავასათაურე — „მგელმა შეჭამა იგი“, როგორც ნაჯის ერთ-ერთ ცნობილ ტილოს ჰქვია. მოგვიანებით ეს ლექსი მისი ნამუშევრების გამოფენის გახსნაზე ნავიკითხე. პერსონალური გამოფენა ერაყელმა მხატვარმა დია‘ალ-‘აზზავიმ და სხვა მეგობრებმა მოუწყეს ლონდონში.

სამხატვრო გალერეის შესასვლელთან სამი ახალგაზრდა კაცი ჩამწკრივებულიყო და იუბილეზე მოსულ სტუმრებს ესალმებოდა. ესენი იყვნენ:

ხალიდი, მსხვერპლ ნაჯი ალ-‘ალის ვაჟი.

ფაიზი, მსხვერპლ ლასან ალ-ქანაფანის ვაჟი.

ჰანი, მსხვერპლ ვადი‘ ჰადადის ვაჟი.

სამივე ვაჟკაცი ახალგაზრდობით ჰყვავოდა. პირი გამიშრა, როცა მათ ხელი ჩამოვართვი. რა სამგლოვიარო პროცესიებმა

წამოსწია ეს მაღალი მხრები და ეს ფრთხილი, ჭკვიანური თვალები? მათი ბავშვობის რომელმა ნანგრევებმა მოამწიფეს ისინი მკვლელთა მიერ აკრძალული თუ ნებადაურთავი კაცობისათვის?

ხალიდმა თავისი ორი მეგობარი გამაცნო. მივესალმე. მწყუროდა მათი ხმის გაგონება.

იმ საღამოს ისინი რომანის გმირებად უფრო აღვიქვი, ვიდრე რეალური ცხოვრებისა. ვუყურებდი და ვამბობდი ჩემთვის: ჩვენი ტრადიციის თანახმად, მოსალოცად ან მოსასამძიმრებლად მოსულებს ოჯახის ან პოლიტიკური ფრაქციის (თუკი მათ მოეპოვებათ ასეთები) ყველაზე გამორჩეული სახეები ხვდებიან კართან. დღეს ამ სამმა ახალგაზრდამ სიტყვას „გამორჩეული“ ახალი მნიშვნელობა შესძინა. ეს „გამორჩეულობა“ მათ წინაშე მდგომმა ველარ ავიტანე და წამოვედი.

ბუდაპეშტში დავბრუნდი მომავალი დღეების მოლოდინით აცახცახებული. შორეული ბრიტანეთის მინაში კი პალესტინის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მამაცი მხატვარი დავტოვე.

\* \* \*

მათი სახეები ისე დაცურავდნენ ჩემ გარშემო, როგორც ძველი რუსული ტაძრების სიბნელეში მოკიაფე ხატები ანდრეი რუბლიოვისა. ეს ოთახი არც ისეთი ბნელია და ჩახუთული. არც მის გარშემო ტერიტორიაა ცარიელი და მოტიტვლებული. მე კი ამგვარი სიცხე არასოდეს მიგრძვნიან. ციებ-ცხელება ხომ არ მენწყება? აბუ სალმა, მუ'ინი და ქამალი შემოვიდნენ და მათ შემოჰყვა დიდი გულის პოეზია, რომელიც ფურცლებზე აღარ ეტეოდა. მუნიფი და ნაჯი შემოვიდნენ მეორედ, მესამედ და დაძაბულობამ ისევ აავსო ოთახი. სახეები, ხმები, წარმოსახვები ჩნდება და ქრება. ვუყურებ გამოხედვას. ვეხმაურები ხმას. მთელი არსებით თქვენთან ვარ და სრულიად მარტო ვარ. ჩემო მეგობრებო, თქვენ გარშემო დასადგურებულმა სიბნელემ მაპატიოს ეს დღე!

ჩემს თავს ხდება მთელი ეს აბნეულობა? მოსვლა... წასვლა... მკვდარი ზღვის მარილით შემოსაზღვრული ეს მოწყენილობა...

მივეჩვიე ლოდინს. არც ერთ არაბულ ქვეყანაში არ შევსულვარ იოლად. არც დღეს გამომივა ეს.

მანქანა მოვიდა.

ნელა გავემართე მისკენ.

მალალი, ქერა მძლოლი გაღვლილი პერანგით... მომეჩვენა, რომ არაბულად თქვა რაღაც. ბევრს არ ლაპარაკობდა, თორემ არ გამიჭირდებოდა გარჩევა, არაბი იყო თუ ებრაელი. ყველაფერი არეულია. სადღაც წამიკითხავს ისრაელში მომუშავე არაბებზე. ის ისრაელში მომუშავე არაბია თუ არაბულის მცოდნე ებრაელია?

ჩემი შეკითხვები დიდხანს არ გაგრძელებულა. სასაზღვრო პოსტს მივადექით.

მძლოლმა თავისი მომსახურებისთვის საფასური იორდანიულ დინარებში აიღო.

დიდ დარბაზში შევედი — ისეთში, როგორიც აეროპორტებშია მგზავრთათვის. აქ დავინახე როგორც პალესტინის, ისე ისრაელის პოლიცია.

ჩამწკრივებულა ფანჯრები დასავლეთ სანაპიროსკენ წამსვლელთათვის და მათთვის, ვინც ლაზაში მიემგზავრება.

ძალიან ბევრი ხალხია.

დარბაზი ბოლოვდება ვიწრო ელექტრო გასასვლელით. ისრაელის პოლიციელი ლითონის საგნების — საათის, გასაღების, ხურდა ფულის — პლასტმასის ჯამში ჩაყრას მთხოვს.

გავიარე კარი და შეიარაღებული ებრაელი ოფიცრის წინ აღმოვჩნდი. შემაჩერა. საბუთები მთხოვა. გადახედა. დამიბრუნა.

საკუთარი დაძაბულობის დაფარვის მცდელობაში გადავწყვიტე, პირველი შეკითხვა მე დამესვა:

— ახლა სად უნდა წავიდე?

— რალა თქმა უნდა, პალესტინელ ოფიცერთან.

იქვე, ოთახში შემიძღვა.

პალესტინელმა ოფიცერმა გადაატრიალ-გადმოატრიალა ჩემი საბუთები და უკან დაუბრუნა ისრაელის ოფიცერს, რომელმაც თავშეკავებული ღიმილით მთხოვა, მომეცადა. ვკითხე, თუ სად?

— რალა თქმა უნდა, პალესტინელ ოფიცერთან.



დავჯექი ოთახში. პალესტინელი ოფიცერი მიდიოდა, მოდიოდა და ყურადღებას არ მამჩვენებდა. დავიბენი. ოფიცერი ჩუმად იჯდა მაგიდასთან. ორნი ვისხედით ოთახში, და ორივე მარტო.

ისევ „იქ“ გავიქეცი, დაფარულ ადგილას, თითოეულ ჩვენგანში რომ დაბუდეებულა — ადგილი სიჩუმის და თვითანალიზის. როცა ჩემ გარშემო სამყარო აბსურდული და გაუგებარი ხდება, მას ბნელ და პირადულ სივრცეში გავექცევი ხოლმე. თითქოს საიდუმლო ფარდას ვფლობ: როცა მჭირდება, ჩამოვაფარებ და შინაგან სამყაროს გარემესგან ვყოფ, რათა ორივე დავიცვა. ეს ერთადერთი საშუალებაა მათ შესანარჩუნებლად. ფარდას ავტომატურად ვუშვებ, როცა ჩემი ფიქრები და დაკვირვებები მეტად რთული გასაგები ხდება.

დაფარულ სივრცეში არ არის სხვებთან საუბრის ადგილი. დიდხანს აღარ შემინუხებია თავი ჩემ წინაშე მჯდომი კაცის უჩვეულო მდგომარეობაზე ფიქრით. ცხადი იყო, რომ „შეთანხმებებმა“ მოათავსეს ის ამ პოსტზე, სადაც გადანყვეტილების მიღებაც არ შეეძლო. მისი საქმე დაცვის, საბაჟო, ადმინისტრაციული პროცედურებით ანუ „მეორე მხარის საქმით“ შემოიფარგლებოდა.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ სხვა ოფიცერი გამოჩნდა.

მან წამიყვანა ოთახში, სადაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამონყოფილი კაცი იჯდა. წინ ამოზეჭდილი ანკეტა ედო სტატისტიკური ხასიათის შეკითხვებით. პოლიტიკური კითხვები არ დაუსვამს. პირადი საქმე გამიხსნა.

— ახლა წადით და თქვენი ჩანთა მოძებნეთ.

ხელახლა მოლოდინი, ამჯერად ჩანთის — ვდგავარ ბარგის სპეციალურ ბილიკთან.

დარბაზი სავსე იყო ხიდზე გადმოსული და ჩემსავით ბარგის მომლოდინე ხალხით. მარჯვენა ოთახში საგანგებოდ გამორჩეული ჩანთები იჩხრიკებოდა. მუყაოს ყუთები, საოჯახო მოწყობილობები, ტელევიზორები და მაცივრები, თმის საშრობები, შალის გადასაფარებლები, ყველა ზომისა და ფორმის ჩემოდნები, ფუთები თუ ჩანთები. როცა ვმოგზაურობ, ჩემი ყველაზე პატარა და მსუბუქი ჩანთა მიმაქვს თან. არ მომწონს ის, რა დღეშიც ბარგი აგდებს ხოლმე მგზავრს. ვერ ვიტან, როცა ჩან-

თა უნდა გავხსნა, რათა მებაჟემ აფათუროს შიგ ხელები რალა-  
ცისტვის, რაც სულ არ მაინტერესებს.

ნიელონისხელთამანიანი ებრაელი კაცები და ქალები სპე-  
ციალურ ოთახში ჩხრეკენ ჩანთებს. მათი მფლობელები კი თა-  
ვიანთ საკუთრებას ელოდებიან.

სამხედრო სამსახურში განვეული ებრაელი ქერა გოგონა  
უხალისოდ უდარებს ერთმანეთს კომპიუტერში დარეგისტრი-  
რებულ და პასპორტებში მინიშნებულ ჩანთების ნომრებს. ვან-  
ვდი ჩემს პასპორტს და ვუხსნი, რომ მხოლოდ ერთი სამგზავრო  
ჩანთა მაქვს, რომელსაც უკვე ვხედავ დარბაზის შუაგულში  
დაყრილ ჩემოდნებს შორის. მაინც დალოდებას მთხოვს.

ცოტა ხანში მანიშნებს, ბარგის დარბაზში შევიდე. ვიღებ  
ჩემს ჩანთას და უზარმაზარ კარში გავდივარ.

გზაზე გავდივარ...

**კართა კარიბჭე...**

**თუმც გასაღები ხელთ არ გვეპყრა, მაინც შევედით.**

**უცხო მიწაზე სიკვდილისგან გამოქცეულნი,**

**მობრუნებულნი საკუთარი დაბადებისკენ**

**მოვილტვით ჩვენი სახლებისკენ — იმ სახლებისკენ,**

**ჩვენი რომ იყო,**

**აი, მოვედით.**

**ჩვენს სიხარულში არის ბევრი ნაფხაჭნ-ნაკანრი.**

**ისინი ცრემლებს არ უნახავს,**

**მაგრამ ამ ცრემლებს ცოტა უკლია, თვალებიდან**

**რომ წამოცვივდეს.**

ორ ნაბიჯს ვდგამ და ვჩერდები.

ქვიშაში და მტვერში ვდგავარ. მუნიფმა ვერ მოაღწია აქამ-  
დე. სიცივემ დამიარა ხერხემალში. ვერც შვება ვიგრძენი, ვერც  
სიცარიელე.

უცნაური მიმართულებით გაღებულყო ჩვენთვის „გასახლე-  
ბულთა კარიბჭე“ — მიმართულებით, რომელსაც განსაკუთრე-  
ბული ქვეყნისკენ მივყავართ და არა სხვათა ქვეყნებისაკენ.

ამ ქვეყნის ქვიშაში ვიდექი, მის მიწაზე.

ჩემი ქვეყნის ხელში ვარ.

ახლა პალესტინა არ არის ოქროს რუკა, იძულებით გადაადგილებულ ქალებს ოქროს ძეწკვზე რომ უკიდიათ. ყოველთვის მაინტერესებდა, როცა ჩვენი ქვეყნის ქალების ამ სამკაულს ვუყურებდი, ნეტა, კანადელ, ნორვეგიელ ან ჩინელ ქალებს თუ უმშვენებთ ყელს საკუთარი ქვეყნის რუკები?!

ერთხელ მეგობარს ვუთხარი:

— პალესტინა სალამოს კაბის, ორნამენტის, ხსოვნის ან ოქროს ყურანის აღკაზმულობა რომ აღარ იქნება; როცა გავივლით პალესტინის ქვიშაში, მის მტვერს ნაჩქარევად ჩამოვიბერტყავთ პერანგის საყელოებიდან და მოვინმენდთ ფეხსაცმლიდან ყოველდღიური, წარმავალი, მოსაწყენი საქმეების კეთებაში; როცა დავიბუზღუნებთ იქაურ სიცხეზე, პალესტინაში მეტისმეტად დიდხანს ყოფნით გამოწვეულ მოწყენილობაზე, მაშინ მართლა ახლოს ვიქნებით მასთან.

ახლა ის შენ წინაშეა. ხომ მისკენ მოემგზავრებოდი?! კარგად შეხედე მას.

\* \* \*

შენობის მოპირდაპირე მხარეს, ტროტუარზე, პირველ პალესტინელს ვხვდები. მისი ფუნქცია და მოვალეობა ამ ადგილას გასაგებია: გამხდარი, ხანში შესული კაცი კედლის ჩრდილში პატარა მაგიდასთან ზის. ცდილობს, ივნისის პაპანაქებას თავი აარიდოს. ხმამალლა მიყვირის:

— მოდი, ძმაო, ავტობუსის ბილეთი აიღე.

არაფერია უფრო მარტოსული, ვიდრე ასეთი მიმართვა. „ძმაო“ ის სპეციფიკური გამოთქმაა, რომელიც ძმობას გამოირიცხავს. წამით შევხედე.

ბილეთში იორდანიული ფული გადავიხადე. ორი-სამი ნაბიჯი გადავდგი და შევჩერდი. ისევ შევხედე ბილეთების გამყიდველს. შემდეგ ავტობუსისკენ გავიქეცი. არა, კი არ გავიქეცი, წავედი. მაგრამ რალაც მირბოდა ჩემში, შიგნით. დავჯექი ავტობუსში, რომელიც თანდათან ჩემნაირი ხიდგადმოვლილებით აივსო. მძლოლს ვკითხე, საითკენ გვქონდა გეზი.

— იერიქონის სადგურისაკენ.

როგორც იქნა, შევედი პალესტინაში. მაგრამ რას ნიშნავს ეს ისრაელის დროშები?

ავტობუსის ფანჯრიდან გავყურებ საკონტროლო პუნქტებთან აღმართულ, ერთმანეთისგან სულ რამდენიმე მეტრით დაშორებულ ისრაელის დროშებს.

ვგრძნობ, რომ გული მიღონდება და არ მინდა, ამ შეგრძნებას დავმორჩილდე. ვგრძნობ უსაფრთხოებას, რომელიც, თითქოს, სრულყოფილი არ არის.

თვალს ვერ ვწყვეტ ფანჯარას. ჩემ თვალწინ კი წარსულის წარმოსახვები უთავბოლოდ მიედინებიან.

ტაატით მიმავალ ავტობუსში მეჩვენება, თითქოს გუშინ იყო, სასტუმრო „ქარავანის“ სასაუზმეში რომ შევიკრიბეთ მთელი ოჯახი პირველად 1967 წლის შემდეგ.

ეს იყო ომის დაწყების მომდევნო, 1968 წლის ზაფხული. მე ქუევეითში ვმუშაობდი, მუნიფი — კატარში. დედაჩემი და უმცროსი ძმა ‘ალაა რამალაში იყვნენ, მამაჩემი — ამანში, ხოლო მაჯიდი იორდანის უნივერსიტეტში სწავლობდა.

იმ დღეებში ჩვენს ხელთ არსებული ყველა საკომუნიკაციო საშუალება გამოვიყენეთ და დავტყვით, ამანში შევხვედრილიყავით. ერთი მეორის მიყოლებით დავბინავდით ჯაბალ ალ-ლუბაიდაში მდებარე სამსართულიან, პატარა, კოხტა სასტუმრო „ქარავანში“.

პირველად შევხვდი დედას, მამას, ძმებს მას შემდეგ, რაც ომმა დაგვაცალკევა. სამი ოთახი ავიღეთ ერთმანეთის გვერდიგვერდ. მოგეხსენებათ, სასტუმროები იმისთვისაა, რომ იქ იძინო. არ მიძინია. დილამ ისე უჩვეულოდ აღგვაფრთოვანა, თითქოს არ უნდა გათენებულიყო, თითქოს მზის სისტემა ასე მონყობილი არ იყო და დღე ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, მოულოდნელად მოვიდა.

იმ ზაფხულის დილის მსგავსი საუზმე არასოდეს მიგემია.

რა მშვენიერია, როცა დღეს მთელს შენს ოჯახთან ერთად იწყებ ამ უცნაური თვეების გავლის შემდეგ. თითოეული ჩვენგანი ისე შეჰყურებდა დანარჩენებს, თითქოს პირველად აღმოაჩინა

მათი არსებობა ამ ადგილას; თითქოს ყოველდღე ხელახლა გვინდოდა შეგვეგრძნო დედის დედობა, მამის მამობა, ძმის ძმობა, ჩვენი შვილობა და ხელიდან არ გაგვეშვა ეს შეგრძნება. უცნაურია, რომ ამაზე ხმამაღლა არც ერთ ჩვენგანს უსაუბრია. სასტუმროში ერთად ყოფნის სიხარული ჰაერში, ჩვენ თავზე ეკიდა. ყველანი ვგრძნობდით ამას, მაგრამ არაფერს ვამბობდით. თითქოს ეს იყო საიდუმლო, რომელიც არ უნდა გაგვემხილა.

სასტუმრო, თვით იდეა სასტუმროში შეხვედრისა დროებითობის შეგრძნებას ბადებდა, შეგრძნებას, რომ ჩვენი ერთად ყოფნა მალე უნდა დამთავრებულიყო. პირველივე ღამიდან გარდაუვალი განშორების პანიკამ მოგვიცვა. დაძაბულობა ბედნიერებაში აირია. ვერ შევთანხმებულყავით, სალათა ზეითუნის ზეთით შეგვეკვეთა თუ მის გარეშე. ერთს ის წვრილად დაჭრილი უნდოდა, მეორეს — მსხვილად.

ყველაზე მეტად მდგომარეობა მაშინ დაიძაბა, როცა ვცდილობდით, გადაგვეწყვიტა, სად წავსულიყავით. ერთს ამანში მცხოვრები ნათესავების მონახულება უნდოდა, მეორეს საერთოდ არ სურდა გარეთ გასვლა, მესამე სულ სხვა დანიშნულების ადგილისკენ მიიწევდა. მიუხედავად ამისა, მხიარულება იყო, ბევრს ვხუმრობდით. ზუსტად არც ერთი ხუმრობა მახსოვს, მაგრამ ის ატმოსფერო საოცარი სიცხადით დამამახსოვრდა.

სასტუმრო „ქარავანში“ ჩემი ძმები და მშობლები ხელახლა გავიცანი. თითოეულში ისეთი რამ დავინახე, რასაც მანამდე ვერ ვხედავდი. ამ თავისებურ ვითარებაში ჩემთვის ისინი სხვები იყვნენ. მე ბიძაჩემი ‘ატას დაჟინებით გავემგზავრე ქუვეითში, რადგან იქ ტექნიკურ კოლეჯში ინგლისური ენის მასწავლებლად გამომიჩინდა სამუშაო. წარმოდგენელი იყო, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ისევ მუნიფის კმაყოფაზე ვყოფილიყავი. არასოდეს მომწონდა მასწავლებლობა. ამ სამუშაოზე, როგორც დროებით საშუალებაზე, ისე დავთანხმდი, ვიდრე ყველაფერი არ გაირკვეოდა.

1967 წლიდან მოყოლებული ჩვენ ყველაფერს დროებით ვაკეთებთ, „ვიდრე ყველაფერი არ გაირკვევა“. აი, უკვე ოცდაათი წელია, არაფერი გარკვეულა. ახლა რასაც ვაკეთებ, ისიც კი არ

არის ჩემთვის ნათელი. უბრალოდ დინებას მივყვები, იმპულსურად ვმოქმედებ და ამ მდგომარეობას გონებით არ განვიხილავ. განა შეიძლება, იმპულსი განსჯის საგანი გახადო?

1948 წლის ტრაგედიის დროს ლტოლვილებმა მეზობელ ქვეყნებში ნახეს თავშესაფარი. მათ ლამის სადილიც კი დატოვეს ქურაზე, რადგან რამდენიმე საათში უკან აპირებდნენ მიბრუნებას. „დროებით“ გაიფანტნენ კარვებსა და ცინკის ბანაკებში. კომანდოსებმა „დროებით“ დაიწყეს ბრძოლა ამანიდან, შემდეგ „დროებით“ — ბეირუთიდან, შემდეგ „დროებით“ თუნისისკენ და დამასკოსკენ დაიძრნენ. ჩვენ „დროებითი“ განმათავისუფლებელი პროგრამები შევადგინეთ და მათ გვითხრეს, რომ ოსლოს ხელშეკრულება მიიღეს „დროებით“ და ა. შ. და ა. შ. ყველა თავის თავსაც და სხვასაც ასე ეუბნება — „ვიდრე ყველაფერი არ გაირკვევა“.

უმცროსი ძმა ‘ალა იხვენებოდა, მამასა და ძმებს შეერთებოდა. მამაჩემს, როგორც იორდანის ჯარში ნამსახურევს, დასავლეთ სანაპიროზე არ უშვებდნენ.

დედაჩემს ისევ სურს, ოჯახის ცხოვრება დაგეგმოს, მაგრამ ამ ვითარებაში ყოველგვარი დაგეგმვა აბსურდულად გამოიყურება. ის ალტერნატიული გზების ძიებაშია ჩაძირული.

მისი ძალუმი სურვილი, არ დამორჩილდეს წინააღმდეგობებს, სახეზე მუდმივ ცხოველსმყოფელობად დამჩნევია. მწვანე, თითქმის სამკუთხედი თვალები ფხიზლად უბრწყინავენ ძილმორეული დილის საათებშიც კი.

მამაჩემის სინყნარე გაფიქრებინებს, რომ ყველაფერი გამოვა მაშინაც, თუ ამისთვის ბოლომდე არ დაიხარჯები. მისი სიმშვიდე რალაცით ინდოელი ბრძენკაცის მოთმინებას მოგაგონებთ. ეს ზოგჯერ აღიზიანებს კიდეც დედაჩემს, რომელიც სულ დაკითხვაშია, ძიებაშია, პრობლემის გადასაწყვეტად ძაღლონეს არ იშურებს. ხოლო მამის წვრილი, შავი თვალები არასოდეს ამჟღავნებენ გულისთქმას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იცინის. მამაჩემს მხოლოდ მე დავემსგავსე თვალების სინვრილესა და სიშავეში. მუნიფს, მაჯიდს და ‘ალაასაც დედაჩემის მსგავსი მწვანე თვალები აქვთ.

საკმაოდ კარგი გარეგნობის მუნიფი უკვე ოცდაშვიდი წლის ასაკში უმცროს ძმებს გვპატრონობდა. არ არსებობდა საკითხი, რომლის გადასაჭრელადაც მზად არ იყო. საჭიროების შემთხვევაში მარტივად და უყოყმანოდ შეეძლო მსხვერპლის გაღება.

ყოველთვის ყველაზე მაღალი მაჯიდი სიმაღლეში კიდე იწევდა. მას ტრაგიკულ მომენტებშიც კი ძალუძს, ნახოს გზა გასახალისებლად. ხატავს, ძერწავს, წერს ლექსებს, რომელთა გამოქვეყნება არ სურს (დღემდე არ დაუბეჭდავს, თუმცა, რაც დაწერა, მართლაც შესანიშნავია). მაჯიდს ფრთხილი, ყურადღებიანი გული აქვს.

უმცროსს — ‘ალაას ფილოსოფია იზიდავს. ადგილობრივ დიალექტზე სიმღერებსაც წერს და ‘უღზე დაკვრის სწავლას აპირებს. თეთრი სახე და აფრიკული თმები თავისებურ, ინდივიდუალურ ელფერს სძენს. ‘ალაამ მოახერხა, საკუთარ თავში ბავშვი შეენარჩუნებინა. ეს ხომ იშვიათია კაცისთვის, რომლის თმაშიც უკვე ჭალარა იპარება.

ოჯახს გაფანტულობამ ერთად ყოფნა ასწავლა. როცა ვიკრიბებით, ჩვენ, ოთხი კაცი მშობლების შვილები ვხდებით ისევ, თითქოს მათი შვილიშვილების მამები არ ვიყოთ.

ორ კვირაში ყველა საკუთარ ადგილებს დავუბრუნდით.

შევთანხმდით, რომ დედაჩემი მამასთან, მაჯიდთან და ‘ალაასთან ერთად ამანში დარჩებოდა მცირე ხნით, შემდეგ რამალაში დაბრუნდებოდა საბუთების მოსაწესრიგებლად. არ უნდოდა იქ ცხოვრების უფლება დაეკარგა — ახლა უკვე ოკუპირებულ პალესტინაში.

ოკუპაციის პირობებშიც კი მოქალაქეობის უფლება გარკვეულ გარემოებებში ხელჩასაკიდი რამ იყო. დედაჩემს დღემდე აქვს ოკუპირებული ტერიტორიის პირადობის მონუმობა, თუმცა, ამით ვერ შეძლო ჩემთვის და მუნიფისთვის იქ შესვლის უფლება მოეპოვებინა.

ჩვენ, მთელი ოჯახი, ამ შეხვედრიდან მხოლოდ ათი წლის შემდეგ შევიკრიბეთ ისევ სრული შემადგენლობით. ეს მოხდა დოჰაში, სადაც მუნიფს ჩავაკითხეთ, ვიდრე ის საფრანგეთში გაემგზავრებოდა.

ავტობუსი მოულოდნელად გაჩერდა, თითქოს ის დროზე ადრე მივიდა დანიშნულების ადგილას. მეზარგულები ყვირილითა და შეძახილებით გვეგებებოდნენ ფანჯრებთან. გამახსენდა, რა მოკლეა მანძილები პალესტინაში.

ავიღე ჩანთა და ჩამოვედი ავტობუსიდან.  
ესეც იერიქონის სადგური!

\* \* \*

აქ მგზავრები სხვადასხვა ქალაქებისკენ ნაწილდებოდნენ.

ტაქსები რიგში ჩამდგარიყვნენ. თითოეულს ქალაქის სახელი ეწერა: რამალა, ნაბლუსი, ჯანინი, ტულქარმი, ალ-ხალილი, ღაზა და იერუსალიმი.

როგორც ყველა სადგურში, აქაც ჩნდებიან ფასებზე მოჩხუბარი მძღოლები — ყვირიან, დავობენ, ერთმანეთზე იწვევენ. ახალგაზრდა პალესტინელი პოლიციელი აშოშმინებს მათ. ჩხუბი წყდება.

მანქანა რამალასკენ მიემართება.

მძღოლის გვერდით მოვკალათდი. ძველი მერსედესია. შვიდი მგზავრი მივყავართ.

მანქანაში ვზივარ მდუმარე. თუ ჩემს ცხოვრებას ვებურდღუნები? დავიჯერო ცხოვრება ციებასავით შემეყარა? — გგონია ძინავს, ჩუმადაა, ამ დროს კი მთელი სხეული ჰყვება ამბებს.

ეს ხომ ჩემი ხალხია. რატომ არ ველაპარაკები მათ?

ეგვიპტეში უნივერსიტეტის მეგობრებს ვუყვებოდი, რომ პალესტინა დაფარულია ხეებით, ბუჩქებით, ველური ყვავილებით — ის სულ მწვანეშია ჩაფლული. ეს რა ბორცვებია, მოტივლებული, ცარციანი? ესე იგი, ვატყუებდი იმ ხალხს?! იქნებ ისრაელმა შეცვალა მარშრუტი ხიდისკენ ამ მონყენილი გზით, რომელიც საერთოდ არ მახსოვს ბავშვობის არც ერთი მოგონებიდან?

ნუთუ უცხოელებს პალესტინის იდეალურ სურათს იმიტომ ვუხატავდი, რომ დავკარგე ის? როცა თამიმი ჩამოვა, არ იფიქრებს, სხვა ქვეყანას აღმინერდაო?



მძლოლისთვის მინდოდა მეკითხა, დიდი ხანია თუ არა, რაც ეს გზა ასეთ მდგომარეობაშია, მაგრამ არ ვკითხე. იმედგაცრუებულს ყელში ბურთი მქონდა გაჩხერილი.

იქნებ ზეითუნის ტყეში ჩაფლულ დირ ღასანას აღვწერდი და ამ დროს მთელ ქვეყანას ვგულისხმობდი? უღამაზეს, აყვავებულ რამალას — საზაფხულო აგარაკს ხომ არ აღვწერდი და ვფიქრობდი, რომ პალესტინის თითოეული ადგილი ზუსტად ასეთია?

განა ბევრი რამ ვიცოდი პალესტინის სოფლების შესახებ? მანქანა მიდის. მე კი ისევ ვაგრძელებ ფანჯრიდან ყურებას. ისევ ისრაელის დროშა! ცოტა ხნის წინ ჩვენს ტერიტორიაზე არ შემოვედით?! აი, დასახლებული პუნქტებიც იწყება.

სტატისტიკას მნიშვნელობა არ აქვს. მსჯელობას, გამოსვლებს, ვარაუდს, სასამართლო განაჩენს, მიზეზებს, მოლაპარაკებათა რუკას, შუამავალთა მობოდიშებას და ყველაფერს, რაც მოგვისმენია ან წაგვიკითხავს ამ დასახლებების შესახებ, არავითარი აზრი არ აქვს, არაფრად ღირს. საკუთარი თვალთ უნდა ნახო ისინი.

თეთრი ქვის შენობები საფეხურისებრად, მჭიდროდ ჩამწყრივებულან ერთი მეორის მიყოლებით. ზოგი მათგანი კორპუსია, ზოგი კი — კრამიტით გადახურული კერძო სახლი. სულ ესაა, რასაც თვალი წვდება შორიდან.

ნეტავ, ამ სახლებში როგორი ცხოვრებაა?

ვინ ცხოვრობს ამ დასახლებებში? ვინ იყვნენ ისინი მანამ, სანამ აქ დაიწყებდნენ ცხოვრებას? მათი ბავშვები იმ კედლებს მიღმა თამაშობენ ფეხბურთს? მათი კაცები და ქალები იმ ფანჯრებს მიღმა ესიყვარულებიან ერთმანეთს? იარაღსხმულები აკეთებენ ამას თუ დატენილი, მომართული იარაღი სასთუმალთან უდევთ?

ტელევიზორში მათ სულ შეიარაღებულებს ვხედავთ.

მართლა ეშინიათ ჩვენი თუ ჩვენ გვეშინია?

როცა სიტყვით გამომსვლელები, სპიკერები „დასახლებათა გაუქმების“ თაობაზე საუბრობენ, გულში გეცინება კმაყოფილებით. ეს არ არის ბავშვების მიერ აშენებული „ლეგოს“ და „მექანოს“ სათამაშო ციხე-სიმაგრეები. ეს თვითონ ისრაელია — ისრაელი, როგორც იდეა, იდეოლოგია, გეოგრაფია, ფანდი და თავის მართლება. ეს ჩვენი ტერიტორიაა, რომელიც მათ თავიანთად აქ-

ციეს. დასახლებებია მათი გზავნილი, მათი პირველი ფორმა. ის ებრაელთა შეხვედრის ადგილია ამ მინაზე. ისაა ჩვენი არყოფნა. დასახლებული პუნქტებია თვით პალესტინური დიასპორაც.

ისინი, ვინც ოსლოში წარმართავენ მოლაპარაკებებს, არაფრად აგდებენ ამ დასახლებათა ნამდვილ მნიშვნელობას. სხვაგვარად „შეთანხმებას“ არასოდეს მოაწერდნენ ხელს.

მანქანის მარჯვენა ფანჯრიდან გაიხედავ და გაოცდები, როცა აღმოაჩენ, რომ ვინრო, ძველი გზა ფართო, მოსწორებული ტრასად ქცეულა. მბზინვარე ასფალტის საფარით ადიხარ მაღლობზე, შესანიშნავი შენობებისკენ და ხვდები — ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტს უახლოვდები.

შემდეგ მარცხნივ გაიხედავ და ნახავ, რომ ისეთივე გზატკეცილი მეორე დასახლებისკენ მიემართება. მერე დაინახავ მესამეს, მეოთხეს, მეათეს...

შესასვლელებთან ისრაელის დროშებია. წარწერები საგზაო ნიშნებზე ებრაულია.

ვინ ააშენა ეს ყველაფერი?

როდესაც ხიდი გადმოვკვეთე, „ლიქუდის“ ლიდერი ბენიამინ ნათანიაჰუ არჩევნების შედეგებს ელოდებოდა, რათა თავის გამარჯვებაში საბოლოოდ დარწმუნებულიყო. გაიმარჯვა ლეიბორისტულმა პარტიამ.

ბენ გურიონის პერიოდიდან მოყოლებული სწორედ ლეიბორისტური პარტია აგებდა ჩვენს მინაზე დასახლებებს. „ლიქუდის“ სულელები დიდ ხმაურს ტეხდნენ თითოეული ახალაშენებული დასახლებული პუნქტისა და თავიანთი პოლიტიკის გარშემო. მაგრამ ამ პარტიის ტვინმა კარგა ხნის წინ ნაკითხული ამბავი მომაგონა მანქანის ქურდზე, რომელმაც მეორე დღესვე დაუბრუნა პატრონს მოპარული მანქანა და ბოდიშებით სავსე წერილიც დაუტოვა. წერდა, რომ ამის გაკეთება არ უნდოდა. უბრალოდ, მანქანა ერთი ღამისთვის შეყვარებულთან წასასვლელად დასჭირდა. ამიტომ კეთილგანწყობის ნიშნად თეატრის ორ ბილეთსაც უტოვებდა.

მანქანის მფლობელებს გაელიმათ მგრძობიარე, შეყვარებული ქურდის საქციელზე და მოეწონათ მისი კარგი მანერები.

სალამოს თეატრში წავიდნენ.

გვიან დაბრუნდნენ და აღმოაჩინეს, რომ მთელი ძვირფასეულობა გამქრალიყო სახლიდან.

მკვლელმა შეიძლება აბრეშუმის მანდილით მოგახრჩოს ან ცუდლით გაგიჩეხოს თავი. ორივე შემთხვევაში მოკვდები.

რალა თქმა უნდა, აბსოლუტური მსგავსება არ არის ქურდსა და ლეიბორისტურ პარტიას შორის, მაგრამ გონიერებისა და სისულელის თანაარსებობა სიონისტების პროექტისთვის თავიდანვე იყო დამახასიათებელი. ისრაელში ყოველთვის მოიპოვებიან ერთსა და იმავე დროს ჭკვიანებიც და სულელებიც.

და მაინც, ისინი გამარჯვებულნი არიან. მათ გამოარჩევს სიფრთხილე, ყველაფრის ანონ-დანონვა და დახვეწილი ტაქტიკა.

ფრთხილებმა ერთი-ორჯერ ექსტრემისტებისგანაც ისწავლეს ახალი ენა. ექსტრემისტებს, თუ დასჭირდათ, განონასწორებულთაგან ისწავლიან, როგორ ისაუბრონ აბრეშუმის ენებით. ჩვენ კი, სახლის პატრონები, ნებისმიერ შემთხვევაში ვკარგავთ.

როგორ დავუშვით, ამხელა ქალაქები აეშენებინათ, წლიდან წლამდე ახალ-ახალი სასახლეები და ყაზარმები აეგოთ?

რამდენიმე ხნის წინ ბაშირ ალ-ბარლუთიმ მითხრა, რომ დირლასანაში მისი სახლის აივნიდან ღამ-ღამობით კარგად ჩანდა ებრაული დასახლებების განათებები, ყოველწლიურად რომ მრავლდებოდა და ბოლოს სოფელი წრეში მოაქცია. თანდათანობით, ჩვენი გაგრძელებული მდუმარების ჩრდილში, ისინი ყველაფერს მოედვენ.

ეს დასახლებული პუნქტები ხალიჩის ნაქარგებივითაა. თითქოს ვილაცამ ფიგურები მათ შორის მიმოაბნია — სულ ეს არის, რაც დარჩა ჩვენი პალესტინიდან. ბოლო მოლაპარაკებების ტერმინებით თუ ავხსნით, ჩვენ დაგვიტოვეს სახლები, მაგრამ ხომ განაგრძობენ ამ სახლებისკენ მიმავალი გზების ოკუპაციას. მათ შეუძლიათ, შეგაჩერონ უამრავ შესამონმებელ პუნქტთაგან ნებისმიერ მათგანში და შენ ვალდებული ხარ, დამორჩილდე.

რაც შეეხება იერუსალიმს, იქ არც შემიშვეს და დანახვითაც ვერ დავინახე, რადგან რამალასკენ მიმავალი გზა, რომელიც იერუსალიმზე გადიოდა, გზათა სხვა კომპლექსით შეუცვლი-

ათ. ასე რომ, არავის შეუძლია, მანქანის ფანჯრიდან მაინც მოკრას თვალი წმინდა ქალაქს.

იერუსალიმში შელწევა მხოლოდ VIP საბუთის მქონე პალესტინელი ლიდერის თანხლებითაა შესაძლებელი. (ისრაელის მიერ გაცემული VIP საბუთის მფლობელისთვის შენც „ძალიან მნიშვნელოვანი პერსონა“ უნდა იყო, რომ თან წაგიყოლოს). მე ვერავინ ვიპოვე ისეთი, ვინც იერუსალიმში შემიყვანდა.

\* \* \*

ამ-შარაფას სკვერთან მძღოლს ვკითხე, თუ იცოდა სად იყო დოქტორ ჰილმი ალ-მუჰთადის სახლი. მითხრა:

— მაგრამ ის წლების წინ გარდაიცვალა.

— ვიცი.

(სინამდვილეში არ ვიცოდი. როცა აბუ ჰაზიმი თავისი საცხოვრებლის ადგილმდებარეობას მიხსნიდა, მითხრა, ჰილმი ალ-მუჰთადის სახლის მოპირდაპირე მხარესაა).

— იქვე, ახლოს მდებარე სახლში მივდივარ-მეთქი. — დავამატე.

აბუ ჰაზიმი ჩვენსავით ალ-ლიფთავის შენობაში ცხოვრობდა, მაგრამ შემდეგ სხვაგან გადავიდა. მართალია, დაწვრილებით აღგვიწერა ჯერ მუნისფს, შემდეგ მე, თუ როგორ უნდა მივსულიყავით იქ, მაგრამ ისეთი დაბნეული და დაძაბული ვიყავი, მისი ნათქვამი წესიერად აღარც მახსოვდა. თანაც, როცა რამალაში შევედი, უკვე ჩამოზნელებული იყო.

— ვიცი, რომ მისი კლინიკა ალ-მანარაშია, მაგრამ სახლს ზუსტად ვერ გეტყვით. — მითხრა მძღოლმა.

უკან მჯდომმა ქალბატონმა მკითხა, რომელ სახლს ვეძებდი.

— აბუ ჰაზიმ მუღირა ალ-ბარლუთის სახლი.

შემდეგ ცოლის სახელი მკითხა.

— ფადვა ალ-ბარლუთი. „ინ‘ამ ალ-უსრას“ საზოგადოებაში მუშაობს.

მითხრა, რომ იცნობდა მას, ადრე ერთადაც უმუშავიათ, მაგრამ საცხოვრებლის მისამართი არ იცოდა.

ამ დროს მეორე მგზავრმა უთხრა მძღოლს:

— მარცხნივ შეუხვით და იქ იკითხე. მგონია, ექიმის სახლი სადღაც ამ შემოგარენში უნდა იყოს.

მძლოლმა მარცხნივ შეუხვია იმის იმედად, რომ ქუჩაში გამ-  
ვლელთაგან ვინმეს ჰკითხავდა გზას. უკვე ცხრის ნახევარი  
იყო. მანქანის გაჩერებისთანავე გავიგონე, ვილაც მეძახდა:

— ბიძია მურიდ, ბიძია მურიდ, ამოდი, ჩვენ აქ ვართ.

წამში ჩემთან გაჩნდნენ.

— სად არის მამათქვენი?

ფადვამ მითხრა, რომ როგორც კი თავზე ბარგწამოლაგებუ-  
ლი „ხიდის მანქანა“ დაუნახავს, იმწუთშივე ტელეფონისკენ  
გაქცეულა, დედაჩემისთვის ამანში დასარეკად.

ვიცოდი, დედაჩემი მთელ დღეს ტელეფონთან გაატარებდა,  
ვიდრე ჩემი მშვიდობით ჩამოსვლის ამბავს არ გაიგებდა. მას  
ხომ სულ ახსოვს, როგორ მიაბრუნეს ხიდიდან მუნიფი. ხიდან  
დამშვიდობებისას ამიტომაც ჰქონდა უცნაური სახე — ერთსა  
და იმავე დროს იმედიანიც და უიმედოც.

ვიცოდი ასევე, რომ რადვა და თამიმი კაიროში ელოდნენ  
ჩემს ზარს რამალადან.

ფადვას ქალიშვილი 'აბირი მეუბნება:

— ნაშუადღევს მერე აივანზე ვართ. აი, ჩვენი სათვალთვა-  
ლო კოშკები... დედა და მამა პირველი სართულის აივანზე, სა-  
მი და მე — მეორეზე. მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით ჩა-  
მოსხვედით.


ხელეგაშლილი სულ მთლად გაჭალარავებული აბუ ჰაზიმი  
გამოემართა ჩემსკენ. მკლავები ისე ფართოდ გაეჭიმა, გეგონე-  
ბოდათ, მოარული ჯვარი მოაბიჯებსო, ბედნიერი ჯვარი. სახ-  
ლთან სულ ახლოს ჩვენი მხრები შეხვდა ერთმანეთს.

დედაჩემს, 'ალაასა და ილჰამს ამანში დავურეკე, რადვასა  
და თამიმს კაიროში შევატყობინე:

— მე რამალაში ვარ!

და იქ იყო სწორედ — პირველი, რამაც აბუ ჰაზიმის აივანზე  
მზერა წამართვა — შავ ჩარჩოში ჩასმული, კედელზე დაკიდე-  
ბული მუნიფის ფოტო.

---



---

## ეს არის რამალა

პირველი დილა რამალაში... ვიღვიძებ და სასწრაფოდ ვაღებ ფანჯარას.

— რა მშვენიერი სახლებია, აბუ ჰაზიმ! — ხელს ვიშვერ ჯაბალ ატ-ტავილისკენ, რომელიც ზემოდან დაჰყურებს რამალასა და ბირას — რა სახლებია ეს?

— ისრაელის დასახლებაა.

შემდეგ დაამატა:

— ჩაი გინდა თუ ყავა? საუზმე მზადაა.

რა უცნაურად იწყება სამშობლოსთან ჩემი განახლებული ურთიერთობა?! ყოველ ნაბიჯზე პოლიტიკა მეჩეხება. მაგრამ რამალასა და ბირაში ბევრი სხვა რამეც არის ამ დასახლებების გარდა.

როცა ბავშვობისა და ახალგაზრდობის ქალაქს ოცდაათი წლის შემდეგ უბრუნდები, ცდილობ, საკუთარი გული სიხარულით ისე მოხიბლო, როგორც ქათმები — საკენკით. რატომ გჭირდება, შენივე გული დაარწმუნო რაღაცაში და ეპირფერო მას? განა ის თავად არ უნდა გაიშალოს? თავად არ უნდა ამყლავნებდეს სიმტკიცესა და გარკვეულობას? ეს იმიტომ ხდება, რომ რაღაც არ არის სრულყოფილი მთელს ამ სანახაობაში. იმას, რასაც გული გპირდებოდა, რაღაცა აკლია. იმიტომ ხომ არა, რომ შენ ხარ უცნაურად დატვირთული და დაძაბული? ჯერ კარგად არ იცნობ აქაურობას, ვერ შეეჩვიე. ცეკვავ თუ ტოვებ ცეკვას? მუსიკოსებით ხარ უკმაყოფილო თუ მუსიკით?

სიხარულის განცდას დრო და გამოცდილება სჭირდება. უნდა გადადგა პირველი ნაბიჯი, მაგრამ რამალა მას არ მიიღებს. რამალა კმაყოფილია იმით, რაც არის. იცის, რაც გამოიარა. ახლობლები ახლოს არიან, შორეულები — შორს. ის თავისი გზით მიდიოდა ხან ისე, როგორც თავის ხალხს უნდოდა და უფრო

ხშირად ისე, როგორც მტერს სურდა. ის იტანჯებოდა და უძლებდა... ის ელოდებოდა, როდის დაგადებს თავს მხარზე თუ შენ გინდა თავი მიიდრიკო მის ძლიერებაში?

დაბნეულობით აღსავსე შეხვედრაა. ვინ ვის უნილადებს სითბოს? ვინ ლაპარაკობს? ამას შენს საყვარელ ქალს ეუბნებოდი. სიყვარული არის სწორედ როლების აღრევა მათ შორის, ვინც აძლევს და ღებულობს. ასე რომ, ჩვენ სიყვარულზე ვსაუბრობთ. მაშ, ძალიან კარგი: აი, სიხარულის ქათმები სპონტანურ გულის მოგებას ეპასუხებიან. („სპონტანური გულის მოგება“ რაღაა? არსებობს ასეთი რამ?) აი, ამბობ: წამიყვანე სკოლაში ალ-იზა'ას ქუჩაზე, ბიძაჩემის, აბუ ფახრის სახლში, წამიყვანე უმ ისმა'ილთან — სახლებში, რომლებშიც ვცხოვრობდი გზებით, რომლებზეც დავაბიჯებდი. აი, შენ ისევ მიაბიჯებ! მუნიფმა ვერ შეძლო. ის ახლა საფლავეში წევს ამანის გარეუბანში. აქ დაბრუნების აკრძალვამ იმსხვერპლა. სამი წლის წინ მთელი ერთი დღე ალოდინეს ხიდთან და მერე უკან გააბრუნეს. რამდენიმე თვეში კიდევ სცადა და ისევ გაუშვეს უკან. დედაჩემი დღესაც, სამი წლის შემდეგაც ვერ იფიქრებს მასთან ერთად ხიდთან გატარებულ უკანასკნელ წუთებს. მუნიფს იმედი გადაეწურა პალესტინის ნახვისა, რომელიც თვრამეტი წლის ასაკში დატოვა.

ვინმემ უსათუოდ უნდა დანეროს პალესტინურ ოჯახში უფროსი ძმის განსაკუთრებული როლის შესახებ. ჩემს ძმას მოზარდობის ასაკიდან მოუწია ძმის, დედის, მამის, ოჯახის თავკაცის და მრჩეველ-დამრიგებლის ფუნქციის მორგება. ის იყო შვილი, რომელიც ყოველთვის სხვას აყენებდა საკუთარ თავზე მაღლა; შვილი, რომელიც აძლევდა და არ ითხოვდა; შვილი, რომელიც საერთო ენას ნახულობდა დიდთანაც, პატარასთანაც და ყველაფერს ყველაზე უკეთ ამჩნევდა.

მისმა უეცარმა სიკვდილმა გამაყრუებელი ნგრევა გამოიწვია ჩვენი ოჯახის თითოეული წევრის ცხოვრებაში. ბოლოჯერ მოვიდა ამ ფინალურ კართან, მაგრამ ის სამუდამოდ დაკეტილი დაუხვდა.

იმ მინაზე დავაბიჯებ, რომელსაც მისი ტერფი აღარ შეეხება. მუნიფის სახე ხიდთან, მოსაცდელი ოთახის სარკეშიც ირეკ-

ლებოდა. როცა რამალაში აქეთ-იქით დავდიოდი, ქუჩები ხე-დავდნენ მას — გულმკერდგადაშლილს და სწრაფად მოსიარულეს. „ხიდის ოფიციალურ პირებს“ საბუთები რომ გავუწოდე, მუნიფის სახე იქაც იყო. მუნიფმა ხომ ეს ყველაფერი გამოიარა.

აი, აქ იცდიდა. აქ შეეშინდა. აქ ოპტიმიზმის ტალღამ გადაუარა. აქ დაკითხეს. აქ დედაჩემი შეუშვეს, ის კი — არა. აქ იძულებულნი გახდნენ, ერთმანეთს გამომშვიდობებოდნენ. დედამ დასავლეთით განაგრძო გზა — რამალასკენ, მან კი აღმოსავლეთით — ამანისკენ, იქიდან საფრანგეთში წავიდა, სადაც ექვს თვეში გარდაიცვალა. ორმოცდათორმეტის ჯერ არ იყო. აქ დედაჩემმა ჯარისკაცებს დაუყვირა:

— მეც მასთან ერთად გავბრუნდები, გამიშვით!

აქ სანყალი ქალი მის მხარზე აქვითინდა, ის კი — დედის მხარზე. მერე ერთმანეთს სამუდამოდ დაემშვიდობნენ.

დირ ლასანაში როცა ჩავედი, მუნიფის ხელი ხელში მეჭირათითქოს. გვერდით მომყვებოდა დარ რა'დისკენ — ჩვენი ძველი სახლისკენ. როდესაც ოცდაათი წლის ინტერვალის შემდეგ ზღურბლი გადავკვეთე, ისეთივე ჟრუანტელმა დამიარა, როგორც მაშინ, მისი სხეული მიწას რომ მივაბარეთ ამანთან იმ საზიზღარ, წვიმიან დღეს.

ჯერ არ ჩავსულვარ დირ ლასანაში. ხალხთან ჩემს შეხვედრას ამზადებენ. პოეტური საღამო იქნება. მე რამალაში ვარ.

\* \* \*

რამალაში ღამე ჩავედი. გზა ძალზე გრძელი გამოდგა. 1967 წელს დავინყე წამოსვლა. სიარული არ შემინყვეტია არც ერთი დღე.

აქ ჯიუტი გაზაფხული ჩვეულ დროს არ ნებდება მშრალ, მერყევ ზაფხულს. გაზაფხული ძალუმად წინ-წინ ეჩრება თავისი ფერებით, ცივი, ცვრიანი ქოშინით, აუჩქარებელი ღია სიმწვანით, ზაფხულის მოთხოვნით მაინც მალე რომ მთავრდება.

ქალაქების ქაოსი, ღია, გაშლილი სივრცეების სიმშვიდე, ინთიფადას ახალგაზრდების ლოზუნგები, საშუალო სკოლისათვის დამახასიათებელი სუნი, ცარცის გემო, უსთაზ აჰმად სა-



ლიპის, 'აბდ ალ-ჰამიდის, აჰმად ფარჰუდის ხმები და კიდევ იმ მოსწავლის ხმა, რომელიც ცდილობს, ერთმანეთისგან განასხვავოს განსაზღვრება და გარემოება...

როგორ აღვწერო ეს გარემოება, რომელშიც აღმოვჩნდი? როგორ გამოვყო, ერთი მხრივ, იდეოლოგიები, კონფლიქტური მოსაზრებები და პოლიტიკური თეორიები და მეორე მხრივ, აი, ეს ლეღვი, აბუ ჰაზიმის სახლს გვერდით მდებარე ბორცვის ერთ მესამედს რომ ფარავს.

ფანჯარა, საიდანაც ახლა ვიხედები, ოცდაათი წლითაა დაშორებული, ოცდაათი წლითა და ლექსების ცხრა კრებულით. ეს არის დისტანცია თვალსა და შორეული საფლავის ტირიფქვემ ჩამოგორებულ ცრემლს შორის. ფანჯრიდან საკუთარ სიცოცხლეს გავყურებ — ერთადერთ სიცოცხლეს, რომელიც დედამ მიბოძა და მათ ცხოვრებასაც, ვინც უკვე ამქვეყნად აღარ არიან. რატომ ხდება, რომ სიხარულის ფანჯარაში ელეგიების გახსენება მძლევეს?

ისინი აქ არიან. ჩემთან ერთად იხედებიან ფანჯრიდან. ხედავენ იმას, რასაც მე ვხედავ? უხარიათ, რაც მე მახარებს? იცინიან იმაზე, რაც მე მაცინებს? აპროტესტებენ იმას, რასაც მე უარვყოფ? შემიძლია მათი კალმებით მათივე ქათქათა ფურცელზე დავწერო ის, რაც თავში მომივა ახლა? — მსხვერპლნი რეალობის ნაწილნი არიან! თავისუფლებისათვის მებრძოლთა სისხლიც და *ინთიფადას* ახალგაზრდებიც რეალობაა. ისინი არ გამოუგონიათ დისნეის სტუდიაში, არც ალ-მანფალუტის წარმოსახვებში დაბადებულან. ცოცხალი ადამიანები ბერდებიან, ხოლო მსხვერპლნი ახალგაზრდავდებიან.

ფიჭვებისა და კვიპაროსების რამალა... მთების ციცაბო კალთები... სილამაზის ოც ენაზე ამეტყველებული მწვანე საბურველი... ჩვენი პირველი კლასები, სადაც თითოეული ბავშვი სხვას უფრო დიდად და ძლიერად აღიქვამდა. ჰაშიმიის პედაგოგიური კოლეჯი... მეგობრები... რამალას საშუალო... დანყებითი სკოლის გოგონებისკენ გაპარული არც თუ უმანკო მზერა — მათ მარჯვენაში თავდაჯერებულობა, ხოლო მარცხენაში დაბნეულობა მერყეობდა. გონებას გვაკარგვინებდა გოგონე-

ბის გამოხედვა ისე, თითქოს არ გვიყურებდნენ. ჩვენი პატარა ყვავახანები... ალ-მანარას მოედანი... აბუ ჰაზიმმა მითხრა, რომ ალ-მანარა საგზაო სისტემის შეცვლის გამო ქალაქის ცენტრში გადაუტანიათ. შუქნიშნებიც თავიანთ ადგილებზე დაუყენებიათ. გრაფიტი... ინთიფადას ყვავილები და მისი გამჭვირვალე იარაღი, რომლის ნაკვალევი ისეთივე თვალსაჩინოა, როგორც გაჭყლეტილი იასამნისა — თითზე.

ნეტავ, რამდენი ოცდაათი წლის შემდეგ ჩამოვლენ ისინი, ვინც ჯერ არ დაბრუნებულან? რას ნიშნავს ჩემი ან ნებისმიერი სხვა ადამიანის დაბრუნება? ნამდვილი დაბრუნება იქნება, მილიონები რომ ჩამოვლენ აქ! ჩვენი მკვდრები ხომ ისევ სხვათა სასაფლაოებზე განისვენებენ, ცოცხლები კი უცხოთა საზღვრებს ებლაუჭებიან. იმ უცნაურ საზღვარზე — ხიდზე, რომლის მსგავსი მსოფლიოს არც ერთ კონტინენტზე არ არსებობს, რატომღაც სწორედ სხვათა საზღვრებზე დგომა გახსენდება.

განა რამეა განსხვავებული? სხვები კვლავ თავიანთი ადგილის ბატონ-პატრონებად რჩებიან. გაძლევენ შესვლის უფლებას, გიმონებენ საბუთებს, პირად საქმეს გიხსნიან, გალოდინებენ. ნუთუ საკუთარი საზღვრები მწყურია? მეზიზღება ზღვრები, ლიმიტები, პალესტინისთვის კი საზღვრის დანესება მინდა? განა ის რამით უკეთესი იქნება?

მხოლოდ უცხოელი როდი ნუხდება საზღვართან?! შესაძლოა, იმ ქვეყნის მოქალაქემაც ვერ გაატაროს იქ კარგი დრო. შეკითხვებს არ აქვს ზღვარი. სამშობლოს არ უნდა ჰქონდეს საზღვრები. ახლა კი მე მინდა საზღვრები, რომლებიც ცოტა ხანში შემზიზღდება.

რამალა უჩვეულოა — მრავალი კულტურა, მრავალფეროვანი სახეები. არასოდეს ყოფილა ხაზგასმით მასკულინური ან პირქუში ქალაქი. ყოველთვის პირველი იჭერდა ახალ-ახალ სიგიჟეებს. რამალაში ვნახე დაბქა, სწორედ ისეთი, დირ ლასანაში რომ ვიყავი ჩვეული. ჯერ კიდევ ყმანვილი იქ დავეუფლე ტანგოს. ალ-ანკარის სალონში ვისწავლე ბილიადრის თამაში. რამალაში დავინყე ლექსების წერა. ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული კინოთეატრებში „ვალიდი“, „დუნია“ და „ჯამი-

ლი“ შევიყვარე კინო. რამალაში მივეჩვიე შობისა და ახალი წლის აღნიშვნას.

არავითარ ცნობისმოყვარე, მომბაზერებელ მზერას არ ვგრძნობდით, როცა ჩვენ — ბიჭები და გოგონები — ვიკრიბებოდით რუქების ბალის კაფეში, სადაც ულამაზესი ხეების ჩრდილში შევექცეოდით ცხელ შოკოლადს, ბანანსა და რძის კოქტეილს.

რამალას, ბირას, ნა‘უბის პარკებში შუა ღამემდე ვჩერდებოდით ჩვენს მეგობრებთან და ოჯახებთან ერთად. სასტუმროების — „უდასა“ და „ჰარბის“ ელემენტურ მაგიდებთან პოლიტიკაზე მოსაუბრე ფესიან ცნობილ სახეებს ვხვდებოდით, მედიდურად ჩილიმს რომ აბოლებდნენ. რამალასა და მისი ტყუპისცალი ქალაქის — ბირას ქუჩები, პარკები და რესტორნები ყოველთვის სუფთა და კრიალა იყო.

სწორედ რამალაში ვნახე პირველად დემონსტრაციები. იერუსალიმში, ნაბლუსსა და სხვა ქალაქებში მცხოვრებთა მსგავსად, ბაღდადის პაქტის წინააღმდეგ გამოვდიოდით. ჯერ კიდევ მოკლე შარვლები გვეცვა, როცა შეგვძრა ამ დემონსტრაციებზე ჩვენი კლასელის რაჯა აბუ ‘ამაშას სიკვდილმა. ვიცოდი, რომ მუნიფს ელაგა ფეხსაცმელებში არაღვალური პამფლეტები, რადგან ბავშვი იყო და მათი გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე ეჭვების აღძვრის გარეშე შეეძლო. შევიტყუეთ, როგორ დააკავეს ჩვენი ბიძაშვილი ბაშირი. მერე დედამისს მივაკითხეთ, რათა დაგვემშვიდებინა და თან მისი ვაჟის ამბავი გაგვეყო. მახსოვს, ისინიც ალ-ლიფთავის შენობაში ცხოვრობდნენ.

ჩვენი გამოსვლებით ჯალუბ ფაშას ჩამოგდებას და იორდანის ჯარის არაბიზაციას ვუჭერდით მხარს. სიხარულისგან ვცეკვავდით, როცა პოლიტიკური მოვლენების შემდგომი განვითარების შედეგად ეს მართლაც ასე მოხდა. ჯერ კიდევ მოზარდების ტვინებით პოლიტიკურ პარტიებს შორის კონფლიქტებს განვიხილავდით: კომუნისტები, ალ-ბა‘სი, მუსლიმთა საძმო... იმ არჩევნებს ვგულშემატივრობდით, რომელმაც მთავრობაში სულაიმან ან-ნაბლუსი მოიყვანა. რადიოთი, „არა-

ბების ხმის“ საშუალებით ჩუმად ვუსმენდით ჯამალ ‘აბდ ან-ნა-სერის გამოსვლებს, ჩუმად, რადგან მხოლოდ ამ რადიოსადგურის მოსმენა იყო საკმარისი იმისთვის, რომ ეჭვიმიტანილი გამხდარიყავი და შენთვის დაკითხვა მოეწყო.

რამალაში სიხარულით შევხვდით ნასერის გადანყვეტილებას სუეცის არხის ნაციონალიზაციის თაობაზე, აღლევებდით ვადვენებდით თვალყურს პორტ საიდის ომს, ქალაქის დაუმორჩილებლობას. რამალაში ზეიმით აღვნიშნავდით ეგვიპტისა და სირიის დაკავშირებას გაერთიანებული არაბული რესპუბლიკის სახით და მწუხარება დაგვეუფლა მისი დაშლის გამო. რამალაში ვოცნებობდით ალ-კაჰირისა და აზ-ზარიფის რაკეტებზე და პირველად იქ შევიტყეთ ეგვიპტიდან წამოსული სოციალისტთა გადანყვეტილებების შესახებ. მაშინ ჩვენ, სკოლის მოსწავლეებს არც გვესმოდა ტერმინის „სოციალიზმი“ მნიშვნელობა.

ყოველ დილით გაზეთების გამყიდველის აბუ-ლ-ჰაბაიბის ყვირილის ხმა გვალვიძებდა. ზამთარსა თუ ზაფხულში ის ვერ ელეოდა თავის ბრიტანული არმიის პალტოს, რომელიც ისეთი გრძელი იყო, რომ მის კიდეებს მთელი რამალას ქუჩებში ძირს ათრევდა, თან გაიძახოდა: ად-დიფა! ალ-ჯიჰად! ფილასტინ! — სამივე გაზეთის გამოცემა მოგვიანებით შეწყდა. რაც შეეხება აბუ-ლ-ჰაბაიბს, შრაჰნელის ტყვიამ იმსხვერპლა ჩვენი სახლის — ალ-ლიფთავის შენობის წინ. მისი გვამი 1967 წლის ივნისის ერთ მოღუშულ დილას იპოვეს. სახე და გრძელი პალტო იმ გაზეთებით ჰქონდა დაფარული, რომელთა სახელებსაც მთელი ცხოვრება გაჰყვიროდა ქუჩებში. საიდან იყო აბუ-ლ-ჰაბაიბი? სად იყვნენ მისი ოჯახის წევრები? ყველა იცნობდა და თან არავინ იცნობდა. გადმოსახლებული იყო რამალაში? მოქალაქე იყო თუ უცხოელი? განსხვავებას შენ ვინ აგისხნიდა, გაზეთების გამყიდველო? ვინ მოგკლა, კაცო, იარაღმა თუ ყურნალ-გაზეთების სათაურებმა?

როგორ უნდა ავხსნათ დღეს, მას შემდეგ, რაც უფრო დიდები და ჭკვიანები გავხდით, რომ ჩვენ დასავლეთ სანაპიროზე საკუთარ ხალხს ისე ვექცევოდით, როგორც ლტოლვილებს?! დი-

ახ, ჩვენს ხალხს, რომელიც ისრაელმა აყარა სანაპიროს ქალაქებიდან და სოფლებიდან 1948 წელს, ჩვენს ხალხს, რომელიც იძულებული გახდა სამშობლოს ერთი ნაწილიდან მეორეში გადასახლებულიყო, ლტოლვილებს ვეძახდით! ემიგრანტებს ვუწოდებდით! ვის შეუძლია, მათ ბოდიში მოუხადოს? ჩვენ ვინ მოგვიხდის ბოდიშს? ვის შეუძლია, ახსნას ეს დიდი დაბნეულობა? ისეთ პატარა სოფელშიც კი, როგორც დირ ღასანა იყო, ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩაგვესმოდა სიტყვები „ემიგრანტი“, „ლტოლვილი“... ჩვენ ვიცნობდით და მოხერხებულად ვიყენებდით ამ სიტყვებს. როგორ არ ვეკითხებოდით მაშინ საკუთარ თავს მათ მნიშვნელობას? უფროსები რატომ არ გვტუქსავდნენ, როცა მათ ვამბობდით?

\* \* \*

კვლავ გაიღვიძა ჩემში იმ დანაშაულებების ჩამოთვლის სურვილმა, მსხვერპლს რომ მიუძღვის. არ არის საკმარისი მხოლოდ ოკუპანტების, კოლონიზატორების, იმპერიალისტებისა და სხვათა ბრალზე საუბარი. უბედურება ადამიანებს ციდან კომეტებივით როდი ატყდებათ თავს ბუნების ლამაზი სცენის ფონზე?! ჩვენც ვართ რალაცაში დამნაშავენი — შორსმჭვრეტელობით ვერ გამოვიჩინეთ. მითქვამს ეს აქამდე თუ არა? მახსოვს, რომ სადღაც დამიწერია ამის შესახებ. დარწმუნებული ვარ, ყოველთვის არ წარმოვადგენდით ბუნების მომხიბვლელ სცენას. თუმცა, ეს სიმართლე სულაც არ ამართლებს ჩვენი მტრის საქციელს. ყველაზე ადვილია სხვას დასდო ბრალი, შენს ნაკლზე კი თვალი დახუჭო. ამიტომაც ვეძებ საკუთარ შეცდომებს, ჩვენი სიმღერის შეცდომებს. ჩემი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ ისეთივე ამაღლებულია, როგორც ეს მასზე დანერილ სიმღერებში ჩანს? განა პოეტი სივრცესა ან დროში ცხოვრობს? ჩვენი სამშობლო არის ერთგვარი ფორმა იმ დროისა, რომელიც მასში გავატარეთ. ეტყობა, ცუდი ზრახვები მაქვს. მხოლოდ მცირედ მწამდა ნაზიმ ჰიქმეთის. ჩემი სირთულეები გადასახლებაში არაფრით ყოფილა უარესი იმ სიძნელეებზე, ჩემს მეგობრებს რომ ხვდებოდათ თავიანთივე სამშობლოში. ვერ ვიტან ყალბ წუხილს.

იქნებ, რაღაც არ მომწონს სიმღერაში იდეის გულისთვის? ამის გამო ხომ არ ვუყურებ ლექსს, როგორც სტრუქტურას და არა როგორც სიმღერას? მეგობარ გოგონასაც კი ვერ ველაპარაკები საყოველთაოდ მიღებული რომანტიკული ფრაზებით და საერთოდ არ ვუმეგობრდები არც ქალს და არც კაცს, თუ მან არ გადმოდგა ჩემკენ პირველი ნაბიჯი. ადვილად შემიძლია, ზურგი შევაქციო ურთიერთობას, თუკი ის დამღლელია ჩემთვის. დამღლელი მეგობარი სავსეა საყვედურებით, ბრალდებებით; მოითხოვს იმის ახსნას, რისი ახსნაც თითქმის შეუძლებელია; უნდა, ყველაფერი გაიგოს და ყველაფერს ჩანვდეს. თუ მან გაპატია რამე, აუცილებლად გაგრძნობინებს ამას. ჩვენ არ ვირჩევთ ოჯახებს, მაგრამ ვირჩევთ მეგობრებს. ასე რომ, ჩემი აზრით, დამღლელი მეგობრობა ნებაყოფლობით გადადგმული სულელური ნაბიჯია.

ასევე მიჭირს, რაიმე დაჯგუფებას მოვერგო. ვერასოდეს გადავწყვიტე, რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ან ფრაქციას შევერთებოდი, თუნდაც, პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციას. ალბათ, ადამიანისთვის, რომელმაც სამშობლო დაკარგა, ეს უფრო ნაკლია, ვიდრე ღირსება.

ეს როდი ვიკმარე?! — ღიად ვენინააღმდეგებოდი ამ პარტიებსა და ფრაქციებში მოპატიჟებას. სხვადასხვაგვარ ფასს ვიხდიდი ჩემი თავშეკავების გამო. ერთი რამაა საინტერესო — ისინი გაიხლოვდებიან იმიტომ, რომ დამსახურებული, ღირსეული, საინტერესო ხარ მათ თვალში. გაგრძნობინებენ, რომ სჭირდები, სურთ, „მათთან იყო“. მაღლობას უხდი დიდსულოვნებისთვის, შენზე კარგი წარმოდგენის ქონისთვის, შენნაირი უმნიშვნელო პერსონის შემჩნევისთვის. შემდეგ უხსნი, რომ გირჩევნია მარტომ იმოქმედო — ნებისმიერი ორგანიზაციისგან თუ პარტიისგან დამოუკიდებლად; გირჩევნია, დარწმუნებული იყო, რომ თავად, შენი ბუნებიდან გამომდინარე, მიხვდი, იგრძენი, მიაღწიე რაღაცას. საკმარისია ეს უთხრა და უცებ, მოულოდნელად ისე დაგინყებენ მოქცევას, თითქოს მათი მტერი ხარ, თითქოს აბსოლუტურად არანაირ ღირებულებას აღარ წარმოადგენ — კაპიკია შენი ფასი.

ყველა პოლიტიკური მრწამსის მეგობარი მყავს. მათ შეიგნეს, რომ არ მესმის რას ნიშნავს „უპირობო მხარდაჭერა“. მჯერა, რომ მაქვს „არჩევნის“ უფლება, დანყებული იქიდან, როცა საკუთარი ხელით ვირჩევ კილოგრამ პომიდორს ბოსტნეულით მოვაჭრესთან, დამთავრებული ჩემი მთავრობისა თუ ჩემი სახელით მოლაპარაკე დეპუტატის არჩევით. არ შემიძლია „ტომის“ ყოველ გადანყვეტილებას შევურიგდე. საქციელს არ ვაფასებ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სწორია ან არასწორია ის; არც იმის მიხედვით, რა არის „დაშვებული“ და რა „დაუშვებელი“. ჩემი საზომი ესთეტიურობაა. არსებობს რაღაც, რაც კანონიერია და მახინჯი, რასაც არ გავაკეთებ და არ მივემხრობი მიუხედავად იმისა, რომ ამის უფლება მაქვს. და არის ლამაზი „შეცდომები“, რომლებსაც იმპულსურად და კმაყოფილების გრძნობით ვუშვებ, თუმცა...

**აი ის, რაც ყოველთვის ლაქებად აჩნდება  
კმაყოფილებას.  
რა არის იგი, დანყებამდე  
უკვე რომ ქრება?**

საიდან ჩნდება ბურთი ჩემს ყელში მაშინ, როცა ოცნებებში ვარ ჩაძირული? მე აქ სწორედაც რომ არ „დავბრუნებულვარ“. მაშ მოდი, ისევ პოლიტიკას დავუბრუნდე — განა შეუძლია დამარცხებულს, პოლიტიკას დააღწიოს თავი? როგორ უნდა დაარწმუნო ამაში არაბი ფრანკოფონები და ანგლოფონები? მათ არ აქვთ არც ხელოვნების და არც პოლიტიკის საკმარისი ცოდნა — პოლიტიკაზე მხოლოდ „ფაქტებით“ საუბრობენ, რადგან მათთვის არავის აუხსნია სხვაობა „ფაქტებსა“ და იმ „რეალობას“ შორის, რომელიც ხალხის პოზიციებს და ხალხის ემოციებს მოიცავს, და ასევე სამ დროს — წარსულს, აწმყოსა და მომავალს. პოლიტიკაზე მსჯელობად მიაჩნიათ საუბარი პარტიების, სახელმწიფოებისა და მთავრობების გადანყვეტილებებზე ზუსტად ისე, როგორც ეს რვასაათიან საინფორმაციო გამოშვებაშია.

პოლიტიკა ოჯახია, საუზმის მაგიდას რომ უზის. ვინ არის აქ? ვინ არ არის და რატომ? ვინ ვის ელოდება, როცა ყავა ისმება მომლოდინე ქიქებში? გაქვს დღეს საუზმის ფული? სად არიან შენი ბავშვები, რომლებიც ამ სკამებიდან ადგნენ და სამუდამოდ წავიდნენ? ვინ გენატრება ამ დილას? რომელმაც რითმამ გკრა ხელი და წამოგაგდო, ჩქარ-ჩქარა რომ გასწიო იმ სიამოვნებებისკენ, ცხოვრება რომ გპირდება ან იმ წინააღმდეგობებისკენ, რომელთაც ამჯერად მაინც დაძლევი? სად არიან იმ დედის შვილები, რომელიც თავისი ოდნავ მოღრეცილი სათვალთ ზის და ქსოვს სვიტერს მუქი ლურჯი შალის ძაფით მისთვის, ვინც არც აქ არის და არც იწერება ხშირ-ხშირად? სად არის შენი სასიამოვნო, ალერსიანი დუდუნი, შენი დიდებული განმარტოება, ანდა შენი მოთხოვნილება გარე სამყაროსთან დაკავშირებისა, თუნდაც რამდენიმე წუთით? სად არის შენი ფიქრი, წარმოსახვა, რომელიც იქვე, შენს გვერდით დაწულ სკამზე დაგდებულმა გააზეთმა გაამჟღავნა და გამოააშკარავა? რომელი პატარა პატიება გასურს, რომ წყალობად გასცე დღეს და რომელ პატიებას ამოშლიდი სიამოვნებით? რომელი საყვედური გინდა, წარმოთქვა? ვინ ემუქრება შენს შესანიშნავ შეცდომებს, რათა აგიმღვრიოს და გაგიფუჭოს ღამე? ვინ ანგრევს შენს ტკბილ, ყოველდღიურ, უმნიშვნელო რამეებს თავისი მონინებით ოფიციალური პირის, მისი მძლოლის, მსახურებისა და ბედნიერი დაცვის მიმართ? ვინ ჩამოიტანა ტაივანიდან ჩაის ეს პატარა, მბზინვარე კოვზი? რომელმაც გიგანტურმა გემებმა დაღარეს ოკეანე, შენთვის პრიმიტიული მოწყობილობის ნაწილები რომ წამოეღოთ სტოკჰოლმიდან? როგორ გააკეთეს ყვავილებით მოვაჭრეებმა მილიონები, რათა შესანიშნავი სახლები აეგოთ იმ თაიგულების გაყიდვით, რომლებიც დედებს და დებს მიჰქონდათ სასაფლაოებზე. საფლავეები კი ყოველთვის ნოტიო იყო — წვიმის წვეთებით, ყვავილებითა და ცრემლებით დამბალი. შენ კითხულობ, თუ რატომ არის, რომ საფლავეებში სიჩუმეც კი სველია. პოლიტიკა რამდენიმე ყავის ჭიქა მაგიდაზე. ისაა უეცარი გაჩენა იმისა, უკვე დავიწყებული რომ გქონდა და მოგონებები, რომელთა ახლოდან შეხედვისაც გეშინოდა, თუმ-



ცა, თვალს მაინც ვერ აშორებდი. პოლიტიკისგან შორს დგომაც პოლიტიკაა. პოლიტიკა არაფერია და ყველაფერი.

— არა, უშაქროდ, აბუ ჰაზიმ. შეიძლება მერე მომშივდეს.

სამი წლის წინ აბუ ჰაზიმმა უთხრა მუნიფს:

— ვერანდა მზადაა შენს მისაღებად.

მან დაიფიცა, რომ თუკი ოდესმე რომელიმეს სამშობლოში შეგვიშვებდნენ, ის იქნებოდა ჩვენი მასპინძელი. აი, ვერანდაზე მუნიფის ფოტო დაუკიდიათ შავი ჩარჩოთი. მახსენდება ლასანი, ლადა, ლადირი — მუნიფის შვილები, რომლებიც ისევ „გადაადგილებულნი“ არიან, გადასახლებულნი მუნიფის მიერ მათი დეტოვებითა და მათი აქ არყოფნით. მიიღებენ ისინი ჩემს მზრუნველობას მუნიფის შემდეგ? მათ ცხოვრებაში არის ადგილი ლექსების მწერალი ბიძისთვის? ნეტავ, რამდენად კარგად მიცნობენ? ისინი შემოგვთავაზებენ ადგილს, რომელსაც დედაჩემი, მაჯიდი, ‘ალაა და მე დავიკავებთ მათ ცხოვრებაში. ცხოვრებამ მასწავლა, რომ ადამიანები ისე უნდა გვიყვარდეს, როგორც ეს მათ უნდათ. მამის გარდაცვალების შემდეგ მე ამ ბავშვებს ვუთხარი მაშინვე, როგორც კი დალაპარაკება შეეძელი:

— ჩემზე ისე იფიქრეთ, როგორც თქვენს სახლში თაროზე შემოდებულ ლექსიკონზე, რომელსაც, როცა დაგჭირდებათ, მაშინვე იღებთ.

\* \* \*

ფადვას ვკითხე, როდის აპირებდა სამსახურში წასვლას. მითხრა, რომ შვებულება ჰქონდა ერთი კვირით. მივხვდი, ჩემი გულისთვის აკეთებდა ამას და მოვიხიბლე მისი დიდსულოვანი საქციელით. შევეცადე დამერწმუნებინა, წასულიყო სამსახურში. ისიც დამპირდა — რამდენიმე დღეში წავალო — და სხვა თემაზე განაგრძო საუბარი:

— უმ ხალილს ძალიან გაუხარდა შენი ჩამოსვლა. დღეს სალამოს ან ხვალ მოვა და გნახავს.

— უმ ხალილი უკეთ მართავს თქვენს ორგანიზაციას თუ ‘არაფატი — ჰგო-ს? — ხუმრობა ვცადე.

— უმ ხალილი შესანიშნავია. — გაიღიმა.

— ღებულობ პრესას, აბუ ჰაზიმ? — ვკითხე — ჩვენს გაზეთებს შევავლებდი თვალს.

— კი, ბატონო. ზოგჯერ არის ისეთი რამეებიც, რაც უნდა ნაიკითხო.

უსამი შემოვიდა პურით, ქუნჯუთითა და ნამცხვრებით.

— მურიდი უარს ამბობს საუზმეზე. შენ მაინც უთხარი რამე.

უსამმა პირადობის მოწმობის ასაღებად უნდა წამიყვანოს. თამიმისთვისაც უნდა გავაკეთოთ შემოსვლის ნებართვა.

ცოტა ხანში ანისმა ჰუმუსი და ლობიო შემოიტანა.

— აბუ-ლ-უნს, ჩაის ფინჯნით დალევ თუ მოზრდილი ჭიქით?

— იკითხა აბუ ჰაზიმმა.

ის ცდილობდა, არ გაეცინა და თან ორაზროვანი მზერა მესროლა, თითქოს კარგა ხნის დავინწყებულ ამბავს მახსენებხო. სიცილი ამიტყდა ისევე, როგორც ფადვასა და თავად აბუ ჰაზიმს. უსამი და ანისი კი გაკვირვებულები გვიყურებდნენ. მათ ხომ არ იცოდნენ, რა იფარებოდა ამ სიცილის უკან.

მესამე კლასში ვიყავი, რამალას საშუალო სკოლაში ლიტერატურული შეჯიბრი რომ მოენყო. პირველი პრიზი ავიღე. აბუ ჰაზიმი ჰაშიმიის სკოლის დიდ დარბაზში წამომყვა, სადაც დაჯილდოების ცერემონია უნდა შემდგარიყო სპორტში და სხვა აკადემიურ საგნებში.

თითოეული მოსწავლე სცენაზე ადიოდა და დირექტორს ხელს ართმევდა, ვიდრე თავის ჯილდოს მიიღებდა — პარკერის კალმისტარს ან ტყავის საქალაღდეს, წიგნებს ან საათს.

როდესაც ჩემი სახელი გამოაცხადეს, ავედი სცენაზე, მაგრამ დირექტორმა ხელის ჩამორთმევის შემდეგ მოულოდნელად მუყაოს დიდი ყუთისკენ მიმანიშნა. მე მას მივუახლოვდი და ამასობაში აბუ ჰაზიმიც სცენაზე გაჩნდა, ყუთის წამოღებაში რომ მომხმარებოდა. გარეთ წვიმდა. აბუ ჰაზიმმა ბოლომდე თანამიგრძნო და საჩუქარი ალ-ლიფთავიმდე თავად მოათრია განსაკუთრებული სიამაყით. შინ რომ მოვედით, ჩვენი ტანისამოსი გასაწური იყო. ვცდილობდით, გამოგვეცნო, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ყუთში.

ეს გახლდათ ჩაის ჩინური სერვიზი — ორმოცდარვა ცალი ფინჯანი თავისი თეფშით, ხელით შესრულებული დახვეწილი

დეკორაციებით. აბუ ჰაზიმში ამის შემდეგ ხშირად მაკითხავდა — ბოლოს და ბოლოს ერთ კორპუსში ვცხოვრობდით. ჩაის ჩვეულებრივ ჭიქებში ვთავაზობდით. ერთხელაც, როცა მოვიდა, ნათესავი ქალი გვყავდა სტუმრად თავისი ორი დასაქორწინებული ქალიშვილით. მოულოდნელად ჩაის ჩინური სერვიზი გამოჩნდა. აბუ ჰაზიმმა იუარა იმით ჩაის დალევა:

— ჩემთვის ჩვეულებრივი ჭიქაც საკმარისია!

და გააგრძელა:

— იმ წვიმაში მხრით ვათრიე ეს სერვიზი, თუმცა, ჭიქებს ჭურჭლის კარადა არ დაუტოვებია, ვიდრე საპატიო სტუმარი არ გამოჩნდა! ღმერთი უკეთ განსჯის!

სერვიზის გამოჩენის დღიდან ის გახდა ერთგვარი საზომი იმისა, თუ ვინ სტუმრობდა დედაჩემს. ომის დაწყების შემდეგ გადასახლებული და მიმოფანტული ადამიანების გეოგრაფიული არეალი იმდენად გაფართოვდა, რომ დედა ფაქტობრივად ვეღარ ახერხებდა ისტორიული სერვიზის შენარჩუნებას.

\* \* \*

ჰუსამთან და ანისთან ერთად პალესტინის შინაგან საქმეთა სამინისტროსკენ გავემართე, რათა განცხადება დამეტოვებინა „განახლებული“ პირადობის მონმობის ასაღებად, რითაც ოცდაათი წლის ინტერვალის შემდეგ მოქალაქეობის უფლება მომენიჭებოდა.

ანისმა თავისი სამსახურისკენ — პროგრამირებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროსკენ განაგრძო გზა არ-რამში, რომელიც რამალასა და იერუსალიმს შორის მდებარეობს. მე კი ჩემს გიდთან — ჰუსამთან ერთად დავრჩი.

შევედით შენობაში და თვალებს არ დავუჯერე, როცა პირველივე შემხვედრი მოხელე აბუ საჯი აღმოჩნდა — ჩემი კარგი მეგობარი ბეირუთიდან — გულლია, მომხიბვლელი და დიდსულოვანი კაცი. ერთმანეთს დაგავეხვიეთ, როგორც ორი დაკარგული ადამიანი, რომელთაც უკვე იმედიც აღარ ჰქონდათ ერთმანეთის პოვნისა და უცებ აღმოაჩინეს, რომ ორივე კარგადაა.

— დარწმუნებული ვარ, იციან რასაც აკეთებენ, აბუ საჯი, ვხედავ, კარგი კადრი აურჩევიათ ხალხთან საურთიერთოდ.

ეს გულწრფელად ვთქვი. ჩემი საბუთები მივეცი. თამიმისთვის ნებართვის ასაღებად მისი დაბადების მოწმობა ყოფილა საჭირო. რადვას უნდა ვთხოვო, გამომიგზავნოს.

ერთ-ორ დღეში ყველაფერი მზად იქნება. შენობა დავტოვეთ.

აი, აქ იდგა დედაჩემი ყოველ ცისმარე დღეს ისრაელის სამხედრო მმართველისთვის საბუთები რომ გამოერთმია. ახალ-ახალი უფლება სჭირდებოდა დოჰასა და პარიზში, კაიროსა და ბეირუთში, ბუდაპეშტსა და ქუვეითში გასამგზავრებლად, ან კი ამანში წასასვლელად და ყველას ერთად სანახავად, თუ მოიყრიდა ყველა ერთად თავს. აქ ითხოვდა საკუთარ საბუთს და მოითხოვდა ყველა ჩვენგანისთვის პალესტინის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას, რასაც ვერასოდეს ახერხებდა. ეს შენობა ყოველდღიური ღელვისა და სიმწარის ადგილად იქცა ათასობით პალესტინელისთვის რამალას ოკუპაციის შემდეგ. მათი პრობლემები ისევ აქ არის — კომპლექსური, რთულად გადასაჭრელი, თუმცა 1967 წლიდან მოყოლებული მათ განუწყვეტილ ღიმილი ხვდებათ ამ შენობაში — დამამცირებელი ღიმილი.

მართალია, ცხოვრება სამოთხე არ იყო ოკუპაციამდე.

— ჩვენ თავად ვაგვარებდით პრობლემებს.

ხალხი ამას ამბობს და მერე ზოგიერთი ამატებს:

— მაგრამ ოკუპაციამ...

მერე კი სიჩუმეა..

ოკუპაცია ხელს გიშლის, თვითონ მოაგვარო შენი საქმე. ის სიცოცხლისა თუ სიკვდილის ყველა ასპექტში ერევა. ის ერევა სურვილებში, მონატრებასა და გაბრაზებაში და დააბიჯებს ქუჩებში. ის ერევა ყველგან წასვლასა და იქიდან დაბრუნებაში — ბაზარსა თუ საავადმყოფოში, ზღვის პირას, საძინებელ ოთახსა თუ შორეულ დედაქალაქში.

ყველა, ვისაც აქ ვესაუბრე, მელაპარაკა გართობის ახალ ფორმაზე, რაც მეგობრებთან ან ნათესავებთან გვიანობამდე სტუმრობაში გამოიხატება. თუმცა, აქ ყველაფერი დროებითია, უსაფრთხოების განცდაც.

ისრაელს უფლება აქვს დაკეტოს ნებისმიერი უბანი, რომელსაც აირჩევს. ის ხელს უშლის ხალხს, განსაზღვრულ ტერიტორიაზე თავის ნებაზე შევიდეს და გამოვიდეს. ისრაელს ყოველთვის აქვს ამის „მიზეზი“. ორი ქალაქის დამაკავშირებელ გზაზე ბარიკადებია აგებული. პირველად აქ გავიგონე სიტყვა „მაჰსუნ“, რაც ებრაულად ბარიერს ნიშნავს. თავისუფლების ახლადგაჩენილი შეგრძნება დროებითია. გრძელდება მსჯელობა (და ალბათ კიდევ გაგრძელდება) „მცხოვრებისა“ და „რეპატრირებული“ საკითხებზე. ახალ მთავრობასა და ხალხს შორის ურთიერთობის სისტემა კიდევ კარგა ხანს მოუგვარებელი იქნება. როგორც ბირ ზეითის უნივერსიტეტის პროფესორებმა მითხრეს, გაუთავებელი არგუმენტები „მცხოვრებისა“ და „რეპატრირებული“ გარშემო ვერ შეწყდება მანამ, სანამ იმოქმედებს კანონი ყველა იმ ადამიანურ, ყოფით სიტუაციასთან დაკავშირებით, რაც პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში, ადამიანის უფლებებისა თუ კერძო უფლებების საკითხებში იჩენს თავს.

მსურდა, პირველად ამ უნივერსიტეტში მივსულიყავი, პატივი მეცა იქ მოღვაწე ადამიანებისთვის და მათი სახით, უნივერსიტეტისთვის. ოკუპაციამ ყველა შესაძლო გზით ტანჯა ეს ხალხი და უნივერსიტეტმაც ტანჯა ოკუპაცია, როგორც შეეძლო. მე მივედი მოსასმენად და არა სალაპარაკოდ, იმისთვის, რათა გამეგო, დამემახსოვრებინა და მივსალმებოდი. ბირ ზეითის უნივერსიტეტი ჩემს მშობლიურ სოფელში, დირ ლასანაში ჩასვლამდე ვინახულე. არაერთხელ შევხვედრივარ ამ უნივერსიტეტის სტუდენტებსა თუ პროფესორ-მასწავლებლებს სხვადასხვა ქვეყნებში. ყოველთვის განსაკუთრებულად მიხაროდა მათი იქ ყოფნა, მათი ნამუშევრების გაცნობა და ის, რომ უმკაცრეს პირობებში, ზენოლის ქვეშ განუწყვეტლივ განაგრძობდნენ მუშაობას.

ასე დაფუკავშირდი ჩემთვის უსაყვარლეს ადამიანებს ტანია ნასერსა და მის მეგობარ ჰანას, რომელთაც ხშირად ვხვდებოდი ამანში არდადეგების პერიოდში ან მაშინ, როცა ოკუპანტები უნივერსიტეტს საერთოდ ხურავდნენ ხოლმე. ვიცოდი სასწავლებლის ფინანსური პრობლემების შესახებ, მაგრამ მესმო-

და ისიც, რომ სულ მცირედი დახმარებით ისინი აუდიტორიებსაც არემონტებდნენ და კვლევასაც აწარმოებდნენ.

ამ მშვენიერ გორაკებზე, რომელსაც ახლა გავყურებ, ბირ ზეითის სკოლა გადაიქცა აკადემიური სტატუსის უნივერსიტეტად. ყველაზე დიდი დისკუსია ჩვენს შეხვედრაზე „მცხოვრებისა“ და „რეპატრირებულის“ საკითხს დაეთმო. ამ პრობლემის ემოციური, გრძნობადი მხარე უნდა გავითვალისწინოთ, შეცდომები რომ ავიცილოთ თავიდან.

(სხვადასხვა სამინისტროში მომიწია მისვლა. ერთ-ერთ უწყებაში, როდესაც მომსახურე პერსონალმა ჩაი და ყავა შემოგვიტანა, დირექტორმა ის გაგვაცნო, როგორც „ინთიფადას ერთ-ერთი ლომი, რომელმაც კარგი დღე არ დააყენა ოკუპაციას.“)

უნივერსიტეტის თეთრი ქვის შენობების, მისი ფაკულტეტებისა და აუდიტორიების შემოვლისას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესასვლელთან შეეჩერდი. მემორიალური დაფა ეკიდა იმ პალესტინელი თუ სხვა არაბი ბიზნესმენების სახელებით, რომლებმაც უნივერსიტეტის დაფინანსებისთვის გაიღეს წვლილი. ბევრი სახელი ამოვიკითხე (ზოგი მათგანი სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან იყო, ზოგი — პალესტინური დიასპორიდან). ნაწილს ვიცნობდი, უმეტესობას — არა. მათ შორის მუნიფის სახელიც იყო. რამდენ ამათგანს შეუძლია მოსვლა და ამ დაფაზე საკუთარი სახელის ამოკითხვა? და ვინ იცის, რამდენი, მუნიფის მსგავსად, ველარ იხილავს ამას?

არ დამავიწყდება სამი წლის წინ ჩვენს სახლში, ამანში, მოსასამძიმრებლად მოსული მწუხარებისგან ფერმიხდილი გოგონას სახე. ის ტიროდა და თან დედაჩემს ხელს ართმევდა უჩვეულოდ დადუმებული. მის გვერდით მჯდომმა ჩვენმა ერთ-ერთმა ნათესავმა ჰკითხა:

— საიდან იცნობდი გარდაცვლილს, შვილო?

— მე მას არ ვიცნობდი. არასოდეს შევხვედრივარ. მხოლოდ მისი სახელი ვიცი — ჩემი სწავლის ფულს აგზავნიდა უნივერსიტეტში. ახლა ბოლო კურსზე ვარ. ნეკროლოგი დღეს დილით წავიკითხე გაზეთში. მისამართიც იქ ეწერა.

შემდეგ სხვა სტუდენტებმაც მოგვაკითხეს.

\* \* \*

ყოველდღე ვსეირნობდი რამალას ქუჩებში. კიდეც და კიდეც მინდოდა ძველი წარმოსახვების, ძველი რიტმების დაჭერა.

უცნაური არ არის, რომ როდესაც ვუბრუნდებით ჩვენთვის კარგა ხნის ნაცნობ ადგილს, სადაც ყველაფერი შეცვლილია, ძველი რალაცების ძებნას ვინყებთ? არის რაიმე ახალი უცხოებისთვის? თუ ისინი მთელი მსოფლიოს გარშემო წარსულის ლაქებით სავსე კალათებით დადიან? ლაქები ცვივა, მაგრამ ხელს კალათი მაინც არ უვარდება.

ნეტავ, ქუჩაში გამვლელებს უცხოელი ვგონივარ? მათი აჩქარებული თვალები თუ ამჩნევენ კალათს ჩემს ხელში?

მეგობრებმა შეიტყეს ჩემი ჩამოსვლა, მომაკითხეს და სხვადასხვა ადგილებში წამიყვანეს. ვსაუბრობდი, ყურს ვუგდებდი, შეკითხვებს ვუსვამდი. მოვლენები, შეხვედრები, ფრაზები — რამდენმა რამემ მოიყარა თავი ჩემს ტვინში. ეს იყო ციებ-ციხელება, ისეთი რიტმი, თითქოს მინდოდა რამალა გრძნობის ხუთივე ორგანოთი ერთად დამებრუნებინა.

ახლა, როცა ვწერ იმ დღეების შესახებ, მახსოვს ის, რაც მახსოვს, ყოველგვარი თანმიმდევრობის გარეშე. თანმიმდევრობას მნიშვნელობა არ აქვს.

დირ ლასანასთვის ვემზადები. ვემზადები ჩვენს პირველ სახლში წასასვლელად. ვემზადები დარ რა'დის სანახავად.



## ღირ ღასანა

ღირ ღასანაში თითოეულ სახლს თავისი სახელი აქვს. არასოდეს ვიცოდით, საიდან მოდის ჩვენი სახლის სახელი. შესაძლოა, რა'დი ჩვენი ერთ-ერთი წინაპარი იყო, რადგან სოფლის დანარჩენ საცხოვრისებსაც წინაპართა სახელები ჰქვიათ. თქვენ აქ ნახავთ დარ სალიჰს, დარ ალ-ატრაშს, დარ 'აბდუ-ლ-'აზიზს, დარ ას-საიდს და ა.შ. არა მგონია, დარ რა'დი გამონაკლისი იყოს. ზუსტად არც ის ვიცით, რატომ არის ჩვენი გვარი, რომელიც ყველაზე გავრცელებულია პალესტინის სოფლებში დასახლებულთა გვარებს შორის, ალ-ბარლუთი.

ისინი, ვინც განსაკუთრებით ამაყოფიერებენ თავიანთი ტრადიციებით, გვეუბნებოდნენ, რომ გვარი წამოვიდა სიტყვიდან ალ-ბირრ, „ღვთისმოსაობა“, და ალ-ღავთ, „დახმარება“. სტატუსითა და სიმდიდრით ამაყნი კი გვიამბობდნენ, რომ ჩვენს დიდ პაპას ერქვა „ღავთ“ და უზარმაზარ ტერიტორიას, რომელსაც ის და მისი ვაჟები ფლობდნენ, ეწოდა ბარრ ალ-ღავთი — „ღავთების მიწა.“

მე კი ყველაზე სარწმუნო ეტიმოლოგიად — მიუხედავად იმისა, რომ მას ნაკლებად რომანტიკულად მივიჩნევ და გვარის „გამორჩეულებსაც“ ვერაფრით ვასიამოვნებ — მიმაჩნია ის, რომ ჩვენი გვარი მომდინარეობს პირდაპირ სიტყვიდან ალ-ბარლუთ, რაც რწყილს ნიშნავს. ბოლოს და ბოლოს, ძველი კულტურებისთვის დამახასიათებელი იყო სახელებისა თუ გვარების შერჩევა ცხოველების, ფრინველებისა და მწერების სახელწოდებათა მიხედვით. ამის ნათელი მაგალითებია: ალ-ფა'რი (თაგვი), ალ-კიტტი (კატა), ალ-ჯამალი (აქლემი), ად-დიბბი (მგელი), ალ-ფილი (სპილო), ალ-ასადი (ლომი), ან-ნიმრი (ვეფხვი)...



ერთხელ, 1977 წლის დასაწყისში, კაიროში პოეტი აბუ სალმა შემოგვესწრო სადილზე. რადვა ფეხმძიმედ იყო. აბუ სალმამ დაიწყო საუბარი იმაზე, თუ რა შესანიშნავია პირველი ბავშვის დაბადება ოჯახში. შემდეგ გვკითხა, რა უნდა დაგვერქმია ახალშობილისთვის. მინდოდა, ჩამომეთვალა ის, რაც მე და რადვას გვექონდა მოფიქრებული, მაგრამ ვუთხარი:

— შენ დამისახელე ლამაზი, სასიამოვნო, მოხდენილი სახელი ბიჭის და გოგოსიც და გპირდები, ბავშვს იმ სახელს დავარქმევთ...

აბუ სალმა დიდხანს ფიქრობდა, შემდეგ თავისი ანცი მზერა მომაპყრო და მითხრა:

— სად უნდა გამოგიძებნო, მურიდ, ლამაზი, სასიამოვნო და მოხდენილი სახელი, თუ მას გვარად ალ-ბარლუთი უნდა მოჰყვეს?

ეს გვარი ქვეყნიდან ქვეყანაში თან დამყვებოდა და ყოველთვის უსიამოვნება როდი მოჰქონდა?! როდესაც ბუდაპეშტში საერთაშორისო ახალგაზრდულ ფედერაციაში ვმუშაობდი, მოგზაურობა ხშირად მიწევდა. მიხაროდა, როცა იტალიელი და ესპანელი მეგობრები „ალბარგუტიტოს“ მეძახდნენ. გულში ვამბობდი: „სად ხარ, აბუ სალმა? რატომ არ გესმის?“ — მეთქი. ერთ-ორ მეგობარს ვუამბე კიდეც ჩემი გვარის ისტორია, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც კარგად გავიცანი ისინი.

ერთ ზაფხულს ჰავანაში ვატარებდით კონფერენციას. ჩემმა უნგრელმა მეგობარმა ლილამ, რომელიც ხუთ ენაზე ლაპარაკობდა და ბავშვობა ჰავანაში ჰქონდა გატარებული, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე პატარა კაფე „ბოდეგიტოში“ წამიყვანა, სადაც ერთი ჩემთვის მანამდე უცნობი სასმელის — მაჯიტოს დალევა შეიძლებოდა.

— რა არის მაჯიტო, ლილა?

— ეს ჰემინგუეის საყვარელი სასმელია. ხშირად მოდიოდა აქ მის დასალევად.

— ეს რა სკამია, ზუსტად ჩვენი თავებს ზემოთ ქერზე რომ დაუკიდიათ?

ლილა ადგა, წელში გაიმართა და განაცხადა:

— ეს ის სკამია, რომელზეც ჰემინგუეი იჯდა, როდესაც აქ მაჯიტიოს დასალევად მოვიდა ალბარგუტიტოსთან ერთად, რომელიც ლილამ დაპატიჟა დროის სასიამოვნოდ გასატარებლად. მან კი თავისი შეკითხვებით თავი აატკია.

— ბრავო!

ტამი შემოვკარი და ვკითხე:

— ისე, ალ-ბარლუთი ხომ მართლა კარგი გვარია?

— ძალიან ნუ გიხარია. — მითხრა მან — სალიმ ათ-თამიმის ვკითხე მისი მნიშვნელობა და მითხრა, რომ „კოლოზე“ ბევრად უკეთესი არ არის.

ალ-ბარლუთები თავიანთ ქალიშვილებს სხვა გვარის კაცებზე არ ათხოვებდნენ. ამიტომ იზრდებოდა და იზრდებოდა ეს გვარი. მხოლოდ 1963 წელს ოჯახის თავკაცმა ომარ ას-სალიჰ ალ-ბარლუთიმ ნება მისცა ერთ-ერთ ქალიშვილს, არაბარლუთის გაყოლოდა. რაც შეეხება ბიჭებს, მათ ყოველთვის ჰქონდათ უფლება, სხვა გვარის წარმომადგენელზე ექორწინათ, თუმცა, ისინი ალ-ბარლუთის გვარის გოგონებს არჩევდნენ ხოლმე.

ბევრი ალ-ბარლუთი დიდად ინონებს თავს თავისი წარმომავლობით, ოჯახის ნევრთა რიტორიკული შესაძლებლობებით, იუმორის გრძნობითა და განსაკუთრებულად სხარტი ტვინით. აბუ რაშადის მსგავსთაც შეხვდებით, რომელიც გამუდმებით ჰყვება ალ-ბარლუთებზე, როგორც უვარგის მინათმფლობელებზე, რომელთაც თანამდებობის მიმართ არავითარი ინტერესი არ აქვთ და ზარმაცი საუბრებით იქცევენ თავს. ზოგიერთი ალ-ბარლუთი მართლაც მთელ სოფლებს ფლობდა, მიწებს, ცხენებს, მაგრამ არც უფიქრია, მაგალითად, მანქანა შეეძინა. დროთა განმავლობაში სიმდიდრე ვერ ცვლიდა მათი ცხოვრების სტილს. შეხვდებით ისეთებსაც, ალ-ბარლუთების თვისებათა ამ ორივე მხარეს რომ იგდებს მასხრად.

ალ-ბარლუთების საგვარეულო დასახლება შვიდ მეზობელ ბორცვს მოიცავს ბანი ზეიდის სოფლებად წოდებულს, რომლის ცენტრიც დირ ლასანაა.

დარ რა დისკენ გავემართეთ. ეს არის საკმაოდ დიდი სახლი კვადრატული შიდა ეზოთი, რომლის გარშემოც სამ მხარეს

ოთახებია განლაგებული. მეოთხე მხარეს კი სოფლის მეჩეთის კედელი ფარავს. თუ სახლს ზემოდან დახედავთ, ცემენტის სახურავებს დაინახავთ, რომლითაც თითოეული ოთახია გადახურული. ეზოს შუაგულში ლეღვის უზარმაზარი ხეა, რომლის უგემრიელესი ნაყოფიც ჩვენს მამა-პაპებს და თითქმის ყველა ჩვენს სოფლელს გაუსინჯავს.

დარ რა 'დის ჭიშკარი მინდორსა და ზეითუნის კორომს გადაჰყურებს, რომელიც თანდათან ქვემოთ ეშვება, ვიდრე მდინარე 'აინ ად-დირს არ მიაღწევს. ეს მდინარე წყლის, სოფლის სიცოცხლისუნარიანობისა და სხვადასხვა ამბების უღევი წყაროა.

დირ ლასანაში აბუ ჰაზიმთან, ანისთან, ჰუსამთან, აბუ ია'კუბთან და ვასიმთან ერთად ჩამოვედი. შუადღე იქნებოდა, ჩვენი მანქანები სახლის წინ რომ შეჩერდა. ზღურბლი გადავკვეთე. ხელი ჩამოვართვი ჩემს ბიცოლას — უმ ტალალს და მისი მარჯვენა მხრის მიღმა უკვე შევნიშნე, რომ ლეღვის ხე აღარ იყო თავის ადგილას.

— ხე ვინ მოჭრა, ბიცოლა?

ხის ნაცვლად, რომელიც მთლად ძირში გადაეჭრათ, უზარმაზარი ცემენტის ბლოკი იდო.

მეზობლებს მივესალმე, თუმცა ვერც ერთი ვიცანი. ბიცოლა მარჯვენა მხარეს იმ ოთახში შემიძღვა, რომელიც ჩვენ გვეკუთვნოდა. სრული ტანჯვა იყო.

**ნუთუ დარ რა 'დს არ სურს, გაიგოს  
ჩემი ამბავი მასზე?  
განა ჩვენ ჩვენ ვართ განშორებისას  
და შეხვედრისას?  
შენ შენ ხარ? მე მე ვარ?  
უცხო ბრუნდება იქ, სადაც იყო?  
თვითონ ბრუნდება ამ ადგილას?  
ჩვენო კერიავ,  
მითხარი, დალღას ვინ ჩამორეცხს  
სხვისი შუბლიდან?**

აი, აქ დავიბადე, ამ ოთახში, ოთხი წლით ადრე ისრაელის დაბადებამდე.

ოთახი დიდია და თეთრი. მისი მაღალი ქერი კუთხეებიდან ამოზრდილ ოთხ სვეტს ეყრდნობა, რომლებიც სულ ზემოთ, შუაგულში ხვდებიან ერთმანეთს. ამიტომ, ის მეჩეთებისა და ეკლესიების გუმბათს მოგაგონებთ. აქ ერთად ვცხოვრობდით ბებიჩემი უმ 'ატა, მამა, დედა, მუნიფი, მაჯიდი, 'ალაა და მე.

ვილაცას კედელში გაჭრილი დაბალი კარი ჩამოუღია. ეს კარი ბიძაჩემის, იბრაჰიმის ოთახში გადის. ახლა ორივე ოთახს ერთად იყენებს მისი ქვრივი უმ ტალალი. მხოლოდ ის დარჩა ხუთი ოჯახიდან, რომელიც ცხოვრობდა ამ სახლში.

უმ ტალალს შიდა ეზო ხეებითა და ნარგავებით აუვსია: ყურძენი, ტკბილი ვაშლი, მანდარინი, ფორთოხალი, ქლიავი; ცოტა ბოსტნეულიც: სალათის ფურცელი, ოხრახუში, ხახვი, ნიორი, პიტნა.

— ხალხი ისევ დარ ათ-თურს („ხარის სახლს“) დაგვიძახებს, ბიცოლა.

ეს დარ რა 'დის მაცხოვრებლების ზედმეტსახელი იყო. რატომ? არავინ იცის. როგორც მშობლებმა გვითხრეს, თავდაპირველად „სინათლის სახლს“ გვიძახდნენ — „დარ ან-ნურ“, მაგრამ შემდეგ პირველი ასოსთვის ორი წერტილი დაუმატებიათ და „დარ ათ-თურ“ გავხდით. (არაბულ ასო ნ-ს და თ-ს ერთნაირი მოხაზულობა აქვს, წერტილების რაოდენობაშია განსხვავება.) ეს სახელი შემოგვრჩა დღემდე.

— დავბერდი და დავსუსტდი. ხალხი სხვაგან გადასახლდა, ზოგიც ამქვეყნად აღარ არის. ლეღვი ვილასთვის მინდა, შეილო? არავინ კრეფს ხილს და არავინ ჭამს. ლეღვიც გახმობამდე ეკიდა ხეზე და მერე მთელ ეზოს ანაგვიანებდა. ძალიან დამღალა. იმიტომაც მოვჭერი.

ბიცოლაჩემი უმ ტალალი — ამხელა სახლის ერთადერთი მაცხოვრებელი — სულ მარტოა. საღამოობით მისი შუა ეზო ხდება ორმოცდაცხრა ქვრივის შესაკრები ადგილი — აი, სულ, რაც დარჩა დირ ლასანას მთელი მემკვიდრეობიდან. ქმრები, ვაჟიშვილები და ქალიშვილები საფლავებსა და საპატიმრო ბანაკებში,

სამსახურებსა და პარტიებში, მსხვერპლთა სიებში, უნივერსიტეტებსა და საარსებო წყაროს ძიებაში ახლო თუ შორეულ ქვეყნებში გაფანტულან — კალგარიდან ამანამდე, სან პაოლოდან ჯადამდე, კაიროდან სან ფრანცისკომდე, ალასკადან ციმბირამდე.

ზოგიერთი თავისი პატარა სალოცავი ხალიჩის ერთგული დარჩა, ზოგმაც ვისკის უერთგულა. ზოგი სწავლობს უნივერსიტეტებში, ზოგი კი ასწავლის. ზოგი პარტიზანებს შეუერთდა და აღარც დაბრუნებულა, ზოგიც თავისმა პროფესიამ შთანთქა — მედიცინამ, ინჟინრობამ, ავიაციამ, კომერციამ. ზოგი სპარსეთის ყურის ქვეყნებში მუშაობს, ზოგი — გაეროში. ზოგი სხვების მიერ გაღებულ წყალობაზე ცხოვრობს, ზოგიც თაღლითობს.

აქ მცხოვრებთა ძირითადი შემოსავალი ზეითუნი და მისი ზეთია. ვისაც ჯერ კიდევ ფიზიკური მუშაობა შეუძლია, მონდვრებში მუშაობს — სულ ერთად, ქალები და კაცები. თუმცა, შვილიშვილებისა და შვილების შემოსავალი სპარსეთის ყურის ქვეყნებში მაინც მათ მთავარ სარჩენ საშუალებად რჩება. სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმოფანტული ემიგრანტები ფულს ატანენ მათ, ვისაც პირადობის მონმობა ან პალესტინაში შესვლის განახლებული უფლება აქვს ან კი ფულად გზავნილებს უშვებენ რამალასა და ამანის ბანკებიდან. სოფელში ბევრი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა შეირყა, როცა სპარსეთის ყურის ომის შემდეგ ათასობით პალესტინელი გაყარეს ქუვეითიდან.

რაიან იბნ აჰმადი, რომელსაც ქუვეითში „მაქთაბათ არ-რაბი“ — პატარა წიგნების მაღაზია „გაზაფხული“ ჰქონდა, დაბრუნდა დირ ლასანაში და ცხვრის მოშენება დაიწყო. ზოგიერთი დაბრუნდა და კუთვნილ მიწის ნაკვეთზე თავისივე დანაზოგით განაგრძო ცხოვრება. ქუვეითის როგორც საზოგადო, ისე კერძო სექტორში მომუშავე სოფლელებმა დააარსეს „დირ ლასანას ფონდი“, რითაც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ სოფლის შეჭირვებულ ადამიანებს. ამ ფონდმა არსებობა შეწყვიტა, როდესაც ყველა იძულებული გახდა, კვლავ დაეტოვებინათ მშობლიური მხარე.

ფატიმა ბინთ აბუ საიფმა — სამოცდაათ წელს მიტანებულმა გაბედულმა ქალბატონმა — წლობით შეჩერებული ნავთობსაქაჩი აამუშავა და ხალხი მიბრუნდა იქ სამუშაოდ.

აბუ ჰაზიმმა თავისი სახლის — დარ სალიჰის მეორე სართული ჰუსამს დაუთმო, რომელმაც იქ კომპიუტერული ცენტრი გააკეთა. ჰუსამმა სამი ნახმარი კომპიუტერი შეიძინა და დირ ლასანას ბავშვებს კომპიუტერის მასწავლებელიც მოუყვანა. მისი პირველი გამოშვება ორ კვირაში დაასრულებს სწავლას. ახლა ის მეორე ჯგუფის მისაღებად ემზადება.

დირ ლასანას მცხოვრებთ ეკრძალებათ სოფლის გარეთა ტერიტორიაზე მუშაობა, რადგან ეს უბანი ისრაელის კონტროლს ექვემდებარება.

ძალიან მტკივნეული იყო ჩემთვის, როდესაც '67 წლის ამბების შემდეგ პირველად აღმოვაჩინე, რომ ზეითუნის ზეთი უნდა მეყიდა. რაც საკუთარი თავი მახსოვს, ზეითუნიც და მისი ზეთიც შინ საკმარისად მოგვეპოვებოდა. მას მთელს სოფელში არავინ ყიდულობდა. სოფელი თავის მოსავალს რამალაში, ამანსა და სპარსეთის ყურეში ჰყიდდა. სეზონიდან სეზონამდე არ ცარიელდებოდა ზეითუნის სანურის უზარმაზარი კასრები.

პალესტინელისთვის ზეითუნის ზეთი საუკუნეების მანძილზე სარდაფის სიამაყეს, შემოდგომის საჩუქარს, ახალდაქორნიებულთა კომფორტსა და მგზავრთათვის გაღებულ საბოძვარს წარმოადგენდა.

კაიროში უარს ვამბობდი, კილოგრამობით ანონილი ზეითუნის ზეთის ყიდვაზე. ჩვენ ხომ მას სოფლად ბოცებით ვწონიდით. კოკა-კოლას მსგავს ბოთლებში ჩასხმული ზეთი სასაცილოდ მეჩვენებოდა. მაგრამ როდესაც, საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, მივხვდი, რომ დირ ლასანაში დაბრუნება შეუძლებელი ხდებოდა, გამოვცადე პირველი მარტივი და სერიოზული დამცირება — ჯიბიდან ფული ამოვიღე და გამყიდველს გავუწოდე, რათა ჩემი პირველი კილოგრამი ზეთი მეყიდა. მაშინ თითქოს საკუთარ თავს გავუწიე წინააღმდეგობა იმ ფაქტის აღიარებით, რომ დირ ლასანა ჩემგან შორს იყო.

რაც შეეხება ლელვს, ის საერთოდ გაქრა ჩემი ცხოვრებიდან, ვიდრე ათენის ბოსტნეულის მაღაზიაში არ შევნიშნე. დილაადრიან ვტოვებდი სასტუმროს, რათა საუზმისთვის შემეძინა ლელვი. ერთხელ სასტუმროს საუზმესაც არ გეახელით.

ერთ ზაფხულს ვენაში ვნახე, რომ ლედვს ცალობით ყიდდნენ. თითქმის დოლარი მივეცი ერთ ლედვში და როცა შინ მივიტანე, რადვას და თამიმს ვუთხარი, რომ დარ რა 'დის ლედვის ხის წინა-შე დანაშაული ჩავიდინე. ბებიჩემ უმ 'ატას რომ გაეგო, რა გადავიხადე ამ ერთ ლედვში, ნამდვილად ბეთლემში გამამწესებდა.

— და რატომ ბეთლემში? — მკითხა რადვამ.

— იმიტომ, რომ იქ ფსიქიატრიული საავადმყოფოა.

\* \* \*

ჩემი პირველი მოვალეობა დირ ლასანაში უმ 'ადლისთვის მისამძიმრება იყო. 'ადლი დირ ლასანას სკოლაში სწავლობდა. ინ-თიფადა პიკს აღწევდა. ისრაელის ჯარისკაცებმა სკოლას შეუტიეს, რათა დემონსტრაცია დაერბიათ. 'ადლი სკოლის ქიშკრისკენ გაქანდა, უნდოდა დაეკეტა. ხელები ფართოდ გაშალა და ერთი ტყვია პირდაპირ მკერდში მოხვდა, მეორეც — თავში. სისხლით დაისვარა რკინის ქიშკარი, ბალახი და ამხანაგების პერანგები. მათ სახლამდე მიიყვანეს 'ადლი — მიუყვანეს დედას, რომელიც იმ წუთიდან სრულიად მარტო დარჩა.

წლების წინ დაკარგა ამ ქალმა მამა, დედა და ქმარი. ის 'ადლისთვის ცხოვრობდა — ერთადერთი ვაჟისთვის, რომელიც სკოლის ქიშკართან მოკლეს. დარ სალიჰში — დირ ლასანას უდიდეს სახლში, რომელიც საუკუნეების წინ იყო აშენებული სწორედ დარ რა 'დის მეზობლად, არც ერთი სულიერი აღარ ცხოვრობს უმ 'ადლისთან ერთად, ყველა ნავიდა.

მარტოხელა ქალს ძველი ტკივილის ნაიარევი სახეზე ამჩნევია. სულ თავისი უზარმაზარი სახლის პირველ სართულზე ზის უბრალო, გლეხური კაბით, მაგარი, მტკიცე ხელებით და მწვანე თვალებით. მიმოიხედავ და შენიშნავ, რომ ველური ბალახი ამოსულა თაღებზე, ზედა სართულზე ასასვლელ კიბესა და შიდა კედლებზეც კი. დედობრივი სითბოთი მომესალმა, შინ შემიპატიჟა და ჩაი მომართვა. ნაპერწკალი გაუბრწყინდა ნიონამხდარ თვალებში. მან მუნიფზე ილაპარაკა, მე კი — 'ადლიზე. ჩვენ ძალიან ცოტა ვისაუბრეთ და დიდხანს ვდუმდით. დუმილი იყო ის, რაც ორივემ მოვახერხეთ.

მამამისის ზედა ოთახს ავხედე. ბიძია აბუ ჰუსეინი, უგამხდრესი კაცი მთელს სოფელში, გაუნათლებელი იყო, მაგრამ ყველაზე სწრაფი მათემატიკოსის სახელი ჰქონდა. პროფესიით არც ბულალტერი ყოფილა და არც ყასაბი, თუმცა, ორივეს მშვენივრად ართმევდა თავს. ბოლოს და ბოლოს ერთი კაცი მაინც ხომ უნდა ყოფილიყო სოფელში, ვინც ყველას დასაანგარიშებელს დაიანგარიშებდა და ხალხს ხორცს მიჰყიდდა.

როდესაც აბუ ჰუსეინი ცხვრის დაკვლას გადაწყვეტდა, ყველას ცალ-ცალკე ეკითხებოდა, თუ რომელი ნაჭერი უნდოდათ. ზოგს ბეჭი სურდა, ზოგს — ნეკნი, ბარკლები ან კილოგრამი ფარში. თითოეული თანასოფლელის შეკვეთას ზეპირად იმახსოვრებდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაკლავდა მსხვერპლს, სოფლის მოედანზე არიგებდა მის ხორცს და აგროვებდა ფულს. თუ კარგად გიცნობდა, ნისიაც მოგცემდა.

დეიდა უმ ჰუსეინს თოთხმეტი შვილი ეყოლა და მათგან ოთხი ქალიშვილი დარჩა. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ჰიქმია, უმ 'ადლი. რაც შეეხება აბუ ჰუსეინს, ის გარდაიცვალა, როდესაც მე ბუდაპეშტში ვცხოვრობდი. ასე რომ, მისი სიკვდილის შესახებ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შევიტყე.

დავტოვეთ დარ სალიჰი და დარ დავუდისკენ გადავინაცვლეთ, რათა ლუ'აის გამოც მეთქვა სამძიმრის სიტყვა. ლუ'აი სოფლის შესასვლელთან შეეგება ტყვიებს. მან ქვა ისროლა, სამაგიეროდ ტყვია მიიღო. ცემენტის მონუმენტი ალემართათ იქ, სადაც მისი სისხლი დაიღვარა. იქ ჩვენ ფათიჰა ნავიკითხეთ. ლუ'აი და 'ადლი თვრამეტი წლისანიც არ იყვნენ.

\* \* \*

ახლა დროა, სოფლის მოედანზე შევიკრიბოთ.

ლექსები უნდა ნავიკითხო საგანგებოდ დირ ლასანას მკვიდრთათვის. დღეს უნდა გაიხსნას სოფლის ისტორიაში პირველი „კულტურის ცენტრი“. ამ მოვლენის ინიციატორები არიან სულ ახლახანს შეერთებული შტატებიდან დაბრუნებული ანისი და ჰუსამი, რომელიც ამანიდან ჩამოვიდა. მათ ხალხი ბანი ზეიდის მეზობელი სოფლებიდანაც დაპატიჟეს.



მე სრულიად დავინყებულნი მქონდა, როგორ გამოიყურებოდა დირ ლასანასკენ მიმავალი გზა. აღარ მახსოვდა რამალადან დირ ლასანამდე ოცდაშვიდ კილომეტრზე გადაჭიმული გზის გარდი-გარდმო გაშენებული სოფლების სახელები. უხერხულობამ ტყუილის თქმა მასწავლა. როცა ჰუსამი მეკითხებოდა ამა თუ იმ სახლის, გზის, მოვლენის შესახებ, სწრაფად ვპასუხობდი „ვიცი“. სინამდვილეში კი არ ვიცოდი, აღარ ვიცოდი.

როგორ ვუმღერი ჩემს ქვეყანას, თუ მას არ ვიცნობ? დაფასებული უნდა ვიყო ჩემი სიმღერისთვის თუ დადანაშაულებული? ცოტას ხომ არ ვიტყუები? თუ ბევრს ვიტყუები? იქნებ, საკუთარ თავს ვატყუებ? თუ სხვებს?

რალა სიყვარულია, თუ შენს შეყვარებულს არ იცნობ? რატომ ვერ შევძელით სიმღერების შენარჩუნება? რეალობის მტვერი უფრო ძლიერია, ვიდრე ჰიმნის მირაჟი? თუ მითმა თავისი მაღალი მწვერვალებიდან ამ რეალურ, ვინრო ქუჩებში ჩამოინაცვლა?

ისრაელმა წარმატებულად ჩამოაშორა სინმინდის საბურველი პალესტინურ პრობლემას, გადააქცია ის „პროცედურებისა“ და „განრიგების“ გაუთავებელ რიგებად, რაც, ჩვეულებრივ, მხოლოდ უფრო სუსტი მხარის მიერაა მიღებული და პატივდებული.

მაგრამ განა დარჩენია რაიმე დევნილ ადამიანს ასეთი უაზრო სიყვარულის გარდა? რალა დაგვრჩენია სიმღერის გარდა, რამდენადაც სასაცილო ან ღირებული არ უნდა იყოს ეს? რა ვუყოთ მთელ თაობებს, რომლებიც გადასახლებაში დაიბადნენ და ჩვენი თაობისგან განსხვავებით ის ცოტაც აღარ იციან პალესტინის შესახებ?

მორჩა და გათავდა. ოკუპაციის გრძელმა პროცესმა შექმნა ისრაელის მთელი თაობები, რომლებმაც არ იციან სხვა „სამშობლო“, და იმავე დროს — პალესტინელთა მთელი თაობები, რომელნიც უცხონი არიან პალესტინისთვის. უცხოეთში დაბადებულებმა დიდი ვერაფერი იციან თავიანთი ქვეყნის შესახებ — მხოლოდ ცალკეული ისტორიები და საინფორმაციო გამოშვებებში მოთხრობილი ამბები. ეს თაობები უკეთ იცნობენ გა-

დასახლების ადგილს, მის ქუჩებს, ვიდრე საკუთარ ტერიტორიებს. მათ არასოდეს ჩაუდენიათ თავიანთი პატარ-პატარა შეცდომები თავიანთ მიწაზე, არასოდეს უნახავთ ღუმელების წინ ჩაცუცქული ჩვენი ბებიები, პურს რომ გვიცხოზდნენ ზეთუნის ზეთში ჩასაწობად, არც სოფლის უხუცესები, რომლებიც ალ-აზჰარისეული ღვთისმოსაობით, ჩალმებით დადიოდნენ და თან გამოქვაბულებში იმალებოდნენ სოფლის გოგონებისა და ქალების სათვალთვალოდ. ნახევრად შიშველი ქალები კი 'აინ ადდირის წყალში ტანსაცმელს რეცხავდნენ და თვითონაც ბანაობდნენ. დიახ, მქადაგებლები უმაღავდნენ მათ ტანისამოსს მაყვლის ბუჩქებში, დიდხანს რომ ეცქირათ მათი მაცდუნებელი სილამაზისთვის. მსგავს ცდუნებას გადასახლებულები ვერსად იხილავენ — ვერც ევროპულ ღამის კლუბებში, ვერც შვილიშვილების წვეულებაზე ღუმუმბას უნივერსიტეტსა თუ სხვა დასავლურ დედაქალაქებში, ვერც „სექს შოფებსა“ და „რას ბეირუთის“, ან თუნდაც „სისი ბუსა‘იდის“ აუზებზე.

ოკუპაციამ შექმნა თაობები თავიანთი ადგილების, სუნების, ხმების გარეშე. მათ არ აქვთ პირველი გამოხედვა, მხოლოდ მათ რომ ეკუთვნით, რომელსაც მეხსიერებით მაინც გაიყოლებდნენ იმ შეკონინებულ გადასახლებებში. არც ბავშვობის სანოლი ახსოვთ, სანოლი, რომელზეც რბილი სათამაშო რჩებოდათ, ან რომლის თეთრი ბალიშებიც — უფროსების არყოფნაში — მათი ურთიერთბრძოლის იარაღი ხდებოდა. აი, ასეა... ოკუპაციამ შექმნა ჩვენი თაობებიც, რომელიც უცნობ შეყვარებულს უნდა ეთაყვანებოდეს — შორეულს, რთულს, დაცვით, კედლებით, ატომური რაკეტებითა და ჩუმი ტერორით გამემორტყმულს.

ოკუპაციის გრძელმა ხანამ პალესტინის ბავშვებიდან პალესტინის იდეის ბავშვებად გვაქცია. ის-ის იყო დავინწყე იმის დაჯერება, რომ პოეტი ვარ, მოულოდნელად აღმოვაჩინე, თუ რა უფერული და დამჩქნარი ყოფილა ყველა აბსტრაქცია თუ აბსოლუტი. კონკრეტული დეტალის სიზუსტე და ხუთი გრძნობის სიმართლე რომ შევიგრძენი, განსაკუთრებით კი, ხედვის დიდებული უნარი; როცა იმ კამერის ენის სამართლიანობა და

გენიალურობა დავინახე, რომელიც ხედს საოცარი ჩურჩულით წარმოგვიდგენს (რამდენადაც ხმაურიანი არ უნდა ყოფილიყო იგი რეალობასა თუ ისტორიაში), საკუთარ თავს ძალა დავატანე, რათა თავი დამენებებინა ცუდი დასაწყისისთვის — იმ პოეზიისთვის, რომელიც ჰიმნის აკომპანიმენტი იყო.

\* \* \*

ჩვენ ხან 'აბდ ალ-ფათაჰის, ხან კი აბუ ნადას ავტობუსში ავდიოდით, ვგროვდებოდით ჯერ კიდევ გამთენიისას. თან რომელიმე მშობელი მოგვყვებოდა, ვისაც საქმე ჰქონდა რამალაში. მზის ჩასვლისთვის კი უკვე დირ ღასანაში ვბრუნდებოდით.

აღფრთოვანებული ვიყავი კონდუქტორით, რომელიც ავტობუსის უკან მიმაგრებულ კიბეზე ძვრებოდა, ენერგიულად ანესრიგებდა სახურავზე დაგროვილ ჩანთებსა და ჩემოდნებს, შემდეგ კი მთელი გზა მძღოლის გვერდზე, კიბეზე იდგა. ჩვენ მას ალ-კონტროლს, ზოგჯერ კი ეგვიპტური იდიომის იმიტაციით ალ-ქუმსარის ვუნოდებდით.

ერთხელ მის მსგავსად მეც ვიდექი საფეხურებზე. გორაკებიდან და ახლადმოპკილი მინდვრებიდან წამოსული ქარი პირდაპირ ფილტვებს მივსებდა, ჩემს თეთრ საზაფხულო პერანგს კი ბერავდა და აფრიალებდა. იმ დღიდან კონდუქტორობა ოცნებად მექცა.

ავტობუსის კიბეზე დგომის ეს სიხარული აღარ განმეორებულა, მაგრამ კონდუქტორების საკმაოდ დიდხანს მშურდა. ავტობუსში ჯდომისას ან დგომისას, ბორცვებზე მიმოფანტული სოფლებისა და ზეთისხილის მინდვრების ფანჯრიდან ცქერით საკმარისად ვერასოდეს ივსებოდნენ ჩემი თვალები. ველარც კი ვიხსენებდი დირ ღასანადან რამალასკენ გადაჭიმული გზის თითოეულ დეტალს. მხოლოდ ის მახსოვდა, რომ ბირ ზეთისა და ან-ნაბი სალიჰის ტყის გასწვრივ უნდა ჩაგვევლო.

ბირ ზეთის სკოლა მნიშვნელოვან უნივერსიტეტად იქცა. პატარა, ხშირი ტყე კი, როგორც უსამმა მითხრა, ისრაელს ჰალმიშის სახელწოდების დასახლებად გადაუქცევია, ტყის მიმდებარე მიწებიც გამოუყებინა — სახლები ჩაუდგამს და ხალხი დაუსახლევ-

ბია. ყველა იმ გზის მსგავსად, რომელსაც დასახლებებისკენ მივყავართ, ტყისკენ გაჭრილი ტრასა დახურულია პალესტინელებისათვის. მისით სარგებლობა მხოლოდ ებრაელებს შეუძლიათ.

ტყეები ჩავიარეთ და სოფელ ბეით რიმაში შევედით. ამის შემდეგ უკვე დირ ლასანაა. ჰუსამმა მანქანა გააჩერა და თქვა:

— ჩამოდი და დირ ლასანას აქედან გახედე. აი, იმ ბორცვის მწვერვალზეა. შეხედე! თითქოს ღია ბარათზეა.

\* \* \*

სოფლები ერთმანეთისგან სახლებით კი არა, თავიანთი შემოგარენით განსხვავდებიან: მინდვრებით, წყაროებით, ქვაბულებით, ბილიკებით, მთებითა და მემკვიდრეობით მიღებული ისტორიებით, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა, მაგრამ ისე ზუსტად, როგორც ერთხელ დაწერილი წიგნი.

დირ ლასანას ყველაფერი ეს აქვს, მაგრამ უცნაურია, რომ მხოლოდ თავისი სახლებით გამოირჩევა. ქვები, რომლებიც პირამიდების ქვებს არ ჰგავს, მაგრამ მათ გაგონებს, არც იერუსალიმის კედლის ქვებს ჰგავს, მაგრამ ქვის იმავე საბადოდან გეგონება მოპოვებული... სქელი, მუქი და ჩამქრალი ქვები... სახლები, რომლებიც ციხე-სიმაგრეები არ არის, მაგრამ ციხე-სიმაგრეთა ჰაერიტაა გაჯერებული... ისინი რომანტიზმით სუნთქავენ, მაგრამ არ არიან რომანტიკულები... ეს გახლავთ მდიდრებითა და ღარიბებით, ჭკვიანებითა და სულელებით, განათლებულებითა და წერა-კითხვის უცოდინრებით დასახლებული პრაქტიკული სამოსახლოები. ამ ასწლოვან სახლებს ფართო, განიერი თაღოვანი შესასვლელი და გუმბათოვანი ჭერი აქვთ. (მუჰამად ალ-აბრაში თავის აქლემს ჭიშკართან, დარ სალიჰის თაღთან აბამდა და ვეება საქონელი სულ პატარად მოჩანდა).

ბორცვის მწვერვალზე განლაგებულია სახლები, რომელიც სულ მახსოვს. ბავშვობაში ყოველ მათგანში შევსულვარ. მახსოვს ცემენტის გუმბათები, სქელი კედლები ხავსმოკიდებული ნაპრალებით. რა ახლოს იყვნენ ისინი ერთმანეთთან! მახსოვს თითოეული დეტალი და თაღები, ზაფხულის ცის სილურჯეში მაღლა აჭრილ სახურავებს რომ აერთებდნენ.

— მურიდ, მე დაწვნი ისინი, მაგრამ კვლავ ამოვიდა! გჯერა? ჭუსამმა დარ სალიჰის მეორე სართულზე ამოსულ პალმის ხეებზე მიმითითა. პალმის ხეს თავისი ნორჩი ყლორტები ჰაერში გაეშალა.

— პალმის ხე, კაცო! დაიჯერებდი ამას?

მცენარეები, რომლებიც ქვაში ხარობენ და ასობით წელიწადს ცოცხლობენ! სახლები დაძველდა, მაგრამ მათი ერთმანეთთან სიახლოვე, როცა შორიდან გაჰყურებ, გაფიქრებინებს, რომ რომ ისინი ისევ სოლიდურად და მყარად გამოიყურებიან. მიუახლოვდით.

სკოლას ჩავუარეთ. ეს პირველი შენობაა, რომელიც დირ ღასანაში შესულს შემოგეგება. 1920 წელსაა აშენებული. ბანი ზეიდის სოფლების ყველა ბავშვი სწავლობდა აქ. ზოგიერთი მათგანი ათობით კილომეტრს გადიოდა. მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც ვირებზე ამხედრებულნი მოდიოდნენ, მინდვრებსა და ზამთრის თოვლქყაპს გადმოლახავდნენ ხოლმე აქამდე მოსაღწევად.

ევროპაში არავინ დამიჯერებდა, რომ მეთქვა (მე ხომ მღუმარებისა და სიმარტოვისკენ მიდრეკილი ადამიანი, უცხო ვარ) — ამ სკოლის ასობით მოსწავლე, მასწავლებლები, დამლაგებლები, დირექტორი, მშობლები — ყველა ერთ ოჯახს მიეკუთვნებოდა და ყველა ალ-ბარღუთი იყო!

აქ მივიღე პირველად რელიგიური მითითებები უსთაზ ‘აბდ ალ-მუ’აი ას-სალიჰ ალ-ბარღუთისგან, რომელიც ჩვენი ნათესავი, აბუ ჰაზიმის ცოლის — ფადვას და მისი ძმის, ჭუსამის მამა იყო. დაწყებით სკოლაში ჯერ კიდევ არ ვიცოდით ‘აბდ ალ-მუ’აი კომუნისტი რომ ყოფილა. არც ის, დაპატიმრებული რომ ყოფილა ოციანი წლების ბოლოსა და ოცდაათიანი წლების დასაწყისში...

აი, სწორედ ეს გახლავთ დირ ღასანა — სახელწოდება, რომელიც მითითებულია ჩემი დაბადების მონუმობაში, ხოლო გადასახლების ქვეყნების ყველა პასპორტში ავსებს გრაფას „დაბადების ადგილი“. შემდეგ მოდის „დაბადების თარიღი“: 1944 წლის 8 ივლისი.

ეს არის დირ ღასანა — სახელი, რომელიც ჩანერილია კაიროს უნივერსიტეტის არქივში დაცულ უცხოელი სტუდენტის საბუთებში, ხალიფას დეპორტაციის განყოფილებასა და

უცხოელი პატიმრების სიაში. ეს სახელწოდება ჩანერილია სხვადასხვა უცხო ენაზე შევსებულ შორეული დედაქალაქების ვიზებში. ამ სახელს ვახსენებდი ყოველთვის, როდესაც მეკითხებოდნენ: „საიდან ხარ, მეგობარო?“ უმრავლესობამ, რა თქმა უნდა, არ იცოდა ეს სოფელი და იძულებული ვიყავი, მათთვის უკეთ ცნობილი რამალა მეხსენებინა.

დირ ლასანამ დატოვა თავისი ადგილი დოკუმენტებში და რეალური გახდა. რეალურია ის მუქი ფერებით, ჭუჭყიანი გზებით, ვინრო ჩიხებით, თავისი უმინარეთო მეჩეთით, სასტუმროთი სოფლის სკვერის შუაგულში, მისი თაღებითა და გუმბათებით, იმ საქონლის სუნით, მომკლები რომ მიერეკებიან მინდვრებისა და წყაროებისკენ, სასაფლაოებით, რომლის გარშემო სიმეტრიულად განლაგებულია ეკლიანი კაქტუსები, გამუდმებით სიკვდილისა და გარდაცვლილის სიახლოვეს რომ ჩნდებიან. უმ 'ატა თავზე შემოდებული ჭურჭლით ეზიდება წყალს 'აინ ად-დირიდან წყურვილის მოსაკლავად, საჭმლის დასამზადებლად, გასარეცხად. ჩვენ კი ვიცით, რომ ხელადებიდან სტუმრებს უნდა დავუხსნათ წყალი ხელებზე, როდესაც ისინი შეექცევიან ჩვენს ლუმელში დამზადებულ კერძებს.

დირ ლასანა აღარ არის იდეა, დოკუმენტებში შესატანი მონაცემი. ის აბსტრაქციიდან გამოდის და მიყურებს, როგორ ვკვეთ მის გზებს. მალე გაჩერდება ანისის მანქანის ძრავა და ის მიცნობს კიდეც. მზადაა გამიღოს უზარმაზარი შესასვლელი, რომელიც ცხოვრების ოცდაათ წელს, ჩემს დევნილობას იტევს.

მაგრამ მის ქუჩებსა და ეზოებში მოთამაშე ბავშვებს შორის არავინ აღმოჩნდება ისეთი, ვინც მიცნობს.

\* \* \*

თრთოლვისა და გულის ფანცქალის უფლება არ მაქვს, მაგრამ მაინც რალაც კრთის ჩემში. მინდა ვნახო ვინმე, ვინც მიცნობს. აი, ის მოხუცებული კაციც კი, ხეებს შორის ნელა და ჩაფიქრებული რომ მიდი-მოდის, არ მიცნობს. არც მე ვიცნობ, არც ვკითხულობ, ვინ არის. რა სისულელეა, შენს მშობლიურ ადგილზე ასეთი შეკითხვების დასმა: „ეს ვინ არის და ის ვინ არის?“

სოფლის მოედანთან მიახლოებისას კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობა გადასახლებებისა და უმოსახლობის კვალი. ნელი პროგრესი მაინც აღწევს აქ — საკუთარი ხალხის არყოფნაში დირ ლასანას მოუვიდა დენი, სახურავებზე — ტელეანტენები, ხოლო ზოგიერთ ქუჩაზე ასფალტის საფარი გაჩნდა.

კიდევ ახლოს მივედით. დაცარიელებული სახლები თავიანთ ამბებს მჭევრმეტყველური და მრავლისმთქმელი სიჩუმით გვიყვებიან. ადვილი წარმოსადგენია მათი მინგრეული ჭიშკრები, მოშლილი სახურავები, ზღურბლები და კიბეები. როცა რამალას სევდიანი ცვლილებები ვიხილე, დირ ლასანას ასეთ გაჩანაგებას მოველოდი კიდევ. თუკი ოკუპაციამ ქალაქის წინსვლა დააბრკოლა, ადვილი წარმოსადგენია, რა მოუვიდოდა სოფელს — ცივილური ელემენტების ჩართვისა და დახმარებების ფონზე სოფლის ისტორიული უსასობა და სასონარკვეთა უფრო მძაფრად წარმოჩინდა.

სოფლის ბოლოში მაღალი მინარეთი შევნიშნე და ვიკითხე:

— ხალხმა ააშენა ის მეჩეთისთვის?

უსამმა მიპასუხა, რომ ახალი მეჩეთი აუგიათ. ჯერ კიდევ ადვილი შესამჩნევია *ჰამასის* მონოდებები — წითელი წარწერები დარ სალიჰისა და დარ რა'დის მეჩეთის კედლებზე. მოედანზე დავინახე სკოლის ნაწილი. წლების წინ დანგრეული შენობა აღუდგენიათ, მოუპირკეთებიათ. სადღაც გამიგია, რომ მემარცხენე იტალიურ ორგანიზაციას დაუფინანსებია აქ საბავშვო ბაღის აშენება. მიწის ზოგიერთი ფრთხილი მეპატრონე აღელვებულა — პროექტის „მიზნებში“ ეჭვი შეუტანიათ და შეშინებულებს მისი შეჩერება უცდიათ. ვინც კი ამ საქმეში ენთუზიაზმი გამოავლინა, ყველასთვის სერიოზული ბრალდებები წაუყენებიათ.

სოფლის მიწების ათობით მეპატრონე და მემკვიდრე მთელს მსოფლიოშია გაფანტული. ზოგიერთმა მათგანმა არც იცის, რომ დირ ლასანაში მიწას ფლობს. პრაქტიკულად შეუძლებელია მიწის თითოეული მემკვიდრისთვის ხმის მიწვდენა, რათა გაერთიანდნენ ყოველი ნაკვეთის, სახლისა თუ ზეთისხილის ბაღის დასაკანონებლად. მაგრამ ისინი დამშვიდდნენ, როცა

დაინახეს აქ მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოები და ახალი საბავშვო ბაღის სურათები.

აი, ეს არის სოფლის მოედანი. ესეც დირ ღასანას სასტუმრო... აქ ხალხი ყოველ საღამოს იკრიბება სასაუბროდ, თანაგრძნობის გამოსახატად, ქორნილის ალსანიშნად ან მეზობელი სოფლიდან თუ შორეული ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრის მისაღებად. როგორც იქნა, ჩავისუნთქე კარდამონიანი მუქი ყავის არომატი. ეს სურნელი სასტუმროს ბოლოდან მოდიოდა, სადაც იუსუფ ალ-ჯაბინი ყავას ხის საფქვავეებში მოცეკვავე რიტმების თანხლებით ფქვავდა. ჩემ წინაშეა, ჩემი ხუთივე გრძნობისთვის მისანვდომია მოედანი, სასტუმრო, ქვები — არ არის წარმოსახვითი, მე მათ ვხედავ პირველად ოცდაათი წლის შემდეგ.

ისინი წამოდგნენ ჩემ წინაშე თავიანთი ტანებით, ტანისამოსით, თეთრი ჩალმებით, სახეებით. ისე ადგნენ, თითქოს გარდაცვლილნი არ ყოფილიყვნენ. დევნილობაში დაწერილ ჩემს ერთ ლექსშიც შეაბიჯეს. მამაჩემი, ბიძია იბრაჰიმი, ბიძია აბუ ფახრი, აბუ 'ავდა, აბუ ტალიბი, აბუ ჯავდათი, აბუ ბაშირი, აბუ ზუჰაირი, აბუ 'იზათი, აბუ მუტი'ი, აბუ მუ'თადილი, აბუ რასიმი, აბუ საიფი, აბუ ადელი, აბუ ჰუსეინი — ისინი წამოიშალნენ ფერადი ზოლიანი ჭილობიდან, რომელიც ყოველთვის ცოცხლობდა ჩემს მოგონებებსა და წარმოსახვებში.

**ნეტავ იმ სურვილს, ძალისხმევას იმ კაცებისა,  
ეს სასტუმრო რომ ააშენეს —  
გულუხვობის სახლი, კეთილშობილების სახლი,  
ამა ქვეყნის ძლიერთა მასხრად აგდების სახლი,  
კამათით გაგრძელებული საღამოების სახლი,  
მთელი მსოფლიოს ახალი ამბების, „ნიუსებისა“  
და „ახბარების“,  
თითქოს მათ ფეხქვეშ დაგებული ჭრელი ხალიჩა  
გაერო იყო.**

მაგრამ ისინი არ აღმდგარან — არც სოფლის თავკაცი, არც მომკალი; არც ისინი, ვისაც ვუყვარდით, არც ისინი, ვისაც



ვძულდით, არც კარგები და არც ცუდები. ისინი დაბერდნენ სიკვდილში და მათი ადგილებიც დაძველდა. ყველაფერი დაძველდა.

მას შემდეგ, რაც ბავშვური გულუბნელობა უკან მოვიტოვე, აღარ მსურს, ეს ადამიანები ისეთებად დავინახო, როგორებსაც მათ წარსულში ვიცნობდი. არ მინდა, დირ ლასანა აღვიქვა ისეთად, როგორიც იყო, როცა მე, ბავშვი, ვცხოვრობდი აქ. მე ვიცი, რას ნიშნავს დრო, რომელიც გადის. თუმცა ეს არ არის მეტაფიზიკური განსჯის საგანი. ვიცი, რას ნიშნავს ოკუპირებული სოფლები და ქალაქები.

ბოლო დღეების მანძილზე რამალამ ბევრი მიაშობო იმაზე, რაც ოკუპაციამ დაუშავა. ახლა სოფელი იმავეს მიყვება. ხანგრძლივი არყოფნიდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც ყველაზე ძლიერი ადამიანიც კი მოგონებათა რომანტიკულ ბურუსში ამოჰყოფს თავს, მე ცრემლიც არ მომრევია დირ ლასანას წარსულის გამო და არც მიცდია, სოფელი ისეთად აღმედგინა, როგორიც ის ჩემს ბავშვობაში იყო. მხოლოდ ოკუპაციის დანაშაულის გარშემო გაჩენილმა შეკითხვებმა დამაფიქრა იმაზე, თუ რამდენად დიდი იყო ისრაელის მიერ განხორციელებული „დაბრკოლების“ ხარისხი.

ყოველთვის მჯეროდა, რომ ნებისმიერი ოკუპაციის ინტერესებში შედის „სამშობლოს“ გადაქცევა მისი ხალხის მახსოვრობაში არსებულ „სიმბოლოთა თაიგულად“. მხოლოდ სიმბოლოები... არასოდეს მოგვცემენ იმის საშუალებას, რომ ჩვენი სოფელი განვაფიქროთ, მასში ქალაქური ცხოვრების შტრიხები შევიტანოთ. არც იმის საშუალებას მოგვცემენ, რომ ჩვენი ქალაქი თანამედროვე სივრცედ ვაქციოთ. მოდით, გულახდილები ვიყოთ: როცა სოფელში ვცხოვრობდით, განა ქალაქს არ ვესწრაფოდით? განა არ გვსურდა პატარა, უბრალო, შეზღუდული დირ ლასანას დატოვება და რამალამში, იერუსალიმსა თუ ნაბლუსში გამგზავრება? განა არ ვნატრობდით, რომ ეს ჩვენი ქალაქები კაიროს, ბაღდადის, ბეირუთისა და დამასკოს მსგავსი ყოფილიყო? მისწრაფება ყოველთვის სიახლისკენაა მიმართული.

ოკუპაციამ გვაიძულა, ყველაფერი უცვლელად, მოძველებული დაგვეტოვებინა. სწორედ ამაშია ის დამნაშავე. მას არ ჩამოუცილებია ჩვენთვის გუშინდელი თიხის ღუმელები, მაგრამ ჩამოგვაშორა იმის საიდუმლო, რაც ხვალ უნდა შეგვექმნა. აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ აღ-აბრაშის აქლემი უკან მოვითხოვო. მე ისე მენატრებოდა და მინდოდა დირ ლასანას წარსულთან შეხვედრა, როგორც ბავშვს სურს ძვირფასი დაკარგული ნივთების პოვნა. მაგრამ, როცა ვნახე, რომ წარსული ისევ იქ იყო, სოფლის მოედანზე, მზის გულზე გაედგა ფესვი და იჯდა პატრონის მიერ მიტოვებული და მივიწყებული ძალღივიტ, მომინდა, ხელი ჩამეგლო მისთვის, წინ გამეგდო თავისი მომავალი დღეებისკენ, უკეთესი მომავლისკენ და მეთქვა: „გაიქეცი!“



## სოფლის მოქალაქე

რომანტიკისთვის ზურგი არ შემოქცევია ხელოვნებაში გაბატონებული მოდისა თუ მიმდინარეობების გამო. თვითონ ცხოვრებამ დაანგრია ადამიანთა რომანტიზმი. ცხოვრებამ მოგვცა ბიძგი, რეალობის მტვერსა და ჭუჭყში გადავშვებულიყავით.

მხოლოდ შენობებს როდი ანგრევს დრო? პოეტის წარმოსახვებიც ნგრევისთვისაა განწირული. უეცრად, ჩემი წარმოდგენები შენობასავით ჩამოირღვა. სწორედ მაშინ განადგურდნენ სამუდამოდ, როდესაც ყველა მათგანი ერთ მთლიანობაში დავინახე ისე, თითქოს გადარჩენილიყვნენ. სოფლის სასტუმროში აღარაფერი იყო უმათობის გარდა. თავზარდაცემას ახლა აზრი არ აქვს.

ვფიქრობდი, თუ შეიძლებოდა შემედარებინა ეს მომენტი ჩვიდმეტწლიანი აკრძალვის შემდეგ ეგვიპტეში დაბრუნებასთან. ვერც მაშინ დამეუფლა რომანტიკული განცდა, ისეთი, მელოდრამის მოყვარულებს რომ სჩვევიათ. არადა, მაშინაც ხომ დავუბრუნდი ქალაქს, რომელშიც ვსწავლობდი, ვმუშაობდი, ვცხოვრობდი წლების მანძილზე.

რადგამ შემატყობინა, რომ პეტიციების წერისა და თხოვნა-ვედრების წლები გასულიყო და ჩემი სახელი კაიროს აეროპორტში აკრძალულ პირთა სიიდან ამოეშალათ. შემეძლო დაბრუნება და ჩემს ოჯახთან ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ცხოვრება. იმ დროს ამანში გახლდით და კასაბლანკაში გასამგზავრებლად ვემზადებოდი. არაბ მწერალთა კავშირის მიწვევით მონაწილეობა უნდა მიმეღო არაბული პოეზიის ფესტივალზე, რომელიც, როგორც წესი, მწერალთა კონფერენციის პარალელურად იმართებოდა ხოლმე. რადგა კი კონფერენციაში იღებდა მონაწილეობას.

მან ორი დღით ადრე დატოვა კაირო, ვიდრე მე ამანი და კა-საბლანკაში, სასტუმროში შევხვდით ერთმანეთს. მისაღებში შევედი. რადგა მეგობრების ჯგუფს გამოეყო და ხელგაშლილი ჩემსკენ გამოქანდა იქვე მჯდარი მწერლების კომენტარების ფონზე, რომლებიც მაროკოულ ჩაის შეექცეოდნენ.

ამ ჯერზე ჩემი ჩემოდანი საკმაოდ დიდი და ტევადი იყო. ის ორი კვირით ჩამოსული ადამიანის ტანსაცმელს კი არ იტევდა, არამედ იმ კაცისას, მუდმივ საცხოვრებელს რომ უბრუნდება. ჩვენ ყოველდღე ვურეკავდით თამიმს, რომელმაც შინ სამუდამოდ დასარჩენად მომავალი მამის ლოდინი დაიწყო.

მე რადვას კი არ დავუბრუნდი, მასთან ერთად დავბრუნდი. თითქოს ხელი ჩამკიდა და უკან წამიყვანა — სახლში, საიდანაც ძალით გამომათრიეს შემოდგომის ერთ საძაგელ, შორეულ დღეს და მას და თამიმს ჩამომაშორეს.

აეროპორტთან მოსულმა თამიმმა ყოველგვარი მოთმინება დაკარგა მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა — აეროპორტიდან გამოსვლა უცებ ვერ მოხერხდებოდა.

კაიროს აეროპორტი განსაკუთრებულად რთულია მოუთმენელი მგზავრისთვის. ყველა პროცედურა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, რაც გამონვეულია იმით, რომ იქ მომუშავე ადამიანები ფიქრობენ, სამუშაოს კარგად ვასრულებთო. (ეს უბრალოდ მოსაზრებაა).

ჩვენს ბინაში ღამე შევედით. (რა უცნაურია, ყველა დაბრუნება ღამე ხდება, ღამე ხდება ქორწილებიც, დაპატიმრებებიც, სიკვდილიც, ნერვიულობაც, ღელვაც, სიამოვნებაც და დიდი სიხარულიც).

საერთოდ არ გვიძინია. სამივე ჩვენგანი ბუტბუტებდა საკუთარ ცხოვრებაზე სხვადასხვა სახლებში, რომელიც ამიერიდან ერთი გახდა ჩვენთვის.

დღეები გავიდა და თანდათან მივხვდი, რომ უცებ ვერ გრძნობ ბედნიერებას, როდესაც ცხოვრება შენს წისქვილზე დაასხამს წყალს. შეუცვლელი არ ხვდები სიხარულის მომენტს, რომელსაც წლების მანძილზე ელოდი. წლები განევს მხრებზე და ნელა, შენთვის ზარების რეკვის გარეშე ასრულებს თავის სამუშაოს.

მე დავბრუნდი მას შემდეგ, რაც მუნიფი მივაბარე სამუდამო სამყოფელს, საიდანაც აღარავინ ბრუნდება; მას შემდეგ, რაც დედაჩემს მომავლის შიში დაეუფლა. თამიმი სკოლის დამამთავრებელი გამოცდისთვის ემზადება. ეს კომმარია ყოველი ეგვიპტელი მოსწავლისთვის. როდესაც მომაკითხეს, აივნიდან მის სველ გარეცხილ ჩვარს ვფენდი, ნოემბრის ქარი უმოწყალოდ რომ აფრიალებდა. მაშინ თამიმი ხუთი თვის იყო. ჩვილის ბედნიერი გამოხედვით ძუძუს ნოვდა შალის სახვევებში გახვეული და სათუთ სახესთან სულ ახლოს მიტანილ ძუძუსთავს აკვირდებოდა. ახლა კაცია, წვერს იპარსავს. სამი წლის წინ ვუყიდეთ წვერის საპარსი და ტანსაცმელი, რომელიც სულ ერთი ზომით იყო ჩემზე პატარა.

ერთმანეთისგან უნდა გამომეყო აბსურდული წარსული; კონკრეტული ანმყო, რომელიც სწორედ ახლა იძენდა ფორმას რადევასთან და თამიმთან ერთად ჩვენს სახლში; და მომავალი, რომელიც მხოლოდ ჩვენს გადაწყვეტილებაზე არ იყო დამოკიდებული. შეუძლებელი აღმოჩნდა ხსოვნის დაყოფა წარსულ მოწყენილობად და ახლადშეძენილ კომფორტად. ხსოვნა ხომ მათემატიკური გადაწყვეტებითა და გამოთვლებით დახაზული გეომეტრიული ფიგურა არ არის, სადაც დიდ სიხარულს მხრებით ნაზიდი ტკივილის გვერდით მოვათავსებდით. ყველა ჩვენგანის სურვილის მიუხედავად, საჭიროების სასწორის პინები გათანაბრებული არ იყო. სამივეს გვეჭირდებოდა ერთი და იგივე სიახლოვის განცდა იმავე დროს და იმავე ხარისხით. ერთმანეთს დაეტაკა ახლის დასაწყისთან და დამსხვრეული წარსულის აღდგენასთან დაკავშირებული შეგრძნებები. „შინ დაბრუნების“ სიცხადე ოჯახის საერთო მომავლის გაურკვევლობითა და შორეულ ადგილებში გაჩენილი გრძნობებით იყო სავსე.

ჩვენ უნდა გადაგვეტანა „გადასახლების სიცხადეც“ და ახლა უკვე „დაბრუნების გაურკვევლობაც“. ჩვენ ეს მოვახერხეთ. ყველამ გავიაზრეთ — და ეს აღმოჩენა იყო — რომ ის, ვინც ბრუნდება, ტვირთი მოაქვს მხრებით, ტვირთი, რომლის დანახვა მგრძნობიარე ადამიანს ისევე არ გაუჭირდება, როგორც ორად მოკაკავული მებარგულისა — პორტის ნისლში.

ახლა ყველაზე მეტად აუჩქარებლობაა საჭირო. ნარსულის ვიბრაციას დასამშვიდებლად დრო დასჭირდება, დრო დასჭირდება, რათა ფორმა ნახოს და მოისვენოს. მას ილუზიონისტის სიდინჯე სჭირდება, დახვეწილი სიდინჯე, რომელიც საშუალებას მისცემს გრძნობებს, სული მოითქვან და ჩვენში ნაზად განაგრძონ ცხოვრება. ეს გრძნობები კი უცებ, ერთი ხელის მოსმით არ ჩნდება. აუჩქარებლობა გვასწავლის, როგორ მივიღოთ ახალი, როგორ ჩავთვალოთ ის ბუნებრივად და ჩვეულად. ნელა და თანდათან უნდა ვიცხოვროთ ახლებურად.

ერთად ვისწავლეთ ეს. სახლმაც ისწავლა ჩვენი ისევ ერთად დანახვა. ის ეჩვევა ჩვენს ერთსა და იმავე დილას დაჭმუჭნული ღამის პერანგებითა და ნახევრადლია თვალებით, ჩუსტებს რომ ეძებენ და აღმოაჩენენ, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი ყავის საყიდლად უნდა წავიდეს, რადგან წინა საღამოს ის ისე გამოგვლევია, რომ ვერც შევამჩნიეთ. რადგა ჩვიდმეტ წელიწადს ელოდა ჩემს დაბრუნებას. როცა დავბრუნდი, ჩვიდმეტი წელი თან მოვიტანე და იგივე დრო იყო მასთან.

დეპორტაციის შემდეგ, ყოველთვის, როდესაც მცირე ხნით კაიროში მიშვებდნენ, დროის უმეტესობას შინ ვატარებდი. ვუყურებდი ბინას: ყავისფერ ტახტს წიგნების თაროებს გვერდით, ფარდებს სხვადასხვა აბსტრაქტული გამოსახულებებით, ფანჯარასთან მიმდგარ პატარა მაგიდას, შავად გაკეთებულ ჩანანერებსა და გამოტოვებულ წინადადებებს. ყოველი დროებითი დაბრუნება წინადადების მეორე ნაწილს ასრულებდა, რადგან ყველა გადაადგილება ნახევრადწინადადებაა, ნახევრადყველაფერია.

შენს ადგილს უცებ გწყვეტენ, წამში, მაგრამ დაბრუნება ძალიან ნელი პროცესია. საკუთარ თავს ყოველთვის ჩუმად აკვირდები დაბრუნებისას. შორეულ ადგილებში გატარებული დროც აკვირდება და ინტერესდება, რას აკეთებს უცხო თავის ადგილას, რომელსაც დაუბრუნდა, და რას უკეთებს ის ადგილი დაბრუნებულ უცხოს.

სულ სხვაა ქალაქთან ურთიერთობა. კაიროში ჩემი ხანგრძლივი არყოფნისას ყველაფერი თავისთავად დალაგდა. ყოველ-

ნაირი მეგობრობა თავისი იმპროვიზებული გზით წარიმართა. ზოგიერთი საგზაო ნიშანი თავის ადგილზეა. ყავის მაღაზია და უხურავთ. მეგობრებს ახალი კაფე გამოუნახავთ. ახალი დაჯგუფებებიც გაჩენილა და მტრობაც. ხელახლა გადანანილდა პოზიციები, ამბიციები და ერთგულება. ყველას გაუნერია საკუთარი ყოველდღიური რეჟიმი, სადაც ახალჩამოსულისთვის ძნელი აღმოჩნდა ადგილის პოვნა. წარსულის მეგობრები ჩემთვის უკვე გაუგებარი აუცილებლობისა და არჩევნის კარნახით ცხოვრობდნენ. იმ ადამიანთა ხვედრი, რომელთან ერთადაც გავედი ცხოვრების გზაზე, სულ სხვა მიმართულებით წარმართულიყო — ერთი გავლენიანი გახდა, მეორემ თავისი ნიჭი დაკარგა, თუმცა, სხვა შესაძლებლობები გამონახა; მესამე რედაქტორი გახდა, მეოთხე საზღვარგარეთ მუშაობს, მეხუთემ სულაც დაგივინყა, ხოლო მეექვსე შენ დაგივინყებია.

1973 წელს რადვამ მითხრა, რომ მასაჩუსეტის შტატში სურდა სწავლის გაგრძელება და დისერტაციის დაცვა. მოწონებით შევხვდი ამ აზრს. ის წავიდა და მუჰანდისინში, ჩვენს ბინაში ორი წელი მარტომ გავატარე. სახლი ყოველთვის სავსე იყო მეგობრებით. ზოგიერთ მათგანს უკვე მოესწრო კულტურის არენაზე გამოსვლა, ზოგი რეჟისორობას აპირებდა, ზოგი თეატრსა და მუსიკაში იკვლევდა გზას, მაგრამ უმრავლესობა პოეტობდა. ჩემი პოეზიის პირველი კრებული 1972 წელს გამოვიდა და ამდენად, იმ თაობის ბევრ ხელოვანს კარგად ვიცნობდი. როდესაც კაიროში დავბრუნდი, ეს საზოგადოება დაშლილი და გაფანტული დამხვდა. სიკვდილისა თუ სხვა ბედუკუღმართობის გამო აღარასოდეს შევხვედრივარ სამოცდაათიანელების ამ ჯგუფს ცალკეული შემთხვევითი შეხვედრების გარდა.

როდესაც ხვდები მეგობარს წარსულიდან, ნათლად ხედავ, რომ ყველაფერი შეცვლილია. ერთხელ ჩემს უნგრელ ნაცნობს, რომელიც ბუდაპეშტში ფედერაციის ჟურნალის გამოცემაში გვეხმარებოდა, ვუთხარი:

— ყველა მეგობარმა გოგონამ მიმატოვა, ყუჟა. რა ვიღონო მათ დასაბრუნებლად?

ყოველთვის მემახსოვრება მისი პასუხი:

— უნგრელებს ერთი გამოთქმა გვაქვს: „კომბოსტოს კერძი შეგიძლია შეათხო, თუ გაცივდა, მაგრამ მას აღარასოდეს ექნება პირვანდელი გემო.“

იმ ადრეული დღეების გემო დაიკარგა. დიდად არ მიყვარს ადამიანურ ურთიერთობებზე საჭმელების სახელთა მოშველიებით ლაპარაკი, მაგრამ ხალხური სიბრძნე ყოველთვის არაჩვეულებრივია ამა თუ იმ მდგომარეობის შესაფასებლად.

კაიროში დაბრუნებისას მივხვდი, რომ როცა რალაცას დაკარგავ, მისი პოვნისას შეუძლებელია აბსოლუტური ბედნიერება და კმაყოფილება იგრძნო. გაცეცხული ვიყავი, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დავდიოდი მიწაზე, რომელიც წლების მანძილზე ავსებდა და ამოდრავებდა ჩემს წარმოსახვას, ეს წარმოსახვა მუშაობას მაინც განაგრძობდა.

რა დაიკარგა იმაში, რაც ვიპოვე? ტროტუარების განსაკუთრებულობა, რომელზეც მივაბიჯებ? მზის ამოსვლისა ან მზის ჩასვლის ფერი? ფეხის ხმა, რომელსაც ველოდი და გავიგონე კიდეც ერთ უკაცრიელ ღამეს? ერთ ადრეულ დილას ცაზე გამოსახული ღრუბლის ფიგურები? რომელიღაც ქუჩის შუა ნაწილში ჩამწკრივებულ ხეთა რიგი? პრობლემა ყოველთვის ესაა — ორი დროის შეერთებისა და დაკავშირების პრობლემა. ეს შეუძლებელია. დრო არ არის მიტკლის ან შალის ერთი სიგრძე. დრო ღრუბლის ნაჭერია, რომელიც სულ მოძრაობაშია.

\* \* \*

ეს ბიძია აბუ ფახრის საფლავია.

აქ, ამ მიწაში განისვენებს „მეფე“, გოლიათი სასიამოვნო ხმით. მის გარეგნობაში დე გოლისა და ენტონი ქუინის ნარევს დაინახავდით. გამუდმებით სიგარეტს აბოლებდა, რომელსაც თავად ტენიდა უვარგისი თამბაქოთი — ჰაიშათი. ის ერთადერთი სოფლელი იყო, რომელიც ეწეოდა. ახალი სამოსით მხოლოდ ერთი დღე შეეძლო, თავი მოეწონებინა. მეორე დღიდან ტანსაცმელზე სიგარეტისგან გაჩენილი ამომწვარი ადგილები ჩნდებოდა. ერთხელ გამაოცა მისმა ნათქვამმა:

— ბიჭო, ბიძაშენი პორტ საიდში წავიდა.



— იქ რა გინდოდა?

ისე მიპასუხა, თოთქოს ყველაზე სულელური შეკითხვა დემსვას:

— იმისთვის, რომ პორტ საიდში ნავსულიყავი.

ერთ ღამეს ალ-ბიტარას იარალი დატენა და დირ ლასანასთან ახლოს მდებარე თავისი ზეთისხილის კორომისკენ გაემშურა, რადგან გაიგო, რომ იქ ქურდები შეპარულიყვნენ. როცა დაბრუნდა, საჩვენებელი თითი შეხვეული ჰქონდა — საკუთარ თავს ესროლა თურმე.

ბიძია აბუ ფახრის მთელი შემოსავალი ზეთისხილი იყო. მოსავალი სეზონურია, ამიტომაც უსაზღვრო გულუხვობის გამო მას ხშირად ნახავდით ისე, ჯიბეში ერთი პიასტრიც რომ არ ეგდო. მეგობრების წრეში უკეთ გრძნობდა თავს, ვიდრე დეიდაჩემ უმ ფახრისთან, რომელსაც ბიძაჩემის უკიდურესმა ხელგაშლილობამ უკიდურესი თავშენახულობა ასწავლა. ერთხელაც, როცა უმ ფახრი შინ არ იყო, აბუ ფახრიმ მოაგროვა მთელი სოფლის ბავშვები და მათ თავისი შვილიშვილების ტანსაცმელი დაურიგა, რომელიც მის ცოლს სამუდამოდ უნდოდა, შეენახა. შემდეგ მეუღლის გაბრაზების შეეშინდა. მოიტანა თოკი და თავი მიიბა სკამზე. უკან დაბრუნებულ უმ ფახრის უთხრა, რომ ქურდები დაესხნენ და ბავშვების ტანსაცმელი მოიპარეს. დეიდაჩემი ჭკვიანი ქალი იყო. არ დაუჯერა. ეს ამბავი კი ოჯახის ანეკდოტად იქცა.

უმ ფახრი ძალიან ტანმორჩილი ქალი იყო. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი ხდებოდა, როცა ქმრის გვერდით მოდიოდა. როდესაც ამანიდან ბრუნდებოდნენ, ხიდთან ისრაელის ჯარისკაცმა პირველად აბუ ფახრის საბუთები შეამოწმა და მიუთითა, გზა გაეგრძელებინა. მან კი უპასუხა, ცოლს დაველოდებო. ებრაელმა უზარმაზარ აბუ ფახრისა და მის ცოლს გახედა. შემდეგ დამტკრეული არაბულით ჰკითხა:

— რამდენი წელია, რაც ერთად ხართ?

— ორმოცდაათი.

ებრაელმა გაიღიმა:

— ვირი!

— ხედავ, უმ ფახრი, მიცნობს!

წერა რომ ვისწავლე, წერილებს აბუ ფახრის ვწერდი. ჩვენი ნათესავებიდან მასსავით არავინ მყვარებია. ბუდაბეშტში გავიგე, რომ გარდაიცვალა. მისი შვილები საუდის არაბეთში, ემირატებში, ავსტრიაში, სირიასა და იორდანიაში წავიდნენ. თავის სახლში არავინ დარჩა.

გამოვიგლოვე აბუ ფახრი და მისი ვაჟი. ფახრიც მამას ჰგავდა — გულუხვი და მხიარული იყო. სიტყვამოსწრებულმა უამრავი ანეკდოტი იცოდა და ისეთი განსაკუთრებული, საკუთარი ლექსიკა ჰქონდა, რომ ყოველი მისი თანამოსაუბრე სიცილისაგან იგუდებოდა. ერთხელ ბუდაბეშტშიც მომაკითხა მეუღლესთან, სუ'ადთან და პატარა ქალიშვილთან, მოლისთან ერთად. რამდენიმე წელიწადში ის საუდის არაბეთში გარდაიცვალა და იქვე დაიკრძალა.

აი, იუსუფ ალ-ჯაბინის მაღაზიაც. ის გახლავთ გლეხი, პარიკმახერი, დაბქას დიდებული შემსრულებელი. საერთო კედელი სასტუმროსთან ჩამონგრეულა, ჭერიც ჩამოქცეულა და შესასვლელი ღორღით ავსებულა.

მოვუახლოვდით.

აქ ნუშის მინდორი იყო, რომელიც უმ ნაზმის ეკუთვნოდა. ის ვერ იტანდა, თუ ერთი ბავშვთაგანი მისი ვეებერთელა ხეებიდან ერთ ცალ ნუშს მოწყვეტდა. ახლა ეს ადგილი სასაფლაო გამხდარა. უმ ნაზმის აუცილებლად უნდა მოვუხადო ბოდიში იმ სახისთვის, რომლითაც ის ერთ-ერთ ლექსში წარმოვაჩინე:

**დაბუდებულა ჩვენში ქურდობის ბავშვური ჟინი,  
ვუცდით, მოხუც ქალს თავს ანაზღად  
როდის დავესხეთ,  
ქალს, რომლის სახეც დასველებულ ნამცხვარს  
მიაგავს,  
რომ მოვიპაროთ ნუში მისი სახლის ეზოდან.  
ჩვენ გვსიამოვნებს, როცა ქალი ამას ვერ ამჩნევს.  
თუ დაგვინახა, ხომ მეტია სიამოვნება,  
მაგრამ ყველაზე კმაყოფილნი მაშინ ვართ მაინც,  
ერთ-ერთ ჩვენთაგანს როცა მისი წკეპლა მოხვდება.**

საუზმის შემდეგ ანისმა დაიჩემა, მცირე ხნით მასთან მოგვესვენა. დიდ, მრავალთახიან სახლში მორღვეული ჭიშკრით შევედით. შესასვლელში ნანგრევ-ნამსხვრევების პატარა გორა იდგა.

აქ შაჰიმა და ზაღლულა ცხოვრობენ. ორივე სამოცდაათ წელს გადაცილებულია. არასოდეს ყოფილან ქორწინებაში. ორივე დაბალია, მაგრამ ზაღლულა ცოტა უფრო დაბალია შაჰიმაზე. სახეზე ზუსტად ერთნაირი ნაოჭები აქვთ. მარტო ცხოვრობენ ამხელა დაქცეულ სახლში, თუმცა უკვე წლებია, არ ელაპარაკებიან ერთმანეთს — გამუდმებით ორმხრივი შუღლის მდგომარეობაში იმყოფებიან. როცა ჭიშკარი ჩამოინგრა, აბუ ჰაზიმი ეხუმრებოდა ამანში მცხოვრებ ნათესავებს — ორი ქალი შვეულმფრენით შეფრინდა და გამოფრინდაო სახლიდან.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებულმა ანისმა ერთი ოთახი ისე შეარემონტა, რომ იქ ცხოვრება შეძლებოდა. სიცხისაგან გასავათებული და ღონეგამოლეული ვიყავი. პერანგი გავიხადე და შიშველი მკერდით და განზე გაშვერილი ხელებით დავნექი ცივ იატაკზე. ხმაურმა გამაღვიძა — ყველა მოედანზე წასასვლელად ემზადებოდა. რომელი ლექსები უნდა წავიკითხო ამ საღამოს?

აბსოლუტურად ყოველი გამოსვლის წინ ვეკითხები ჩემს თავს — რა უნდა წავიკითხო? ეს შემთხვევა მაინც გამონაკლისია. ჩვევად მაქვს, არჩევანი ბოლო წუთებში გავაკეთო, როცა უკვე აუდიტორიას სცენიდან შევავლებ თვალს.

როცა ლექსს ვწერ, მსმენელი გამოკვეთილი არ არის, მაგრამ როდესაც მის წაკითხვას მთხოვენ, პოეზიის მიმღები უკვე განსაზღვრულია. მხოლოდ ეს მეხმარება გადაწყვიტო, როგორ მოვიქცე. მართალია, მე კონკრეტული აუდიტორიისთვის არ ვწერ, მაგრამ სწორედ მათთვის ვკითხულობ. ყოველთვის ამ ხერხის ერთგული ვიყავი, რაც მეხმარებოდა ჩემსა და მსმენელს შორის არსებული ნაპერწკალი ცეცხლად მექცია, ეს მეც მეგრძნო და მათაც.

მასხოვს ჩემი ცალკეული გამოსვლები ამანსა და კაიროში, თუნისსა და მაროკოში. დღევანდელი საღამო განსაკუთრებით დამაბნეველია. სურთ მათ საერთოდ, პოეზიის სმენა? იქნებ ახა-

რებთ ჩემი დაბრუნება, ის, რომ ცოცხალი და უვნებელი ვარ და უბრალოდ იმას აკეთებენ, რაც ამ დროს მოეთხოვებათ? ჩვეულებისამებრ, უკანასკნელ წამებს მივანდე ჩემი არჩევანი და სასტუმროს წინ მოწყობილ პატარა, იმპროვიზებულ სცენაზე ავედი.

აი, მათი სახეებიც. მოხუცები, რომლებიც სიკვდილს გაექცნენ და ახალგაზრდები, რომლებმაც დარჩენა მოახერხეს. მათ უკან სხედან ბებიები, დეიდები და ორმოცდაცხრა ქვრივი. რაც შეეხება ბავშვებს, ისინი არ ჩერდებიან, იქით-აქეთ დარბიან ცოტა გაოცებულები — მათი სოფლის მოედანი თეატრად ქცეულა. ჰუსამმა და ანისმა მიაბმეს, რომ რამდენიმე ახალგაზრდას 1949 წელს ამ მოედანზე, მეჩეთის სახურავზე გაუმართავს წარმოდგენა.

სანამ სცენაზე ავიდოდი, იქ მსხდომთ ჩამოვუარე და ხელი ჩამოვართვი — კაცები, ქალები, ბავშვები. ზოგიერთს ვახსოვარ. ზოგს მუნიფი ახსოვს. ყოველ მათგანს ახსოვს მამაჩემი — ალ-ჰამიმს ეძახიან, რაც „მგრძნობიარე გულისას“ ნიშნავს. ანისი და ჰუსამი ზრდილობიანად წარმიდგენენ ადამიანებს, რომელთა სახელები, შესაძლოა, დავინწყებული მქონდეს:

— ეს ალ-‘აფუა, აბუ-ლ-‘აფუს ვაჟი. — მეუბნება ჰუსამი.

თბილად ვართმევ ხელს მაღალ, ქერა, წარმოსადეგ ახალგაზრდას, რომელიც საოცრად ჰგავს მამამისს. ალ-‘აფუს ქორწილში კარგა ხნის წინ ვიყავი ამ მოედანზე.

— ესე იგი, შენ მისი ვაჟი ხარ!

წამიერად წარსულის სცენა მიდგება თვალწინ: თხელი აღნაგობის თეთრპერანგა მუნირ აბუ ზაქი დაბქას მწკრივში პირველი დგას. მისი ძმის ფახრის (რომელიც მოგვიანებით აბუ ალ-‘აფუ გახდა) ქორწილია. სოფლის გოგონები მეჩეთის სახურავზე შემომსხდარან — მღერიან, ტაშს უკრავენ, მხიარულ შეძახილებს წამოისვრიან. მხოლოდ აბუ ზაქის შეუძლია მათი დანახვა გაშლილ ვერანდაზე, დანარჩენმა ჩამწკრივებულმა მოცეკვავეებმა, რომლებიც მეჩეთისკენ ზურგით დგანან, თვალი არ უნდა მოაშორონ თავიანთი წინამძღოლის ფეხის მოძრაობას.

ბავშვი ვიყავი, როცა ამ ქორწილის მოწმე გავხდი. ახლა ვდგავარ და სოფლის ისტორიაში პირველ პოეტურ საღამოს

ვანყო. არ ვიცი რატომ, მაგრამ როდესაც ყველა მოცეკვავე მიმოიფანტა, მხოლოდ აბუ ზაქის ცეკვა შემორჩა ჩემს მეხსიერებას მთელი ამ წლების მანძილზე. აბუ ზაქიმ შარჯაჰს მიაშურა, აბუ ალ-‘აფუ გარდაიცვალა. მე კი ცხოვრებამ დირ ლასანადან რამალაში, კაიროსა და ქუვეითში, ბეირუთსა და ბუდაპეშტში გადამაგდო. ბუდაპეშტში დავწერე ლექსი „გრძნობათა მოზღვავება“.

დირ ლასანას მოედანზე ვდგავარ. ჩემს უკან სასტუმროს კედელია, მარცხნივ — დარ სალიჰი, მარჯვნივ — მეჩეთი, ხოლო წინ — ჩვენი სახლის, დარ რა‘დის კედელი.

მუნიფის სხეული ავსებს ამ ადგილს. ის არც მოჩვენებაა და არც ხსოვნა. თვითონ მუნიფი — მაღალი, სათვალისანი, ღია ფერის სახით, გადავარცხნილი თმით დგას ამ დანგრეულ მოედანზე, სადაც ის სწავლა-განათლებისა და აღდგენითი სამუშაოების გეგმებს აწყობდა. უნდოდა, ის ღია თეატრად გადაეკეთებინა, სამსახიობო სტუდია გაეხსნა, საბავშვო ბაღი და სოფლის მეურნეობის კოლეჯი აეშენებინა. მას სურდა დაძველებული გუმბათებისთვის, ჭიშკრებისთვის და თაღებისთვის პირვანდელი დიდებული სახე დაებრუნებინა.

ერთხელ ერთ ძველ ფრანგულ სოფელ ივუარში ვახლდი. მოვიხიბლე მისი ყვავილებით, მრავალფეროვანი და მდიდარი კულტურული ცხოვრებით. მუნიფმა მითხრა:

— რომ მიგვეხედა, დირ ლასანა ივუარის მსგავსი და უკეთესიც იქნებოდა.

დიახ, ყველაფერი ჩემ გარშემო, ყველაფერი ჩემში მკარნახობდა, რომ საღამო მუნიფისადმი მიძღვნილი ელეგიით უნდა დამეწყო. მინდოდა, ჩემი ენით მაინც დამებრუნებინა აქ. მინდოდა, ჩემ გვერდით ყოფილიყო.

**სიყვარულით სავსე იყო ისეთი,  
მზრუნველობით დედასაც რომ ჩრდილავდა,  
მისი სახე მომლიმარი უნდოდა, რომ ენახა,  
და შიშობდა, დედის შალის სამოსში  
დარდიანი ძაფიც არ დაენახა.**

**ვინ გაბედა, მოედრიკა ტანი კვიპაროსივით  
და ცახცახი აეტეხა ჰაერში,  
იმის მხრებს რომ აკრავდა?  
ვინ გაბედა, მოესწრაფა ის ხმა უკანასკნელი,  
მთელს სამყაროს სილამაზის საშველად  
რომ ეძახდა?**

წავიკითხე „ბაბ ალ-‘ამუდი“ და სხვა მოკლე ლექსები. ჩემი მსმენელი ამოძრავდა — იცინოდნენ, ნაღვლიანდებოდნენ. ძლიერი, ყოვლიმომცველი იყო მათი არსებობის შეგრძნება.

მიუხედავად იმისა, რომ ოსლოს გამო შეწყდა ინთიფადას გამოსვლები, დარ რა‘დსა და მეჩეთის კედლებს ლოზუნგები ფარავდნენ ყველგან, სადაც ცარციით ან საღებავით დაწერა შეიძლებოდა. მათ უმრავლესობას ჰამასის მონოდებები წარმოადგენდა. გონებას პოლიტიკისა და პოლიტიკოსების კატასტროფებზე ეფიქრება, მაგრამ ეს ხომ პოეზიის საღამოა. დააცადე აზრებს, ჩამოყალიბდნენ. დაალაგე ისინი გულში უხეში ღორღის ნარჩენებთან ერთად.

ამ ხალხს აღარ უნდა სიუხეშე. მოდი, შენს პოეზიაში იყოს თუნდაც უმნიშვნელოდ გამოკვეთილი მინიშნება იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს ცხოვრება თავისი გზით მიდის. ყველას გავახსენე აბუ ალ-‘აფუს ქორნილი. მუნირ აბუ ზაქის მივუძღვენი ლექსი (სადაც არ უნდა იყოს ახლა) და წავიკითხე:

**ქორნილში გოგომ ჩაუკრა თვალი — რაღაც ანიშნა  
ბიჭი გაგიჟდა!**

**და თითქოს ხალხი, ნათესავები, მშობლები, ღამე,  
დაბქას ცეკვაში მონაწილე ბიჭების მხრები,  
მამასახლისი, დეიდები, ბიძები, დები —**

**აღარავინ ჩანს,  
მხოლოდ მას ხედავს!**

**ბიჭის თავშალი დაუღლელად ირხევა ღამე,  
ხოლო ის გოგო, სუფთა შუქი რომ მიანათა,  
მთელი სოფელი შეიქნა მისთვის.**

მარჯვენა ხელი გაიშვირა ბიჭებისაკენ  
 და მთელი ძალით აქნევს თავშალს,  
 თითქოს ჯინები აუმხედრდნენ მშფოთვარე მხრებზე.  
 შემდეგ ძალუმად მოიშორა და გაიმართა  
 და უცებ წამით მყარად შედგა ფეხის ცერებზე,  
 მაღლა აიჭრა და გამაგრდა ბოძივით ისევ.  
 უკუნეთს იჭერს, ხელს ჩაავლებს ძლიერი ჟინით  
 ლამის მაღალი კოშკებიდან  
 ისევე იჭერს, როგორც იმ გოგოს თვალების  
 ნათელს.  
 ტრიალებს მარცხნივ, მერე მარჯვნივ სულ სველი  
 მკერდით,  
 ოფლის წვეთები ცვივა მიწაზე.  
 გულში რაც კი დულს, სუყველაფერს ფარავს  
 სიმორცხვე,  
 თეთრი პერანგიც დანამულა მხრიდან ქამრამდე.  
 ისე იხრება, ლამის შეძლო მალეების დათვლა.  
 ახლა რომც მოვკვდე, კიდევ ერთხელ ჩამიკარ  
 თვალი!  
 დაველოდები მეორე ნიშანს,  
 თუნდ სამუდამოდ გამიგრძელდეს ლოდინი, მაინც!

ზოგჯერ პოეზია მოულოდნელად დიდი გამოცდის წინ აღ-  
 მოჩნდება ხოლმე. ეს მაშინ ხდება, როცა ლექსი იმ ხალხის წინა-  
 შე იკითხება, რომელსაც ნაკლებად ესაქმება პოეზიასა და ლი-  
 ტერატურასთან. ბოლო წლების განმავლობაში ორჯერ მქონდა  
 ასეთი შემთხვევა — პირველად ამანის გოგონათა სკოლაში,  
 როცა მისმა დირექტორმა ჰაიფა ან-ნაჯარმა მიმინვია ათიდან  
 ჩვიდმეტ წლამდე გოგონებისთვის ლექსების წასაკითხად (ბუ-  
 ნებრივია, მათ ასაკში არ ჰქონიათ პოეზიის კითხვისა თუ მოს-  
 მენის დიდი გამოცდილება), და მეორედ დღეს.

ლექსებს ვუკითხავ „ჩემს ბიძებს“ — ასე მივმართე, როცა  
 მიკროფონი ავიღე. ვუკითხავ მომკლებს, მწყემსებს, დედებს,  
 დეიდებს, განათლებულებს, წერა-კითხვის უცოდინრებს და

ბავშვებსაც კი — ყველას, ვინც ამ სოფლის მინდორზე მოგროვილა იქ, სადაც პოეტი აქამდე არასდროს მდგარა.

ამანის სკოლაშიც და აქაც ღელვა და ეჭვი „ჩვეულებრივ ხალხსა“ და ჩემს ნაწერს შორის ურთიერთობის გამო სადღაც გამიქრა. საღამოს მინურულს ჰუსამს ვუთხარი:

— არ არსებობს ნეიტრალური მაყურებელი, ჩემო კარგო. არ არსებობს სრულიად გულუპყვრილო, უბრალო მსმენელი. ყოველ პიროვნებას შესაძლოა მარტივი, მაგრამ ცხოვრების საკუთარი გამოცდილება აქვს.

ჩემს ცხოვრებაში პირველად ვკითხულობდი ლექსებს რიგებად ჩამწკრივებული, ტრადიციულ სამოსში გამონყობილი სოფლელების წინაშე, რომელთა შორის რვა წლისანიც იყვნენ და ოთხმოცი წლისანიც. მათი უმრავლესობა არასოდეს ყოფილა თეატრში და არც ლექსთა თუნდაც ერთი კრებული ჰქონია ოდესმე. ორმოცდაათიან წლებში სოფლის გიჟს ‘აბდ ალ-ვაჰაბს მამასახლისის ქალიშვილი შეუყვარდა და საოცრად მგრძნობიარე სასიყვარულო ლექსებს წერდა. მისდა გასაკვირად ჩვენ — ბავშვები — შიშისაგან ვცახცახებდით, როცა სოფელში ან ‘ანი ად-დირის მახლობლად გვერდით ჩაგვივლიდა. ის სულაც არ იყო გიჟი. ასე უწოდეს იმიტომ, რომ ლექსებს წერდა და კიდევ იმიტომ, რომ სრულიად უქონელს მამასახლისის ქალიშვილზე დაქორწინება სურდა.

კითხვა დასრულდა და სოფლელებთან სხვადასხვა თემებზე მსჯელობა დაიწყო. დაისვა შეკითხვები გადასახლებაზე და დევნილობაზე, გაუცხოებაზე და დაბრუნებაზე, პოლიტიკაზე. ერთი შეკითხვა, რომელიც უკანა რიგში მჯდომმა ქალბატონმა დამისვა, დღემდე მახსოვს:

— ყველაზე კარგი რა ნახეთ მას შემდეგ, რაც სამშობლოში დაბრუნდით?

სწრაფად და წრფელად ვუპასუხე:

— თქვენი სახეები.

შემადლებული სცენიდან ჩამოვედი არეული გრძნობებით — ბედნიერება იდუმალ სევდაში გადახლართულიყო. ბავშვები შემომეხვივნენ. სასკოლო რვეულებიდან ამოხეულ ფურცლებს



მანვე დიდნენ, რომ ხელი მომენერა. წინ იწვედნენ. მათ თვალე-  
ში კი ცელქობისა და მორცხვობის საოცარი, ბავშვური ნარევი  
ირეკლებოდა.

შეიძლებოდა სრული ბედნიერებაც განმეცადა რომ არა ხმა,  
საყვედურით რომ ჩამესმა: „დაიცადე ერთი წუთით!“ მტანჯვე-  
ლი და მტკივნეული ფიქრი: რა იცის დირ ღასანამ შენზე, მუ-  
რიდ? შენმა ხალხმა იცის რამე შენზე? იცის რა გადაიტანე, რამ  
გამოგწვრთნა? იცის შენი ნაცნობების, არჩევნის შესახებ, ყვე-  
ლაფერი კარგი და ცუდი, რაც აქედან შორს, აქ არყოფნის ოც-  
დაათი წლის მანძილზე გადაგხდენია? რა იციან მათ შენი ენის  
შესახებ? შენი ენა ხომ მათ ენას ჰგავს, მაგრამ მაინც განსხვავ-  
ვებულია — შენი ფიქრისა და საუბრის, სიჩუმისა და განმარ-  
ტობის, კონფლიქტებისა და კმაყოფილების ენა. არც უნა-  
ხავთ, როგორ გაჭალარავდი. არ იცნობენ შენს მეგობრებს, შენს  
ჩვევებს. რომ იცნობდნენ, მოენონებოდათ? მოენონებოდათ  
შენი შეხედულებები ოჯახის, ქალის, სექსის, ლიტერატურის,  
ხელოვნების, პოლიტიკის თაობაზე? არაფერი იციან შენი ცუ-  
დი თვისებების შესახებ, რომლებსაც ახლა ფარავ და არც ხასი-  
ათის იმ შტრიხების შესახებ, რომლებიც მათი დატოვების შემ-  
დეგ შეიძინე. ფიქრობენ, რომ დიდად არ გწყენია ლელვის ხის  
მოჭრის ამბავი. არ იცნობენ რადვასა და თამიმს. არ იციან, რაც  
შენი (თუ მათი) არყოფნისას დაგატყდა თავს. აღარ ხარ პირ-  
ველკლასელი მოსწავლე, რომელსაც დიდი ხნის წინ ხედავდ-  
ნენ, მოედანს რომ კვეთდა კარნახის გაკვეთილზე მიმავალი.  
ახსოვს ეს აქ შეკრებილთა უმრავლესობას? ყოველ შემთხვევა-  
ში, არც მოეთხოვებათ, რომ ახსოვდეთ. არც შენ იცი, მათ რა  
დრო გამოიარეს. მათი თვისებები, რომელიც შენს მახსოვრო-  
ბას შემორჩა, ერთსა და იმავე დროს მუდმივიცაა და მოძველე-  
ბულიც. ისინიც არ შეცვლილან? უმ ტალღალი უჩვეულოდ ბევრს  
საუბრობს პოლიტიკაზე. მითხრეს, რომ სოფლის ბევრი ახალ-  
გაზრდა ჰამასს ენთუზიაზმით უჭერს მხარს. უმ ტალღალი ჩემზე  
მეტად იყო დამოკიდებული ლელვის ხეზე. რაღაც მომენტში მი-  
სი მოჭრა ძალიან აუცილებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე ეს  
არ ვიცი და არ მესმის, რადგან იქ ვიყავი. ის კი აქ იყო. ეს ისეთი

მარტივია. მე რომ აქ მეცხოვრა, შესაძლოა, თავად დამენგრია ან ამეშენებინა, დამერგო ან მომეჭრა საკუთარი ხელებით. ვინ იცის? მათ აქ გაატარეს თავიანთი წლები, მე კი — იქ. შეიძლება ორი დრო ერთმანეთს მიაბა? როგორ? ამ ბიჭებსა და გოგონებს თავიანთ მშობლებთან და ბიძებთან ერთად რომ ვენახე ყოველ საღამოს ოცდაათი წლის განმავლობაში, ახლა ავტოგრაფებს მომთხოვდნენ, როგორც უცხო პოეტს?

\* \* \*

აბუ ჰაზიმი მოითხოვდა, დაბნელებამდე გავბრუნებულიყავით რამალაში. ჩემი ჩამოსვლის შემდეგ ისრაელის მთავრობამ გადაწყვიტა, დასავლეთი სანაპირო გადაეკეტა არჩევნების გამო და კიდევ იმიტომ, რომ ჰამასის ოპერაციისა ეშინოდა. დაძაბულობა საგრძნობი იყო.

გზა დირ ლასანადან რამალასკენ სავსეა ებრაული დასახლებებით. ლამელამობით აჩახჩახებული სინათლეები მათი სიდიდის უტყუარი ნიშანია. მათგან უდიდესი რამალას შემალლებულ ადგილზე გაშენებული ბეით ალ-‘ალია, ა ზონად წოდებული. მთელს ამ ტერიტორიას პალესტინა აკონტროლებს. თვითონ გზა ზონას განეკუთვნება და ის პალესტინა-ისრაელის ერთობლივი დაქვემდებარების ქვეშაა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალური ძალაუფლება ისრაელის სამხედროების ხელთაა. როგორც მითხრეს, იგივე ვითარებაა პალესტინის სხვა ქალაქებისა და სოფლების დამაკავშირებელ გზებზე.

\* \* \*

შეუძლებელი აღმოჩნდა ‘აინ ად-დერის სტუმრობა, ბიძაჩემ აბუ მუტი’ის სამფლობელოს ნახვა. მან ოთხმოცი წელი გაატარა თესვასა და რწყვაში, არხების გაჭრასა და ბორცვის კალთის შვერილების გამოყოფაში, რათა წყალი დაეგროვებინა და ნათესები ჭარბი წყლისგან დაეცვა. საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე (ის სულ რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა), იღებდა ზეთისხილის მოსავალს, ტომრებში ათავსებდა და აბუ საიფთან მიჰქონდა დასაწურად. მდინარე

‘აინ ად-დერის სანაპიროზე მას მოეშენებინა ყველაფერი, რისი მოშენებაც ამ მხარეში შეიძლებოდა: ტკბილი ვაშლი, ყველა ჯიშის ლეღვი (ხოდარი, სავადი, ბაიადი, ხურთმანი, საფარი, ზუქარი, ჰამადი), ფორთოხალი, ლიმონი, გრეიპფრუტი, ბრონეული, კომში, თუთა, ხახვი, ნიორი, ოხრახუში, სალათის ფურცელი, ყველა ჯიშისა და ფერის წინაკა, ტკბილი კარტოფილი, ყვავილოვანი კომბოსტო, მულუხია, ისპანახი. დიდ პატივს არ მიაგებდა ველურ ბალახს, მისი უშუალო მეთვალყურეობის გარეშე რომ ამოდიოდა — სალბს და გვირილას, მურარსა და ხურფეიშს, თუმცა მათ უცნაურ სახელებს მასწავლიდა და იმასაც მისხნიდა, თუ როგორ უნდა გამომეყენებინა თითოეული მათგანი სხვადასხვა დაავადებისას. ის წყლის ბატონი იყო. გაუნათლებელ ადამიანს, რომელსაც სოფელი არასოდეს დაეტოვებინა, შეეძლო მთელი ბორცვი ან მთელი მინდორი წყლის უმცირესი რაოდენობით მოერწყა და წვეთიც არ დაეკარგა, თითქოს სოფლის მეურნეობის ყველაზე გამოცდილი და მცოდნე ინჟინერი ყოფილიყოს. დაბალი კაცი იყო.

— ‘აინ ად-დერი დაიქცა, შვილო, — თქვა უმ ტალალმა, — სულ მთლად მაყვლის ბუჩქებით დაიფარა. ტურები თავისუფლად დასეირნობენ იქ. წადი და შენი თვალთ ნახე.

არ წავედი. არ მინდოდა წასვლა.

\* \* \*

აბუ ჰაზიმის სახლში ბალიშზე მიდევს თავი — მოგზაურის მორიგი სახლი, მორიგი ბალიში თავის დასადებად. ჩემი დამოკიდებულება ადგილთან მართლაც არის ჩემი დროსთან დამოკიდებულება. დროის ლაქებში ვმოძრაობ — ზოგი მათგანი დავკარგე, ზოგს კი ვფლობ ცოტა ხანი და მერე ისევ ვკარგავ, რადგან გამუდმებით უადგილოდ ვარ. ვცდილობ, ავინაზლაურო ჩემი პირადი დრო, რომელიც გავიდა. არმყოფი არასოდეს ბრუნდება სრულყოფილად. არაფერი აღდგება სრულყოფილად. ‘აინ ად-დერი არ არის ადგილი. ის დროა. წვიმის ნაკვალევი ჩვენს ფეხსაცმელზე თვალსაჩინოა, თუმცა ვხედავთ, რომ ის უკვე გაშრა. მაყვლის ეკლები გვიკანწარავდა ხელებს, გვისისხ-

ლიანებდა გვერდებს, როცა ჩვენ, ბავშვები, მზის ჩასვლისას დედებთან ვბრუნებოდით. განა ახლა მინდა, რომ ამ ეკლებმა დამფხაჭნოს? არა, მე მხოლოდ დრო მინდა, როცა ეს ხდებოდა. 'აინ ად-დერი განსაკუთრებით მურიდის ბავშვობის დროა, გლენისა და მონადირის — ბიძაჩემი იბრაჰიმის დრო. მისი მახეოთხი ამწვანებული ბორცვიდან იზიდავდა ჩიტებს, ბოლოს მის გახარებულ თითებში რომ აფართხალდებოდნენ ხოლმე ცისა და მიწის თამაშში. ხშირად მესაუბრებოდა ჩიტების უტვინობაზე — ისინი ხომ მხოლოდ მარცვლებს ხედავდნენ და არა მახეს. როდესაც დარწმუნდებოდა, რომ საკუთარი თვალით ვნახე და საკუთარი ყურით გავიგონე, თუ რამდენად სულელები არიან ჩიტები, დაამატებდა ხოლმე ერთ წინადადებას, რომლის აზრიც მე — ხუთი თუ ექვსი წლის ბავშვს — დიდად არ მესმოდა: — ადამიანები ჩიტებს გვანან. ბევრი მათგანი ხედავს საცყუარას, მაგრამ მახეს ვერ ამჩნევს.

\* \* \*

არც დარ რა'დია ადგილი. ისიც დროა. ის არის გაღვიძებისა და ადრეული ლოცვების დრო, განთიადის შუქზე ხიდან ლედვის მოწყვეტის და დაგემოვნების დრო. ცვრით დანამული და ენერგიული ჩიტების მიერ ჩანისკარტებული ლედვი... ჩიტზე უკეთ ვერავინ გაცნობებთ ნაყოფის სიმწიფეს. თურმე ჩიტები არც ისეთი სულელები ყოფილან. ეს სახლი არის ზეითუნის ზეთის დოქის დრო, როცა აბუ საიდის სანურიდან სულ ახლადმოტანილ ზეთში სკოლაში წასვლის წინ ცხელ პურს ვანობდით. ეს არის მეზობელი გოგონას მკერდთან უეცარი შეხება — აი კონტაქტი, რომელიც ნიშნავს, რომ შენ ველარ დაუბრუნდები პირვანდელ უბინოებას. შენ ახლა იცი, რაც არის თუნდაც უწყინარი თამაშისას ქალის მკერდთან შეხება. ის, ვინც იცის, აღარ არის უმანკო.

ადგილები, რომლებიც ჩვენს სურვილებშია, დროა, მაგრამ მთავარი კონფლიქტი ხომ ადგილებს ეხება. ისინი ხელს გიშლიან იმაში, რომ გქონდეს ეს ადგილები და მაშასადამე, მათთან ერთად მიაქვთ შენი ცხოვრების ნაწილიც. როცა ერთმა ყურნა-

ლისტმა მკითხა, თუ რას ნიშნავდა ჩემთვის სევდა-ნაღველი, რაღაც ამდაგვარი ვუპასუხე — ეს სურვილის გატეხვაა, მას არაფერი აქვს საერთო ხსოვნის ან გახსენების მოდუნებულ შეგრძნებასთან.

იმის გამო, რომ საქმის ვითარებამ სულ სხვადასხვა ქალაქებში გვაცხოვრა და იძულებულნი ვიყავით, საკმაოდ ხშირად დავვეტოვებინა ადგილები, მათ დაკარგეს ჩვენთვის თავიანთი მნიშვნელობა და კონკრეტულობა. უცხო სოფელთვის მყიფე ურთიერთობის დამყარება ურჩევნია და ღიზიანდება, როდესაც რომელიმე საცხოვრისის მიმართ მისი გრძნობები ძლიერდება. მოხეტიალე კაცი არაფერს ეჭიდება. სურვილგატეხილი ადამიანი შინაგანი რიტმით ცხოვრობს. ადგილები მისთვის მხოლოდ სხვა ადგილზე გადაადგილების საშუალებაა, თითქოს ისინი ღვინო ან ფეხსამელები იყოს. ცხოვრება უფლებას არ გვაძლევს, ტრაგიკულ მოვლენად აღვიქვათ არაერთხელ განმეორებული ამოძირკვა, რადგან ვიცით, რომ ეს ყოველივე ფარსია. ამავე დროს ცხოვრება უფლებას არ გვაძლევს, მივეჩვიოთ მათ, როგორც არაერთხელ განმეორებულ ანეკდოტს, რადგან ამ მოვლენას ტრაგიკული მხარეც აქვს. ცხოვრება გვასწავლის, კმაყოფილნი ვიყოთ იმ ერთადერთი ხვედრით, რომელიც მოგვენიჭა. ის გვწვრთნის, ის გვაჩვენებს გარემოებებს. საქანელაზე მდგომი ადამიანი ეჩვევა იმას, რომ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს უნდა გაქანდეს. ცხოვრების საქანელასაც ორ უკიდურებაზე შორს არ მიყავხარ. ესენია ფარსი და ტრაგედია. სამყარო აგრძელებს ქანაობას. სინათლის ბურუსშია გახვეული ორივე ჰორიზონტი. კაიროში იმ საბედისწერო დილას სამოქალაქო ტანსაცმელში გამონყობილი ექვსი პოლიციელი დავინახე. როცა თამიმის სველი ჩვარი თოკიდან ძირს ვარდებოდა და მის დასამაგრებლად აივანზე გავედი, დავინახე ისინი — უშიშროების სამსახურის ექვსი აგენტი. რადვას ვუთხარი:

— მოვიდნენ.



## დროში ცხოვრება

თაპრირის მოედანზე, საპასპორტო განყოფილებაში წამიყვანეს. სალამოს შინ მივბრუნდი ჩანთის ჩასალაგებლად და თვითმფრინავის ბილეთის ფულის ასაღებად. გზად, ხალიფას დეპორტაციის ცენტრში, მათი საბოლოო გადაწყვეტილების მოლოდინში, ბოლოჯერ გავხედე კაიროს ქუჩებს. ტრაგედიისა და ფარსის საქანელა ჩემთან ერთად მოძრაობდა ჯიპის თითოეულ ჩარტყმასთან და მომავალი დღეების გაელვებასთან ერთად. ექვსი კაციდან ერთ-ერთი თვალყურს მადევნებდა ჩანთის ჩალაგებისას, დანარჩენი ხუთი კი ამ დროს ყოველგვარი ნებართვის გარეშე ჩვენს ტელევიზორს უყურებდა — პრეზიდენტის გამოსვლას ქნესეთში. რას მოგვიტანენ დღეები ხუთი თვის ბავშვს, რადვას და მე? მხოლოდ თვითმფრინავის სავარძელში მოთავსების მერე მომხსნეს ხელბორკილები. მეზობლად მჯდომს სხვათა შორის გადავულაპარაკე:

— მშვიდობით, აფრიკა.

სადათის ვიზიტი ისრაელში არაფერით გამიპროტესტებია. ეს დეპორტაცია პრევენციული ზომა იყო — შეკონინებულ ყალბ ბრალდებათა შედეგი. ნლების შემდეგ გამოვარკვიეთ, რომ მის უკან პალესტინელ მწერალთა კავშირის წევრი იდგა. როგორც ხედავთ, ცხოვრება არ არის მარტივი.

\* \* \*

ბალდადი, ბეირუთი, ბუდაპეშტი, ამანი და კაირო — შეუძლებელი აღმოჩნდა ერთ განსაზღვრულ ადგილს მოვჭიდებოდი. ჩემი სურვილი ადგილის მფლობელის სურვილს როცა ეჯახებოდა, ყოველთვის დანგრეულ-დამსხვრეული გამოდიოდა. მე არ ვცხოვრობ ადგილზე, დროში ვცხოვრობ — ჩემი ფსიქი-

კის ერთ-ერთ კომპონენტში, ჩემთვის დამახასიათებელ მგრძობიარობაში.

მთებისა და სტაბილურობის შვილი ვარ. თუკი ებრაელებს მეოცე საუკუნეში თავიანთი წმინდა წიგნი ახსოვთ, მე ბედუინების მოგზაურობებით ვარ შთაგონებული, მაგრამ ბედუინი არ ვარ. არასოდეს მქონია საშუალება, საკუთარი, სახლის ბიბლიოთეკა შემექმნა. ვიცვლიდი ბინებსა და მონყობილ აპარტამენტებს. ასე შევეჩვიე დროებითობას. თავად გამოვიწრთე თავი იმის შეგრძნებაში, რომ ყავის მადულარა ჩემი არ არის, რომ ფინჯნები ბინის მესაკუთრეს ეკუთვნის ან იმას, ვინც ჩემამდე ცხოვრობდა აქ. ასეთ ვითარებაში ჭიქის გატეხვაც კი სხვა მნიშვნელობას იძენს. უძრავი ქონების აგენტი ირჩევს ჩემი სანოლის გადასაფარებლისა თუ ფარდის ფერს, ჩემი ბალიშის სიდიდეს, სადილის ქვაბებს, ჩაის კოვზს. მე არ ვირჩევ. შემთხვევითობა ირჩევს. რამდენჯერ მომიწია სხვადასხვა აივნებზე გახარებული მცენარეების მიტოვება?! თიხის ქოთნებს ვყიდულობდი მათთვის, ვუვლიდი, ფოთოლ-ფოთოლ ვწმენდდი ლუდში დასველებული ნაჭრით. ლუდი ქიმიკატებზე იაფია და უკეთესი — მარცხენა ხელისგულზე ფოთოლს ვიდებდი, მარჯვენით კი მის ზედაპირს ვაპრიალებდი მანამ, სანამ არაჩვეულებრივი ბზინვარება სიმფონიის ბოლო აკორდით არ გაივლებდა. ერთნაირი რუდუნებით გადავდიოდი მცენარიდან მცენარეზე. მუსიკასაც კი ვურთავდი. დილას მათ ფოთლებთან და ტოტებთან შეხებით ვინყებდი, ნიადაგის სინოტივეს ვუსინჯავდი. ვაკვირდებოდი, როგორ იხრებოდნენ აივანთან მომდგარი მზისკენ, რომლისკენაც ჩრდილში მოქცეულ მხარეს ვაბრუნებდი. ზოგჯერ ყლორტებს სპეციალურ საყრდენზე ვამაგრებდი, ნერგებს სხვა ქოთნებში ვრგავდი — სინათლეს, ჰაერსა და მეგობრობას ვჩუქნიდი და ბოლოს ვტოვებდი. ყოველთვის ვტოვებდი. გადასახლების საკუთრებას ჩვეულებრივად, ემოციების გარეშე ველეოდი. მარტო მაშინ მომერეოდა ხოლმე გრძნობები, როცა ჩემი სახლის მცენარეებს იმ ქვეყნის მეგობრებს ვურიგებდი, საიდანაც მივემგზავრებოდი.

თუმცა, ყოველივე ამის შემდეგ, აეროპორტებსა და საზღვრებზე, სასტუმროს დროებით ოთახებში გაჩერებულს ყველა-

ფერი, რაც უკან მედო, მავინწყდებოდა და მხოლოდ მომავალ დღეებზე ვფიქრობდი — ისევ დროზე და არა ადგილზე. დევნილობას მოულოდნელი გამგზავრებები ახასიათებს. ჩვენი ცხოვრების გზა სასტუმროებითაა მოფენილი. წესით, უნდა მძულდეს სასტუმრო, რადგან იგი ხაზს უსვამს დროებითობას; ალბათ, ვერ უნდა ვიტანდე, მაგრამ ჩემთვის ნათელი გახდა — სწორედ სასტუმროებში ვგრძნობდი თავს კომფორტულად, რადგან იქ ვისწავლე, რომ არ უნდა ჩავეჭიდო ადგილს, რომ უნდა ვიფიქრო გამგზავრებაზე. პატარ-პატარა, მოკლევადიანი მოგზაურობებისას მომწონდა კიდევაც სასტუმროს იდეა. სასტუმროები გათავისუფლებენ ამა თუ იმ მომენტის უკვდავყოფის აუცილებლობისგან. ისინი თითქოს პატარა, ერთმოქმედებიან თეატრალურ სანახაობას წარმოგიდგენენ, სიურპრიზებს გთავაზობენ ცხოვრების მონოტონური ჰორიზონტის გასამრავალფეროვნებლად. სასტუმროებში იშვიათ საოცრებებს წააწყდები, დროებითი მუდმივობის გემოს იგრძნობ, გასეირნების შემდეგ დაბრუნებული მეგობრების შეტყობინებებს მოაგროვებ. ახალ ქალაქში ჩამოსულს სასტუმრო მყისვე შეგიკრებს ამხანაგთა დროებით, ვინრო წრეს. ის იმ ოჯახს წააგავს, კვირაში რამდენიმე დღე ან დღეში რამდენიმე საათი რომ ზრუნავს შენზე. აქ არ არის მეზობელი, რომელიც შენს ყველა ქმედებას თვალს მიადევნებდა, არც საზოგადოებრივი ვალდებულების მახეებია. ეს არის ადგილი, სადაც სიზარმაცეში განცხრომას მიეცემი. ნებისმიერ დროს დატოვებ და დაუბრუნდები. ის ფართოდ გაღებული დღის ცდუნებაა. აღარც მცენარეებზე ხარ პასუხისმგებელი და არც ყველა ოთახში ერთნაირად დადგმულ ლარნაკში წყლის გამოცვლა გევალება. ამ ლარნაკების დატოვება ნამდვილად არ მოგანიჭებს ტკივილს. არც წიგნები გაქვს, გამგზავრების წინ მეგობრებსა და ნაცნობებს რომ დაურიგო. გამგზავრებაც ხომ სხვების მიერაა დაგეგმილი და არა შენ მიერ. დაბოლოს, სასტუმროს ოთახის კედლებზე დაკიდებული ნახატების დატოვებაც არ არის დიდად გულდასაწყვეტი, რადგან არც შენია და უმეტესობა არც ვარგა.



ვცდილობ, ბოლომდე აღვიქვა და გავიაზრო სასტუმრო, რომლის წინაც ახლა ვდგავარ. ეს ჩემი პირველი ადგილია. მისი კაცების სახეები, მათი ხმები მიბრუნდება. უკვე კარგა ხნის გარდაცვლილებს წარმოსახვაში ვაცოცხლებ ისევ — ჩნდებიან და ქრებიან თავიანთი თვისებებით და ისტორიებით იმის შესახებ, რომ ალ-ბარლუთები ბატონებად ითვლებოდნენ. ერთი ბოლო პერიოდის პოეტი 'აბდ არ-რაჰიმ' უმარი ამბობდა, რომ რამალაში არიან მუსლიმები, ქრისტიანები და ალ-ბარლუთები! მოხუცები ბავშვებს უყვებიან სასტუმროს ამბებს და ყველაფერი თაობიდან თაობას გადაეცემა. ხანდახან რაღაცას აჭარბებენ ან ამატებენ, რაც მომთხრობლის იუმორზეა დამოკიდებული. ზოგიერთი ეპიზოდი მამისგან მსმენია, ზოგი აბუ ჰაზიმისგან. ყველაზე უკეთ ისინი მაინც აბუ ქიფაჰისა და ალ-მუ'თადილის მახსოვრობას შემორჩა. აბუ ქიფაჰი ძირითადად ბიძია სამიჰისა და ბიძია მაჯიდის მონათხრობს იხსენებს. ალ-მუ'თადილი კი იმდენად ჭკვიანი იყო, რომ პატარაობიდან უფროსებთან ჯდომის უფლება ჰქონდა და მერეც, საუდის არაბეთიდან ჩამოდიოდა და შვებულებას ამ სასტუმროში ატარებდა ხოლმე.

აი, აბუ 'ოუდა ხალიჩის კუთხესთან მოთავსებულია. ზაფხულის ერთ საღამოს მან მოულოდნელად თქვა:

— იცით, ხალხი როგორ განასხვავებს ერთმანეთისგან ჭკვიანსა და სულელს?

— როგორ აბუ ტუნუბ?

(ასე იმიტომ უწოდებდნენ, რომ მამამისს ადრეული ასაკიდან სთხოვდა, ცოლის მოყვანის ნება მიეცა; „ტუნუბ“ გრძელ პენისს ნიშნავს.)

— სულელ კაცს ფართო, განიერი წვერი აქვს.

ამაზე არავინ უპასუხა. მხოლოდ სასტუმროს ცენტრში მჯდომმა მამასახლისმა მარჯვენა ხელი ნელა მოისვა წვერზე, თითქოს ამოწმებდა. ყველას გაეცინა.

ერთხელ კი თქვა:

— დირ ღასანას ხალხო, თქვენი სოფელი პირფერების სოფელია. აბუ 'ოუდას მარგალიტები რომ წამოსცვივდეს პირი-

დან, არაფერი გესმით, მამასახლისმა რომ გააკუოს, იტყვი, მუშკის სუნიაო.

აი, „ბისმარკიც“, ალ-მუ‘თადილის მამა, რომელიც იდუმალი გზებით აგვარებს სოფლის საკითხებს. მეტსახელი სხვადასხვა ხრიკების სიყვარულს კი არ ასახავს მხოლოდ, არამედ ამ ადამიანის მიმართ სოფლელთა დამოკიდებულებასაც. ხალხის მიერ შერქმეული მეტსახელები სწრაფად იმკვიდრებენ ნამდვილი სახელის ადგილს.

აი, აბუ ზუჰაირი — დირ ღასანას ყველაზე გაქნილი მკვიდრი. ის უკვე სამოცდაათ წელს მიტანებული იყო და ერთ-ერთი ვაჟი ‘ადლი მოკლული ჰყავდა, როცა მეორე — ზუჰაირი დააქორწინა და თავად იმ გოგოს და მოიყვანა ცოლად.

ესეც აბუ საიფი — ტანმოსული მინისმფლობელი, რომელიც სოფელსა და მის შემოგარენში ყველაზე დიდ ნაკვეთებს ფლობდა. ისრაელმა ბთაჰ თიქვას სახელწოდების დასახლება ააშენა მის მინაზე. დირ ღასანას ზეთის სანურიც აბუ საიფს ეკუთვნოდა. სამოცი წლით უმცროსი დამასკოელი გოგო მოიყვანა ცოლად და ვაჟის დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა.

აქვეა აბუ ჯავდათი — ხელგაშლილი მოხუცი, სულ ნახევრად მთვლემარე, ასევე აბუ ტალაბი და მუდმივად მდუმარე აბუ მუტი‘ი, თითქოს თავისი ცხოვრება თავად არ ეხებოდეს. მის ცოლს ჰაქიმას ვკითხე ქუვეითში მცხოვრები ერთ-ერთი ჩვენი საერთო ნათესავის შესახებ. სიამაყით მიპასუხა:

— მადლობა ღმერთს, ძალიან კარგ ადგილას მუშაობს, ალაჰიმც კმაყოფილი იქნება მისით. ისეთი მაღალი თანამდებობა აქვს, გაფუჭებულ მაცივრებს, სარეცხ მანქანებს, კონდიციონერებს, ვიდეოებს და რადიოებს სახრახნისის ერთი მოჭერით მწყობრში აყენებს.

აქ არის ბიძაჩემი აბუ ფახრი, რომელიც თურქეთის ჯარში ყოფნისას გადამხდარ ამბებს გვიამბობდა. გვიყვებოდა, სამსახურის გამო როგორ მოგზაურობდა უმ ფახრისთან ერთად. ზოგჯერ დილაადრიან რამალაში მიდიოდა, საუზმეზე ქაბაბი და ღვიძლი რომ ეჭამა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ოქროს

კბილი უბზინავდა, ყველაზე მომხიზვლელი ღიმილი ჰქონდა, რადგან ეს ღიმილი ძირითადად თვალებში გამოესახებოდა.

ესენი მახსოვრობაში გამოსახული სახეებია, მაგრამ არ არიან მხოლოდ სახეები. ერთი კუთხიდან მიტანილი კამერა მათ დადებით მხარეს წარმოაჩენს, ხოლო თუ მეორე მხრიდანაც დავაკვირდებით, ნაკლებად მოსაწონ თვისებებს აღმოვაჩინებთ.

ზამთრის ერთ დილას სასტუმროს ორნამენტად ქცეული ამ კაცებიდან პატარა ჯგუფი წამოემართა, რათა ორი მეოთხელკასელი გოგონა მეჩეთში მიეყვანათ. გადაიარეს მოედანი, შევიდნენ შენობაში და ბავშვებს ყურანის ერთი ნაწილის ზეპირად თქმა მოსთხოვეს. ისინი აიმრიზნენ, წესიერად ვერც ერთმა წაიკითხა.

— რას გასწავლიან სკოლაში?

— კარნახს, მათემატიკას, ხატვას და სიმღერას.

ერთ-ერთი ამ გოგონათაგანი მამასახლისის ქალიშვილი იყო, მეორე კი — საქინა მაჰმუდ ‘ალი ალ-ბარღუთი — დედაჩემი. სწორედ მაშინ აბუ მუტი‘მა, აბუ ალ-მუ‘თადილმა და აბუ ზუჰაირმა სხვებთან ერთად მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც დედაჩემს არასოდეს დაავიწყდება. დღესაც, როცა ამ ამბავს ჰყვება, ის თავიდან განიცდის გაბრაზებას და ღელვას.

დირ ღასანას გოგონათა სკოლა ოთხკლასიანი იყო არა იმიტომ, რომ მაღალი კლასების დამატება ჭირდა ან პალესტინა მასწავლებელი ქალების ნაკლებობას განიცდიდა, არამედ იმის გამო, რომ სოფლის თვალთახედვით, ოთხკლასიანი განათლება გოგოსთვის სავსებით კმაროდა. მერე კი შინ უნდა დამჯდარიყო და გათხოვებას დალოდებოდა.

იმ წელს დირ ღასანაში რამალას გოგონათა სკოლის დირექტორი ჩამოვიდა. მან გადაწყვიტა, ორი ყველაზე წარჩინებულ მოსწავლე გოგოსთვის სტიპენდია გამოეყო, თავის სკოლაში გადაეყვანა, საცხოვრებლით უზრუნველყო და თვალყურიც ედევნებინა. ამ გადაწყვეტილებამ სასტუმროს კაცებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

— ეს მისიონერული სკოლაა და გოგოების გონებას დალუპავს.

— სოფლის სკოლაშიც კი არ ასწავლიან ყურანს ზეპირად. როგორ ფიქრობთ, რა მოყვება მათ რამალაში გაშვებას?!

გოგოებს კი ძალიან უნდოდათ სწავლის გაგრძელება. „ბის-მარკმა“ ისიც კი თქვა, ყურანის ცოდნაში გამოვცადოთო.

— მისმინე, უმ ‘ატა, შენს ქალიშვილს ეკრძალება რამალაში წასვლა! გასაგებია? ნაიყვანე და გყავდეს შინ! მონიფულობის ასაკი აქვს. სათამაშოდ მოედანზე გასვლაც ეკრძალება. გასაგებია?

ისინი ვერ ჩაერივნენ მამასახლისის საქმეში, მის ქალიშვილს ვერ დაუშალეს სწავლის გაგრძელება. დედაჩემის ნაცვლად სხვა ბავშვი წავიდა რამალაში. ეს იყო ფავზია, რომლის მამას სოფლის ოპოზიციამ ვერაფერი მოუხერხა. მამასახლისის შვილი ადიბა მასწავლებელი გახდა, შემდეგ პალესტინის ერთ-ერთი გამორჩეული სკოლის დირექტორიც. თუმცა, დიდად არ მოიხიბლა ყოველივე ამით და ბოლოს ისევ სოფელში დაბრუნდა. მაჰმუდ ‘ალი ალ-ბარლუთის ქალიშვილ საქინას კი სწავლის გაგრძელების ერთადერთი შანსი ხელიდან გამოეცალა, რადგან მას მამა არ ჰყავდა.

დედაჩემს მამა მაშინ გარდაეცვალა, როცა ის ორი წლის იყო. ბებიჩემი კი ორსული დატოვა. მან ქმრის გარდაცვალების შემდეგ კიდევ ერთი ბავშვი მოუვლინა ქვეყანას. გარდაცვლილი ქმრის ნათესავები სახლიდან უპირებდნენ გაგდებას, რადგან არ უნდოდათ, უქონელი ქვრივისთვის მიეხედათ, რომელიც მეორე შვილს ელოდებოდა.

— გთხოვთ, შემიფაროთ რამდენიმე თვე, ვიდრე ბავშვს არ გავაჩენ. იქნებ ღმერთმა ბიჭი მიწყალობოს.

— კარგი, მაგრამ თუ მეორეც გოგონა იქნება, შენს ოჯახს დაუბრუნდები.

დაიბადა ბიჭი — ‘ატალა, შემდგომში ბიძაჩემი ‘ატა და ბებიჩემის დარ რა‘დში — გარდაცვლილი ქმრის სახლში დარჩენის მიზეზი. საწყალი ქალი ოცი წლისაც არ იყო, როცა დაქვრივდა და ორ შვილს მარტო უვლიდა.

ახალგაზრდა ქვრივს მთხოვნელები მრავლად გამოუჩნდა. მათ აბუ ‘უდა ეუბნებოდა:

— აქლემი აქლემის ადგილზეა.

აბუ მაჰმუდსა და სხვებსაც სურდათ, ცოლად მოეყვანათ, მაგრამ ყველას უარი უთხრა. სოფელმა ცუდად დაუნყო მოპყრობა. ალბათ, აუტანელი გახადეს მისი ცხოვრება, მაგრამ მაინც ვერ გადააფიქრებინეს, თავი ორი ბავშვისთვის მიეძღვნა. ესენი იყვნენ ბიძაჩემი 'ატა და დედაჩემი საქინა.

ბებიჩემმა უმ 'ატამ ოთხმოცდაათი წელი იცოცხლა. სიცოცხლის ბოლოს მხედველობა დაკარგა. 1987 წელს გარდაიცვალა. სასიამოვნო და გულლია, მაგრამ თავისებური ქალი იყო. ერთხელ სახლში, თავის ადგილას — კუთხეში იჯდა. უმ ტალღი კი სადილს ამზადებდა. დედაჩემი შინ არ იყო. უცებ ბებია უმ ტალღს მიუბრუნდა:

- გამოალე ვერანდის ფანჯარა.
- რატომ უმ 'ატა?
- თავი უნდა გადავიგდო, რომ თავიდან მოგწყდე.

როდესაც ქუევეითში ბიძაჩემი 'ატას ოჯახში ვცხოვრობდი, ბებია ჩვენთან იყო. ლოცვისას უკან ვედექი ისე, რომ ვერ მხედავდა. ლოცვის დასასრულს სიტყვებით „მშვიდობა თქვენდა“ უკან ტრიალდებოდა და მოულოდნელად ლოყაზე ვკოცნიდი. ის კი ხელებს იშვერდა, თავიდან მიშორებდა და რადვაზე მეუბნებოდა:

- წადი, შენს ეგვიპტელ გოგოს აკოცე.

ბებიჩემი აღარ დაქორწინებულა. ბუდაპეშტში ვიყავი, როცა გარდაიცვალა.

**ბოლო დღეს  
სიკვდილი დაუსკუპდა მკლავებზე.  
თანაუგრძნო სიკვდილს და გაანებივრა,  
თავისი ამბავი უამბო  
და ერთად ჩაეძინათ.**

როგორც ყოველთვის, შორს ვიყავი და უკანასკნელად ვერ გამოვემშვიდობე.

აი, ასეთი წარმოდგენაც მაქვს სასტუმროს კაცებზე. ეს არის ჩვენი ცხოვრებაც და მათი ცხოვრებაც თავისი ცუდითა და

კარგით. ყველას გვაქვს ცხოვრების უფლება, უფლება მისი გამართლებისა და დაცვისა. დიახ, ის ზოგჯერ უხეშია და სულაც არ არის იდეალური. ესეც ჩვენს სახეზე მეტყველებს: ბებიაჩემს, რომელიც დარ 'აზდ ალ-'აზიზიდან დარ რა'დში გათხოვდა, ეპყრობოდნენ, როგორც უცხოს, სხვა ოჯახიდან, სხვა პლანეტიდან დევნილს მიუხედავად იმისა, რომ მანძილი ამ ორ სახლს შორის ნუშის ხეების ერთი რიგი იყო მხოლოდ — სულ ასი მეტრი.

ესეც ჩვენ ვართ: ბებიაჩემის მეორე შვილი ბიჭი რომ არ ყოფილიყო, ქმრის სახლში ვერ დარჩებოდა. მთელს მზრუნველობას ამ ბიჭს აფრქვევდა თავისი გოგონას ხარჯზე. მაგრამ ის მანც ვერ განაგებდა საკუთარ ცხოვრებას და გასაგებია, რომ უძლური აღმოჩნდებოდა, ქალიშვილის განათლების უფლება დაეცვა — ის რამალაში გაეშვა.

დედაჩემი ორმოცდაათ წელს იყო მიტანებული, როდესაც მოზრდილთა საგანმანათლებლო კურსები გაიარა — ცდილობდა სწავლისადმი წყურვილი ოდნავ მაინც დაეკმაყოფილებინა. ჩვენ კი ყველაზე დიდი გაკვეთილი გვასწავლა — რომ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ფასეულობა ცოდნაა და რომ ის ყველანაირ მსხვერპლს იმსახურებს. ერთხელ ფაღვა ტუკანმა ამანში მოგვაკითხა. დედაჩემს თავისი წიგნი „მთაში მოგზაურობა, ძნელი მოგზაურობა“ აჩუქა. დედამ ის პირველმა წაიკითხა და გვითხრა:

— ჩემი მოგზაურობა გაცილებით რთული იყო. ფაღვას არასოდეს უნახავს, რაც მე ვნახე.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ვგრძნობდი, რომ ამას უბრალოდ დედაჩემისთვის ვაკეთებდი. მინდოდა, ის ბედნიერი დამენახა. ჩაჭრის მრცხვენოდა, რადგან ვიცოდი, რომ ჩემი წარუმატებლობა ძალიან დაამწუხრებდა. ეს კიდევ უფრო მძაფრად მაგრძნობინებდა, რომ დედაჩემმა მთელი თავისი სიცოცხლის აზრი ოთხ შვილში ჩადო, ჩვენიც ცხოვრობდა, სხვა ყველაფერი ჩვენიც უყვარდა. ბავშვები იყვნენ მისთვის მთელი სამყარო და ეს იყო ნაკლი, რომელსაც ის უყურებდა, როგორც დადებით თვისებას. ვერ იტანდა თუნდაც ერთ-ერთი შვილის შორს

ყოფნას. არადა სწორედ მას მოუწია, საუკეთესო ჩვენგანის  
ნასვლა და აღარდაბრუნება აეტანა. გონებაში ანცობდა თავის-  
თვის კომფორტულ სამყაროს — იქ ყველაფერი ისე მიდიოდა,  
როგორც მას სურდა. თითქოს ცალკე, საკუთარ პლანეტაზე  
ცხოვრება უნდოდა.

**სურს, რომ წავიდეს დედამიწიდან სხვა პლანეტაზე,  
იქ ბილიკები სავსეა ხალხით — თავიანთი  
ოთახებისკენ მიიჩქარიან,**

**იქ სანოლები ყოველ დილით არეულია,  
ყველა ბალიში იღვიძებს რბილი და დაჭმუჭნული  
შუა ნაწილში ჩალრმავებული ბამბის შიგთავსით.  
სურს, გადაავსოს სარეცხის თოკი და ბევრი ბრინჯი  
სადილს რომ უყოს,**

**სურს, ვეებერთელა ჩაიდანი სალამოს**

**ცეცხლზე ააჩუხჩუხოს,**

**მაგიდა უნდა ყველასათვის, რათა სუფრიდან წვეთავდეს  
ქუნჯუთის ჩუმი ბუტბუტი,  
და ნივრის სუნის ამოსუნთქვა, დღის შუაგულში  
დაკარგულთა მოსაგროვებლად.**

**დედას აოცებს, რომ მისი კერძი ნახარში ხორცის  
უფრო სუსტია მმართველების ზეგავლენაზე,  
აკვირვებს ის, თუ რატომ რჩება მისი ნამცხვარი  
ხელუხლებელი გვიან ღამემდე.**

**ნუთუ სამყაროს შეუძლია, რომ დაიტეოს ამხელა  
სევდა და სისასტიკე**

**და... უგულობა, როდესაც დედა დევნილობის  
მონყენილ დილას**

**ყავას იდულებს მარტოდმარტო, მხოლოდ  
თავისთვის?**

**სურს, რომ წავიდეს დედამიწიდან სხვა  
პლანეტაზე,**

**სადაც ყველა გზას იქ მიჰყავხარ — გულის ყურესთან  
— იმ უშფოთველ ნავმისადგომთან,**

**იქ, სადაც ერთუროს ეჯაჭვება ის ორი მკლავი —  
ორნი, რომელთაც არ იციან დამშვიდობება.**

**სურს, რომ ყოველთვის ბრუნდებოდნენ**

**თვითმფრინავები,**

**რომ ჩამომსვლელნი მოუმრავლდნენ აეროპორტებს,**

**თვითმფრინავები მხოლოდ ქვემოთ რომ ეშვებოდნენ**

**და მაღლა აღარ ფრინდებოდნენ, აღარასოდეს...**

სიყვარული დედაჩემისთვის შრომა იყო და ყურადღება. საყვარელი ადამიანების მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდა, მათთვის დაუღალავად შრომობდა — ყველაფერს აკეთებდა, რაც შეეძლო, დაწყებული სეზონურად მარინადის მოხუფვით, დამთავრებული კერვითა და ქარგვით, ძველი ნივთების გადაკეთებითა და გაახლებით. ერთხელ დიზაინერად და დურგლად გადაიქცა — თავიდან შეკერა სკამების და ტახტის გადასაფარებლები, სახლში ყველა ვაჟისთვის სათითაოდ მოაწყო ოთახები. მათ შუქპირს არქიტექტორთან ერთად გადახედა, დასავლეთით მოქცეული სამზარეულო არ მოეწონა — ბნელი იქნებაო. ის არქიტექტორი მერე მე მიაშობდა ამას — სწორი იყო დედაშენი, გადავაკეთეთ, როგორც გვითხრაო.

ყოველთვის, როცა პოლიტიკურ პარტიებს მიკედლებული ქალების წინასწარგაზეპირებულ რეკოლუციურ მოწოდებებს ვუსმენ, ვფიქრობ, რომ ნამდვილი რეკოლუცია ჩვენი დედების შრომაშია, ეს არის ყოველდღიური რეკოლუცია ზედმეტი წრიალისა და თეორიების გარეშე.

ჯაკომეტის ბიოგრაფიას ვკითხულობდი. ძალიან მოვიხიბლეთ სიტყვებით, რომელსაც ივ ბონფო დედამისის, ძლიერი და მომხიბვლელი პიროვნების ანიტა ჯაკომეტის შესახებ წერს:

„ის იყო ყველაფრის ცენტრი, ფხიზელი და ჩუმი მცველი, რომელიც თითქოს მარტო თავისი არსებობით აცოცხლებდა ტრადიციას. იყო ოჯახის დარაჯი, მისი სიძლიერის სიღრმეში წასული ფესვი, ადამიანი, რომელსაც გაეგებოდა საგნების, შექმნილი ფაქტების აღქმა და ფასეულობების ცნობა, ასევე შექმნილი ეთქვა, რაც იყო საჭირო და რაც იყო გადასაწყვეტი. ის გახ-



ლდათ ადამიანი, რომელიც გულლიად გამოთქვამდა აზრებს და ყოველდღიურ საზრუნავზე თუ ცხოვრებისეული კრიზისის დროს წარმოთქმული ეს აზრები ხშირად ბრძანებებად იქცეოდნენ ხოლმე“.

რამდენიმე ამ თვისებათაგან დედაჩემსაც ჰქონდა ისევე, როგორც რალაც მუდმივი მშვენიერებასავით, რომელიც მის წლებსაც უძლებდა და კიდევ, ოდნავ დაფარული, საკუთარი თავისთვისაც კი დაფარული მშვიდი ქალურობა. დედაჩემის უსაზღვრო მზრუნველობა თითოეული ჩვენგანისადმი ასახავდა მის ძლიერ სურვილს, რაც შეიძლება დიდხანს დავეტოვებინეთ ბავშვებად. მისი სიჯიუტე ხანდახან გვხიბლავდა, მაგრამ ზოგჯერ გვაოცებდა. მამაჩემმა ოჯახის სადავეები დედას გადაულოცა. ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დედა იღებდა, მამა ეთანხმებოდა. მამაჩემი თხუთმეტი წლით უფროსი იყო და ისეთი მშვიდი, რომ უჭირდა, მეუღლის ცეცხლოვან რიტმსა და ინიციატივებს აჰყოლოდა. სჯეროდა მისი გადაწყვეტილებების სისწორის, მართლაც უჩვეულოდ გულმონყაღე და რბილი იყო, რალაც იდუმალ მოთმინებას ფლობდა — კმაყოფილი იყო ისეთი ცხოვრებით, როგორიც ჰქონდა.

რაც შეეხება დედაჩემს, მის სურვილებსა და მისწრაფებებს ბოლო არ უჩანდა. უნდოდა შვილებს იმისთვის მიეღწიათ, რასაც თვითონ ვერ ეღირსა, შვილებს თუ არა, მაშინ შვილიშვილებს მაინც. მას ღრმად სწამს, რომ „თუ გინდა, შეიძლება კიდევ.“ სამოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული ქალი დღესაც თავისუფალი სულისაა, მეამბოხე ნებისმიერი შემზღუდავი სოციალური გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ერთი წუთით არ წყვეტს შრომას თავის სახლსა და პატარა ბაღში — რგავს, რწყავს, საკუთარი ხელით ეზიდება ქვებს ტერასის მოსაწყობად ან მცენარეებს შორის ბილიკების მოსაკირწყლად. სულ ერთიანად გამწვანებული თითები აქვს. რაც არ უნდა დარგოს ბაღსა თუ ქოთანში, ყველაფერი იზრდება და ხარობს. ხეებზე ასე ამბობს: „ეს ხე ჯერ უბირია“, რაც იმას ნიშნავს, რომ მეტად ახალგაზრდაა ნაყოფის გამოსაღებად. ან იტყვის ხოლმე: „იდიოტი ხე,“ როცა უკვე გაზრდილი მაინც არაფერს ისხამს.

სტუმრად მოსულს ხშირად აძლევს ვაზის ფოთოლს ან რომელიმე მცენარის ნერგს. თუ მცენარე მოინყენს, უკან მოაქვთ დედაჩემთან, რომ ხელახლა გამოაცოცხლოს.

ბებიაჩემ უმ 'ატას ერთი და ჰყავდა, რომელზედაც ბიძაჩემი აბუ ფახრი დაქორწინდა. ყველას განსაკუთრებით გვიყვარდა აბუ ფახრი, რადგან მან დედაჩემს და მის ძმას მამის მზრუნველობა აჩუქა მამებისთვის ჩვეული კონტროლის დაწესების გარეშე. ბებიაჩემი ორ ობოლ შვილთან ერთად თავის დასთან ცხოვრობდა. აბუ ფახრი კი ორივე ოჯახს მფარველობდა და მის თითოეულ წევრზე პასუხისმგებლობას იღებდა, ცუდი დროება იდგა თუ კარგი.

\* \* \*

თვალწინ გამიცოცხლდა დირ ლასანას ხალხი მშვენიერი თუ საძაგელი ისტორიებით. ისინი თავიანთი დროისა და ხასიათის შვილები იყვნენ.

ვხედავდი მათ დაბქას ცეკვის დროს ურთიერთგადაჯახებული მკლავებით, სოფლის მოედანზე თეთრ ქუფიებს ჰაერში რომ აფრიალებდნენ. ზოგიერთი მათგანი უხეში იყო, ზოგი — მგრძნობიარე, ზოგი — ხელგაშლილი, ზოგიც — ხელმომჭირნე. და მაინც, ისინი ფლეიტის ჰანგებქვეშ სავარცხლის კბილებით ჩამწრივებულნი ცეკვავდნენ ბედნიერები ახალგაზრდების დაქორწინებით.

საკმაო ხანს მოგვიწია ცდა, სანამ ცხოვრებამ არ გვასწავლა სიბრძნისა და სინანულისკენ სავალ ჩვენს გრძელ გზაზე, რომ სავარცხლის კბილებიც კი არ შეიძლება იყოს ზუსტად ერთნაირი.



## ბიძია მამიკო

დილით აბუ ჰაზიმისკენ გავემართე, რათა ბიძაჩემ აბუ ფახრის სახლი მენახა.

— რა გნებავთ? — დაიყვირა ვილაც ახალგაზრდა კაცმა მზობელი სახლის აივნიდან.

აბუ ჰაზიმმა უპასუხა:

— ეს ჩვენი ნათესავეების სახლია. მხოლოდ ნახვა გვინდოდა.

— ჩვენ ოფიციალური კონტრაქტი გვაქვს მისი ქირაობის თაობაზე.

სამი თალიანი სართული, თეთრი ქვა, ლიმონის ხეების პატარა ბაღი სახლის გვერდით, კოხტა, ჟანგით დაფარული რკინის ჭიშკარი... ნათელია, რომ ამ ყველაფერს ადამიანის ხელი არ შეხებია 1967 წლიდან.

— შემობრძანდით. — გვითხრა ახალგაზრდა კაცმა.

ჩვენ მადლობა გადავუხადეთ და წამოვედით. გასაგებია, რომ ცარიელ სახლში ჩვენი შეჭრის შეეშინდა. აქ ყველას ეშინია თავისი საკუთრების გამო. ბევრმა გააფორმა კუთვნილი სახლები ახლობლების სახელზე, რადგან შიშობენ, რომ ოკუპაცია პალესტინის ტერიტორიაზე არმცხოვრებთ წაართმევს ქონებას. ამგვარად გადარჩა იმ პალესტინური ეზოებისა და სახლების ნაწილი, რომელთა მფლობელები საზღვარგარეთ მუშაობენ. ასე გადარჩა ზეთისხილის მოვლილი ბაღებიცა და დამუშავებული მიწებიც ნასულებისა და დარჩენილების ურთიერთნდობის წყალობით. სხვაგვარად, ისრაელი ყველაფერს კონფისკაციას გაუკეთებდა.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ისე მოიქცა, თითქოს აქედან წასული პალესტინელების დაბრუნება რაღაც სასწაული ყოფილიყოს. წასულები საკუთრების საქმეებზე თვალყურის მიდევნებას შეეშვნენ, ხოლო დარჩენილებმა მათი

მინების მოვლა შეწყვიტეს. უჩვეულო ამბებს მოისმენთ ნასულთა უფლებების მიმართ „მომვლელთა“ ერთგულების შესახებ. ეს უფლებები ხომ არც კონტრაქტებში დარეგისტრირებულა და არც პირადი ადვოკატების ჩარევით დადასტურებულა. მაგრამ ისეთ ისტორიებსაც წააწყდებით, როცა დარჩენილებმა ფაქტობრივად მიითვისეს ნასულთა ქონება, რომელიც ნდობით ჰქონდათ მოპოვებული და აღარც დაუბრუნეს. (როგორც ხედავთ, ცხოვრება არასოდეს არის იოლი). „მომვლელთა“ ნაწილს კი იმის ემინია, რომ დაბრუნებული მფლობელები მოსთხოვენ თავიანთ წილს, რაც მათი იყო ოკუპაციამდე. ეს ის სახელები და ბინებია, რომლებიც ძალიან იაფად მიაქირავეს დარჩენილებს, უბრალოდ იმისთვის, რომ მიტოვებულ ადგილს თვალის მადევნებელი ჰყოლოდა.

ჩემს სანახავად მოსულმა აბუ ბასილმა მიაგმო, რომ თავისი სახლი დირ ღასანაში დის სახელზე გაუფორმებია. როდესაც პალესტინაში შესვლის უფლება მოიპოვა, საუდის არაბეთში მუშაობით დაგროვილი დანაზოგით დაუბრუნდა სახლს. ის კი დის შვილებზე გადაფორმებული დაუხვდა. ახლა ფაქტობრივად უსახლკაროა. ასეთ შემთხვევებში არავინ მიმართავს ოკუპანტების სასამართლოს, რაც არ უნდა დიდი იყოს დანაკარგი. დღეს არაერთ ოჯახს ნახავთ, რომლის წევრებიც ერთმანეთს არიან გადაკიდებულნი.

აბუ ბასილის მსგავსი ისტორია ბევრს შეემთხვა, როცა ოსლოს შეთანხმების შემდეგ პალესტინელთა ნაწილი დაუბრუნდა მამაპაპისეულ კერას. ერთხელ მე და ჩემმა მეგობრებმა გადაწყვიტეთ, დაგვენერა სახუმარო პიესა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია ამ ვითარების გამო ჩვენ გარშემო მყოფ ხალხს. თითოეული ჩვენთაგანი ერთ წინადადებას ამატებდა მანამდე თქმულს. ბოლოს აი, რა გამოვიდა:

— ასე და ამგვარად, ბრუნდება დირ ღასანაში და სთხოვს თავის ბიძაშვილს, დაუბრუნოს ზეთისხილის ნაკვეთი, რომელსაც ის უვლიდა შეთანხმებულ ფასად.

— მაგრამ ბიძაშვილმა, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში მიეჩვია იმ ბაღის პატრონობას, მშვიდად უპასუხა:

არაფერი დაგიტოვებია ჩემთვის. გინდა ზღვა დათოხნე, გინდა კედელს ურტყი თავი.

— ამის გაგონებაზე გულის შეტევა დაემართა.

— ცოლმა მკვდარი კაცი რომ დაინახა, გაგიჟდა.

— შეილება რომ ნახეს მამის სიკვდილის გამო გაგიჟებული დედა, მოკლეს ბიძაშვილი.

— მოხუცმა ბიძამ რომ დაინახა დირ ლასანაში დატრიალებული შექსპირისეული ტრაგედია, თავის მოკვლა გადაწყვიტა და ბენზინი გადაისხა.

— ბენზინი მოედო მეზობელ სახლებს, სასტუმროს თავისი სტუმრებიანად და დირ ლასანა დაინვა.

— სწორედ ისე, როგორც ფილმში „ხანძარი პარიზში.“

— უსაზღვრო წარმოსახვა გაქვს. — დაასკვნა აბუ ‘ავადმა. ამ დროს კი ამანში თოვლიანი ღამე იყო და ჩვენ კარტს ვთამაშობდით.

— კოზირი! — დაიყვირა მან.

— მართალია, რომ ბეირუთში გაქანებული სამოქალაქო ომის დროს კარტს თამაშობდი? — მკითხა უცებ.

— კი, მართალია. — ვუპასუხე.

— საკუთარი თავის არ გრცხვენია? კოზირი.

\* \* \*

მართალია. ბარიკადებისა და სისხლისღვრის, გამაყრუებელი დაბომბვის ფონზე ღამეებს კარტის თამაშში ვათენებდით, რადგან მეტი აღარაფერი დაგვრჩენოდა. ჩემი კარტიდან კოზირი გამოვადვრინე და დერჰალის ვუთხარი:

— საწყალი ბებიაჩემი უმ ‘ატა. ალბათ, ახლაც, ლოცვისას ცისკენ რომ იხედება, ამბობს: „ღმერთმა გაამარჯვებინოს მურიდ იბნ საქინას და დაიფაროს ყუმბარებისგან, სადაც არ უნდა იყოს“.

დერჰალი კი მპასუხობს:

— დედაჩემი კი ალბათ, ამბობს: „ნეტავ, დერჰალი თბილადაა? ნეტავი, როგორ ცხოვრობს იქ? სიცივეში თბილი გადასაფარებელი თუ ახურავს? ღმერთმა დაიფაროს და დაიცვას.

ღმერთი არ განირავს ახალგაზრდებს. ჩართე, ფატიმა, რადიო, გავიგოთ ახალი ამბები ჩვენს ახალგაზრდებზე.“ კოზირი!

ხანგრძლივმა ომებმა მოწყენილობა წარმოშვა. ერთ საღამოს რასმი აბუ ‘ალის გავეჯიბრე, ვინ უფრო მეტ სინონიმს მოიგონებდა სიტყვისთვის „სილის განნა“ პალესტინურ დიალექტებში. სინათლე გამორთული გვექონდა. ორივენი ვინეკით და ერთმანეთს ვერ ვხედავდით. სიტყვაც არ დაგვიტოვებია გაუხსენებელი. ტკბილ ძილს რომ ვუსურვებდით ერთმანეთს და დაძინებას დავაპირებდით, კვლავ წამოტივტივდებოდა ახალი სინონიმი, რომელსაც ერთ-ერთი ჩვენგანი გამარჯვებული სახით წამოიყვირებდა და ასე დაუსრულებლად. იმ ღამეს გავიხსენეთ ჯაბადუჰ, კაჰადუჰ, ლაჰუჰ, სანადუჰ, რანნუჰ, ზაჰუჰ, ჰაბადუჰ, თაჯჯუჰ, შამათუჰ, ნავლუჰ და ვინ მოსთვლის, კიდევ რომელი არა.

უზარმაზარი ვირთხა იზიარებდა ჩემს საცხოვრებელს. უსარგებლო იყო მის მოსაშორებლად განხორციელებული ყველა ღონისძიება. ბინას არც გათბობა ჰქონდა, არც ხალიჩები. ის, ვინც ნიჭი გამოავლინა პირადი გარემოს მოწყობასა და გამშვენებაში, ლიფტებითა და გენერატორებით აღჭურვილ მშვენიერ სახლებში ბინადრობდა, თუმცა დაძაბულობა ყველასათვის საერთო იყო. ჩემი უმცროსი ძმა ‘ალა ბეირუთის ამერიკის უნივერსიტეტის სტუდენტია ცხოვრობდა. საინჟინრო ფაკულტეტს ამთავრებდა. მისი სალაპარაკოდ გამოჭერა მართლაც ძნელი იყო. თუ ჩემთან მოვიდოდა, მერე ვნერვიულობდი, ჰამრაზე როგორ დაბრუნდებოდა და თუ მე მივაკითხავდი, ვიცოდე, ის კვდებოდა ჩემზე ნერვიულობით, როგორ მივიდოდი ფაქიჰანიში. ბიძაჩემ ‘ატას შვილს ფაჰიმს შაიაჰის უბანში მოხვდა ბრმა ტყვია, როცა ბეირუთი უკვე დატოვებული მქონდა. რამდენიმე დღეში გარდაიცვალა, ოცდაორი წლის იყო. მოგვიანებით შევიტყე, ბიძაჩემს როგორ დაუმახინჯეს სიმართლე. ‘ალას დაურეკავს მისთვის ბეირუთიდან ქუვეითში და ახალი ამბავი ასე შეუპარებია:

— ბიძა, ფაჰიმის გამო გირეკავ. შემთხვევით ტყვია მოხვდა, მაგრამ ექიმები ამბობენ, გამოძვრებაო.

ბიძაჩემს მშვიდად უპასუხია:

— სად აპირებთ მის დაკრძალვას?

მისმა ორმა დამ — ილჰამმა და ნაფჯამ, ძმამ მაჰმუდმა და ‘ალამ ცხედარი ქუევეითში გადაასვენეს, სადაც სალბიხათის სასაფლაოზე დაკრძალეს.

\* \* \*

ამჰერსთი... მასაჩუსეთი... ამერიკის შეერთებული შტატები... სტუმრად წასასვლელად ვემზადებით. რადვამ დისერტაცია დაიცვა და მისი ხელძღვანელი, პროფესორი სიდნი კაპლანი (რომელიც დაჟინებით მოითხოვს, რომ სიდი დაეუძახო) ვახშამზე გვეპატიჟება რადვას წარმატების აღსანიშნად. ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარი. მუნიფის ხმა წყვეტილად ისმოდა:

— დღეს ფაჰიმი მოკლეს ბეირუთში.

მუნიფი ამერიკაში კატარიდან მირეკავდა, მატყობინებდა ფაჰიმის ბეირუთში მოკვლისა და მისი ქუევეითში დაკრძალვის ამბავს და მეუბნებოდა, რომ აუცილებლად უნდა დაგკავშირებოდით ბებიაჩემ უმ ‘ატას დირ ლასანაში, დედაჩემს — იორდანიში და ფაჰიმის ბებიას დედის მხრიდან — ნაბლუსში. მე და რადვამ ბილეთები ავიღეთ კაიროში რომის გავლით. რადვამ თქვა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ კაპლანთან წავიდოდით და ამ გარიყულ კონტინენტზე სალამოს მარტო არ გავატარებდით. ყველაფერი არაჩვეულებრივად ჩატარდა. კაპლანის მეუღლე ემა დიდად გაისარჯა შესანიშნავი ვახშმის მოსამზადებლად. თბილი და შინაურული გარემო იყო, ბევრი ვისაუბრეთ. რადვა მართალი აღმოჩნდა — მეგობრებთან უფრო ადვილია მწუხარების გადატანა. თუმცა იმ სალამოს კაპლანის სააბაზანოში არაერთხელ შევედი და მაქსიმალურად ვეცადე, რომ საკუთარი პირლებინების ხმა ჩამეხშო.

\* \* \*

ამერიკის შეერთებულ შტატებში გატარებული ბევრი სასიამოვნო დღეც მაგონდება. იქ აფრიკელ და აფრო-ამერიკელ მწერლებს დავუახლოვდით. აღმოვაჩინეთ, რომ ბევრი საერთო

პოლიტიკურ-კულტურული პრობლემა გვაქვს. ეს იყო ცოცხალი, სალი ოპოზიციური დამოკიდებულება ამერიკულ მმართველ წრეებთან. მაიკლ თელველის ბინაში კი ყველაზე უცნაურ საუზმეს შევესწარი. მან, როგორც შესანიშნავმა მზარეულმა, მე და რადვა თავისივე მომზადებულ საუზმეზე დაგვპატიჟა. რა აღარ გაეკეთებინა — თევზი, ყველი, შემწვარი მანგო. ჩვენ გარდა მოწვეულები იყვნენ სტოკლი კარმაიკლი, ჩინუა ეჩიბეი და მისი ცოლი. პოეტმა იულიუს ლესტერმა რადვასთან ერთად თარგმნა ჩემი ერთი ლექსი „სოფლელი სა'იდი და გაზაფხულის მშვენიერება“. რადვამ ეს თარგმანი კაპლანს აჩვენა, რომელმაც ვახშმისას თქვა, რომ ის „უიტმენისეულია.“ ემამ კი აღნიშნა, რომ სიდისთვის უიტმენთან შედარება უმაღლეს შეფასებას უდრის. სიამაყით გავიბლინძე, რასაკვირველია, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ეს ლექსი ნამდვილად არ იმსახურებდა ასეთ მაღალ შეფასებას.

\* \* \*

იმ ღამეს აბუ ჰაზიმის სახლში ვინეკი და ვცდილობდი დამეთვალა, რამდენ სახლში მიცხოვრია. ოცდაათამდე დავთვალე.

\* \* \*

ვერანდაზე გასულს ფადვამ მაცნობა, რომ უმ ხალილი აპირებდა სამუშაოს შემდეგ ჩემს მონახულებას და რომ საჯიჯ მასთან ერთად მოვიდოდა; აბუ ჰაზიმმა კი მოგვახსენა — ბაშირ ალ-ბარლუთიმ დარეკა დილას და ყველა ვახშამზე დაგვპატიჟაო. ფადვას ქალიშვილმა, სავსანმა დარეკა ამანიდან, ხოლო მისმა დამ ლაილამ — ამერიკიდან. პალესტინელთა იღუმალი კავშირი ახლა ტელეფონია. წერილების ერა დასრულდა. დასავლეთ სანაპიროსა და ღაზაში ტელეფონი უკვე ახლადმობილი ავტორიტეტების ჯიბეებში მოკალათებულმა მობილურებმა შეცვალა. ამით ისინი ერთგვარად უპირისპირდებიან ჩვეულებრივ მოქალაქეებს. უპირისპირდებიან იმის მიუხედავად, რომ იციან — ჩვეულებრივი სატელეფონო ხაზებიც კი არ ფუნქციონირებს ამ ტერიტორიებზე. ასე რომ, მობილურები



არც სხვებს აწყენდათ. თუმცა, ამით როდი კმაყოფილდებიან?! მინისტრებს, დირექტორებსა თუ სხვა სახელმწიფო მოხელეებს სასახლეები აქვთ დაქირავებული, ფეშენებელური მანქანებით დადიან. მათი პიროვნული ძღვევამოსილების ნიშნები ვერაფრით ესადაგება ხალხის დაბეჩავებულობას და არც ოსლოს მოლაპარაკებათა მიხედვით დადგენილი პალესტინელთა ძალაუფლება იგრძნობა სადმე.

\* \* \*

როცა ხალხი კმაყოფილია, მხოლოდ მაშინ აკვირდება ამა თუ იმ მოხმარების საგნის პრაქტიკულ მხარეს. ვილაცისთვის მანქანა პიროვნულ სტატუსს უსვამს ხაზს, ვილაცისთვის კი ერთი წყვილი ფეხსაცმელიც საკმარისია მანძილების დასაფარად და ადგილიდან ადგილზე მისასვლელად. მეტიჩარა არაბებისთვის ძალაუფლებისა და სტატუსის ბოლო მანიფესტად მობილური ტელეფონი იქცა. ბეირუთში სიამაყის განსაკუთრებული საგანი ქამარში გარჭმული იარაღიც იყო, რაც თავისთავად ახლადმომხდარ სამოქალაქო ომს უსვამდა ხაზს. ის ეკეთა ჟურნალისტსაც, მწერალსაც, სამოქალაქო მოსამსახურესაც და პარტიის რიგით წევრსაც.

რაც შეეხება მანქანას, მას აქ სტატუსის სიმბოლოს ფუნქცია აქვს, არასავალდებულო ზედმეტი საგანია, რომელიც წლითინლობით ვითარდება. განა ის, ვის მანქანასაც უსაფრთხოების ბალიშები არ აქვს, შეიძლება გავუთანაბროთ იმას, ვის მანქანასაც აქვს? განა ის, ვისაც მძლოლი ემსახურება, შეიძლება გავუთანაბროთ იმ საცოდავს, რომელიც თვითონ ზის საჭესთან?

ყველა ეს ასოციაცია უადგილოდ წამოიშალა სწორედ იმ წამში, როცა ვერანდაზე მოკალათებული აბუ ჰაზიმისა და ფადვასთვის სათქმელად მაროკოულ ანდაზას ვისხენებდი: „ღმერთმა დაგვიფაროს შენუხებული უქონელისგან, რომელმაც ქონების გემო უკვე იგემა“.

ნაშუადღევს უმ ხალილი და საჯი მოვიდნენ. საჯიც კაიროში სწავლობდა, მაგრამ იშვიათად ვხვდებოდით, თუმცა ერთსა და იმავე უნივერსიტეტში ორივე ინგლისურ ლიტერატურას ვე-

უფლებოდით. მან დროის უმეტესი ნაწილი პოლიტიკას მიუძღვნა. საჯი პოლიტიკისთვის იყო დაბადებული — სტუდენტური გაერთიანების წევრი დიდი ინტერესით მონაწილეობდა საიდუმლო პარტიის საქმიანობაში. ამ პარტიამ მაშინდელ კაიროში ბევრი მთავარი თემა განავითარა. პოლიტიკურ მოღვაწეობაში დიდად ვერ აყვევი საჯის.

კაიროში ყოფნისას არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი პოლიტიკურ ცხოვრებას. არც ვიცოდი, ვის რა მიზანი ამოძრავებდა ამ ასპარეზზე. უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში ჩაძირული სრულიად ბედნიერად ვგრძნობდი თავს. აქ გავიცანი ჩეხოვის, ელიოტის, ბრეხტის, შექსპირის შემოქმედება, ვეზიარე ძველ ბერძნულ ცივილიზაციას, ევროპულ რენესანსსა და ახალ ლიტერატურათმცოდნეობას. პირველად შევაქციე ზურგი ტრადიციულ პოეზიას — ვერლიბრმა გამიტაცა.

მუნიფი კატარში მუშაობდა და თვეში ერთხელ თვრამეტი ეკვიპტური ფუნტის ეკვივალენტს მიგზავნიდა ხოლმე. აქედან ცხრა ფუნტს ქირაში ვიხდიდი, დანარჩენი ცხრა ფუნტით კი ვცხოვრობდი და ყოველ შაბათს კაიროს ოპერაშიც დავდიოდი სიმფონიური ორკესტრის მოსასმენად (ბილეთი მხოლოდ ცხრამეტი პიასტრი ღირდა). ეროვნულ და სხვა თეატრებში წასვლასაც ვახერხებდი. მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში ჩავაბარე, მუნიფის პირველივე წერილში გაჩნდა მითითება იმის თაობაზე, რომ მისი გამოგზავნილი ფული ბანკში უნდა გადამეხურდავებინა: „თუ ერთ მშვენიერ დღეს გავიგებ, რომ შენი დოლარები ბანკის ნაცვლად შავ ბაზარზე გადაცვალე, დაუყოვნებლივ რამალაში მოგიწევს დაბრუნება! ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და ახლა იწყებ ცხოვრებას, რომელიც ერთხელ თუ გამრუდება, აღარასოდეს გასწორდება!“

ზუსტად ოცდაორი წლის იყო მუნიფი, როცა ეს სიტყვები მომწერა.

უნივერსიტეტში სწავლისას თანაკურსელებს ხშირად ვუამბობდი უფროსი ძმის შესახებ და ვუყვებოდი, რასაც ის წერილებში მწერდა. ერთხელ რადვას მისი ფოტო ვაჩვენე. მან გაოცება ვერ დაფარა:

— ეს ხომ ბიჭია! ისე ამბობდი „ჩემი დიდი ძმა, ჩემი დიდი ძმაო“, მეგონა, მოხუცი იყო. ის კი შენზე პატარას ჰგავს.

წლების შემდეგ, როდესაც დავკორწინდით და რაღვა შეხვდა მუნიფს, ის თავად დარწმუნდა, რა სასიამოვნო და სიცოცხლით სავსე კაცთან ჰქონდა საქმე. მუნიფი სულ სამი წლით იყო ჩემზე უფროსი, 1941 წელს დაიბადა იერიქონში, ხოლო მე 1944 წელს — დირ ლასანაში. „ჩემი დიდი ძმა“ სწორედ ის გამოთქმა გახლდათ, რომელიც ასახავდა მის როლს, მის მონიფულობასა და პასუხისმგებლობას, რაც მუნიფის მაშინდელ ასაკს ნამდვილად აღემატებოდა.

\* \* \*

უნდა ვაღიარო იმხანად ჩემი აბსოლუტური უინტერესობა პოლიტიკის მიმართ მიუხედავად იმისა, რომ პალესტინელი ვიყავი — 1948 წლის კატასტროფის შვილი. ერთი-ორჯერ წავედი კიდეც კაიროში მცხოვრებ პალესტინელ სტუდენტთა გაერთიანების შტაბ-ბინაში ჯავად ჰუსნის ქუჩაზე, მაგრამ ვიგრძენი, რომ არ ვეკუთვნოდი ამ მოძრაობას, რომ არც მე ვივარგებდი მისთვის და არც ის — ჩემთვის.

წლების შემდეგ, როცა მოვლენები ისე განვითარდა, რომ დავმარცხდით კიდეც და უამრავი საპროტესტო ფრაქცია ჩამოყალიბდა, მაშინღა მივხვდი — სწორედ ჩემი სტუდენტობის პერიოდში 1963-დან 1967-მდე მიმდინარეობდა პალესტინური საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაცია ფათჰის ჩამოყალიბება და ეს ფორმირება სწორედ სტუდენტური გაერთიანების ფარგლებში იღებდა სათავეს. სტუდენტები, რომლებიც მაშინ თავიანთ უპრეტენზიო პოლიტიკურ შეკრებებზე მეპატიჟებოდნენ, საკმაოდ დიდი და სერიოზული პროექტების სათავეში აღმოჩნდნენ. მათ, ალბათ, ან ძალიან მიამიტი, ან მხდალი ვეგონე. შევეუერთდებოდი ამ ადამიანებს და გავამართლებდი მათ იმედებს, თავიდანვე რომ გამეგო ამ შეკრებების ნამდვილი არსი? არ ვიცი.

ერთ-ერთი რამ, რაშიც დედაჩემის დადანაშაულება შეიძლება, ის გახლავთ, რომ მან ნებისმიერი საშიშროების ჟამს უკი-

დურესი სიფრთხილე გვასწავლა. დღემდე არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის ველოსიპედზე ჯდომა. დედა შიშობდა, რომ რომელიმე დავარდებოდა და უსათუოდ ხელს ან ფეხს მოიტეხავდა. თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩემს ნათესავებსა თუ კოლეგებს ისე ვუყურებდი, თითქოს ისინი, ჩემგან განსხვავებით, გმირებად იყვნენ დაბადებულნი, თითქოს ისინი უკეთესი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ.

საჯი გაჰყვა პოლიტიკურ ასპარეზს — დემოკრატიული ფონდის პოლიტიკური ბიუროს წევრი გახდა. დედამისმა უმ ხალილმა კი საქვეყნოდ გაითქვა სახელი, როდესაც პალესტინის პრეზიდენტის კანდიდატობაზე იყარა კენჭი და არჩევნებში 'არაფატის ერთადერთი მეტოქე იყო.

შევთანხმდით, რომ დილით ოჯახის მხარდამჭერ საზოგადოებას ვენწეოდ, რომელსაც სათავეში უმ ხალილი ედგა. საჯისთან და ვალიდთან ერთად კი იმავე საღამოს რამალადან გასვლა დავგეგმეთ.

\* \* \*

ბაშირ ალ-ბარლუთის დაპირებისამებრ ვახშამზე ვენვით.

— ოსლო ან დამოუკიდებლობამდე მიგვიყვანს, ან ჯოჯოხეთამდე. ეს უკანასკნელი რომ ავიცილოთ თავიდან, უფრო აქტიურად უნდა ვიმოქმედოთ. — თქვა ბაშირმა.

მას ესმის ახალი სიტუაცია — ცხოვრობს სამშობლოში, გამოსცემს ჟურნალ „ატ-ტალი‘ას“, პალესტინის სახალხო პარტიის მდივანია. სულ რამდენიმე დღის წინ მრენველობის მინისტრად დაინიშნა. ბაშირს მშვიდი, დაფიქრებული გამოხედვა აქვს. ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, თუმცა, იმ საღამოს ძალიან დიდხანს ვისაუბრეთ, უამრავი რამ გავიხსენეთ, მათ შორის დირ ლასანა. ჩვენთან ერთად იყვნენ ბაშირის მეუღლე, ვაჟი ნაბილი და ცოლის და ნოჰა, რომელიც ჩემი კლასელი იყო, ასევე ნოჰას ვაჟები, ანისი, ჰუსამი და აბუ ჰაზიმი. ნოჰა '67 წლის მერე არ მინახავს, მაგრამ ბევრი მსმენია მის ნებაყოფლობით აქტიურობაზე სხვადასხვა ევროპელი ქალებისაგან, რომელთაც მასთან ერთად უწევდათ მუშაობა.

\* \* \*

მეორე დღეს მალიჰა ან-ნაბლუსია გვეწვია და თან თავისი რვა ვაჟიდან ორი მოიყვანა. ის ჩვენი მეზობელი იყო უმ ისმაილის შენობაში. ვუთხარი:

— დიდად ნაშველებიხარ ისრაელს საპატიმრო ცენტრებში შენი ვაჟების რიგ-რიგობით გაგზავნით.

— მადლობა ღმერთს, შვილო, საკმარისად ვინვალე. მათ ჯერ ერთი მიყავდათ, მერე ორს აპატიმრებდნენ. საცოდავი მალიჰა კი უმწეოდ დაეძებდა და წესიერად იმასაც ვერ იგებდა, რომელ ციხეში ჰყავდათ მისი ვაჟები გამომწყვდეული, ნებადართული იყო თუ არა მათი მონახულება. რევმატიზმმა — ეშმაკმა დალაზხროს! — გამანამა. ჩვენ შორის დარჩეს და, *ინთიფადას* დღეებში სამყარო უკეთესი იყო. შენ როგორ ფიქრობ?

დავეთანხმე, რომ უკეთესი იყო სამყარო.

— შენ მართლა ფიქრობ, რომ დაიძვრება საქმე? ნეთანიაჰუს სიტყვაც არ დაიჯერება. ნამდვილი ეშმაკია, შენ არ იცი!

ვკითხე, პერესი თუ ჯობს-მეთქი, მაგრამ უიმედოდ ჩაიქნია ხელი:

— ერთმანეთზე უარესები არიან.

მერე დაამატა:

— გარეწრები!

მალიჰას რვა შვილის მამა *ინთიფადას* მეორე წელს მოკლეს.

— ღმერთს ვმადლობთ, რომ ეს დასაწყისშივე მოხდა. ისეთი ამაღლებული განწყობა გვექონდა მაშინ. ვაჟკაცურად გადავიტანე მისი სიკვდილი. ვთქვი, რომ რაც მას დაემართა, იგივე დამართათ სხვებსაც. მოვკვდებოდი, ეს რომ ბოლო წლებში მომხდარიყო. ბოლოს ჩაშალეს ყველაფერი, შვილო. ღმერთმანი, ყველაფერი აურიეს და გააჭუჭყიანეს იმისთვის, რომ ხალხს გახარებოდა მისი დამთავრება. შენ როგორ ფიქრობ?

პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია ვახსენე, დაღუპულების ოჯახებს ფინანსურად ხომ ეხმარება-მეთქი. სწრაფად მომიჭრა:

— ორგანიზაცია სისტემატურად როდი აკეთებს ამას?! იმიზეზებენ, დონორმა ქვეყნებმა ფული არ ჩაგვირიცხესო. ღმერთ-

თმა ყველას უშველოს! მხოლოდ ორმოცდაათ დოლარს იძლეოდნენ თვეში, როცა ფული ჰქონდათ, მაგრამ რალაცას მაინც ვახერხებდით, ღვთის წყალობით.

\* \* \*

გასაოცარია, როცა შენი მასპინძლის სახლი შენი სტუმრებით ივსება. აბუ ჰაზიმმა თქვა, ეს ამბავი თაფლივით მედებო გულზე. ფადვაც დაეთანხმა. ზოგიერთი ჩემი მეგობარი შუა ღამისას მაკითხავდა და გაკვირვებული ვიყავი, როცა ჩემი მასპინძლებიც დგებოდნენ და ათევდნენ ღამეს. შემთხვევას ვეძებდი, რომ სასტუმროში გადავსულიყავი საცხოვრებლად ისე, რომ აბუ ჰაზიმს გული არ ტკენოდა. ეს შემთხვევაც გამოჩნდა, როცა რამალას სასტუმროში ამანიდან წინაღამით ჩამოსულ მაჰმუდ დარვიშს უნდა შევხვედროდი და ამისათვის ტაქსი უნდა გამომეძახა. აბუ ჰაზიმს ვუთხარი:

— თუ შენ იმავე სასტუმროში ოთახს გამომიძებნი, ამაზე კარგს ვერაფერს გააკეთებ ჩემი არეულ-დარეული გრაფიკისთვის, რომელიც ისე ვერ მომიგვარებია, რომ ყველასათვის კომფორტული იყოს.

ამას აბუ ჰაზიმისა და ფადვას ისეთი რეაგირება მოჰყვა, რომ ბოდიშის მოხდა მომიხდა, სასტუმროზე გაფიქრების გამოც კი.

შევხვდი მაჰმუდს. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ, მათ შორის ჟურნალ „ალ-ქარმალის“ რამალამი ხელახლა გამოცემაზე. მერე კი უმ ხალილს მივაკითხე ოჯახის მხარდამჭერ საზოგადოებაში.

ამ საზოგადოებაში შევხვდი მკერავებს, მქარგავებს, ხელოსნებს, ხილის მკრეფავებსა და მფუთავებს. ესენი იყვნენ პატიმრებისა და მოკლულების ვაჟები და ქალიშვილები, შრომით რომ ცდილობდნენ, ოჯახს შეშველებოდნენ. ორი ვერცხლის კავი მათ ხელეუბნი ერთურთის საკოცნელად შემართული ორი შეყვარებული ჩიტით მიიჩქაროდა, ცდილობდნენ მათში გამოძვრენილ ულამაზესი ფერის ძაფს გაქცეოდნენ თავშალისკენ ან ღია გადასაფარებლისკენ, სხეულის გასათბობად

რომ მზადდებოდა. მეორე მაგიდასთან გოგონების თითები ნემსთან ერთად მოძრაობდნენ და კვირების მანძილზე სხვადასხვა ფერებს ერთმანეთში ურევდნენ, ქსოვილი დღითიდღე რომ გაზრდილიყო და საბოლოოდ ათი ათასობით გამაოგნებელი ნაქარგით შემკული პალესტინური სამოსი მიეღოთ. ზეთისხილის ხის, ვერცხლისა და ცვილის ინკრუსტაციები, მოქარგულ ჩარჩოებში ჩასმული სარკეები, საბავშვო, ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი, ყველანაირი კერძის დამამზადებელი უზარმაზარი სამზარეულოები იმ ოჯახებისთვის, რომლის ყველა წევრიც მთელი დღე მუშაობდა, სხვადასხვა წრეები — ფორტეპიანოს, ფლეიტის, ‘უდის, დაბქას და სიმღერის შემსწავლელი ბავშვებისათვის... ოჯახის მხარდამჭერი საზოგადოება ოცდაათზე მეტი წლის მანძილზე უამრავ გაჭირვებულ ადამიანს დაეხმარა. ის პალესტინელი ბიზნესმენებისა და ზოგიერთი სხვა არაბული ქვეყნის ფინანსური მხარდამჭერით არსებობდა. უმ ხალილმა დააარსა იგი რამალას დაცემამდე ორი წლით ადრე. საზოგადოების მიერ ახლადშექმნილ პალესტინური ხალხური ხელოვნების მუზეუმსაც ვენვიე, რომელიც ორ დღეში ზეიმით უნდა გახსნილიყო. ჩემი ვიზიტი საზოგადოებაში არაჩვეულებრივი სიურპრიზით დასრულდა, როცა ქ-ნი ტარაზის აკომპანიმენტით ბავშვთა გუნდი წარდგა ჩვენ წინაშე. ეს ყველაფერი პალესტინური თვითმყოფადობის შენარჩუნების მცდელობის არაჩვეულებრივი მაგალითი იყო. ამიტომაც იქცევდა უმ ხალილის საზოგადოება არა მხოლოდ რამალასა და ბირას მაცხოვრებლების, არამედ მთელს მსოფლიოში მოდებული პალესტინელების ყურადღებას. სიდუხჭირეში მყოფი ხალხისთვის სამუშაო ადგილები შექმნეს, უამრავი ბავშვის ნიჭი განავითარეს და სააშკარაოზე გამოიტანეს. ეს იყო შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ რამდენად წარმატებულია და ნაყოფიერი სწორედ ადგილობრივი ადამიანების ინიციატივა და აქტიურობა, იმ ხალხის მონდომება, ვინც სხვაზე უკეთ ერკვევა საკუთარ რეალობაში, პრობლემებში და იცის, თუ რა სჭირდება ყველაზე მეტად.

\* \* \*

სალამოს, როგორც დაგეგმილი გვექონდა, ვალიდმა, საჯიმ და მე ღამის რამალას მივაშურეთ. აბუ ია'კუბთან ან ვასიმთან, ანისთან ან ჰუსამთან ერთად არაერთხელ გავედი ჩემი საყვარელი ქალაქის ღამის ქუჩებში. და მაშინ, როცა ვსეირნობდით ან რომელიმე კაფეში მაგიდის გარშემო შემომსხდრები ხმამალლა ვიცინოდით და ვლაპარაკობდით, უცხო თვალისთვის, ალბათ, მეგობრების უბედნიერეს წრედ ვჩანდით. ყველაფერი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ჩანს.

ჩემ წინ ოთხმოცდაათიანი და არა სამოციანი წლების რამალა გადაშლილიყო, რომლის ზოგიერთ დეტალს მეგობრების ახსნის გარეშე ვერ ვიგებდი. ბუნებრივია, ქალაქის იერი შეცვლილი უნდა იყოს იმისთვის, ვისაც დიდი ხანია ის არ უნახავს. ჩემი მეგობრები უკმაყოფილოები იყვნენ ფასების ზრდით კონკრეტულ საგნებზე. რამალა თავისი ხალხისთვის ფორთოხლისფრად შეღებილი სახურავებით გადახურული სახლებია და მათ გარშემო გაშენებული ბაღები, შადრევნიანი პარკები და ალ-იზა'ას ქუჩა, რომელსაც ჩვენ შეყვარებულთა ქუჩას ვეძახდით. მის ერთ მხარეს ჩამწკრივებული მაღალი ხეები მწვანე ბორცვებსა და პალესტინის სანაპიროს გადაჰყურებს, რომლის მოციმციმე შუქები ღამლამობით აკიაფდებიან ხოლმე. მე არ ვიზიარებდი მეგობრების ნუხილს ფასების აწევის გამო, რადგან ფასების აწევა ქალაქის ზრდაზე მიანიშნებს. ფაქტობრივად, ოკუპაციის სიძულვილი ჩვენში ხომ ამან წარმოშვა — ისინი ხელს უშლიან ქალაქების ზრდას, საზოგადოებისა და ჩვენი ცხოვრების განვითარებას, აბრკოლებენ ბუნებრივი წინსვლის პროცესს.

ქალაქში არაერთხელ გასეირნებებისას ბევრი ჩემთვის საყვარელი ადგილის მონახულება მოვასწარი. მათ შორის იყო რამალას საშუალო სკოლა თავისი თაღებიანი დერეფნებით, სათამაშო მოედნებითა და ბიბლიოთეკით, სადაც „ქითაბ ალ-ალანი“ ნავიკითხე, ასევე ძველი რამალა, ბატნ ალ-ჰავა, ეკლესია, ნაბლუსის ქუჩა, ჯამალ 'აბდ ან-ნასერის მეჩეთი, ალ-მანარას მოედანი. ნა'უმის პარკის ადგილას მაღალსართულიანი შენობა აღემართათ ბევრი მაღაზიით.



ვერ ვიცანი სახლები ფუ'ად თანუსის, 'ადელ ან-ნაჯარისა და ბასიმ ხურის, რომელთან ერთადაც კაიროში ვცხოვრობდი მესამე კურსზე. ვიცანი ჩვენი მეოთხე მეგობრის, რამი ან-ნაშა-სიბის სახლი, რადგან ის იმავე შენობაში ცხოვრობდა, რომელშიც ომარ ას-სალიჰ ალ-ბარლუთი — ბიძაჩემი აბუ ფახრის წინ.

ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა რამალაში ხალხია — გულღია, გახსნილი და სტუმართმოყვარე საზოგადოება მუსლიმურ-ქრისტიანული შემადგენლობით. ორივე რელიგიის რიტუალები სპონტანურადაა ერთანეთში არეული. ქუჩები, მაღაზიები, ქალაქის დაწესებულებები საგანგებოდ ირთვება ახალი წლისა და შობის წინ, რამადანისა და 'იდ ალ-ფიტრის დროს, 'იდ ალ-ადჰაზე და ბზობის კვირას. რამალას პარკი და რუქაბის ნაყინი მისი რეკლამის ნახვისთანავე შეგიძლია მოიხელო. პალესტინის პოლიციამ კარგად მოაწესრიგა საგზაო მოძრაობა, რითაც ალ-მანარას მოედანთან გამუდმებით ჩამწკრივებული საცობები აიცილა თავიდან. ამბობენ, რომ როცა ოკუპაციამ ქალაქის მუნიციპალური ორგანო გააუქმა, აქაურობა სანაგვეს დაემსგავსა. ახლა კი რამალამ დაბრუნა თავისი ოდითგან ჩვეული სისუფთავე. მხოლოდ სიმწვანის ნაკლებობა იგრძნობა. 1967 წლის მერე ისრაელმა ხომ წყლის გაყვანა დაიწყო აქედან. თუმცა, მაინც შემორჩენილა მწვანე საფარი.

პოლიტიკაზე საუბარი და იმის გამოცნობა, თუ რა მოხდება შემდეგ, აღარ თავდება და ასე იქნება კარგა ხანს. პოლიტიკამ ჩვენი კაცებისა და ქალების სულების ყველაზე პატარა, ფაქიზ ხვეულებშიც შეაღწია მას შემდეგ, რაც სიონისტების პროექტმა თავისი გრძელი ფრჩხილებით მოგვიკაკუნა ფანჯრის მინებზე და ბოლოს კარიც ჩამოიღო, სახლის ყველა ოთახს რომ მისდგომოდა და გარეთ, უდაბნოში გამოვეყარეთ.

ეს მდგომარეობაც კი ვერ გაამართლებს პალესტინური პოეზიის დაუფარავ, ღია დამოკიდებულებას პოლიტიკის მიმართ როგორც სამშობლოში, ასევე დიასპორაში. კომედიური ჟანრიც აუცილებელია. ჩვენი ტრაგედია ვერ შობს მხოლოდ ტრაგიზმს შემოქმედებაში. ჩვენ ხომ ისტორიულ-გეოგრაფიული ფარსის ეპოქაშიც ვცხოვრობთ. სამშობლოში მცხოვრებმა პალესტინელმა მხატვრებმა შესანიშნავად მოახერხეს, მახისათ-

ვის თავი აერიდებინათ და არაჩვეულებრივი ტილოები შეექმნათ, სადაც საერთო მდგომარეობის სპეციფიკურობა და მოთხოვნებიც იქნებოდა გათვალისწინებული. ყველგან, სადაც არ წავედი, ხალხი უჩიოდა პალესტინის გარეთ გამოცემული ნიგნების მიუწვდომლობას, არაბული სამყაროსგან მოწყვეტას და მსოფლიო კულტურისგან იზოლაციას, სხვა არაბ მწერლებთან კავშირების დამყარების შეუძლებლობას.

პალესტინელს თავისი სასიხარულო განცდებიც აქვს — პატარ-პატარა სიამოვნებები სინანულებთან ერთად. ის საოცრად კონტრასტული ცხოვრებით ცხოვრობს, რადგან ჩვეულებრივი ცოცხალი არსებაა მანამ, სანამ რვასათიანი საინფორმაციო გამოშვების პირმშო არ გახდება. *ინთიფადას* მომსწრეთაგან გაიგონებთ იშვიათ ისტორიებს კონტრასტების შესახებ: ერთი ბიჭი იყო, რომელსაც დირ ღასანაში ბავშვობის პერიოდიდან ვცნობდით, რადგან სახე ჰქონდა დამწვარი. ის ედავებოდა სოფლის დალაქს, იუსუფ ალ-ჯაბინს, რომ გაპარსვაში თანხის მხოლოდ ნახევარი უნდა გადაეხადა, რადგან სახის ნახევარს იპარსავდა. ერთხელ ემირატებში ახლობლების მოსანახულებლად წავიდა და იქ სტუმრად მოსულებს უყვებოდა, როგორ დაენვა სახე *ინთიფადას* დროს. ამით ის აშარუბდა მედიის ისტორიებს, რომელიც საგანგებოდ ითხზებოდა, რათა *ინთიფადასთვის* ნამდვილი შინაარსი ჩამოეცილებინათ.

ახლა მახსენდება ანის ალ-ბარლუთის (სოფელი 'აბუდიდან) დოკუმენტური ფილმი თავისი თანასოფლელი გლეხი ქალის, ფარჰას შესახებ: *ინთიფადას* პერიოდში, როცა ქალები ებრაელი ჯარისკაცის მიერ დაკავებულ პალესტინელ ახალგაზრდას დაინახავდნენ, ყვირილს იწყებდნენ და ჯარისკაცს პირდაპირ უტყვებდნენ: „ჩემი, ვაჟი, ჩემი ვაჟი, დაანებე ჩემ ვაჟს თავი!“ ამ ფილმში კი ჯარისკაცი ხელს კრავს ფადვას და ეუბნება:

— ნადი, შე მატყუარა! რამდენი დედა ჰყავს ამ ერთ ბიჭს?! შეიძლება ერთ ბიჭს ასი დედა ჰყავდეს? ნადი აქედან, ნადი!

ფადვა კი უყვირის:

— დიახ, ჩვენ ასე ვართ. ერთ ბიჭს აქ ასი დედა ჰყავს და არა თქვენი ბიჭების მსგავსად, თითოეულს ასი მამა რომ ჰყავს!

პალესტინელი ქალის ფენომენი *ინთიფადას* წლებში გადაუჭარბებლად იმსახურებს დიდ აღტაცებას, თუმცა, მათი ამბავი ჯეროვნად ჯერ არსად აღუწერიათ. ხალხში ჰყვებიან ერთი ქალის შესახებ, რომლის სახლშიც გაქცეული პალესტინელი შვიდი წლის მანძილზე იმალებოდა. მთებში დამალულ კაცებზეც ჰყვებიან, კერძო სოფლის მეურნეობებზე, ურთიერთდახმარებაზე, პატარა-პატარა, ყოველდღიურად გაღებულ მსხვერპლზე, რაც საბოლოოდ ქმნის მთავარ ხერხემალს იმისა, რასაც ჩვენ, ინტელექტუალები, „გმირობას“ ვუნოდებთ ხოლმე. ჰყვებიან საიდუმლო ქირურგიულ ოპერაციებზე, რომლებსაც ნებაყოფლობით აკეთებდნენ პალესტინელი ექიმები *ინთიფადას* დროს დაჭრილებისთვის ისე, რომ საავადმყოფოდან მათი დაპატიმრების ნება არ მიეცათ.

ყოველივე ამასთან ერთად ისეთ პალესტინელებზეც დადის ხმები, ისრაელს რომ ემსახურნენ რაღაც ხურდა ფულის გულისთვის. ისრაელის მხარე ახლა ახალი პრობლემის წინაშე დადგა: როგორ უზრუნველყოს დაპირებული უსაფრთხო მომავალი მათ სამსახურში ჩამდგარი პალესტინელების ოჯახებისთვის?! საუბრობენ რაღაც უეცარ, არსადდარეგისტრირებულ შუალამის რეიდებზე, პალესტინის უშიშროების სამსახური რომ აწყობდა, კომერციულ სააგენტოებზე და გაბერილ მოგებებზე, რეკონსტრუქციის ფონზე აღმოჩენილ კორუფციის ნიშნებზე. ისრაელის სახელმწიფოს იმედის წნეხმა (იმედის წნეხი ხომ ტკივილისას ნააგავს) აიძულა ისინი, თავიანთ გამოსვლებში ამგვარი უწესრიგობები სანყისი ეტაპისთვის მოსალოდნელ და ბუნებრივ მოვლენებად მოენათლათ. იმედი აიძულებს მათ, თქვან, რომ რაკი ეს ურთულესი ეტაპი გადაილახა, ყველა არასახარბიელო გამოვლინებას მოეველება. ის უმრავლესობა, რომელიც იასირ 'არაფატს აძლევს ხმას, რეალური უმრავლესობაა, რომელსაც სწამდა ალექმული ისტორიული დაპირებებისა და ელის კიდევ, რომ შეუსრულდება. სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ პალესტინური საზოგადოება ისევ ელოდება. მას ჯერ კიდევ არ მოუხუჭავს თვალი. ყველაზე მეტად კი, იცით, რამ გამაოცა?! პალესტინის მედია სულაც არ ცდილობს ამ რეალობის გაშუქებას. მხოლოდ იმით არიან დაკავებულნი, სინამდვილე ყვავილებით დაფარონ.

ვალდი ყოველთვის ახალგაზრდების ყურადღების ცენტრში იყო, სადაც არ უნდა წავსულიყავით. ის მღერის, უკრავს 'უდზე, თეატრში მუშაობს. არასოდეს დაუტოვებია რამალა. აი, ეს გოგონა მისი თანამშრომელია თეატრში; ეს ბიჭი კი მოცეკვავეების ჯგუფს ავარჯიშებს; აი, ის მისი ძველი მეზობელია და ასე დაუსრულებლად. ჩვენ ვისაუბრეთ ყველაფერ ამის ფასზე — იმ მწერლისა თუ ხელოვნის ფასზე, რომელიც ძირითადად საკუთარი ჰორიზონტის შვილია. ჩვენს უცნაურ დროში არაბი მწერალი განსაკუთრებულად ღელავს მაშინ, როცა მისი ნაწარმოები რომელიმე დასავლურ ენაზე გადაითარგმნება, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ იზრდება მისი ფასი ადგილობრივ საზოგადოებაში. თითქოს, დიდი სურვილი აქვს, რომ ინგლისელმა წაიკითხოს, რათა შემდეგ არაბმაც მიაქციოს ყურადღება. ეს სასაცილოცაა და სატირალიც. ნეტავ, დღეს სხვა ერებსაც თუ ემართებათ მსგავსი რამ?!

დიდი ხანია, რაც სამი კინოთეატრი დაიხურა რამალაში. აფიშები ჩამოხიეს. მათ სიახლოვეს წყვილია დამა დაისადგურა. წიგნის მალაზიებში წიგნის გარდა ყველაფერი იყიდება — ტკბილეული, სასკოლო ნივთები (ფურცლები, კალმები...). ზოგ მანქანაზე ებრაული სანომრე ნიშნებია, ზოგზე — არაბული. ჩემნაირი ახალჩამოსული მიამიტისთვის რთულია ამ ყველაფრის გადახარშვა. ვალდი თეატრალურ ექსპერიმენტებზე მესაუბრებოდა, აბუ ია'კუბი — თავის საქმიანობაზე ჰუმანიტარულ ორგანიზაციებში, საჯი — მიტოვებულ პოლიტიკურ სამსახურსა და სადაზღვევო კომპანიაში მუშაობის დაწყებაზე, ვალდი — ლამაზ, კრამიტით გადახურულ სახლზე, რომელიც კულტურის სამინისტრომ აღადგინა და იქ „ხალილ ას-საქაქინის კულტურის ცენტრი“ დააარსა. ამ სახლში თეატრალური ჯგუფებიც იმუშავენ, მხატვრებიც; იქნება ბიბლიოთეკა, სამუშაო შეხვედრები, ერთ-ერთ სართულზე კი ყურნალ „ალ-ქარმალის“ რედაქცია განთავსდება. ეს სახლიც მოვიწახუდე.

\* \* \*

პირველად ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში პალესტინის სატელევიზიო პროგრამებსაც შევავლე თვალი. როგორც სხვადასხვა ქვეყნებში მოდებულ ლტოლვილებს, ჩვენ ხომ არც პალესტინური ავიახაზები გვქონდა, არც პალესტინური პოლიცია, არც პალესტინის ტელევიზია და არც მთავრობა. პალესტინის ტელევიზია, სხვა არაბული ტელევიზიებისა და რადიოების მსგავსად, ყველაფრით კმაყოფილია. რამალას ერთ-ერთი რადიოს სტუდიაში მასპინძელმა მკითხა:

— განა საოცარი ხალხი არ ვართ, განსხვავებული ხალხი, ნაცია?

კითხვითვე ვუპასუხე:

— განსხვავებული ზუსტად ვისგან? რისგან განსხვავებული?

ყველა ხალხს უყვარს საკუთარი სამშობლო და თუ საჭიროა, იბრძვიან მისთვის. მსხვერპლნი ჩვეულებრივი პრობლემების გამო ყველგან იღუპებიან. მესამე სამყაროს მებრძოლებით, მათ შორის კი პირველ რიგში სწორედ არაბებითაა სავსე ციხეები და საპატიმრო ცენტრები. ვიტანჯებით და ჩვენ მიერ გაღებულ მსხვერპლს ბოლო არ უჩანს, მაგრამ ამის გამო არც სხვაზე უკეთესნი ვართ და არც სხვაზე უარესები. ჩვენი ქვეყანა ძალიან ლამაზია, მაგრამ არანაკლებ ლამაზია სხვისი ქვეყნები. მხოლოდ ხალხის დამოკიდებულებაა თავისი ქვეყნისადმი განსხვავებული. ეს დამოკიდებულება, როცა ექსპლუატაციის, კორუფციისა და მექრთამეობის სახითაა წარმოჩენილი, ვნებს სამშობლოს და მის რეპუტაციას.

როდესაც მკითხა აზრი წარმატებული სამაუწყებლო სისტემის შესახებ, ვუპასუხე, რომ მედიამ რაც შეიძლება შორს უნდა დაიჭიროს თავი მმართველი ძალისაგან.

\* \* \*

ძილის წინ ჩემს ოთახში დავჯექი და „არსებათა ლოგიკის“ სათაურით გამოსაქვეყნებელ ტექსტებს კიდევ ჩავხედე. მომეჩვენა, რომ იუმორი გადაჭარბებულად მქონდა გამოყენებული. მერე კი გავიფიქრე — იყოს, რატომაც არა-მეთქი. ეს ყვე-

ლაფერი, რაც გარშემო ხდება, ხომ კომედიაა და ტრაგედიაც ერთსა და იმავე დროს. თითოეულ ჩვენს საუბარში სიხარული და მწუხარება ლამის ერთ წინადადებაში ხვდებიან ხოლმე ერთმანეთს. არ მჯერა იმ თვალის, რომელიც ტრაგიკულ სიტუაციაში კომიკურს ვერ ხედავს ან იგნორირებას უკეთებს მას. ყოველთვის უფრო კომფორტულია, ტრაგედიად წარმოადგინო ის, რაც დაგემართა ვიდრე ის, რაც შენ გააკეთე საკუთარი ხელით. სიტუაცია ტრაგიკულია, მაგრამ ტრაგედია ყოველთვის კომედიაზეა გადაჯაჭვული, რადგანაც მას ძალაუფლება არ აქვს. ჩვენ ვყუჩდებით და უხმაუროდ ვაკვირდებით გმირის დაცემას ბერძნულ თუ შექსპირისეულ ტრაგედიაში. ჰამლეტმა თქვა — რალაც გაფუჭდა დანიის სამეფოშიო — და დასრულდა ამით. მეორე დილით, როცა გაიღვიძებ, ვერ მოისმენ რადიო ან ტელეპროგრამაში, რომ უილიამ შექსპირი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელსაც თავისი საკუთარი სამოქმედო პროგრამა ჰქონდა და სახალხო ბრძოლაში არ იყო ჩაბმული, და რომ ყველაფერი მშვენივრადაა დანიის სამეფოში, განსაკუთრებით მის ბრძენ მმართველებში. ვერ ნახავ ჩრდილოეთის დილის გაზეულებში ვერც ერთ სიტყვას, გულმკერდზე გადაჯვარედინებული ხელებით რომ მიაძახო საცოდავ უილიამს პირდაპირ სახეში: „სად არის გამოსავალი, მისტერ შექსპირ?“ განა არ თქვა ანვარ სადათმა, რომ ის პირველი დაუკრავს ტაშს, თუ ვინმე გამოჩნდება და მასზე უკეთ აიღებს თავზე ისტორიულ ინიციატივას?! თუ მხოლოდ ოიდიპოსს ჰქონდა საკმარისი მჭევრმეტყველური მონაცემები ტრაგიკულ სიტუაციაში საკუთარი აზრის ასეთი სიმარტივით გამოსათქმელად?! მაგრამ ოიდიპოსს სულაც არ შეუძლია, კატასტროფა კარნავალად და ფესტივალად გადააქციოს. შექსპირს ტრაგედიის დაწერა თუ უნდოდა, ტრაგედიას წერდა, ხოლო კომედიის შექმნას თუ გადანიშნავდა, იქმნებოდა „ჰამლეტისგან“ და „მეფე ლირისგან“, „მაკბეტისგან“ და „ოტელოსგან“ სრულიად განსხვავებული ნაწარმოები. ჩვენ, არაბები, ტრაგედიისა და კომედიის ერთსა და იმავე გვერდზე კითხვას შევეჩვიეთ, ერთსა და იმავე მოვლენაში, ერთსა და იმავე საერთაშორისო შეთანხმებაში, დამარცხებისას და გა-

მარჯვებისას, ქორნილებსა და დასაფლავებებზე, სამშობლოსა და გადასახლებაში, და ჩვენი ერთი სახის ნაკვეთებზე ყოველ დღით.

ბეირუთიდან მასობრივი გამოსვლის დროს, ისრაელის შემოტევის შემდეგ, პალესტინის ოფიციალურმა პირებმა თავიანთ ორატორობას ტრიუმფალური ნოტა შეჰმატეს. პალესტინის ეროვნული საბჭოს მომდევნო სხდომაზე კი წინააღმდეგობის, გამარჯვებისა და დიდების ენამ წამოიწია წინა პლანზე.

საბჭოსთან არსებული კულტურული გაერთიანების შეხვედრაზე გავიფიქრე, რომ ჩემი გამოსვლა პალესტინური მედიისა და კულტურის სფეროს ბიოუროკრატიებისთვის შოკისმომგვრელი იქნებოდა:

— ისტორიამ ორი გაკვეთილი გვასწავლა: პირველი ისაა, რომ შესაძლებელია კატასტროფისა და დანაკარგის გამარჯვებად წარმოჩენა. მეორე კი ისაა, რომ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება.

შემდეგ დავამატე:

— საკუთარი თავისთვის ტაშის დაკვრა არ არის ჯანსაღი გამობმაურება იმაზე, რაც დაგვემართა და ეს სულაც არ დავეხმარება მის გააზრებაში.

იმ დღეებში დაუშვებელი იყო საერთო შეთანხმების შეუარაცხყოფა, მოვლენათა ჯაჭვის და მისი შედეგების გადასინჯვა. ისე, დარწმუნებული არ ვარ, რომ დღეს შეიძლება.

უსამართლოდ მოქმედთ იმუნიტეტი აქვთ გამომუშავებული ყოველგვარი კრიტიკის მიმართ. თავს ზარი არ დასცემიათ ჩემი გამოსვლით, მაგრამ აშკარად არ მოეწონათ. შეხვედრის დამთავრების შემდეგ ყველა მონაწილე თავთავიანთ ქვეყანაში წასასვლელად მოემზადა. ერთ ქალბატონს, რომელიც კაიროში ცხოვრობდა, ვთხოვე რადვასთვის და თამიმისთვის წაეღო ჩემი წერილი, რადგან თავად ბუდაბეშტში უნდა დავბრუნებულიყავი. მითხრა:

— აქედან პირდაპირ კაიროში არ მივდივარ. ვიფიქრე, რადგან საფრანგეთთან ახლოს ვარ, რამდენიმე დღით პარიზში ხომ არ შემეველო-მეთქი, ისე, გარემოს გამოსაცვლელად. მომბეზრდა

ერთფეროვნება. ცოტა ვერცხლეულის ყიდვაც მინდა. მართლა მიყვარს ვერცხლი და შეიძლება პარიზში ცოტა ხნით შევყოვნდე. ვნახოთ, გააჩნია, მხოლოდ სიტუაციის გამოსაცვლელად.

\* \* \*

პალესტინის ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა ხელისუფლებას აუნყო ხმა. დაუახლოვდნენ მათ, ბრძნული გამომეტყველებით სავარძლებში მოკალათებულებს დაემსგავსნენ კიდეც ქცევაში. ამ თვალსაზრისით კი ხელისუფლების მხარდამჭერები და ოპოზიციონერები ერთნაირად გამოიყურებოდნენ. ჩვენ კვლავაც ერთი დიდი ტომივით ვიქცევით და ეს მოვახერხეთ იმიტომ, რომ თვითონ პრობლემის არსმა ჩააყენა ყველა პატრიოტთა რიგებში. ისიც კი, ვინც შეცდა, მსხვერპლად წარმოჩინდა. ყველას ემუქრებიან, ყველა სიკვდილისთვის ან დამცირებისთვისაა განწირული, ყველას აყენებენ შეურახცყოფას საზღვრებზე და ყველა კარგავს საყვარელ ადამიანს. გამუდმებით არსებობდა იმის შეგრძნება, რომ ინტელიგენტის სიახლოვე ლიდერებთან განსხვავდებოდა მისი ტრადიციულ მთავრობასთან სიახლოვისგან. პალესტინელიც და მისივე ხელისუფლებაც დღეს ერთსა და იმავე განსაკუთრებულ სიტუაციაში ცხოვრობს — ან გადასახლებაში, ან ოკუპაციის პირობებში. შეიძლება პალესტინელი ინტელიგენტის ადგილი ლიდერების სიახლოვესაა, მაგრამ ამგვარი არჩევნის შედეგი ყოველთვის როდი იყო პოზიტიური. უნდა გავითვალისწინოთ ზოგიერთი ადამიანის კორუფციისკენ მიდრეკილების ფაქტორიც.

ჩემი ნაკლი ის გახლდათ, რომ ძალიან იოლად შემეძლო, ჩამოვცილებოდი საქმეს, რომელიც თვალში არ მომივიდოდა — პირდაპირ ზურგს ვაქცევდი. ცხოვრებამ თანდათან განმიმტკიცა აზრი, რომ მარტივად თავი არაფრისთვის უნდა დამენებებინა, საკუთარი მცდელობა არ უნდა დამეკლო. ყოველთვის ვცდილობდი, პოლიტიკური თუ კულტურული დესპოტიზმის ოდნავი გამოვლინებისგანაც კი შორს დამეჭირა თავი. ინტელექტუალთა დესპოტიზმი არაფრით ჩამოუვარდება ხელისუფალთა თუ ოპოზიციონერთა დესპოტიზმს. ორივე მხარის ლი-



დერებს მსგავსი თვისებები გამოარჩევთ. ისინი მყარად დგანან თავიანთ პოზიციებზე და სამუდამოდ ინარჩუნებენ მათ, ვერ იტანენ კრიტიკას, კრძალავენ შეკითხვების დასმას და აბსოლუტურად დარწმუნებულებს იმაში, რომ მართლები, შემოქმედებითები, მცოდნეები, სასიამოვნოები და თანამდებობისთვის შესაფერისები არიან, სჯერათ — ყოველთვის იმსახურებენ იმ ადგილს, რომელიც უკავიათ.

\* \* \*

პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის დაბრუნებამდე არსებობდა თავისუფლებისათვის თავგანწირული მებრძოლის, გმირი-მსხვერპლის იმიჯი, რომელიც სიმპათიასა და აღფრთოვანებას იმსახურებდა. ახლა იგივე თავისუფლებისათვის მებრძოლი (მაგრამ უკვე მტრის მიერ ნამოყენებული პირობებით შეზღუდული) აკონტროლებს თითოეულ ჩვეულებრივ ადამიანს, მოხუცებულებსა და სტუდენტებს, მალაზიებსა და სატრანსპორტო მიმოსვლას, საბაჟოებს, აქციებს, ხელოვნებას, ლიტერატურას, გადასახადებს, სასამართლოს, ინვესტიციებს, მედიას. ის უწყალობებს ხალხს სამსახურს დამლაგებლიდან მინისტრთა კაბინეტის მოხელემდე; განსაზღვრავს სოციალურ მდგომარეობასა და გავლენებს. აკეთებს, რაც გაფუჭებულია, აღადგენს, რაც დანგრეულია, ხალხში მხარდამჭერებსაც და მტრებსაც თავად ირჩევს. ზოგჯერ კი მოქალაქეთა დაპატიმრება, ციხეში გამომწყვდევა და მათი ნამებაც უწევს.

ამგვარი იმიჯი სრულიად ახალია ჩვენი ხალხისთვის. პალესტინელის ფუნქციების ასეთი ცვლილება გასაგები ან სასურველი იქნებოდა, თავად პალესტინელი რომ ყოფილიყო საკუთარი ქვეყნის ბედის წარმმართველი. არავინ იბრძვის სამუდამოდ და არავინ მღერის მუდმივად, მაგრამ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც „ეროვნული მთავრობის“ გადაწყველტილებებს ეხმაურება და ახმაურებს და ის კარიკატურული კონტროლი, რომელიც ჩვენთვის ჩვენივე სახელმწიფოში დაუშვეს, სულ სხვა შთაბეჭდილებას ტოვებს.

სიმღერა სადღაც შორს მიდის და რეალობა მოიწვევს წინ თავისი სასტიკი მოთხოვნებით. კულტურის სფეროში ისევე, როგორც სხვაგან, თქვენ ნახავთ საქმის მცოდნე, კარგ მუშაკებს, რომლებიც ეფექტურად წარმოგვიდგენენ თავიანთ ნამუშევარს ყოველგვარი მრწამსის გარეშე. ზოგიერთები ოსლოს შეთანხმების უსამართლობას უსვამენ ხაზს, მაგრამ რწმენით აყენებენ ყველა თავიანთ შესაძლებლობას ახალი პალესტინური საზოგადოების სამსახურში და რამდენადაც შესაძლებელია, ცდილობენ შექმნან ის, რაც ნაკლებად ცუდია, ვიდრე ცუდი. მაგრამ ისეთებსაც ნახავთ, ერთი იდეოლოგიური პოზიციიდან მეორეზე შიშპანზეებით რომ დახტიან, რათა ბოლოს ხის ყველაზე მაღალ ტოტზე ამოყონ თავი. ეს ის შიშპანზეა, კარგად რომ ერკვევა ფრანგულ სუნამოებში და არასოდესაა კმაყოფილი თავისი შემოსავლით. მას უყვარს შვილები, დედა, მამა, შესაძლოა ცოლიც, მაგრამ არავინ სხვა. ის ჯერ მხარს უჭერს, მერე ეწინააღმდეგება, შემდეგ ისევ მხარს უჭერს და მერე ისე უნდა გამოჩნდეს, თითქოს ოპოზიციისაა. ბოლოს სულ ჩამოცილდება თავის ორგანიზაციას და ახალ ფრაქციას ან ახალ პარტიას აყალიბებს, რათა კიდევ ერთი დაამატოს უამრავ უკვე არსებულ არასაჭირო ფრაქციას და პარტიას რიგს. შემდეგ გაერთიანების აუცილებლობას ქადაგებს. შეიძლება კმაყოფილი გახლდეთ, ან გუნებაზე ვერ იყოს, შესაძლოა, თავიც დაიმციროს ერთის წინაშე და ძლიერი ლომი განასახიეროს სხვების თანდასწრებით, მაგრამ ყოველთვის საუკეთესოდ ემსახურება საკუთარ თავს. ცხოვრება, როგორც ხედავთ, არასოდეს გამარტივდება.

\* \* \*

აბუ საიდს ვუთხარი ისე, თითქოს ნებართვას ვიღებდი:

— დღეს ტელეფონის საერთაშორისო დღეა.

მინდოდა, დედაჩემთან დამერეკა ამანში და რადვასა და თამიმთან კაიროში. ისინი თითქმის ყოველდღე ახერხებდნენ ჩემთან დაკავშირებას. ახლა კი მსურდა, ინიციატივა თავად გამოემჩინა მით უფრო, რომ ახალი ამბავი მქონდა სათქმელი.

პალესტინელი ადამიანი ტელეფონზე განსაკუთრებულად მიჯაჭვული გახდა. იმ ხმით ცხოვრობს, დედამინის უზარმაზარ მანძილებს რომ ფარავს. ტელეფონამდე დეპეშას იყენებდნენ. „ჩვენსკენ მშვიდობაა. თქვენთან?“ მერე შესანიშნავი და თან საშიში ტელეფონი გამოჩნდა. „ამან და ამან ჩააბარა საბოლოო გამოცდები.“ „ესა და ეს საავადმყოფოში წავიყვანეთ, მაგრამ არ ინერვიულო, სერიოზული არაფერია.“ „ესა და ეს გარდაიცვალა, მისი დღეები შეგმატებოდა.“

ლამის ორის ნახევარზე დამირეკა მუნიფმა კატარიდან — მამა გარდაიცვალაო ამანში. მე ბუდაპეშტში ვიყავი. შვიდი წლის შემდეგ დღის სამის თხუთმეტ წუთზე დამირეკა ‘ალაამ კატარიდან — მუნიფი გარდაიცვალაო პარიზში. მე კაიროში ვიყავი.

იმ ადამიანთა ცხოვრების დეტალებს, რომლებიც გვიყვარს, მსოფლიოში მიმოზნეული მათი ბედისწერის ამბავს ყოველთვის ტელეფონის ზარით ვგებულობთ — სიხარულის, მწუხარების, სინანულის ზარით. ტელეფონის ზარით ხდება პალესტინელთა შორის კამათი, დარიგება, ბრალდება, ბოდიშის მოხდა და პატიება. ამ ზარის მსგავსად არც ერთი სხვა ხმა არ გვიყვარს და არც ერთი სხვა ხმისა არ გვეშინია ერთსა და იმავე დროს. იღბალსა თუ ჭკუას — შენს განსაკუთრებულ მცველებს შეუძლიათ დაგიცვან ტერორიზმისგან, საფრთხისგან, მაგრამ იძულებით გადაადგილებულ ადამიანს ტელეფონის ზარის ტერორისგან ვერაფერი გაათავისუფლებს.

ერთი კარგი რამ მაინც მოხდა: აბუ საჯი თავად გვესტუმრა აბუ ჰაზიმის სახლში და პალესტინური პირადობის მონმობა გადმომცა. თან დაამატა:

— ცოტა დრო მომეცი თამიმისათვის შემოსვლის ნებართვის გასაკეთებლად...

\* \* \*

როგორღაც ავანყეთ ჩვენი ცხოვრება იმ უცნაურ დღეებში, როცა რადვა და თამიმი კაიროში, ხოლო მე — ბუდაპეშტში გახლდით. უნივერსიტეტმა მისცა რადვას შვებულება და ისიც თამიმთან ერთად უნგრეთში ჩამოვიდა. თამიმი ჯერ მანი ნინის კერძო საბავშვო

ბაგაში მივაბარეთ, შემდეგ — ნინდების ფაბრიკის ბაღში. 1981 წლის სექტემბრის დასაწყისში 'ავატიფ' აბდ არ-რაჰმანი გვესტუმრა ბუდაპეშტში — ბერლინში ყოფილა კონფერენციაზე და იქიდან ჩამოვიდა. ორი დღით გაჩერდა ჩვენთან. მერე ბუდაპეშტის აეროპორტიდან ისევ ბერლინში გავაცილეთ, საიდანაც კაიროში უნდა დაბრუნებულიყო. რადიოდან და გაზეთებიდან შევიტყეთ, რომ სადათს ათას ხუთას ოცდათექვსმეტი ადამიანი დაუპატიმრებია პოლიტიკური მრწამსისთვის, რაკი მათ დიდი აღფრთოვანება არ გამოხატეს პრეზიდენტის „ისტორიული ინიციატივის“ გამო. ჩავიკითხეთ სახელები. ბუნებრივია, დაპატიმრებულთა შორის ბევრი ჩვენი ეგვიპტელი მეგობარიც ერია. მათ შორის იყო 'ავატიფი. სასწრაფოდ ვცადეთ მასთან დაკავშირება. გვინდოდა დროებით თავშესაფრად ჩვენი ბინა შეგვეთავაზებინა. ვიცოდით, რომ თუ დათქმულ დროს ჩავიდოდა, დააპატიმრებდნენ, მაგრამ დაგვაგვიანდა. ტელეფონში ჩვენი მეგობრის 'აბდ ალ-ფათაჰის ხმა გაისმა:

— 'ავატიფი წავიდა, სწორედ ახლა თვითმფრინავში ზის.

ორი დღის შემდეგ გავიგეთ, რომ ის პირდაპირ აეროპორტიდან წაუყვანიათ ციხეში. ამ შემთხვევას კომიკური მხარეც ჰქონდა — თურმე აეროპორტში, ბაჟიდან თავისუფალ მალაზიაში ნაყიდი განსაკუთრებული შვეიცარული შოკოლადი 'ავატიფს საკნის მეგობრებისთვის გაუნაწილებია: ლატიფა აზ-ზიადისთვის, ამინა რაშიდისთვის, საფინა კასიმისთვის, ფარიდა ან-ნაკაშისთვისა და შაჰინდასათვის.

სწრაფად და ხშირ-ხშირად აღწევდა ახალი ამბები ეგვიპტიდან ჩვენამდე. სადათმა სამოცზე მეტი ჟურნალისტი მოხსნა ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობებიდან და დაახლოებით ამდენივე პროფესორი გაათავისუფლა უნივერსიტეტებიდან. ისეთ სამუშაოებზე გადაიყვანა ისინი, განათლებასთან არაფერი რომ ჰქონდათ საერთო. მათ შორის აღმოჩნდა რადვაც. ბუდაპეშტში გახდა ჩვენთვის ცნობილი, რომ რადვა ტურიზმის სამინისტროში გაუმწესებიათ.

— შექელებში აიღებ ბაკშიშს. — შევავუღიანე.

ერთი თვის შემდეგ რადიოში მოვისმინეთ, რომ სადათი მოკლეს. ამ ამბავს პატიმრების გამოშვება და ჟურნალისტებისა და

პროფესორ-მასწავლებლების თავიანთ ჩვეულ სამუშაოზე დაბრუნება მოჰყვა.

ჩვენს ცხოვრებაში გადამწყვეტი მომენტი დადგა, როდესაც თამიმს სკოლის პერიოდი მოუახლოვდა. რთული, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. რადვას ვუთხარი, რომ თამიმი ოჯახის უფრო სტაბილურ მხარეს უნდა მიკედლებოდა. რადვას მუდმივი სამშობლო, სამსახური და პასპორტი ჰქონდა. კაიროში სახლი მართალია დაქირავებული, მაგრამ მაინც ჩვენი იყო. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ძალიან გვინდოდა, თამიმი არაბულ გარემოში აღზრდილიყო და არა უნგრულში. ჩემი მდგომარეობა კი ყველა ქვეყანაში დროებითი და მერყევი გახლდათ, ასევე ჩემი სამუშაოები და ჩემი პასპორტებიც. თამიმის ადგილი რადვასთან იყო, ხოლო რადვასი — თავის უნივერსიტეტში, თავის სამშობლოსა და თავის სახლში. ამ გადაწყვეტილების მიღების დღიდან ჩვენი პატარა ოჯახი დროებით ერთიანდებოდა ხოლმე ზამთარში სამი კვირით, ხოლო ზაფხულში — სამი თვით. ასე გრძელდებოდა 1977 წლიდან — ჩემი დეპორტაციიდან — მანამ, სანამ თამიმი დამამთავრებელი კლასის მოსწავლე არ გახდა.

1984 წლის ზაფხულში, დეპორტაციიდან მთელი შვიდი წლის გასვლის შემდეგ, ორი კვირით კაიროში ჩასვლის ნებართვა მოვიპოვე. კაიროს ნიგნის საერთაშორისო ფესტივალზე პოეზიის წასაკითხადაც დამპატიყეს. ეს მოწვევა კიდევ განმეორდა. ასევე მიმინვიეს კაიროს უნივერსიტეტში, ჟურნალისტთა კავშირში. თაჯამმუჟის პარტიაშიც კი ამოვყავი თავი.

კაიროში ერთ-ერთი ვიზიტის დროს მთელი ღამე გამაჩერეს აეროპორტის სპეციალურ კაბინაში ვეტერინარული კარანტინის მომიზეზებით. არა, ეს არ გახლავთ ტიპური შეცდომა. მომდევნო ვიზიტებისას პატივს მდებდნენ და ჩამომსვლელ მგ ზავრთა დარბაზში მალოდინებდნენ ხოლმე დაახლოებით ხუთიდან თორმეტი საათის განმავლობაში. მერე კი მაძლევდნენ კაიროში შესვლის უფლებას. წლების შემდეგ გავიგე, თუ რატომ მექცეოდნენ ასე განსაკუთრებულად. მთელი ეს საათები საგანგებო მოლაპარაკებების საწარმოებლად იყო საჭირო. უშიშროების თანამდებობის პირები უარს ამბობდნენ ჩემს შემოშვებაზე, კულტურის სფეროს

ოფიციალური პირები კი დაჟინებით მოითხოვდნენ, უკან არ გავებრუნებინე. ისლა დამრჩენოდა, მათ საბოლოო გადაწყვეტილებას მოთმინებით დავლოდებოდი. 1995 წლამდე მომიხდა ლოდინი, ვიდრე არ მობეზრდათ ჩემი შეჩერება საზღვარზე და მას შემდეგ კაიროს აეროპორტიდანაც ისევე ბუნებრივად მიშვებენ, როგორც გერმანელს, იაპონელს ან იტალიელს.

\* \* \*

საკუთარ თავს შეკითხვებს ვუსვამდი და მერე ისე ვპასუხობდი, რომ დასმული კითხვაცა და პასუხიც უაზრობად მიმაჩნდა. თამიმი რომ ჩამოვა აქ, ჩემსავით აბუ ჰაზიმთან იცხოვრებს? მეც თან უნდა ვახლდე. ესე იგი, ახლა სტუმრები ორნი გავხდებით. მაგრამ მის მარტო ჩამოსვლას რა აზრი აქვს? თეორიულად შეიძლება დამნაშავენიც ვიყოთ იმაში, რომ რამალაში ბინა არ გვაქვს. ცხოვრებამ, უამრავ თავის დროზე მნიშვნელოვან დეტალთან ერთად, რომელთაგან ზოგი გვახსოვს და ზოგი დაგვაგინყდა კიდევ, მოგვიყვანა ამ მდგომარეობამდე. ყველა ჩვენსავით მიმოფანტულ ოჯახში გადაწყვეტილებებს მისი ცალკეული წევრების მოთხოვნების ან საჭიროების, ასევე რეალობის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის და მომავლის სხვადასხვაგვარი განჭვრეტის საფუძველზე ღებულობდნენ. გადაწყვეტილებებს მიღმა, როგორც წესი, იდო ცვალებადი პრიორიტეტები, რომლებიც ყოველთვის ჭკვიანურად და გონივრულად როდი გახლდათ დალაგებული.

ნილოსის სანაპიროზე, შარიფ ჯუჰარის კლინიკაში დაბადებულ ამ ბიჭს, რომელსაც დედა ეგვიპტელი, ხოლო მამა პალესტინელი ჰყავს იორდანიული პასპორტით, არასოდეს უნახავს პალესტინა. პალესტინა მისთვის სრული არყოფნა და ამბავია მხოლოდ. ხუთი თვის იყო, როცა ეგვიპტიდან გამასახლეს. ცამეტი თვის იყო, როცა რადვამ ბუდაპეშტის მონყობილ ბინაში ჩამომიყვანა. „ბიძია“ დამიძახა. გამეცინა და შევუსწორე:

— მე ბიძია კი არა, მამიკო ვარ, თამიმ.

მაშინ ასე მომმართა:

— ბიძია მამიკო.

---



---

## გადაადგილება

გადაადგილება ყოველთვის მრავალჯერადია და არა ერთადერთი. გადაადგილებები შენ გარშემო განლაგდებიან და წრეს შემოგარტყამენ. გარბიხარ, მაგრამ შეკრული წრიდან თავს ვერ აღწევ. როცა ეს მოხდება, უცხო ხდები შენს ადგილებშიც და შენი ადგილებისთვისაც. გადაადგილებული პიროვნება საკუთარი ხსოვნისთვისაც უცხოვდება და ამიტომ თავგამოდებით ცდილობს მის შენარჩუნებას. ის ანმყოზე და წარმავალზე მაღლა აყენებს თავს და ამ დროს ვერ ამჩნევს საკუთარ განსაკუთრებულ სიმკიფეს. ასე რომ, ხალხის წინაშე თან ამაყი და თან სუსტი ჩნდება. საკმარისია, ადამიანმა ერთხელ გამოსცადოს ამოძირკვა, რომ სამუდამოდ უფესვოდ დარჩეს. ეს კიბის პირველივე საფეხურზე დაცურებას ჰგავს — ბოლომდე ყირამალით ჩახვალ. ეს მძლოლის ხელში ჩატეხილ საჭესაც ჰგავს — მანქანის ყველა მოძრაობა შემთხვევითი და უმიმართულებო იქნება. მაგრამ პარადოქსი ისაა, რომ უცხო ქალაქები აღარ გეჩვენება სრულიად უცხოდ. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ უცხო ყოველდღიურად განიცდის აკლიმატიზაციას, რაც დასაწყისში შეიძლება იყოს რთული, მაგრამ თანდათან, დღეებისა და წლების გავლისას, იოლდება და იოლდება. ცხოვრებას არ მოსწონს ცხოვრებაზე ბუზღუნა. ის განსაკუთრებული ვითარების მიღებისა და სხვადასხვა ხარისხის კმაყოფილების ქრთამს აძლევს გადასახლებულებს, უცხოებს, პატიმრებს, და რაღაც ამგვარი ემართება წაგებულს, დამარცხებულსა და მიტოვებულსაც. და როგორც თვალი ეჩვევა თანდათან უეცრად მოსულ სიბნელეს, ისე ეჩვევიან ისინი საკუთარ თავს ამ განსაკუთრებულ, გამონაკლის ვითარებაში. თუკი გამოწკლის ჩვეულებრივად გაიხდი, ის ბუნებრივადაც კი მოგეჩვენება. უცხო ვერასოდეს შეიმუშავებს მოკლე და გრძელვადიან სა-

მომავლო გეგმებს. ზოგჯერ, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ერთი დღის დაგეგმვაც კი ჭირს. ასე ეჩვენება იმპროვიზებულ ყოფას. მისი და მისი ოჯახის მომავლის გრძნობა ემიგრანტი მუშის გრძნობას წააგავს: საყვარელ ადამიანთან გატარებული პერიოდი, რაოდენ ხანგრძლივიც არ უნდა იყოს, მოკლედ ეჩვენება. იცის, რასაც ნიშნავს თვითდაჯერებული მოყვარული და დამფრთხალი საყვარელი. ახლოს მოიწევს, როცა შორსაა და დისტანციას გრძნობს, როცა ახლოს არის. ორივე მდგომარეობის, ორივე პოზიციის შენარჩუნება უნდა. ყველა სახლი, რომელშიც ცხოვრობს, სხვისი სახლიცაა. მისი სურვილი დამოკიდებულია სხვის სურვილებზე. თუ პოეტია, ხომ ნებისმიერ ადგილას უცხოა მთელს მსოფლიოში — იბრძვის პირადი ფასეულობების გადასარჩენად, თუმცა, მშვენივრად იცის, რომ ბაზარზე კაპიკია მათი ფასი.

წერაც გადაადგილებაა — ნორმალური სოციალური კონტაქტიდან, ჩვეული, შაბლონური, მზა ფორმიდან, სიყვარული-სა და მტრობის საერთო გზებიდან, პოლიტიკური პარტიის რწმენიდან და უპირობო მხარდაჭერიდან გადაადგილება. პოეტი გაბატონებული სალაპარაკო ენიდან გაქცევას ესწრაფვის იმ ენისკენ, რომელიც თავისით პირველად ამიტყველდება. ის ცდილობს, გაექცეს ტომის ჯაჭვებს, მის სანქციებსა და ტაბუებს. თუკი ამ მცდელობას წარმატებით გაართმევს თავს, ის თავისუფლდება, მაგრამ ამავე დროს უცხო ხდება. თითქოს პოეტი იმდენად უცხოვდება, რამდენადაც მაღალია მისი თავისუფლების ხარისხი. თუ ადამიანს პოეზია, ლიტერატურა ან, საერთოდ, ხელოვნება შეეხო, მისი სული აივსება გადაადგილებებით და ველარაფრით განიკურნება, სამშობლოთიც კი. ის სამყაროს მიღებისა და გარდაქმნის საკუთარ გზას ეჭიდება. ამიტომ ხშირად მსუბუქად აღიქმება სხვა ადამიანების მიერ, რომელთაც ნორმირებული, ნაცნობი ცხოვრება და მზა რეცეპტები აქვთ და რომლებიც მას ხან „ცვალებადი ზნისას“, ხან „არასანდოს“ და ხან თავიანთ თაროზე პიკულის ქილებივით ჩამწკრივებულ სხვა ზედსართავებს მიაკრავენ ხოლმე. ამ ხალხმა არ იცის, რა არის ნერვიულობა, ლელვა-ნუხილი. გასაოგნებლად იოლია მათთვის ცხოვრება.



\* \* \*

მომინია იმ ფაქტთან შეგუება, რომ თვეების ბავშვთან ტელეფონით უნდა დამემყარებინა კონტაქტი. თუმცა, არ ვთვლიდი, რომ ეგვიპტიდან დეპორტაცია ჩემს გამწარებას გაამართლებდა. სულელი უნდა ვყოფილიყავი, მხოლოდ ჩემი ოჯახის დანაწევრების გამო რომ დამეჩივლა მაშინ, როცა უამრავ პალესტინურ ოჯახს როგორც პალესტინაში, ისე სხვა ქვეყნებში, გაცილებით უარესი ბედი ენიათ.

მეხსიერებას ყველაზე მძაფრად თილ აზ-ზა'თარის სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა შემორჩა. პერიოდულად წამოტივტივდება ხოლმე სახლების უმოწყალოდ ნგრევა დასავლეთ სანაპიროსა და ლაზაში. ისრაელის საპატიმროები სავსეა ახალგაზრდებითა და ხანდაზმულებით. დაჭრილებმა საავადმყოფომდე მისვლაც რომ მოახერხონ, იქ წამალს ვერ იპოვიან. ამიტომ მეც და რადვამაც შედარებით მარტივად მივიღეთ ჩვენს თავს დამტყდარი პრობლემები და ვცდილობდით, თამიმისთვისაც ასე წარმოგვედგინა ისინი. ამგვარად, მოვახერხეთ მისთვის ისეთი გარემოს შექმნა, რომ თავი დაჩაგრულ ბავშვად არ ეგრძნო. რადვას ჭკვიანური და გულითადი მოპყრობა კაიროში, ჩემი იუმორი ტელეფონით საუბრისას, რასაც ყოველთვის განსაკუთრებული მხიარულებით ხვდებოდა, დაეხმარა თამიმს იმაში, რომ თავი კომფორტულად და ბედნიერად ეგრძნო.

უნგრეთში ცხოვრების ხანა სამოთხე იყო თამიმისთვის. პატარა ბინა გვექონდა კობტა შენობის ბოლო, მესამე სართულზე. გარშემო საერთოგალავანშემორტყმული რამდენიმე მსგავსი შენობა იდგა. ამ დასახლების საერთო ფართობი ე. წ. „ვარდების გორაკზე“ ოთხმოც კვადრატულ მეტრს არ აღემატებოდა. ბინას ციცქნა აივანი ჰქონდა რკინის მოაჯირით. აქ ოთხკუთხედ ქოთნებში წითელ ნემსინვერას ვახარებდი. ისეთი მონდომებით ვუვლიდი, რომ თამიმმა ერთხელ მითხრა:

„მუშქათლისთან მეტ დროს ატარებ, ვიდრე ჩემთან და დედაჩემთან.“

(*მუშქათლი ნემსინვერაა უნგრულად*).

სახლს წინ დიდი ბაღი ჰქონდა, რომლის შუა ნაწილში ბავშვებისთვის ორი ქვიშის მოედანი და საქანელები მოეწყო. იქვე

ორი ტირიფი იდგა. ერთი ოდნავ მაღალი მეორეზე. თამიმი ჩამოსვლისთანავე მიირბენდა ხოლმე თავისი პატარა ოთახის ფანჯარასთან და ხეებს გადახედავდა, რომ დარწმუნებულიყო — ისინი ისევ თავიანთ ადგილზე იყვნენ თუ არა. ბალის ბოლოში კი ერთი ვაშლის ხე იყო, დახუნძლული ვაშლებით და ბავშვებით, რომლებიც წარამარა ძვრებოდნენ მის ტოტებზე ან თამაშობდნენ მის ჩრდილში. თამიმს შეეძლო უსაფრთხოდ ესეირნა შემოლობილ ტერიტორიაზე თავისი სამთვლიანი ველოსიპედით, თუმცა, მე და რადვა მაინც ვადევნებდით თვალს სამზარეულოს ფანჯრიდან. თუკი ზამთარში, თამიმის ბუდაპეშტში ყოფნის პერიოდში თოვლი წამოვიდოდა, ეს ნამდვილი ზეიმი იყო მისთვის. ვხედავდი, რაც მისცა ბავშვს ამ ქალაქმა და ჩემთვის ვამბობდი: ტყუილი რომ არ გამოგვივიდე, გადასახლების ადგილს უნდა ვმადლობდეთ, რადგან მხოლოდ კარგი გვახსენდება იქ გატარებული დღეებიდან.

\* \* \*

ამ მშვენიერ სახლში, ულამაზესი ბუნების ფონზე, მწვანედ აფეთქებულ ხედს რომ გავცქეროდი ყოველდღე, შუალამის სატელეფონო ზარით არასასიამოვნო ხმა მატყობინებდა ვილაცის სიკვდილის ამბავს „სულ ნახევარი საათის წინ“. შემდეგ აღმოვაჩინდი, რომ არ შემიძლია გასვენებას დავესწრო, უკანსკნელ გზაზე გავაცილო და მიწას მივაბარო, რადგან ან პასპორტი არ მაქვს, ან ვიზას არ მაძლევენ, ან საერთოდ აკრძალული მაქვს იმ ქვეყანაში შესვლა. ღამის ორის ნახევარზე შემატყობინა მუნიფმა მამაჩემის სიკვდილის შესახებ. როგორც შემდეგ გავიგე, მშვიდად უვანშმია, დანოლილა, მერე კი დედაჩემი გაუღვიძებია მის შემზარავ ხმას და ყველაფერი დამთავრდა. არ ვიცოდი, რა მექნა. საერთოდ დამავინწყდა, რას აკეთებს დილა ბუდაპეშტში — განა ის ყოველდღე მოდის?

**არ გადის ღამე ჩემს გარშემო წამომართული,  
არცა მყავს ვინმე, ვისაც ტკივილს გავუზიარებ,  
ან ვინც გულწრფელად მომატყუებს**

**ჩემი სულისთვის;  
მისაყვედურებს სისუსტის გამო მანამ,  
სანამ მე ვუსაყვედურებ!  
ხოლო მანძილი ჩემგან ჩემთვის ძვირფას ხალხამდე  
უსირცხვილოა უფრო მეტად, ვიდრე მთავრობა.**

სკოლაში გამოვლინდა თამიმის გონებაგახსნილობა და იუმორის გრძნობა. ორი წლისა უკვე თავისი იმიტაციის უნარით გვაკვირვებდა — პრეზიდენტ ანვარ სადათს ბაძავდა, მის ცნობილ გამონათქვამებს „ხორცივით დავეკეპავ!“; „სახელითა ალაჰისა“ და სხვებს, რომლებიც ახლა არ მახსოვს, მისივე ინტონაციით იმეორებდა. გიზის „ჭურის“ სკოლიდან ყოველდღე ახალ-ახალი ანექდოტები მოჰქონდა.

— დაიცადე, დაიცადე! ფურცელი მომეცით, უნდა ჩავინერო, რომ ნაზარეთში ჩასვლამდე არ დამავინყდეს.

ეს იყო ნაილას შეძახილი იმ საღამოს, რამდენიმე წლის წინ კაიროში, თავფიკ ზაიადთან რომ გავატარეთ. ნაილა უხვად მომავალი იუმორის ნაკადიდან მხოლოდ ნაწილის ჩაწერას ახერხებდა.

თამიმმა დირ ლასანას, მისი სასტუმროს, სოფლის მცხოვრებთა ყველა ისტორია იცოდა და მათ ისეთი გლახური აქცენტით ყვებოდა, გეგონებოდათ, დარ რა 'დშია დაბადებულიო. ძალიან დაენანა და ოჯახში ყველაზე მეტად გაბრაზდა ლელვის ხის მოჭრის გამო, ვერ ეპატიებინა საწყალი ბიცოლასათვის. ხე თვალითაც არ ჰქონდა ნანახი, მაგრამ დარ რა 'დი მის გარეშე ვერ წარმოედგინა.

მან იცის შენი ვერანდა, აბუ ჰაზიმ. ისიც კი შეუძლია გითხრას, ზუსტად სად გიკიდია ბიძამისის, მუნიფის ფოტო.

ეს ბიჭი, რომელმაც დღის სინათლე პირველად კაიროში, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქში, მანიალის უბანში ნახა; რომელიც შინ ეგვიპტურ დიალექტზე გველაპარაკება და ოცი წლისას ერთხელაც არ უნახავს პალესტინა, ისეა მოწყურებული მის ნახვას, გეგონებათ, შორეულ ბანაკში დაბერებული ლტოლვილიაო.

წერს ლექსებს მიჯანასა და 'ათაბას საზომით. თავის პოლიტოლოგიის წიგნებს გვერდზე დებს და ჩემთან მოდის გაბრწყინებული თვალებით, რომ მოისმინოს, მე რას ვასწავლი. რადვას მიერ საგანგებოდ მისთვის მოტანილ 'უღზე უკრავს და დამასკოელი აბუ 'აფრაშის მითითებით სიმღერასაც იწყებს, თითქოს ალ-ჰუზურუკი ყოფილიყო — დირ ლასანას ძველი მომღერალი.

1980 წელს კარტაჯში პოეტურ ღონისძიებაში ვიღებდი მონაწილეობას. სწორედ იქ ვუყვიდეთ მე და მარსელ ხალიფამ სამი წლის თამიმს პირველი 'უდი. პატარათოჯინისხელა ინსტრუმენტი მარსელმა შეათვალა და მითხრა, რომ აბსურდული ზომის მიუხედავად ის ნამდვილი იყო. კაიროში თამიმი რადვამ მასწავლებელთან, ბატონ მაჰმუდთან მიიყვანა, რომელმაც უფრო დიდი ზომის 'უდი მისცა. შემდეგ ბატონ ადიბთან განაგრძო სწავლა. ახლაც მასთან მეცადინეობს. ერთხელ ემილ ჰაბიბი გაეხუმრა — მამაშენივით ტერორისტი რატომ არ გინდა გამოხვიდო?

აბუ საჯის კიდევ ვკითხე, რა დრო დაჭირდებოდა თამიმისთვის პალესტინაში შემოსვლის ნებართვის აღებას. მითხრა, რომ ახალგაზრდებისთვის ეს ცოტა რთული და ამიტომაც გრძელი პროცესია. გაცილებით უიოლდებათ საქმე ორმოცდაათ წელს გადაცილებულებს. ეს „ორმოცდაათი“ ისე მომხვდა ყურში, როგორც მარმარილოს იატაკზე გატეხილი ყავის ჭიქის ხმა, ჭიქის, რომელსაც სტუმრის თითი ჯერ არც შეხებია. მივხვდი, ბევრიც მიცხოვრია და ცოტაც, დიდიც ვარ და პატარაც, ერთსა და იმავე დროს.

\* \* \*

თამიმი შვიდი წლის დაგვიანებით მოვუვლინეთ ქვეყანას. 1970 წელს დავქორწინდით და თავიდანვე გადავწყვიტეთ, შვილის ყოლისგან ცოტა ხანი თავი შეგვეკავებინა (ვიდრე ყველაფერი არ გაირკვეოდა). არც ვიცოდით, კონკრეტულად რას ველოდებოდით, რა უნდა გარკვეულიყო — ჩვენი საერთო ვითარება? ფინანსური მდგომარეობა? პოლიტიკური? ლიტე-

რატურული? აკადემიური? სამაგისტრო ნაშრომი რადვამ კა-  
იროს უნივერსიტეტში ქორწინებიდან ორ წელიწადში დაიცვა.  
შემდეგ ამჟერსტში ნავიდა აფრიკულ-ამერიკული ლიტერა-  
ტურის შესასწავლად, საუნივერსიტეტო კარიერის გასამყა-  
რებლად.

ერთმა ჩვენმა საერთო მეგობარმა მუჰამად ოუდას ჰკითხა,  
რადვასა და მურიდს შვილი ხომ არ ეყოლათო. მან კი უპასუხა:  
რადვამ და მურიდმა გადანყვიტეს, შვილები არ იყოლიონ, ვიდ-  
რე ახლო აღმოსავლეთის პრობლემა არ მოგვარდებაო.

როდესაც რადვამ დისერტაცია დაიცვა და ამერიკის შეერ-  
თებული შტატებიდან დაბრუნდა, ოჯახურ სტაბილურობაზე  
დავინყეთ ფიქრი. პირველად მუცელი მოეშალა. შემდეგ კი,  
1977 წლის 13 ივნისს, დაიბადა თამიმი. რთული მშობიარობა  
ჰქონდა. ვუყურებდი მის ტანჯვას და ვფიქრობდი, რომ ბავშ-  
ვებს დედის გვარი უნდა ჰქონდეთ-მეთქი. არ ვიცი, როგორ მო-  
იპოვეს კაცებმა უფლება, თვითონ მისცენ გვარი შვილებს. ეს  
შეგრძნება არ იყო მშობიარე ქალის ყურებისას წარმოქმნილი  
უბრალო ან დროებითი რეაქცია. დღესაც მჯერა, რომ თითოე-  
ული ბავშვი დედის შვილია. აი, ეს არის სამართლიანი. სამშობი-  
აროდან გამოსვლისას, რადვას, რომელსაც ორი დღის თამიმი  
ეჭირა, ვუთხარი:

— თამიმი სულ შენია. მრცხვენია, რომ დაბადების მონმობა-  
ში ჩემი გვარი უნდა ჩავუნეროთ და არა შენი.

ამის შემდეგ ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა შეას-  
რულა გადამწყვეტი როლი ჩვენი ოჯახის სიდიდის განსაზღვ-  
რაში. გადამასახლა და დამტოვა ასე, ერთადერთი შვილის მა-  
მად, უქალიშვილოდ, ან თუნდაც, ვაჟიშვილებისა და ქალიშვი-  
ლების გარეშე. მე ერთ კონტინენტზე ვცხოვრობდი, რადვა —  
მეორეზე. მას ერთ ბავშვზე მეტის მოვლა არ შეეძლო.

\* \* \*

მაშ, ეს არის აღდგენილი უფლება — მწვანე პლასტიკური  
ბარათი. ზედ ჩემი სახელი აწერია, კიდევ „რამალა“, „დაქორწი-  
ნებული“ და „თამიმი“, პალესტინის ბეჭედიც ამშვენებს.

\* \* \*

კატარიდან საფრანგეთში წასულ მუნიფს ხშირად ვაკითხავ-  
დი. ვიზას იოლად ვიღებდი ბუდაპეშტში, ჩემს სახლთან ახლოს.  
ერთ ზაფხულს პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის  
საერთაშორისო სიმპოზიუმში ვღებულობდი მონაწილეობას.  
ეს ღონისძიება ჟენევაში ტარდებოდა. რადგა და თამიმი თან  
წავიყვანე საფრანგეთში და მუნიფთან, ფონსენოში დავსახლ-  
დით. ეს სოფელი სულ ათი წუთის სავალზე იყო დაშორებული  
ჟენევიდან, მაგრამ ჟენევაში სიარული, რაც დღეში არაერ-  
თხელ გვინევდა, საფრანგეთი-შვეიცარიის საზღვრის გადაკვე-  
თას ნიშნავდა. უმეტესად, პოლიციელები უბრალოდ ანიშნებდ-  
ნენ მძღოლებს, გზა განეგრძოთ. თუმცა, ზოგჯერ ნაჩქარევად  
პასპორტებსაც ამოწმებდნენ და ღიმილით გვისტუმრებდნენ.  
იმ ზაფხულს აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ჩვენ არ ვსტუმრობდით  
მუნიფს. მისი ცოლის ნათესავებიც იყვნენ ბავშვებით. ორი მან-  
ქანით გადაკვეთეთ საზღვარი. პოლიციელი გამოემართა და  
პასპორტები გვთხოვა. შევაგროვეთ და მივეცით. მის განცვიფ-  
რებას საზღვარი არ ჰქონდა — ხელში მთელი მსოფლიოს პას-  
პორტები ეჭირა — იორდანია, სირია, ამერიკის შეერთებული  
შტატები, ალჟირი, ბრიტანეთი და ბრაზილია. ყველაზე საოცარ-  
ი კი ის გახლდათ, რომ თითოეულის გვარი ალ-ბარლუთი იყო.  
ამას დაემატა რადგას ეგვიპტური და ემილ ჰაბიბის ისრაელის  
პასპორტი. ჰაბიბი ნაზარეთიდან მოდიოდა ჟენევაში სიმპოზი-  
უმზე, მაგრამ მე დავპატიჟე მუნიფთან რამდენიმე დღით, კა-  
ტაიფი რომ ეგემა ფრანგთა მიწაზე.

ჩვენ შორის ფრანგულის მცოდნენი ცდილობდნენ, პოლიცი-  
ელისთვის აეხსნათ, რაში მდგომარეობდა საბუთების ასეთი  
კოქტილის საიდუმლო. მან სიცილით შეაწყვეტინა:

— საკმარისია! ვერაფერი გავიგე!

კარგი დროის გატარება გვისურვა ჟენევაში. გზად ისევ  
ფრანგ პოლიციელზე ვლაპარაკობდით. ვილაცამ თქვა:

— იცით, ჩვენი ყველას ერთად მგზავრობა მართლა სირცხ-  
ვილია!

\* \* \*

ვერც ეს პირადობის მოწმობა, რომელიც ახლა ხელში მიჭირავს, ვერც პალესტინური პასპორტები, რომლის გამოშვებაც მთავრობამ ოსლოს შეთანხმების შემდეგ დაიწყო, ვერ გადაჭრის ჩვენს პრობლემებს საზღვრებზე. მსოფლიოს სახელმწიფოები მხოლოდ ქალაქში აღიარებენ პალესტინურ პირადობის მოწმობასა და პასპორტს. სხვადასხვა ქვეყნების საზღვრებზე კი ასეთი საბუთის მფლობელს აუცილებლად ეტყვიან:

— თქვენ ხელახლა უნდა გაიაროთ უსაფრთხოების კონტროლი.

ამ სანქციას ვერასოდეს ავიცილებთ თავიდან.

ყოველივე ამის მიუხედავად, პალესტინის მთავრობა თავისი ქვეყნის მილიონობით წარმომადგენელს, ლტოლვილს, არ აძლევს კუთვნილ საბუთებს. მათ უფლება არ აქვთ, დაბრუნდნენ, რომ არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა, ან აზრი გამოთქვან, ან პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიტანონ თვიანთი წვლილი. ლიბანში ახლახანს გამოიცა მთავრობის დადგენილება, რომლის თანახმადაც ბანაკებში ჩასახლებულ პალესტინელებს დასაქმება ეკრძალებათ ოთხმოცდაშვიდ პროფესიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაგვის შეგროვების ან ფეხსაცმელების გაპრიალების მეტი მათ აღარაფერი დარჩენიათ. თუ რომელიმე ბანაკში ჩასახლებულ პალესტინელს ლიბანის გარეთ გამგზავრების საშუალებას მისცემენ, უკან დაბრუნებას უკრძალავენ. განა ადვილი დასაჯვრებელია, რომ ეს კანონი მილიონის მეოთხედზე მეტ პალესტინელ ლტოლვილს ეხება და ათასობით მათგანი ლიბანშია დაბადებული? ზოგიერთი 1948 წლის შემდეგ ცხოვრობს ლიბანში, თუმცა, მათი პალესტინური ძირები დავინწყებული არ არის. ზოგიერთი პალესტინელი მართლაც არ მოექცა ლიბანს კარგად. ბანაკის პირმშობი კი ყოველი გათენებული დღისთვის იხდიან საფასურს. ნეტავ, ისინიც იხდიდნენ ამ გადასახადს, ვინც პალესტინას უმუხტლა! ამბობენ გადაადგილებულთა და ლტოლვილთა საკითხები — საქმე ეხება ოთხ მილიონ ადამიანს — დასახლებებთან და იერუსალიმთანააო დაკავშირებული, ხოლო თვითგანსაზღვრის უფლება მოლაპარაკებათა ნაკლ-

ბადმნიშვნელოვანი საკითხების ნუსხაშიაო გადადებული. აბა, მაშინ რალა არის გადაუდებელი და სასწრაფოდ გასაკეთებელი? ამ კითხვას ბევრ შემხვედრ ადამიანს ვუსვამდი ან სხვების საუბრიდან ვცდილობდი, მასზე პასუხი ამომეკითხა. ნათლად გამოიკვეთა, რომ ყველა იცდის. როცა ოკუპანტთა ჯარისკაცები სულ მცირედით უკან დაიხვევენ მათი სახლებიდან, თუნდაც რამდენიმე მეტრით, უეცრად იმედი უჩნდებათ, რომ მომავალში კიდევ უფრო უკან დაიხვევენ.

ყველა თვალი დღეს გეოგრაფიისკენ უფროა მიპყრობილი, ვიდრე ისტორიისკენ. მონატრება, ოცნებები და სურვილები ცოტა ხნით გადაიდო. პალესტინა იქცა სახელოსნოდ, სადაც მუშები ასრულებენ სამუშაოს, რომელიც მხოლოდ ახლა და აქ კეთდება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საერთო თეორიებისა და ანალიზის მიმართ პალესტინელთა მომთმენი დამოკიდებულების მიუხედავად, გამუდმებით იგრძნობა ჩრდილივით თავსწამომდგარი ეჭვი ისრაელის ხრიკების, მისი შემოტევისა და მომავალი სიურპრიზების გამო. არსებობს იმედი შიშისა და ეჭვის შეფერილობით. თითქმის არავინ ხმარობს სიტყვას „გამარჯვება“. ხალხის უმეტესობა დაძაბულად ელოდება და მართალია ძნელად, მაგრამ მაინც ეჩვევა გაბატონებულ რეალობას. მხოლოდ ისინი, ვინც ახლებურ სიტუაციაში უცებ გამდიდრნენ, ხედავენ გამარჯვებას, რომელიც ცეკვა-თამაშით უნდა აღინიშნოს და დაუფარავადაც იცავენ მას. საინტერესო კომენტარები მოვისმინე განათლებული ხალხისგან, ინთიფადას პერიოდს რომ შეესწრნენ. მათი თქმით, პირველი წლების განმავლობაში ეროვნული სულისკვეთება განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა და გაღებული მსხვერპლის მიუხედავად დღითიდღე იხვენებოდა.

ახლა ფასეულობები აირია. ერთ-ერთმა ჩვენმა ძველმა მეზობელმა აბუ მუჰამადმა მითხრა:

— ახალგაზრდებს სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ სახლის ან სკოლის სახურავზე, ქუჩაში ან ელექტროგაყვანილობაზე პალესტინის ერთი პატარა დროშის აღმართვა. რაბინის ჯარი ასეთ შემთხვევაში პირდაპირ ცეცხლს ხსნიდა და ვინ იცის,



რამდენი ახალგაზრდის სიცოცხლე შეენირა მარტო დროშის აღმართვას?! ახლა ყველგანაა დროშები, დაწყებული სამოქალაქო მოსამსახურის მაგიდიდან და დამთავრებული ყველაზე უბრალო მოხელის სანერი მაგიდით.

— შენ არ მოგწონს, რომ რომანტიკა დაიკარგა?

— არა, მე ის არ მომწონს, რომ დღეს აღმართული დროშა რეალური სუვერენიტეტის არქონას უსვამს ხაზს. ისრავლმა საქმე ისე მოაწყო, რომ ტრანსპორტის საკითხშიც კი სუვერენიტეტები არ ვართ. ის ისევე აკონტროლებს ყველაფერს. შენ ხიდთან ნახე ისინი. პალესტინის მხარე რას აკეთებდა იმ ხიდთან? ვერ დაირნახე? ვერ გაიგე?

დავინახე. გავიგე.

ის საუბრობდა დასავლეთ სანაპიროსა და ლაზაში მიმდინარე გზის გადაკეტივის განუწყვეტელ პროცესზე, რომელიც ისრავლის მთავრობის მითითებით ხორციელდებოდა:

— თუ მოინდომებენ, მთავრობის წევრებსაც არ მისცემენ მოგზაურობის უფლებას. გგონია, შეგიძლია იერუსალიმში ან ლაზაში წასვლა? მათ გამოაცხადეს ჩაკეტილი ზონები და ამჯერად მათი ბოდიშის მოხდა არჩევნებია. ხალხს პარასკეობითაც კი აუკრძალეს წმინდა ადგილებში ლოცვა. კომპიუტერები, ბარეკადები, ჩხრეკა... ისინი ყოველ დროს და ყოველი გზით გვიგზავნიან გზავნილს: „ჩვენ ვართ აქ ბატონები“.

— ცუდი ვქენი, რომ ჩამოვედი, აბუ მუჰამად?

— არა, პირიქით. თუკი ვინმეს შეუძლია დაბრუნება და აქ ცხოვრება, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოვიდეს. განა რუსებსა და ბრუკლინელ ებრაელებს უნდა დავუტოვოთ აქაურობა?! თუ კოლონისტებს?! ყველა უნდა დაბრუნდეს, ვისაც შეუძლია — აღდგენილი უფლებით, სამსახურით — ნებისმიერი საშუალებით. აიშენეთ სახლები თქვენს სოფლებში, თუ შეგიძლიათ. პალესტინური დასახლებები ავაშენოთ პალესტინაში. როგორ მეკითხები, სწორად მოვიქცეოთ თუ არა? ჩამოდი, ჩემო მეგობარო, ჩამოდი!

პირში გაჩრილი სიგარეტის ნამწვავიდან ახალ სიგარეტს მოუკიდა:

— მაგრამ ვინ გითხრა, რომ იმ გარენრებმა თვალი მოხუჭეს? ისინი იძულებულნი გახდნენ, რამდენიმე ათასი პალესტინელის შემოშვებას დათანხმებოდნენ, რადგან ამ მოვლენებს მთელი მსოფლიო ადევნებს თვალს, მაგრამ შენ თავს ვფიცავარ, აბუ თამიმ, ეს გეგმა კარგად აქვთ შემუშავებული. კარგია, რომ შემოაღნიე, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ამ გზების ჩაკეტვამდე ჩამოგელნია. სირცხვილი არ არის, იერუსალიმს რომ ვერ ნახავ?!  
— ეს მართლა შეუძლებელია?

— ისინი ფიქრობენ, რომ იერუსალიმი ისრაელია. გზების ჩაკეტვა იმას ნიშნავს, რომ პალესტინის სახელმწიფოსა და ისრაელს შორის აღარ არის მიმოსვლა. ან ისრაელში შესვლის ნებართვა უნდა გქონდეს, ან VI მონუმბა.

— და სხვანაირად?

— საზღვრის უკანონოდ, ჩუმად გადალახვაც შეიძლება, მაგრამ რისკი დიდია.

ცოტა ხანს დუმდა. მერე დაამატა:

— მაგრამ მას შემდეგ, რაც შენ გამოიარე, მართლა აპირებ იერუსალიმში შეპარვას?

\* \* \*

მთელი მსოფლიო იცნობს იერუსალიმს, როგორც სიმბოლოს ძღვეამოსილებას. იერუსალიმს თვალი ისე ხედავს, როგორც კლდის წვერს, და კმაყოფილია. მსოფლიოსთვის ის რელიგიების, პოლიტიკის და კონფლიქტის ქალაქია, ასე რომ, დიდად არ ანაღვლებს ჩვენი, ხალხის იერუსალიმი — სახლების, მოკირწყლული ქუჩების, სუნელების მაღაზიების, არაბული კოლეჯის, „რაშიდიას“ და „უმარიას“ სკოლების იერუსალიმი, იერუსალიმი შვეიცარებისა და ტურისტთა გიდების, რომლებმაც ყველა ენა საკმარისად იციან იმისთვის, რომ დღეში სამჯერ კარგად კვების გარანტია მისცენ კლიენტებს... იერუსალიმი ანტიკვარისა და სადაფის, ქუნჯუთის ნამცხვრების გამყიდველების... ნავთობის ბაზრის, ზეთისხილისა და ზეთის, ქონდრისა და ლელვის კალათების, ყელსაბამებისა და ტყავის, სა-

ლაჰ ედ-დინის ქუჩის იერუსალიმი... ჩვენი მეზობელი მონაზონი გახლდათ, ხოლო მისი მეზობელი მუეძინი იყო, სულ სადღაც რომ მიიჩქაროდა... ქუჩებში გატოტვილი პალმების, შინ გახარებული მცენარეების, ქვაფენილიანი ხეივანებისა და ვინრო შესახვევების იერუსალიმი... სარეცხის თოკების იერუსალიმი... ეს ჩვენი გრძნობების, ჩვენი სხეულებისა და ჩვენი ბავშვობის იერუსალიმია, რომლის ქუჩებშიც ისე დავაბიჯებთ, რომ ვერც კი აღვიქვამთ მის „სინმინდეს“, რადგან მასში ვართ და ისიც ჩვენშია. ვჩქარობთ ან მივსეირნობთ ჩვენი სანდლებით ან მუქი ფეხსაცმელებით, ვევაჭრებით გამყიდვლებს, ახალი ტანსაცმელი რომ ვიყიდოთ სადღესასწაულოდ. რამადანის თვეში მაღაზიებს მოვივლით. იღუმალ სიამოვნებას განვიცდით, როცა ჩვენი ახალგაზრდა ტანები შემთხვევით ევროპელი გოგონების სხეულებს ეხება. აღდგომის შაბათს მათთან ერთად ვიზიარებთ წმინდა საფლავის ტაძრის სიბნელეს და მათთან ერთად ვწვეთ ერთიანად ანთებულ თეთრ სანთლებს. ეს ჩვეულებრივი იერუსალიმია — ქალაქი ჩვენი პატარ-პატარა, უმნიშვნელო შემთხვევებისა, რომლებიც ჩქარა გვაზინყდება, რადგანაც ჩვეულებრივია ისე, როგორც წყალი წყალია და ელვა ელვაა. ხოლო როცა ხელიდან გვისხლტება, ის ცისკენ მიიწევს, სიმბოლოდ რომ გადაიქცეს.

ყველა კონფლიქტს სიმბოლოები ურჩევნია. იერუსალიმი ახლა თეოლოგიის იერუსალიმია. მსოფლიოს მისი „სტატუსი“ ეხება, მისი იდეა და მითი, მაგრამ არა ჩვენი ცხოვრება იერუსალიმში და იერუსალიმი ჩვენს ცხოვრებაში. ცის იერუსალიმი ყოველთვის იცოცხლებს, მაგრამ ჩვენს ცხოვრებას მასში გაქრობა ემუქრება. მათ შეზღუდეს პალესტინელ მცხოვრებთა რიცხვი იერუსალიმში, ზღვარი დაუნესეს პალესტინელთა სახლებსა და ფანჯრებს, აივნებსა და სკოლებს, საბავშვო ბაღებს, ხალხს, რომელიც პარასკეობით და კვირაობით ლოცულობს. ისინი ეუბნებიან ტურისტებს, სად უნდა იყიდონ საჩუქრები, რომელ შესახვევში გაიარონ, რომელ ბაზარს მიაკითხონ. ჩვენ კი ვეღარ შევდივართ ქალაქში ვერც როგორც ტურისტები, ვერც როგორც სტუდენტები და ვერც როგორც მოხუცები.

აღარც იქ ცხოვრება შეგვიძლია, აღარც იქიდან გამგზავრება ნაბლუსსა თუ დამასკოში, კაიროში, ბაღდადში თუ ამერიკაში. არ შეგვიძლია მისი დატოვება ქირის გაძვირების გამო. არ შეგვიძლია მასზე ისე ვინუნუნოთ, როგორც სხვები ნუნუნებენ თავიანთ დამღლელ დედაქალაქებზე. ალბათ, ყველაზე უარესი ოკუპირებულ ქალაქში ისაა, რომ მის შვილებს აღარ შეუძლიათ მასზე ხუმრობა, მისი ირონიით მოხსენიება. ვინ გაბედავს იერუსალიმზე გახუმრებას?! წერილები ჩვენი მისამართებით ველარ აღწევენ ჩვენამდე. სახლების მისამართებიც ნაგვართვეს და უჯრების მტვერიც. სადღაც წაიღეს იერუსალიმის ხროვებად მოგროვილი ხალხი, მისი კარები და შესახვევები, ჩუმად გახსნილი საროსკიპო ბაბ ჰუტას ქუჩაზე თავისი ინდური ქანდაკებებით ჩასუქებული კურტიზანებით. დაუნგრევიათ წმინდა ავგუსტის საავადმყოფო, ჯაბალ ატ-ტური, სადაც ბიძაჩემი 'ატა ცხოვრობდა, შეიხ ჯარაჰის უბანი, სადაც ერთ დროს ჩვენც ვცხოვრობდით. აღარ არიან მოსწავლეები, ხუთშაბათის ბოლო გაკვეთილზე მოწყენილობისგან რომ ამთქნარებდნენ. წაიშალა ბებიჩემის ნაფეხურები ჰაფიზასკენ და მისი ქალიშვილი რაშიდასკენ მიმავალ გზაზე. ამ ორი ქალის სალოცავიცა და მათი პატარა ოთახიც გაქრა ძველ ქალაქში, აღარც ხალიჩაა, რომელზედაც კარტს თამაშობდნენ ხოლმე — ბარჯისა და ბასრას. ის მაღაზიაც აულიათ, რამალადან სპეცი-ალურად რომ ჩავდიოდი ხარისხიანი ფეხსაცმლის შესაძენად. შემდეგ კი ჩემი ოჯახის წევრებისთვის ნამცხვრებს ვყიდულობდით „ზამალიტოში“, ხოლო ქუნაფას — ჯა'ფარისგან. სამოც კილომეტრ მანძილზე ხუთ პიასტრად ვბრუნდებოდი ავტობუსით რამალაში უსაზღვროდ ამაყი იმით, რომ იერუსალიმიდან მოვდივარ.

ახლა კი ველარც ცისა და ველარც სარეცხის თოკების იერუსალიმს ვნახავ. ისრაელმა ზეცის მომიზეზებით მინა დაიპყრო.

\* \* \*

— შენი მეგობარი აბუ ნაილი გირეკავს — გამომძახა აბუ ჰაზიმმა.

სასწრაფოდ ვუპასუხე და რამალას პარკში დაფუნიშნე შეხვედრა. ჰუსამთან ერთად წავედი. აბუ ნაილი მისული დაგვხვდა — ხალხმრავალ ადგილას მაგიდასთან დამჯდარიყო. ჰუსამმა ჰკითხა, თუ რას ფიქრობდა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

— უყოყმანოდ მივიღე გადაწყვეტილება თუნისში. თქვეს, რომ ოსლოს დადგენილებით, ზოგიერთი შეძლებდა დაბრუნებას. როცა მკითხეს აზრი, ვუთხარი, რომ ყველა შემთხვევაში დავბრუნდებოდი მიუხედავად იმისა, რომელ კატეგორიას მიმაკუთვნებდნენ — ოსლოს გადაწყვეტილების მომხრეებს, პირფერებს თუ ოპოზიციას. ჩემთვის სულ ერთი იყო, სახელმწიფო სტრუქტურაში მოვიდოდი, ქუჩაში თუ ციხეში. მაინც წამოვიდოდი და აქ ვარ.

სიგარეტი შევთავაზე. მითხრა, რომ მოწევას დაანება თავი. დავინტერესდი, თუ როგორ მოახერხა ეს.

— არ მიყვარს სიგარეტების ხშირი ცვლა. „როთმანს“ ვენეოდი, მაგრამ ბოლო ხანებში ის ძალიან გაძვირდა თუნისში. ველარ გავწვდი და საერთოდ დავანებე თავი.

ჰუსამმა ჰკითხა, ახალი თუ იცოდა რამე. აბუ ნაილი წლების მანძილზე პალესტინის ელჩი იყო ჩინეთში, ეთიოპიასა და იტალიაში. თქვა, რომ აქ, რამალაში, სოციალურ ურთიერთობათა სამინისტროში მუშაობდა. შემდეგ ლიტერატურაზე განვაგრძეთ საუბარი. მოწონებას ვერ ფარავდა რადვას „გრანადის ტრილოგიის“ გამო. ბოლოს პოეზიაზე გადავინაცვლეთ. იშვიათი გემოვნების კაცია, ლიტერატურის დიდი მოყვარული, განაფული მკითხველი.

— ღმერთმა უშველოს ჩვენს ხალხს. არც წიგნები აქვთ, არც ბიბლიოთეკები, არც გაზეთები ან ჟურნალები. ყველაფერი აკრძალულია. შენი კრებულები არ ჩამოიტანე?

ბოლო კრებულის სამი ეგზემპლარი მქონდა თან. უცებ მაღაზია „სანდუკა“ გამახსენდა. ალ-ლიფთავის შენობასთან იყო ახლოს. ყოველდღე შევდიოდი და მის თაროებში დავძვრებოდი, წიგნებისთვის რომ გადამეხედა. მათი სუნიც კი მიყვარდა, ფერები, მათი შეხება. სკოლიდან შევივლიდი და იქვე გადავხედავდი ხოლმე ზოგიერთ მათგანს. თუ გამიტაცებდა, რამდენიმე

გვერდს წავიკითხავდი და უკან ვდებდი. მეორე დღეს კი ისევ ვუბრუნდებოდი და კითხვას განვაგრძობდი. ასე წავიკითხე პირველად არაბული პოეზიის ანთოლოგია, რომელშიც ბადრ შაქირ ას-საიაბის ლექსებიც შედიოდა. გავოცდი, ისე დაცილებულნი იყვნენ ისინი ფორმითა და მუსიკით ტრადიციული ლექსებისგან, რომელთა წერასაც მე იმ დროს ვცდილობდი. იქ წავიკითხე ჟურნალები და წიგნები სექსსა და ქორწინებაზე. ჩემი მამაკაცურობა შევიგრძენი პუბლიკაციებში, რომელიც არც ოჯახში და არც სხვაგან ჩემს გარშემო არ მოიპოვებოდა. იქ ვნახე ნაჯიბ მაჰფუზისა და 'აბდ ალ-ჰალიმ 'აბდ ალ-ლაჰის, იუსუფ ას-სიბა'ისა და იჰსან 'აბდ ალ-კუდუსის რომანები, ერნესტ ჰემინგუეის, ჟან პოლ სარტრის, სიმონე დე ბოვუარის, ალბერტო მორავიასა და კოლინ უილსონის ნაწარმოებები... და, რა თქმა უნდა, ჟურნალი „ალ-ადაბი“. თავი ისე მქონდა წიგნში ჩაფლული, როგორც ცხვარს — მწვანე ბალახში ვიდრე ერთ დღეს მალაზიის მეპატრონე თავზე არ წამომადგა და ხელით არ მიმართია მაგიდასთან. სახეში ჩამაშტერდა და მითხრა:

— შემიცოდე, ძმაო. ჩემზე მეტ დროს ატარებ ამ მალაზიაში, ღმერთმანი. რა უნდა გიყოთ?

საკმაო ხნის გავლის შემდეგ მივბრუნდი და ჰიუგოს „საბრალონი“ შევიძინე, ვითომ ძალიან სერიოზული მკითხველი ვიყავი და მისი მალაზიის თაროებში ხანდახან შიშველი ქალების სურათების ცქერით არ ვიქცევდი თავს. იმ ღამით და მომდევნო დღეს წავიკითხე „საბრალონი“. ეს იყო პირველი წიგნი, რომელიც საკუთარი, ჯიბის ფულით ვიყიდე. ამის გამო ჩემს თავს უარი ვუთხარი შევერმას უგემრიელეს ბუტერბროტებზე, რომლის სუნი აბუ ისქანდერის რესტორნიდან გამოდიოდა და გონებას მიბნელებდა. ამ რესტორანს ხშირად ვსტუმრობდით მოსაწყენი ოჯახური სადილის თავიდან ასაცილებლად ან უბრალოდ იმისთვის, რომ რამალას ნათელ ღამეს დამოუკიდებლად გასვლა შეგვეგრძნო.

რამდენი ნიჭი დაიმსხვრა ამ მიწებზე 1948 წლიდან?! რამდენი ქალაქი გაჩანაგდა?! რამდენი სახლი დაინგრა?! რამდენი თეატრი და წიგნის მალაზია შეიძლებოდა აშენებულიყო რამალაში?! ოკუპაციამ პალესტინური სოფლის განვითარება შეა-

ფერხა, ხოლო ქალაქები სოფლებს დაამსგავსა. არ მივტირით სოფლის წისქვილს, მაგრამ წიგნების მაღაზია, ბიბლიოთეკა გვინდა. არ გვინდა წარსულის აღდგენა, მაგრამ მომავლის აშენება გვინდა. პალესტინის ბუნებრივი განვითარება გამიზნულად შეფერხდა. თითქოს ისრაელს სურდა, მთელი პალესტინა თავისი ქვეყნის ერთ პატარა პროვინციად გადაეკეთებინა. ესეც არ იკმარა და არაბული ქალაქი ებრაული სახელმწიფოს სოფლის დასახლებად აქცია.

განა შეიძლება რამალაში ბოსტნეულის მაღაზიაში წავიდე და ოცდაათი წლის არყოფნის შემდეგ ის ისევ იმ ადგილას დამხვდეს გაჩანაგებულ მდგომარეობაში, თითქოს გამყიდვლებს არც დახლები შეუცვლიათ, არც მათი გადასაფარებლები გამოუცვლიათ და ფასებიც იმავე ქალაქზე უწერიათ? შეიძლება მაღაზიის იატაკიც კი ზუსტად ისეთივე იყოს — ჭაობივით ჩამუქებული, ნებოვანი, ნაფცქვენებით, ჩენჩოებითა და ფერადი ობით დაფარული? შეიძლება ქალაქის ძირითადი ქუჩის შენობებს ვუყურებდე და მათი ფასადები ბოსტნეულის მაღაზიის იატაკს მაგონებდეს?

არც იერუსალიმში წავსულვარ, არც თელავივში და არც რომელიმე სანაპირო ქალაქში, მაგრამ ყველა იმაზე ლაპარაკობს, რომ ისინი თავიანთი სიმწვანით, ორგანიზებულობით, ქარხნებითა და პროდუქციით ევროპის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. ისრაელის ქალაქები უსწრაფესად განვითარდნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ ჩვენ უკან-უკან წავიდოდით. სწორედ ასე მაფიქრებინა ყველაფემა, რაც ვნახე და მოვისმინე. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სინამდვილე კონკრეტულია. ისრაელმა რეალობის მტვერზე ააშენა ეს ყველაფერი და არა წინასწარ წარმოსახული იდეების მირაჟზე. აქ იდეა და აზრი ხორცმსხმულია.

\* \* \*

რამალას პარკიდან წამოვედით. მე და ჰუსამი ფეხით დავბრუნდით შინ.

მწვანე გორაკებზე გადაშლილ რამალაში სოფლის შეგრძნება გეუფლება. ბირასთან ისეა გადაჯაჭვული, რომ გეგონება ორივე

ერთი ქალაქიაო, მაგრამ ორივე პროვინციული დასახლებების შთაბეჭდილებას ტოვებს. ხალხს შორის ურთიერთობაც სოფლურია. ოჯახები პირადად იცნობენ ერთმანეთს, ქუჩაში გამვლელები კი — სახელებით. როცა დიდი რაოდენობით გასახლებული ადამიანი დაუბრუნდა რამალას, ის ცოტა დაემსგავსა ქალაქს იმ თვალსაზრისით, რომ გაჩნდა ადგილები, სადაც ერთმანეთისთვის უცნობმა ადამიანებმა დაიწყეს შეკრება. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ რამალასა და ბირაში ეს უცნობებიც არ არიან მთლად უცნობები. მათ მნიშვნელოვანი რამ აერთიანებთ — გადასახლებით დაზარალებული შვილები არიან, ახლომდებარე სოფლებისა და 1948 წლის მერე დაკარგული ქალაქების შვილები, რომელთაც დაბრუნება და რამალას გარეუბნების გაფართოება არჩიეს სხვაგან ყოფნას არა მხოლოდ სანიამოვნო კლიმატისა თუ ბუნების სილამაზის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ეს ადგილი ძალიან ახლოა იერუსალიმთან. ეს სიახლოვე კი დროებითი ჩანაცვლებაა, უფრო შეგუებაა იმ აზრისა, რომ პალესტინელი საბოლოოდ ჩამოშორდა წმინდა ქალაქს.

ჭუსამმა თქვა, რომ ორ კვირაში ამანში აპირებდა წასვლას:

— სულეიმანის ქორწილია. გადაწყვიტეს, ამანში გადაიხადონ.

— რომელი სულეიმანის?

— სუჰას ძმიშვილის, სამეჰის ვაჟის.

— კი, მაგრამ სულეიმანი და მისი საცოლე — ორივე დასავლეთ სანაპიროზე არ ცხოვრობენ?

— ნათესავები, ბიძები და მამიდები ორივეს სხვადასხვა ადგილებში ჰყავთ, ზოგიერთი იერუსალიმშიც კი ცხოვრობს. დასავლეთ სანაპიროზე მათ არ შემოუშვებენ. ამიტომ ყველასთვის საუკეთესო გამოსავალი ამანში შეხვედრია.

როდესაც ი'თიკალი რობერტზე დაქორწინდა ბუდაპეშტში, ვფიქრობდი, რომ სამშობლო იყო ის წამალი, რომელიც პატარძალს ჩემგან და ყველა სტუმრისგან დაფარულ სევდას გაუქარვებდა. ნუთუ სამშობლო მართლა ყველა მწუხარების წამალია? ი'თიკალი ბუდაპეშტში ერაყელ ლტოლვილებს შორის გავიცანი. მეორედ შეხვედრისას მითხრა:



— ერთადერთი ადამიანი ხარ, ვისაც ჩემს სახელზე (ი'თიკალი არაბულად დაპატიმრებას ნიშნავს) არ უხუმრია. შენ გარდა ყველა მეკითხება ამ ჩემი უცნაური სახელის შესახებ. მხოლოდ შენ განაგრძე ჩემთან საუბარი ისე, რომ მასზე ახსნა-განმარტებები არ მოგიტოვია.

სიცილით ვუთხარი:

— მაგრამ შენ ეტყობა გინდა, რომ ამიხსნა.

ასე იყო თუ ისე, დავმეგობრდით. დიდხანს მოგვიწია უნგრეთში ცხოვრება. ი'თიკალმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, რეჟისურაში გააკეთა დიპლომი, ცოტ-ცოტას თარგმნიდა ბუდაპეშტში გამომავალი ერთ-ერთი ლიტერატურული ჟურნალისთვის. ერთხელაც მოვიდა და მითხრა, რომ უნგრელ იურისტზე, რობერტზე აპირებდა დაქორწინებას. მთხოვა, მისი მეჯვარე ვყოფილიყავი. აღარც ვკითხე, რატომ გადაახტა უნგრეთში მცხოვრებ თავის ერაყელ თანამემამულეებს და მაინც და მაინც მე რატომ მომაკითხა. ასე აღმოვჩნდი უცხოეთის ყველაზე უცნაურ სიტუაციაში. ჩემი მანქანა ყვავილებით მოვრთე და პატარძალი ბუდაპეშტის მე-11 რაიონში, სარეგისტრაციო განყოფილებაში მივიყვანე. მუქ ლურჯ კოსტუმში გამოწყობილს ოცდაათი წლის კაცისთვის უჩვეულო როლი მქონდა. ი'თიკალს საპატრძლო კაბა ეცვა და თეთრი და ყვითელი ყვავილების თაიგული ეჭირა. როდესაც მანქანიდან გადმოვედით, მსუბუქად განვიმდა. მზერა გავცვალებთ — მე, რომელსაც და არ მყავდა და მან, რომელსაც ამ უცხო ქვეყანაში მეჯვარედ მიყავდი. შენობაში შესვლამდე განიერი ტროტუარი უნდა გადაგვეკვეთა. თავსხმა წვიმა წამოვიდა.

იმ საღამოს რობერტი ძალიან ბედნიერი იყო და არც კი შეუნიშნავს პატარძლის თვალეებში უცებ გაჩენილი ცრემლი. აცრემლებული მე მომიბრუნდა და მითხრა:

— დედაჩემი მაფრთხილებდა ხოლმე — ადულებული წყალი არ გადმოგივიდეს, თორემ შენი ქორწილის დღეს წვიმა წამოვაო. ხედავ მურიდ, წვიმს.

დავსხედით სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც სწორედ ი'თიკალის გასწვრივ უნგრეთის დროშა ამშვენებდა. რალაც მომენტში მთელი ეს სცენა კომიკურად მომეჩვენა, მაგრამ

როდესაც პატარძლის ხმა გაისმა და მან „დიახ“ უნგრულად თქვა — „იგენ“, ისეთ მდგომარეობაში აღმოვიჩნდი, როცა სიცილი შეუძლებელი იყო. კონტრაქტს ხელი მოვანერე. დარბაზიდან გამოვედით და რესტორანს მივაშურეთ, სადაც მეგობრების ვინრო წრეში აღინიშნა ეს ღირსშესანიშნავი დღე. ვახშმისას ი'თიკალმა მკითხა:

— მურიდ, ოდესმე ყოფილხარ ერაცში ერაცულ ქორწილში?

\* \* \*

უნგრეთიდან კარგა ხნის წამოსული ვიყავი, როცა მორიგი ვიზიტისას ბუდაპეშტში რობერტსა და ი'თიკალს ვესტუმრე. თავიანთი ერთადერთი შვილი ჰანა გამაცნეს. ის ერაცული აქცენტით მელაპარაკებოდა და თან მეკითხებოდა, მომწონდა თუ არა კარლ ორფის „კარმინა ბურანა“. ვიცი, რომ იძულებით გადაადგილებულთა ყველა ქორწილი არ არის ასეთი. ზოგიერთი მათგანი ექსტრავაგანტული და უკიდურესად სანახაობრივია, მაგრამ ი'თიკალის ქორწილი იყო მარტოობის მაგალითი და ნიმუში იმისა, თუ რა პატარა ხარ ახლობლების, ნათესავების, ტრადიციების, იმ ისტორიის გარეშე, რომელიც შენს აქ და ახლა ყოფნას წინ უნდა უძლოდეს. თავში მოსული სასტიკი აზრები გარეგნულად გამოხატულ სიხარულს არ დამჩნევია და ეს იყო არა არსებული სიტუაციის გამო, არამედ მის ჯიბრზე გამჟღავნებული სიხარული. თუმცა, არაფერი მითქვამს. განა ი'თიკალს ან მე გვჭირდებოდა ამის ხმამალლა თქმა? უცხოები ხვდებიან უცხოებს და როგორც დაჭრილ, ნაიარევ არაბებთან ურთიერთობამ მასწავლა, პალესტინელი მხოლოდ ნაწილია ერთი მთელისა. ვისწავლე, როგორ არ უნდა გავაზვიადო ჩემი პრობლემა. ყველა, ვინც იგემა გადასახლება, იმავეს განიცდის. იძულებით გადაადგილებულისთვის პიროვნული სტატუსი და ჩვეული ადგილი დაკარგულია. შედარებით ილბლიანებს ეჭვის თვალთ უყურებენ და შური ხდება იმათი პროფესია, ვისაც სხვათა ყურების გარდა პროფესია არ აქვთ. ევროპა, სადაც წლების მანძილზე ვცხოვრობდი, სავსე იყო ასეთი ადამიანებით მთელი არაბული სამყაროდან. თითოეულის ამბავს ვერც

მე და ალბათ, ვერც ვერავინ აღწერს. გადასახლების ადგილას სიმშვიდე და ნანატრი უსაფრთხოების შეგრძნება ბოლომდე ვერ დაგეუფლება. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, სიკვდილამდე არ ტოვებს სხეულს სამშობლოს შეგრძნება.

**თევზი,  
თუნდ მებადურის დიდ ბადეში გამოხლართული,  
კვლავ ინარჩუნებს  
ზღვის სურნელებას!**

ამბები დაჭრილ სამშობლოებზე ძალზე წააგავს უსაფრთხო გადასახლების ისტორიებს: არც ერთ ადგილას არაფერი ხდება მსხვერპლთა სურვილის შესაბამისად. მახსენდება მიხაილ ხალაიფის ფილმი „ალ-ჯალილის ქორნილი“, რომელიც დირ ლასანამი გადაიღეს. სურათი გვიამბობს ერთი საუკეთესოდ დაგეგმილი ქორნილის შესახებ, რომელიც საბოლოოდ სასურველი გზით ვერ წარიმართა. ფილმში ასახულია რეალობა, სადაც ვერაფერს განახორციელებ ისე, როგორც დაგეგმილია. ესაა დაჭრილი რეალობა, ოკუპაციის რეალობა. გადასახლებაში მუდმივად ბურთი გაქვს ყელში გაჩხერილი, აღარ თავდება, გამუდმებულ ტერორს თავს ვეღარ აღწევ და ბოლოს ის ტერორის წინაშე შიშში გადაიზრდება. და რადგან საკუთარი ქვეყნიდან განდევნილებიცა და გაქცეულებიც იმედგაცრუებულნი არიან, დაძაბულობასა და გაღიზიანებას ყოველდღიურ ურთიერთობებშიც კი ამჟღავნებენ. მათი თვალები სულ სხვის განსასჯელადაა ანთებული. თბილი დამოკიდებულება საკუთარი ხალხისა და სამშობლოს მიმართ თანდათანობით უცივდებათ. ამგვარ ვითარებაში ბუნებით მგრძნობიარეც შეიძლება უხეში გამოჩნდეს. და როცა ემოციები მოეძალდებათ რაღაც მიზეზით ან სულაც უმიზეზოდ, სევდა-ნალველი იკავებს მთელ დღეს.

ზუსტად ისე, როგორც დატოვებს თავიანთი ადგილი იმის გამო, რომ ყველაფერი კარგად ვერ იყო, გადასახლებაშიც აღმოაჩენენ, რომ არც იქ ყოფილა ყველაფერი კარგად.



## ლაშ შამლ — სელასლა ბაერთიანება

შინ სტუმრებით გადავსებულ სახლში დავბრუნდით. აბუ ჰაზიმი შემეგება:

— სად ხარ, კაცო?! ვნერვიულობდით შენ გამო. ჰუსამ, სად გყავდა წაყვანილი? რადვამ და თამიმმა დარეკეს კაიროდან, ხოლო უმ მუნიფმა — ამანიდან. აქაც მოგაკითხეს. უამრავი ადამიანი გკითხულობს.

რადვას თამიმის დაბადების მონმობის ასლის გადმოგზავნა ვთხოვე. განაცხადის შესავსებად მჭირდებოდა. კულტურის სამინისტროს ფაქსის ნომერი მივეცი. დამირეკა — უკვე გამოგზავნეო. მეორე დილით სამინისტროს მივაშურე, ჩემი მეგობრები იაჰია იახლუფი, მაჰმუდ შუქაირი, ‘ალი ალ-ხალილი და ვალიდი ვნახე. მინისტრთანაც შევედი. ვილაცებთან შეხვედრა ჰქონდა, ბირ ზეითის უნივერსიტეტის რექტორი ჰანა ნასირი ვიცანი. მინისტრი ღიმილით მომესალმა:

— ოპოზიციას ვახლავართ!

მის კაბინეტში კონფლიქტის ნორმალიზაციასა და ისრაელთან მიმართებაში ეგვიპტელი ინტელიგენციის პოზიციებზე მსჯელობდნენ. ვთქვი, რომ ეგვიპტელი ინტელექტუალები ყოველთვის პალესტინელებს უჭერდნენ მხარს. თავიდანვე ასე იყო. ისინი ამბობდნენ, რომ ისრაელის პოლიტიკა ჩვენ მიმართ უსამართლოა, ენინააღმდეგებოდნენ კემპ დევიდის გავლენას. არ უნდა დაგვაზიწყდეს, რომ ეგვიპტის სტუდენტური მოძრაობა, რომელმაც 1972 წელს მწვერვალს მიაღწია, კაიროს უნივერსიტეტში, საინჟინრო ფაკულტეტზე შექმნილი პალესტინის რევოლუციის მხარდამჭერი ორგანიზაციიდან წამოვიდა. პა-

ლესტინის საკითხი ეგვიპტელი ახალგაზრდების პოლიტიკური აქტივობისა და ბრძოლის ძირითადი მამოძრავებელი მოტივი იყო, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მათ კულტურულ-ინტელექტუალურ ფორმირებასა და ზრდაში. ასევე ვთქვი, რომ მთელი მსოფლიო ავლენს თავის გავლენას პალესტინაზე, როგორც მშვიდობის, ისე ომის დროს, თუმცა, არავინ ახდენს ზენოლას ისრაელზე. ჩვენ მივდივართ მოსალაპარაკებლად, შემხვედრი ნაბიჯის გადმოდგმას ვთხოვთ მათ პრემიერ-მინისტრს, მაგრამ უარს გვეუბნება. შემდეგ ვბრაზდებით, ვტოვებთ მოლაპარაკებას და ცოლებთან ან ერთ-ორ უმწეო ჟურნალისტთან ვჩივით საკუთარ მდგომარეობაზე, პრემიერ-მინისტრი კი მოლაპარაკებიდან მიდის და იერუსალიმში იძინებს. რომელი ჩვენგანია უფრო რთულ მდგომარეობაში? განა მტერს პატარა სირთულე მაინც არ უნდა გააჩნდეს?!

მეგობრებმა მთხოვეს რამდენიმე ლექსი დამეტოვებინა მათთვის გამოსაქვეყნებლად, თუმცა, თავად ცალკეულ პუბლიკაციებს სამშობლოში გამოცემული პირველი კრებული მერჩია.

გადასახლებულ პოეტსა და მის ხალხს შორის ცარიელი უფსკრულია. ის კიდევ უფრო ფართოვდება წიგნების აკრძალვის გამო. ისრაელმა პალესტინური ლიტერატურული ნაწარმოებების იმპორტი აკრძალა — როგორც პროზა, ისე პოეზია, ესეები თუ სხვა. გარკვეულწილად საკითხს აგვარებენ უკანონოდ, კონტრაბანდის გზით შემოტანილი წიგნებით, საგაზეთო პუბლიკაციების ამონაჭრებით, არაბული რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

ჩემს მეგობარს, მაჰმუდ შუქაირს დავპირდი, რომ წასვლამდე უსათუოდ დავუტოვებდი რჩეულ ლექსებს. ისინი რამდენიმე თვის შემდეგ გამოიცა კულტურის სამინისტროსა და ნაბლუსის გამომცემლობა „ალ-ფარუკის“ ერთობლივი ძალისხმევით. ბოლოს და ბოლოს, ჩემი ხმა თუ მისი ნაწილი დაუბრუნდა ჩემს ხალხს და ადგილს.

\* \* \*

კიდევ ერთხელ გადავუხადე აბუ საჯის მადლობა ყურადღებისთვის და თამიმის დაბადების მოწმობა მივეცი.

— ნუ ნერვიულობ, ღვთის ნყალობით ყველაფერი კარგად იქნება. შენი ტელეფონის ნომერი, ამანისა და კაიროს მისამართები დამიტოვე და როგორც კი პასუხს გავიგებ, თავად დაგირეკავ.

— შეგიძლია ანისსაც დაურეკო. მას ზუსტად ეცოდინება, სად ვიქნები. შენი აზრით, დაახლოებით რამდენ ხანში უნდა ველოდო?

— შეიძლება ცოტა გაინელოს. ძალიან გეჩქარება?

— თამიმი ორ-სამ კვირაში ამანში ჩამოვა. მე ხვალ მივემგზავრები ამანში. თუ მისი პალესტინაში შემოსვლის უფლებას მალე მივიღებთ, თამიმთან ერთად შევძლებ რამალაში მობრუნებას. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მოხდეს, მერე თამიმი უნივერსიტეტში იქნება წასასვლელი. შენ იცი.

დავემშვიდობე და წამოვედი.

\* \* \*

მოვა დრო და თამიმი აქ იცხოვრებს.

ერთხელ ვენის სიმპოზიუმში ვღებულობდი მონაწილეობას. ცოტა ხნით გავედი ჟურნალისტისთვის ინტერვიუს მისაცემად და როცა დარბაზში შევბრუნდი, დავინახე, რომ ჩემს ადგილზე ვიღაც ქალი იჯდა. ის აღმოჩნდა ებრაელი ადვოკატი ფელიცია ლანგერი, რომელიც პალესტინელი პატიმრების დაცვით იყო დაკავებული. მოიხედა, ფეხზე დამდგარი დამინახა და მითხრა:

— ღმერთო, ავსტრიაშიც კი პალესტინურ ადგილებს ვიკავებთ.

ოთხმოციანი წლების ურთულესი პერიოდი იდგა. ომმა ლიბანის ლტოლვილთა ბანაკებში ყველაზე ბინძურ ეტაპს მიაღწია. პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია ნაწილებად დაიხლიჩა. სხვადასხვა ფრაქციები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ. სწორედ ამ დაჯგუფებებმა და მათმა პარტიზანებმა შეიწირეს უამრავი ადამიანი საბრასა და შათილაში. ასევე გაურკვეველი მიზეზით დაიღუპა ხალხი ბურჯალ-ბარაჯნაში.

ორ სხდომას შორის შესვენება გამოცხადდა. ერთ მაგიდას-თან სასტუმროს მისაღებში ვისხედით — ლიბანის ნაციონალური მოძრაობის ორი ლიდერი, ქალბატონი ლანგერი, ევგენი პრიმაკოვი (საბჭოთა ექსპერტი არაბულ საკითხებში), მე და ორი შვედი მეგობარი. ვილაც მოვიდა და გვაცნობა — ლიბანის მუფთიმ კატისა და ძაღლის ხორცის ჭამის უფლება მისცაო ბანაკში მცხოვრებ ლტოლვილებს. არ ვიყავი დარწმუნებული, ეს ახალი ამბების ნაწილი იყო თუ მედიის საშუალებით გაკეთებული კიდევ ერთი შეძახილი საშველად, რათა ბოლო მოღებოდა ამ გაუთავებელ ჯოჯოხეთს. განსაკუთრებულმა დაძაბულობამ ბოლო ხანს ლტოლვილთა ბანაკებში მომხდარის გამო, უაზრო ბრძოლისა და მკვლევლობების აბსურდულობამ ისევ ტრაგიკულისა და კომიკურის უერთიერთგადაჯაჭვულობა გამახსენა. ფელიციას ვუთხარი:

— სად უნდა წავიდეთ? მიმიღებთ თქვენს ქვეყანაში, როგორც ლტოლვილს?

რალა თქმა უნდა, სიტყვა „თქვენს ქვეყანას“ შეგნებულად ვხმარობდი, რომ გამერკვია, როგორ აღიქვამდა ის ჩვენს ქვეყანას. გადაკრულად ვგულისხმობდი ისრაელის პასუხისმგებლობასაც საბრაში, შათილასა და ბურჯ ალ-ბარაჯნაში მომხდარის გამო, ბანაკებში დატრიალებული ტრაგედიისა და ჩვენი სურვილის საპირისპიროდ სხვადასხვა ქვეყნებში ლტოლვილებად მიმოფანტვის გამო, საერთოდ, ჩვენი ბედისწერის ასე უკუღმართად წარმართვისთვის როგორც პალესტინაში, ისე დიასპორაში. ველოდებოდი (რაკილა ვიცოდი მისი დამოკიდებულება და ის, რომ ყოველთვის გვიჭერდა მხარს), ეს ამბავი დაამწუხრებდა, წამით მაინც ჩაუკვირდებოდა ჩემს კითხვას და დაინახავდა, მის უკან რა იდო. მაგრამ მან სრულიად ვერ შეძლო დასმულ შეკითხვაში შეფარული სიმწარისა და ნაღველის ამოკითხვა. მისი პასუხი სახეში განწილი სილასავით მომხვდა:

— ვისურვებდი, თუმცა, ჩვენი მთავრობის კანონები არ დაუშვებენ ამას!

ებრაელები შესაძლოა სიმპათიასაც კი გრძნობდნენ ჩვენ მიმართ, მაგრამ ძალიან უჭირთ, სიმპათიით განენყონ ჩვენი ის-

ტორიისა და „პრობლემის“ მიმართ. მათი თანაგრძნობა დამარცხებულისკენ მიმართული გამარჯვებულის თანაგრძნობაა. პალესტინაში აშკარად იკვეთება სრული სიმეტრია ორ მხარეს შორის: ეს არის ადგილი მტრისთვის და ჩვენთვის, ისტორია მათია და ჩვენიც, ვგულისხმობ, ერთსა და იმავე დროს.

მაგრამ არაფრით შემიძლია დავუშვა ორი თანაბარი უფლება მიწაზე, ვერ აღვიქვამ ღვთაებრივს მიწიერი პოლიტიკური ცხოვრების უმაღლეს ეშელონებში. სერიოზულად არასოდეს დავინტერესებულვარ თეორიული დისკუსიით იმის თაობაზე, თუ ვის აქვს უფლება პალესტინაზე, რადგან ჩვენ მიწა დებატებში არ დაგვიკარგავს. ის ძალის გამოყენებით დაგვაკარგინებს. როცა პალესტინა პალესტინა იყო, არ გვეშინოდა ებრაელების, არც გვძულდა ისინი და არც მტრებად გვყავდა წარმოსახული. შუა საუკუნეების ევროპას სძულდა ისინი და არა ჩვენ, ფერდინანდი და იზაბელა ვერ იტანდნენ მათ და არა ჩვენ, ჰიტლერსაც ეზიზღებოდა და არა ჩვენ. მაგრამ როდესაც ჩვენი ტერიტორია დაიკავეს და იქიდან გაგვასახლეს, ორივე — ჩვენიც და ისინიც — თანასწორი უფლებების მიღმა აღმოვჩნდით. ისინი გახდნენ მტრები და გაძლიერდნენ, ხოლო ჩვენ გაცხდით იძულებით გადაადგილებულები და სუსტები. მათ გეორგაფიითა და წარმოსახვებით, სინმინდის ძალითა და ძალის სინმინდით დაიკავეს ჩვენი ტერიტორია. როგორ მოვუპოვო თამიმს თავისი უფლება ამ ადგილზე? ვთქვათ, ამ ზაფხულს შემოუშვეს, შემდეგ და იმის შემდეგ ზაფხულსაც, მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ მას აქ ცხოვრების უფლება ჰქონდეს მაშინაც კი, თუ თავად სულ სხვა ადგილს აირჩევს საცხოვრებლად. უცხო, რომელსაც კუთვნილ, პირველ ადგილთან დაბრუნება შეუძლია, განსხვავდება უცხოგან, რომელსაც გადაადგილებები ისე ართობს და ათამაშებს, რომ თავად მას არაფერს ეკითხება.

ვაკვირდებოდი ჩემს მამობას და ვიხსენებდი მამაჩემისას. ალბათ, ის ჩვენთან დამოკიდებულებაში გაცილებით მგრძნობიარე იყო. იქნებ, ჩვენ ვართ თაობა, რომელიც განგებ არ ამყლავნებს ემოციებს სხვების, თუნდაც შვილის წინაშე? იქნებ, ყოველივე ამას ზედმეტი მგრძნობიარობის გამო ვარიდებთ თავს,



თითქოს ნებისმიერი ხმამაღალი ემოციის დაფარვით გვსურს, წინა პლანზე ჩვენი ნებისყოფა და გამძლეობა, დროის მოულოდნელობებთან დაპირისპირების იშვიათი უნარი წამოვწინოთ. ამას ვთავაზობთ შვილებსაც და საკუთარ თავსაც. პრაქტიკულ გზებს ვარჩევთ ჩვენში არსებული გრძნობების გამოსახატად, გამიზნულად ვიცილებთ თავიდან და ვითომ ვერ ვხედავთ შვილებში წარმოქმნილ თანაგრძნობასა და სუფთა ემოციებს.

როდესაც ბუდაპეშტის აეროპორტში რადვასა და თამიმს ვემშვიდობებოდი, გაუთავებლად ვხუმრობდი და ყველაფერზე ვლაპარაკობდი გარდა ერთისა, რაც იმ მომენტში ყველას გვაფიქრებდა — მათ გარდაუვალ გამგზავრებაზე. მამაჩემისა და დედაჩემის გამომშვიდობება თითოეულ მის შვილთან ჩვენთვის უმძიმესი სცენა იყო. კატარში სამუშაოდ მიმავალ მუნიფს ვაცილებდით, დედაჩემს კალანდიის აეროპორტში გული რომ წაუვიდა. რამდენიმე წუთი ვერ ლაპარაკობდა, ყველა შეგვაშინა. მამაჩემი ყოველთვის გულისამაჩუყებელ წერილებს მწერდა. შეუძლებელი იყო, მათი წაკითხვის შემდეგ ცოტა ხნით მაინც რომ არ აღელვებულყავი. თამიმს კი ისე ვეპყრობოდი, თითქოს ის ჩემი კოლეგა ან თანატოლი ყოფილიყო. ისიც არ ვიცი, რამდენად ახლო ვარ მასთან. ამაზე მხოლოდ მის მეგობრებს მისი არყოფნის დროს ვესაუბრები. რადვასთან ყოველდღიურ ურთიერთობაში ჩემს გრძნობებს ენით არ გამოვხატავ. „ის მშვენიერებათა ნარევი“ — ვამბობ ამხანაგების წრეში, მაგრამ ვფიქრობ, რადვასთვის იგივე სიტყვები არასოდეს მითქვამს. ლექსში რადვას პოეტური ხატის შექმნისას მას კი არ მივმართავ, თავად ლექსს ვუგდებ ყურს. მაცუებს ხალხი, თავიანთი საყვარელი ადამიანების ფოტოები რომ დააქვთ ჯიბით. თუ მე აღმომაჩნდა ასეთი ფოტო, ის აუცილებლად პრაქტიკული დანიშნულების იქნება. მაგალითად, ამჯერად თამიმის რამდენიმე სურათი წამოვიღე, რადგან განაცხადში ჩასაკრავად და პირადობის მოწმობის ასაღებად იყო საჭირო.

მახსოვს, სამოციანი წლების ბოლოს, ლატიფა აზ-ზიათმა პარტიზანები მოინახულა იორდანიაში. კაიროში დაბრუნებულს ვკითხე:

— როგორ მოგეწონა ხალხი?

საოცარი იყო პასუხი:

— კარგი არამზადები არიან. — სიცილით მითხრა.

\* \* \*

ქურდებმა მოგვპარეს ლმობიერება? მაშ, ვინ? ახლა, ის „კარგი არამზადები“ ინთიფადას შვილები არიან, სავსენი რაღაც უხეში გულწრფელობის მაგვართ. ზოგიერთი მათგანი, ვისაც ოჯახურ თუ მეგობრულ თავყრილობებზე შევხვედრივარ, ნაკლებ შეშინებული და მოუხერხებელი მეჩვენა — ისეთი ჩაკეტილები არ არიან, როგორც ჩვენ ვიყავით მათ ასაკში. შეუძლიათ უხელმძღვანელონ კიდეც გარშემო მყოფთ, რასაც ჩემნაირი ადამიანი გაკვირვებაში მოჰყავს. მსჯელობის, კამათის მანერა, დამამტკიცებელი საბუთების მოტანა, გადამხდარი ამბების მოყოლა მათ ნორმალურ ვითარებაში აღზრდილ ქვეყნის შვილებთან ათანაბრებს. ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ ჩვენზე მეტი ნახეს და გადაიტანეს? ან იქნებ იმის გამო, რომ ადრე ისწავლეს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება? იმიტომ ხომ არ არიან ასეთები, რომ მათი მშობლები გაცილებით უფრო რთული და მნიშვნელოვანი საქმეებით იყვნენ დაკავებულინი, ვიდრე ბავშვებისთვის მორცხვობის სწავლებაა? ისინი ლაპარაკობენ პარტიებსა და ფრაქციებზე. ერთი ფათჰის ნევრია, მეორე — ჰამასის, მესამე კომუნისტია, მეოთხე სხვა გაერთიანებაშია. იციან ეროვნული სიმღერები და ჰიმნები. თუკი სთხოვ, სიამოვნებით გიცეკვებენ დაბქას.

არ ვამბობ, რომ გენიოსები და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულნი არიან-მეთქი. თუმცა, ჩვენ ბავშვობაში მათგან განსხვავებული მგრძნობიარობა გვახასიათებდა. მახსოვს, მამა თუ მთხოვდა სტუმრების თანდასწრებით თუნდაც ერთი ლექსის თქმას სასკოლო პროგრამიდან, ისეთ ცუდ დღეში ვვარდებოდი, არ ვიცოდი სახლიდან როგორ გავმქრალიყავი და რა მომეგონებინა, მისი თხოვნა რომ ამეცილებინა თავიდან. აბუ ჰაზიმის შვილიშვილი ჰაბუბი კი ვერანდაზე მომიჯდა და პირდაპირ, ყოველგვარი შესავლის გარეშე, მეუბნება:

— გინდა გიმღერო, ბიძია?

მეორე დღეს მოვიდა და მითხრა:

— მალაზიაში მივდივარ ნამცხვრის საყიდლად. რა გიყიდო?  
ფული მაქვს.

ამის დასამტკიცებლად ჯიბიდან ფული ამოიღო და როცა ზრდილობიანად ვიუარე — მადლობა, არაფერი მინდა-მეთქი, მიპასუხა:

— სერიოზულად გეუბნები.

მაშინ ვუთხარი:

— თვითონ მინდა საჩუქარი გაგიკეთო. რა გაგიხარდება ყველაზე მეტად?

სწრაფად მიპასუხა:

— წამოდი და ჩვენს სახლში დაიძინე. სულ ბაბუაჩემთან რატომ ხარ?

მამამისს ვუთხარი, არაჩვეულებრივი ბავშვი გყავს-მეთქი. სიყვარულით გახედა:

— დიდი ჭირვეული ვინმეა. სკოლიდან ყოველდღე თითო პრობლემა მოაქვს — ან თავადაა ნაცემი, ან მასწავლებელი ჰყავს ჭკუიდან გადაყვანილი.

დიახ, ალბათ მეც ამის თქმა მსურდა ოკუპაციის ბავშვებზე — რთულები, თან შემტევები, თან გამჭვირვალე ემოციის მქონენი, შეშინებულები და მამაცები, სუსტები და ნაკლებად მგრძნობიარეები არიან.

ისევ ვეკითხები ჩემს თავს იმ ხროვაზე, „ქვეების პოეზია“ რომ უწოდეს, ვეკითხები სოლიდარობის პოეზიასა და „ქვეების შვილებზე“. ადამიანური პირობებისთვის ყოველთვის უფრო მისაღები, უფრო იოლია გამარტივება და ასე ისვრება ვითარება ნაცვლად იმისა, რომ განისაზღვროს ის. მცდარად წარმოადგენენ სიტუაციას, რათა ზეიმით აღნიშნონ ის. მუდმივად თავს იჩენს განსხვავება სიღრმესა და ზედაპირულობას შორის, ხელოვნებასა და პოლიტიკოსთა რიტორიკას შორის. საინტერესო ის გახლავთ, რომ ოკუპაციის პირობებში მცხოვრები და *ინთიფადას* მონაწილე მწერლები ზუსტად იმავე შეცდომებს უშვებენ, რასაც დიასპორაში მოღვაწეები. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავზე

გადატანილ გამოცდილებაზე წერენ, ისინი ფაქტების არსს ვერ სწვდებიან. საქმე სწორედ ცხოვრების დეტალების ცოდნაშია, პიროვნულ სიმნიფეში, რაც სათავეა სიმნიფისა ყოველგვარ ხელოვნებაში. არსებობს რაღაც, რასაც მხოლოდ ცხოვრებისეული გამოცდილება იძლევა და არა ნებისმიერი ხელოვნების ნიმუში, რომელზედაც ნამდვილად ღირდა საუბარი. მნიშვნელოვანია მოვლენებში ჩაღრმავება და ის განსაკუთრებული მგრძობიარობაც, რომლითაც გამოცდილებას ვიღებთ. მხოლოდ ამა თუ იმ მოვლენაზე ჩვენი დასწრება, რაც ასევე აუცილებელია, ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად საკმარისი არ არის. ხელოვნებას თავისი პირობები აქვს. ის გაუმაძღარია და ყინიანი. გადაადგილებულობის გამოცდილება სხვათა ქვეყნებში გამოვიარეთ. ჩვენ მსგავს სხვა გადაადგილებულებთანაც მოგვინია ცხოვრება. განა საკუთარი დევნილობა აღვწერეთ სადმე? რით იმსახურებს ჩვენი პატარა ისტორია, რომ მთელმა მსოფლიომ უსმინოს მას?! და ვინ უსმენს იმ კაცების, ქალებისა და ბავშვების ამბავს, რომელნიც გადაადგილებამ სულ სხვა ნაპირზე გარიყა და ველარც ერთი დაბრუნდება ოდესმე?! ჩვენი მიცვალებულები მთელს პლანეტაზე მიმოიფანტნენ. ზოგჯერ არც ვიცით, სად წავიდეთ მათი ცხედრებით, რადგან დედაქალაქები უარს ამბობენ ცხედრების მიღებაზე ისევე, როგორც ჩვენ, ცოცხლების მიღებაზე ამბობენ უარს. და თუ სწრაფვითა და იარაღით, დევნილობითა და უბრალო სიკვდილით გარდაცვლილნი არიან მსხვერპლნი, და თუ ლექსები არ ტყუიან და თითოეული მსხვერპლი ვარდია, მაშინ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მსოფლიო ბალი გაგვიშენებია.

\* \* \*

დღეს ჩემი ბოლო ღამეა რამალაში. განცხადება შევიტანე თამიმის აქ შემოშვებისთვის პირადობის მონმობის ასაღებად და თავად ეს ფაქტია მიღწევა. სტუმრებით საცხე დღემ ჩაიარა: ოჯახი, მეგობრები, მეზობლები, კოლეგები. როცა საუბარი გაჩაღდა, ვცდილობდი, სულ მსმენელი ვყოფილიყავი და ბევრი არ მელაპარაკა. უკვე გვიანი იყო, როდესაც გამოსაქვეყნებელი „არსებათა ლოგიკის“ ხელნაწერი ავიღე და საძინებელში განვმარტოვდი.

ოთახში სრული სიჩუმე იდგა, ნიგნში ჩახაზული წრენირივით. ცოტა ხნით მოსმენა ვარჩიე. „არსებათა ლოგიკა“ აგებულია იმ იდეაზე, რომ არსებები — უსულო თუ სულიერი, მცენარეები, ცხოველები, ადამიანები — „ლაპარაკობენ“. ჩემი დანიშნულებაა, მოვუსმინო მათ. ლექსების პირველ კრებულში კაცობრიობას წარლენასა და ახალ გენეზისს ვთავაზობდი. მაშინ ოცი წლის ვიყავი — საკუთარ სიბრძნეში დარწმუნებულობის ასაკში.

ლექსებს ვწერდი კაიროს უნივერსიტეტში სწავლისას, მერე ქუვეითში, სადაც 1967 წლის შემდეგ ბიძაჩემმა 'ატამ გამამწენსა სამუშაოდ. სხვადასხვა გზებს ვეძებდი, იქ ყოფნა რომ ამეცილებინა თავიდან. ლიტერატურაში მუშაობა მინდოდა. ცოტ-ცოტას ვაქვეყნებდი ჟურნალებში „ალ-ადაბ“, „მავაკიფ“, „ალ-ქათიბ“. რადვას დამსახურება გახლდათ ის, რომ ქუვეითი სამუდამოდ დავტოვეთ და კაიროში წავედით. ამ დროს ჩვენი ქორწინებიდან ერთ წელიც არ იყო გასული. ბეირუთს მივაშურეთ რამდენიმე დღით. იქიდან გემით ვაპირებდით ალექსანდრიაში გამგზავრებას. სასტუმრო „ალ-ჰამრაში“ გავჩერდით. ერთ-ერთი პოეტური კრებულის ყდაზე მითითებული გამომცემლობის „დარ ალ-‘ავდას“ ტელეფონის ნომერი ავკრიფე:

— ალო, ბატონი აჰმად სა'იდ მუჰამმადია ბრძანდებით?

— დიახ.

— ჩემი სახელია მურიდ ალ-ბარლუთი და...

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პოეტო! ბეირუთიდან რეკავთ?

რადვაც ოთახში იყო ამ დროს. ყურმილს ხელი დავაფარე და გავძახე:

— ასე მეუბნება: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პოეტო...“

ვფიქრობდი, ვრცელი და კარგად მოფიქრებული შესავალი დამჭირდებოდა, მიღება რომ დაენიშნა და მერე უნდა დამერწმუნებინა, რომ ჩემი პირველი კრებული საკმაოდ ცნობილ გამომცემლობაში დაებეჭდა, რომლის მფლობელიცა და ხელმძღვანელიც თავად გახლდათ. ქუვეითში ცხოვრებისას მეგონა, არაბული გამომცემლობის დედაქალაქში — ბეირუთში არავის

უნდა გაეგო ჩემი სახელი. ვუთხარი, რომ სასტუმრო „ალ-ჰამ-რაში“ ვიყავი.

— მოდი, ჭიქა ყავაზე მენვიე. თუ თან გაქვს, შენი ლექსებიც წამოიღე.

წუთებში დამთანხმდა ამ ლექსების გამოცემაზე. კრებული 1972 წელს გამოვიდა. მისი ერთი ასლი მონა ას-სუ'უდის მივეცი ყდის გასაფორმებლად. მშვენივრად გააფორმა, მაგრამ სახელი შეეშალა და მურიდ ალ-ბარლუთის ნაცვლად მუნიფ ალ-ბარლუთი დააწერა. გამომცემელობაში, რაღა თქმა უნდა, თავი აღარ შეუწუხებიათ ყდის ხელახლა გაკეთებით და გამოვიდა კრებული, რომელზეც მუნიფის სახელს ვერცხლისფერი ოთხკუთხედი ფარავდა და თავზე ჩემი სახელი ჰქონდა გადაწერილი. კარგად თუ დააკვირდებით, დაინახავთ, რომ ორი სახელი თითქოს ერთმანეთშია არეული. მუნიფისთვისაც და ჩემთვისაც ეს აღრევა რაღაც განსაკუთრებულის სიმბოლოა, რის გამოც გარეკანის სიუშნოვე ადვილად გადავიტანეთ.

\* \* \*

ვცდილობ დავიძინო, მაგრამ ვერ ვიძინებ. აქა-იქ რაღაც ჩანანერებს ვაკეთებ — შემთხვევით, უნებლიე დაკვირვებებს, შენიშვნებს, დიალოგების რეზიუმეებს. როდესაც სინათლე ჩავაქრე და თვალები დავხუჭე, კვლავ ჩემი ცხოვრების ხმები ამოიზარდნენ ბნელ და ჩუმ ოთახში. შემომეჯარნენ ფიქრები და წარმოსახვები, შეკითხვები წარსული ცხოვრებიდან და იმ ცხოვრებაზე, რომელიც გველის.

დღის უთავბოლობა ღამით მიძიდება. რაღაცას თითქოს დასრულება უნდა. ვცდილობ, გავზომო მანძილი იქ და აქ მცხოვრებთა შორის, ცოცხლებსა და გარდაცვლილებს შორის. ვიღებ „არსებათა ლოგიკის“ ხელნაწერს და ვკითხულობ:

**ის, ვინც ბედნიერია, ბედნიერია ღამით,  
ის, ვინც სევდიანია, სევდიანია ღამით,  
ხოლო დღე ამ დროს  
ხალხს ასაქმებს, ხიბლავს, აღელვებს.**

ვცდილობდი, გადაადგილება ფრჩხილებში ჩამესვა, ბოლო პერიოდი კი პირადი და საზოგადოების ამბის მწუხარების ერთ გრძელ წინადადებაში მომექცია. თუმცა მიძიმების გარდა ვერაფერს ვხედავ. მინდა, დროები ერთმანეთს მივაკერო, ერთი მომენტი მეორეს მივაბა, ბავშვობა — ხანდაზმულობას, ანმყო — არყოფნას და ყველა ანმყო — ყველა არყოფნას, გადასახლება — სამშობლოს, ხოლო ჩემი წარმოსახვა იმას, რასაც ახლა ვხედავ. არ გვიცხოვრია ერთად ჩვენს მიწაზე და არ დავხოცილვართ ერთად. იქ, პარიზში „ჩრდილოეთის სადგურზე“ სალამოს თერთმეტ საათზე მუნიფი ნოემბრის ყინვაში წაბორძიკდა და ლიანდაგებზე გადავარდა, რათა დედას და ჩვენ კუბოთი დაგვბრუნებოდა. ეს კაცი, რომელიც მეგობრებისთვის და მეგობრებით ცხოვრობდა; რომელსაც უყვარდა თავისი სიცოცხლის ხალხით ავსება — მომსვლელებითა და წამსვლელებით, ტელეფონზე დამრეკავებითა და ვიზიტით ჩამოსულებით — განა თავად ემზადებოდა უკანასკნელი დღისთვის, მარტოობით აღბეჭდილი, ბუნდოვანებით მოცული სიკვდილისთვის „ჩრდილოეთის სადგურზე“? 1993 წლის 8 ნოემბერი... რადვა, თამიმი და მე შინ ვსადილობთ, კაიროში. ტელეფონის ზარი გაისმა. ვუპასუხე. ჩემი უმცროსი ძმა ‘ალაა მელაპარაკებოდა დოჰადან. მან ქვითინით მითხრა, მაგრამ რა, სრულებით არ მახსოვს. სიცივემ დამიარა მხრებში. არც ის მახსოვს, რა ვთქვი. ცხადად მხოლოდ ის მიდგას თვალწინ, როგორ წამოვარდა რადვა სკამიდან გაფითრებული სახით:

— რა მოხდა?

ვუპასუხე:

— მუნიფი აღარ არის, აღარ არის!

ერთი მეგობარი შეგვეხმინა ჟენევიდან — შემთხვევის ადგილზე ყოფილა მისული პარიზში. დავურეკე და ვთხოვე, იქნებ უკეთ გაეგო, რა მოხდა. ჯერ თქვეს ცოცხალია და გადარჩენას ვცდილობთო, მერე — გარდაიცვალაო. ამ გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი, სანამ დედას დავურეკავდი ამანში. მივხვდი, მასაც იმავეს ეტყოდნენ, რომ კატასტროფაში მოყვა. რადვას ვეუბნებოდი:

— დედა ველარაფერს უშველის მუნიფს.

მაჯიდს და 'ალაას ვთხოვე, დედისთვის ჯერ არ გაეგებინებინათ მუნიფის სიკვდილის შესახებ. მინდოდა, ამ შემზარავი ამბის თქმის მომენტში მის გვერდით ვყოფილიყავი. ჩემი ერთადერთი მოვალეობა ახლა დედის დაცვა იყო. თუ ორ დღეს მაინც გადავატანინებდით, მაშინ იცოცხლებდა.

იმ ტრაგიკულ დღეებში უცნაურად დავინწყე მოქცევა. თითქოს მიწისძვრაში მოვყევი და მიწიდან ამოვძვერი დედაჩემის მოსაძებნად, მაგრამ თავად მიწისძვრის ფაქტს არად ვაგდებდი. ასე რომ, მდგომარეობას ვაკონტროლებდი. ვილაცხას უნდა გაეკეთებინა ეს. თითქოს თავს დამესხნენ და საოპერაციოში მოვხვდი, მაგრამ უპასუხოდ არ დავტოვე შემოტევა. ყველაზე ვფიქრობდი — დედაზე, მუნიფის ცოლ-შვილზე, ჩემს ძმებზე. უნდა მომეფიქრებინა, როგორ მოვქცეულიყავით.

მაჯიდსა და 'ალაას ვთხოვე, მუნიფის ცოლ-შვილთან წასულიყვნენ, რადგან მათთვის უფრო იოლი იქნებოდა დოჰაში საფრანგეთის ვიზის აღება, რაც ჩემთვის წარმოუდგენელი იყო კაიროში. მომდევნო დღეს რადვასა და თამიმთან ერთად ამანში წავედი. აეროპორტში ჰუსამი დაგვხვდა და ყველაფერი დეტალურად გვიამბო. მუნიფი თავისი სახლიდან მატარებლით გაემგზავრა პარიზში. საქმეები მოუგვარებია და „ჩრდილოეთის სადგურზე“ მისულა, რათა 4:30 სთ-ის რეისს გაჰყოლოდა ლილეში, მაგრამ მატარებელმა გაასწრო და მოუწია, 5:00 სთ-იანი რეისისთვის მოეცადა. 11:00 სთ-ზე იპოვა ის საფრანგეთის პოლიციამ — ბაქანზე ეგდო და სისხლისგან იცლებოდა. რამ შეუშალა ხელი, 5:00 სთ-იან მატარებელს გაჰყოლოდა? რამ გააჩერა სადგურში შვიდი საათი? მოიტაცეს? ქურდი დაესხა თავს თუ მთვრალი ნეონაცისტი? იქნებ, პოლიტიკური მკვლელობა იყო. ღვიძლის დაავადების გამო წლების მანძილზე მკურნალობდა. იქნებ, მოულოდნელად კომაში ჩავარდა და ვილაცხამ იფიქრა, რომ შეიძლებოდა მისი გაქურდვა? სასწრაფო დახმარება რომ მოვიდა, ის უკვე ძლივს სუნთქავდა. სცადეს, გადაერჩინათ, მაგრამ ვერ შეძლეს — რალაც წუთებში გარდაიცვალა.



სადგურში ყავის მაღაზიის პატრონს დაუნახავს, როგორ შევიდა ის კაფეში — სისხლიანი იყო და ბარბაცით დადიოდა. ოფიციალტმა იფიქრა, მთვრალიაო და გარეთ გააგდო. მუნიფი ისევ შეეცადა შესვლას — ალბათ, შველას ითხოვდა ან დარეკვა უნდოდა. ორი-სამი ნაბიჯი გადადგა და ერთ მაგიდაზე დავარდა, სადაც ორი პორტუგალიელი იჯდა. იმ ახალგაზრდებმა ხელი მოკიდეს და გარეთ გამოაგდეს. კაფედან ოთხ ნაბიჯში ის ისევ დაეცა და ვეღარ ადგა.

ჰუსამი ყველაფერ ამას ქვითინით გვიყვებოდა, სულ ერთიანად მომტყდარი იყო. გვითხრა, რომ დედაჩემისთვის არაფერი უთქვამთ. იცის, რომ მუნიფი ავტოკატასტროფაში მოყვა და უკეთაა. ჯიჰადი და მუჰამადი ადევნებდნენ მას თვალყურს. სახლი ამანში მცხოვრები ნათესავებით იყო სავსე, მაგრამ სამ-ძიმრის თქმა ყველას აკრძალული ჰქონდა.

— ყველამ იცის, რომ დედაშენი ერთადერთია, ვისაც კიდევ აქვს იმედი და შენგან ელოდება ბოლო სიტყვას. შენ დაგიჯერეთ და იმიტომაც არ ვუთხარით აქამდე. — მითხრა ჰუსამმა.

სახლის კარი ფართოდ გაეღო. ზოგ ქალს შავები ჩაეცვა. დედაჩემი თავისი ცისფერი კაბით ნახევრად გონწასული იჯდა. თამიმი, რადგა და მე რომ შევედით, მთელმა სახლმა ერთიანად ამოიღწავლა თითქოს. არ ვიცი, მაშინ ცუდად როგორ არ გავხდი, მაგრამ რაკი მაშინ არ გავხდი, იმის შემდეგ მაგრად ვიდექი, თითქოს დედაჩემის სიცოცხლის დაცვა იყო მთავარი, რაზეც უნდა მეზრუნა და ამან მეც დამიცვა და გადამარჩინა.

დედაჩემს არც ქალიშვილი ჰყოლია, არც და. რადგას იქ ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დედა პირველივე დანახვიდან შვილივით ეპყრობოდა მას. მივედი და ხელი მოვხვიე.

— მითხარი, შვილო, რა მოუვიდა შენს ძმას? შავებში არიან ჩაცმულები და მეუბნებიან, რომ ის კიდევ სუნთქავს, საავადმყოფოშია და შეიძლება გამომჯობინდეს. მითხარი, შვილო, არ მომატყუო, საყვარელო.

იმ ნუთს სიკვდილი მინდოდა. არ ვიცოდი, რა მეპასუხა. მისი თავი მკერდთან მივიდე და ჩავჩურჩულე:

— გვინდა, რომ ცოცხალი იყო. დამპირდი, რომ იცოცხლებ. შავები ჩაიცვი, დედა.

\* \* \*

იქ, სურში, ლონდონის გარეუბანში, სოფელ ას-სარაჯასგან და 'აინ ალ-ჰილვას ბანაკიდან კარგა შორს, განისვენებს ნაჯი ალ-'ალი. ინგლისის ტყეებს შორის გაჭრილ ტრასაზე მანქანით მივემართებოდით ვიმბილდონიდან სასაფლაოსკენ, რომელიც რუკის დახმარებით უნდა გვეპოვნა. ჩემ გვერდით ვიდადის ძმა იჯდა. უცებ მითხრა:

— აქ რა ჯანდაბამ მოგვიყვანა, მურიდ?

შევესწორე:

— ის რა ჯანდაბამ მოიყვანა აქ?

და როცა მივედით, არც ერთმა ვიცოდით, ვის უნდა ეზრუნა ამ საფლავზე — შვილებს, ვიდადს თუ ჩვენ, რომელნიც ვერ ვფლობთ ამ ადგილს? იქნებ მთელ ჩვენ ისტორიას და ჩვენს თავს გადამხდარ ამბავს?

\* \* \*

იქ, იმ დამშრალ წყაროსთან, ვისგრადის მთის ტყეში, უნგრეთისა და ჩეხეთის საზღვარზე განისვენებს ლუ'აი — კარგი შესახედაობის, გულღია ახლაგაზრდა კაცი, რომელიც უნგრეთში ცხოვრობდა. მალლა მთაში, ტყეში გაშენებულ დასასვენებელ ბანაკსა და ლუდის ბარში იშოვა სამუშაო. ლამაზ, სასიამოვნო უნგრელზე დაქორწინდა და ორი შვილი ჰყავდა. ხშირად მივდიოდით მასთან, ბუდაპეტიდან ორმოც კილომეტრზე. ის თავის ბარზე გამოჰკიდებდა ხოლმე აბრას „დაკეტილია“ და ჩვენ აგიზგიზებულ ბუხარში თევზს ვამზადებდით. არაბულ ვახშამზე დაპატიჟებულ მეგობრებთან კარტს ვთამაშობდით. ვგუნდაობდით. მთის ციცაბო კალთებზე სოკოებს ვკრეფდით. ლუ'აის ცოლი, რომელსაც ორი სიტყვა არაბულიც ესწავლა, ფაირუზის სიმღერის ფონზე გვეხმარებოდა სოკოს მომზადებაში.

შემდეგ, როცა ლუ'აი ფიქრობდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაოდ წასულ ძმას ხომ არ შევეუერთდეთ, ის უკვალოდ გაქრა; მისმა სასიამოვნო, მეგობრულმა ცოლმა მოკლა ტელევიზორის ყურებისას გვიან ღამით. ვიდაც რუმინელი

წვრილმანი კრიმინალის დახმარებით ქმრის გვამი ტყის სიბნელეში დამარხა, ცემენტითაც დაფარა, თუმცა პოლიციამ მაინც მიაგნო მოკლულს და დააპატიმრა ის ქალი. ჩვენი მეგობრების თვალში ლუ'აი ყოველთვის ბედნიერი ჩანდა. ის იყო პალესტინელი, რომელმაც აანყო ურთიერთობები, არც საქმელი აკლდა, არც სასმელი, შექმნა ოჯახი, ბევრს მუშაობდა და ფულსაც აგროვებდა. ახლა მდუმარე საფლავიდან არ შეუძლია დაიყვიროს, რომ ბედნიერება იტყუება. უსაფრთხო გარემო, კარგი გარეგნობა და სიყვარული — ყველაფერი ტყუილია. გადაადგილებამ ზუსტად ის დაანია, რასაც სამხრეთ ლიბანიდან გაექცა — სიკვდილი.

\* \* \*

იქ კი, ახლო აღმოსავლეთის ავიახაზების თვითმფრინავის საფეხურებზე აბუ 'აბდ დარვიში, მუნიფის სიმამრი მოკლეს, როცა ის კატარში ქალიშვილების მოსანახულებლად მიდიოდა. მისი სხეული რამდენიმე კვირა ლიბანის მორგში იყო.

\* \* \*

რეკავს და რეკავს ტელეფონი ღამ-ღამობით. ვილაცა ნამძინარევი იღებს ყურმილს. საზიზლარი ხმა კი ატყობინებს საყვარელი ადამიანის, მეგობრის, კურსელის, ნათესავის სიკვდილის ამბავს სამშობლოში ან სადმე სხვაგან — რომსა და ათენში, თუნისსა და კვიპროსში, ლონდონსა და პარიზში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სად აღარ, ვიდრე სიკვდილი არ გახდება — როგორც სალათის ფოთოლია ბაზარში — ბევრი და იაფი.

სასტუმროს აუზში მოთამაშე ბავშვებს ვუყურებდით, როცა ნაჯის ვუთხარი:

— იმედი უნდა გვქონდეს, რომ ეს ბავშვები გაიზრდებიან და შეძლებ მათ მარტო დატოვებას ამ სამყაროში.

მისი მოახლოვებული სიკვდილის სუნი ყოველდღიურად მძაფრდებოდა. მის წინააღმდეგ აგორებული სიძულვილით სავსე კამპანია სასურველ შემთხვევას ეძებდა. მეშინოდა მის გამო.

ბუდაპეშტში მომაკითხა ოჯახთან ერთად. პატარა ქალიშვილი ჰყავდა ჯუდი, რომელსაც ფსიქოთერაპია ესაჭიროებოდა სიდონზე ისრაელის თავდასხმის შემდეგ. ერთი თვე გავატარეთ ერთად. მერე აღარ მინახავს. რამდენიმე თვეში ლონდონში გავემგზავრე მისი საფლავის მოსაკითხად.

შორტები ეცვა და გვერდით მეჯდა იქ, აუზთან. ხელში სიგარეტი ეჭირა. მისი ნეკნების დათვლაც კი შეიძლებოდა.

— იცი, მურიდ, ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ეს არ არის პრობლემა. ჩემს თავს ვეკითხები, მამაჩემმა რაღა დამიტოვა, როცა მოკვდა-მეთქი? არაფერი. თავად მოვახერხე, ცხოვრებას გავმკლავებოდი. ისინიც მიხედავენ საკუთარ თავს.

1970 წელს ქუვეითში გავიცანი ნაჯი. გაზეთ „ას-სიასას“ კარეკატურისტი იყო. მის პატარა სამუშაო კაბინეტში მთელ საღამოებს ვატარებდი. მაშინ ტექნიკურ კოლეჯში მასწავლებლად ვმუშაობდი და თან პირველ კრებულს ვამზადებდი. კარგად გავიცანი და დავინახე, როგორ შეიძლება თითებით შეეხო ტალანტს. ისიც დავინახე, რომ სიმამაცე და გამბედაობა ისეთივე აშკარაა, როგორც კუბო.

ღამეებს ვათენებდით საუბარში. მერე ვტოვებდი, რომ მეორე დღისთვის კარეკატურა დაეხატა. დილას გაზეთს ვყიდულობდი და გოცნებას ვერ ვფარავდი — ამ ახალგაზრდა კაცს, დაფიქრებულს, მარტივს, მოცინარს და ნაღვლიანს როგორ შეეძლო პოლიტიკურ ანალიტიკოსებზე უკეთ შეეჯამებინა მთელი მსოფლიოს ამბები ყოველდღიური გაზეთის ერთ პატარა ჩარჩოში. ჩვენი მეგობრობა წლობით გრძელდებოდა. 1980 წელს, ბეირუთის არაბული უნივერსიტეტის პოეზიის ფესტივალზე დავნერე ლექსი სათაურით „ჰანზალა, ნაჯი აღ-ალის შვილი“. მოგვიანებით გაზეთმა „ას-საფირ“ დაბეჭდა ის მთელ გვერდზე, ნაჯის ნახატების ფონზე:

**აქ ყველაფერი ისეა მომზადებული, როგორც  
შენ გსურდა,**

**ყველაფერია ყველა შემთხვევის შესაბამისად:  
მიკროფონი ფესტივალის ღამეს,  
ხმის დამხშობი შენი მკვლელობის ღამეს.**

იმ ღამიდან შვიდი წელი გავიდა და ჰანზალას მამის მკვლელობის ღამეც დადგა. რადვასთან და თამიმთან ერთად უნგრეთში, ბალატონის ტბასთან ერთ-ერთ სასტუმროში ვიყავი. ზაფხულის შვებულებას იქ ვატარებდით. ადრე გავგეღვიძა და რადიო ჩავრთე. „ბი-ბი-სი“ ლონდონიდან იტყობინებოდა „ცნობილი პალესტინელი მხატვრის“ სიკვდილის შესახებ. მაშინვე გავიგეთ, რომ ეს ნაჯი იყო. ამ დროს თამიმმა გაიღვიძა და უფრო მეტი ინფორმაციის მოლოდინში რადიოსთან მიმსხდრები რომ დაგვინახა, გვკითხა:

- დედა, მამა, რა მოხდა?
- ბიძია ნაჯი მოკლეს.

\* \* \*

ეს მოხდა 1987 წლის 22 ივლისს, ჩვენი ქორწინების საიუბილეო დღეს. ჩვენი პირადი დღეები კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას, საიდანღაც გამოშვერილი უხეში ხელები ნაკუნებად აქცევენ პერსონალურ კალენდარს და იმ ნაკუნებს ქარს ატანენ.

კარგა ხნის წინ, 1972 წლის 8 ივლისს, ჩემი დაბადების დღეს მასპეროში, კაიროს ერთ-ერთ სამაჟუნებლო შენობაში ვიჯექი და ინტერვიუს ვიძლეოდი, როცა შაფი შალაბიმ ჩამოირბინა კიბეები, ჩემთვის რომ ეცნობებინა ღასან ალ-ქანაფანის მკვლელობის ამბავი. სულეიმან ფაიდთან ერთად იუსუფ იდრისისკენ გავემართე გაზეთ „ალ-აჰრამის“ რედაქციაში. გვინდოდა, ღასან ალ-ქანაფანისთვის სიმბოლური გასვენება მოგვეწყო კაიროში, ბეირუთში მისი გასვენების პარალელურად. ნაშუადღევს კაფე „რიში“ შევიკრიბეთ — იუსუფ იდრისი, ნაჯიბ სურური, ‘აბდ ალ-მუჰსინ ტაჰა ბადრი, იაჰია ატ-ტაჰირ ‘აბდ ალ-ლაჰი, სულაიმან ფაიადი, საიდ ალ-ქაფრაფი, იბრაჰიმ მანსური, ღალი შუქრი, რადვა და სხვა მწერლები, რომლებიც ახლა არ მახსოვს. ღასანის მკვლელობის შემდეგ უკვე საუკუნის მეოთხედი გავიდა.

იმ დღეს ორმოცდაათ კაცამდე შევიკრიბეთ. იაჰია ატ-ტაჰირ ‘აბდ ალ-ლაჰმა თავისი ღამაზი კალიგრაფიით პლაკატები დანერა. ჩუმად გავიარეთ კაფე „რიშიდან“ სულაიმან ფაჰას ქუ-

ჩა და 'აზდ აღ-ხალიკ სარვათის ქუჩას მივადექით. იქ კი გველო-  
და უშიშროება. იუსუფ იდრისი დააკავეს და ჩვენ იქვე, ჟურნა-  
ლისტთა კავშირის ბაღში ველოდით. იდრისს ჰკითხეს, იყო თუ  
არა ჩვენ შორის ვინმე პალესტინელი. მან კი უპასუხა, რომ ორ-  
მოცდაათივე ადამიანის სახელს ეტყოდა და დაუნერა: „იუსუფ  
იდრისი, იუსუფ იდრისი, იუსუფ იდრისი, იუსუფ იდრისი...“

აქ ოფიცერმა შეანყვეტინა წერა და გამოუშვა. იუსუფმა  
გვიამბო ეს ყველაფერი და ჩვენც დავიშალეთ.

ნალვლიანი შემთხვევის მიუხედავად ვიცინეთ კიდეც. იაჰიას  
ერთ-ერთ პლაკატზე წაენერა: „ისინი საუკეთესოებს კლავენ,  
ასე არ არის?“ ლატიფა აზ-ზიათთან წავედით შინ. მოვუყევით  
ჩვენი გამოსვლისა და ამ განსაკუთრებული ტრანსპარანტის  
ამბავი. მან კი თავისი ფართო ღიმილი გადახსნა და გვითხრა:

— თქვენ შემხედვარე გამვლელებს კარგი დრო უნდა ეტა-  
რებინათ ქუჩაში. ალბათ, ბევრი იცინეს. ისეთი რამე მაინც და-  
გენერათ, რასაც ყველა გაიგებდა!

იუსიფ იდრისის საქციელის შესახებ რომ ვუამბე, მითხრა:

— სწორედ ასეთია იუსუფი. ის ჯერ გმირული პლაკატით გა-  
მოვა, მერე დამფრთხალი, ანერვიულებული და დაბნეულია,  
თუმცა, ამ ყველაფერის საპირისპიროდ იქცევა. გაგიმართლათ.

დღევანდელი დღის მერე რა იუბილევებზეა ლაპარაკი, ნაჯი?  
ვილას ახსოვს დაბადების დღე, ლასან? რა უნდა გვახსოვდეს და  
რა უნდა დავივიწყოთ?

ეს არ გახლავთ პირადული რამ, რაც მხოლოდ მე მეხება. კა-  
ტასტროფა და ტკივილი დღითიდღე გვიმრავლდება. რალაც  
მოვლენა ფარავს საპირისპირო მოვლენას და ანგრევს ჩვენს  
საიუბილეო დღეებს. ჩვენი კალენდრები დამსხვრეულია, მწა-  
რე იუმორითა და სიკვდილის სუნითაა გაჟღენთილი. ახლა უკ-  
ვე გვაქვს თარიღები, რომლებიც აღარასოდეს იქნება ნეიტრა-  
ლური, მათ ყოველთვის ექნებათ კონკრეტული მნიშვნელობა.  
1967 წლის ივნისის დამარცხების შემდეგ რიცხვი 67 ჩემთვის  
მარცხის სიმბოლოა. მას ტელეფონის ნომრებშიც ვარჩევ და  
მანქანის ნომრებშიც, სასტუმროს ოთახების კარებზეც, მსოფ-  
ლიოს ნებისმიერ ქუჩაზე და თეატრისა თუ კინოს ბილეთზე,

ნიგნის გვერდზე, სახლის ან დაწესებულების მისამართზე, მატარებლის წინა ნაწილზე, მსოფლიოს ნებისმიერი აეროპორტის ფრენის ნომერში ელექტრონულ დაფაზე. ეს რიცხვი თავის ჩარჩოში გაიყინა თითქოს. რიცხვი კი არა, მისი ქანდაკებაა ცვილის, გრანიტის, ტყვიის; წაუშლელი ცარცის ნარწერაა დაფაზე შავ დარბაზში. არ იფიქროთ, რომ მე მას ცუდ ნიშნად მივიჩნევ, უბრალოდ ვამჩნევ. ის უეცარ, გარდამავალ მომენტებში მოძრაობს არაცნობიერიდან ცნობიერისკენ, შემდეგ ისევ ჩაყვინთავს დელფინივით, რომელიც ჩნდება და ქრება ოკეანის მოძრაობაში. მის დანახვაზე არც რაიმე დასკვნებს ვაკეთებ, არც ვთრთი და ვცახცახებ, არც ვნაღვლიანდები და არც ვიძაბები. უბრალოდ ჩემს მეექვსე გრძნობად ვთვლი, სახედ, რომელსაც ვიცნობ, ჩემი ცხოვრების ნაწილია და თან არც არის. ყოველთვის არსებობს, როგორც დელფინები, რომლებიც ვიცით, წყალში არიან, თუმცა, ვერ ვხედავთ მათ. ნუთუ ივნისის დამარცხება ჩემი განსაკუთრებული ფსიქოლოგიური პრობლემა გახდა? თუ ჩემი თაობის? იქნებ თანამედროვე არაბებისაც? რამდენი რამ მოხდა მას შემდეგ? რამდენი იმედგაცრუება და არანაკლებ საშინელი უკანსვლა გადავიტანეთ — ომი, სისხლისღვრა, პოლიტიკური თუ ინტელექტუალური მსჯელობა განგაშის ზარით, მაგრამ „67“ რჩება განსაკუთრებულად და განსხვავებულად. დღემდე ვიხდით მის ქვითარს. აღარაფერი მომხდარა თანამედროვე ისტორიაში, '67-თან რომ არ იყოს დაკავშირებული.

ერთხელ კაიროში შინ, მუჰანდისინში ვბრუნდებოდი. გზად ჩემი საუკეთესო მეგობარი იაჰია ატ-ტაჰირ 'აბდ ალ-ლაჰი შემომხვდა. 1973 წლის ოქტომბრის ომის მეოთხე თუ მეხუთე დღე იყო. გვერდით მომყვებოდა ძალიან მხიარული და ბედნიერი. მე კი შეწუხებული და დანალვლიანებული ვიყავი. უეცრად შუა ქუჩაში გამაჩერა და მითხრა:

— რატომ გამოიყურები ასე საზიზღრად, ყვავივით?

— დიახ, ყვავი ვარ, რადგან შემიძლია დავინახო, როგორ დაგვჩხავის ყველაფერი გარშემო. ეს ომი, იაჰია, კარგად არ დამთავრდება.

სამშაბათს, 16 ოქტომბერს, ომის დაწყებიდან მხოლოდ ათი დღის შემდეგ, ლატიფა აზ-ზიათის სახლში ტელევიზორთან ვიჯექი და პრეზიდენტ სადათის გამოსვლას ვუსმენდი ეგვიპტის პარლამენტში. სამხედრო სამოსში გამოწყობილი სადათი გვაცნობდა პროგრამას, რასაც ის „ისრაელთან მშვიდობის დამყარების პროექტს“ ეძახდა. მომდევნო დღეებში მდგომარეობა უფრო გართულდა. შემდეგ ჰენრი კისინჯერი გამოჩნდა არენაზე და ყველაფერი ახლა უკვე ჩვენთვის ცნობილი გზით წარიმართა. ყოველივე ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ისრაელში ვიზიტითა და კემპ დევიდის შეთანხმებით დასრულდა.

ისრაელის დროშა კაიროში ცნობილი მოქანდაკის მაჰმუდ მუხთარის მიერ 1919 წლის რევოლუციის უკვდავსაყოფად შესრულებული „ეგვიპტის აღორძინებიდან“ ზუსტად ას მეტრში აღიმართა. ზედ ნილოსის თავზე, უნივერსიტეტის ხიდთან, კაიროს უნივერსიტეტის გუმბათიდან სამასიოდ მეტრის დაშორებით ფრიალებს იგი. ეს კი ის გუმბათი გახლავთ, რომლისკენაც საკმაოდ დიდი ხნის წინათ, ჩემი სტუდენტობისას, მანქანების პროცესია გამოემართა. იქიდან გადმოვიდნენ ჯავაჰარლალ ნერუ, იოსიფ ბროზ ტიტო, ზჰოუ ენლაი, ქვამე ნქრუმა და ჯამალ 'აბდ ან-ნასერი. ისინი ავიდნენ მარმარილოს კიბეზე და საფესტივალო დარბაზში დასხდნენ. წინ თაბახის ფურცლები ედოთ, დირ ლასანას მთებიდან ჩამოსული ახალგაზრდა ბიჭისთვის დაუვინყარი სიტყვები რომ ეთქვათ — სიტყვები დამოუკიდებლობაზე, წინსვლასა და მშვიდობაზე. სიტყვები, სიტყვები, სიტყვები... ო, დანიის პრინცო!

ვერ ვიტანდი სადათს, ვერც მის ხმას, ვერც მის პოლიტიკას და ვერც გარეგნობას. 1972 წლის ზამთარში კაიროს უნივერსიტეტის გუმბათის ქვეშ მე და რადვა სხვა სტუდენტებთან ერთად ნასერის დარბაზში ვისხედით. ზოგჯერ მთელ დღეს ვატარებდით სხდომებზე კამათსა და საუბარში, სკამზეც კი ჩავგდინებია. მაშინ სრულებით ვერ ვაცნობიერებდი ჩემი იქ ყოფნის მნიშვნელობას. მთავრობა ამ ტიპის ღონისძიებაში მონაწილე ყველა არაეგვიპტელს ჯაშუშად მიიჩნევდა. ყოველთვის მძულდა სიტყვა „ჯაშუში“.



24 იანვრის დილას გამიკვირდა, როცა რადვა, სახლიდან ერთი საათის გასული, უკან მობრუნდა. ჩემზე ადრე წავიდა უნივერსიტეტში, რადგან სტუდენტებისთვის ბუტერბროდები მიჰქონდა. რადვა არ იყო ერთადერთი, ვინც ამას აკეთებდა. მითხრა, რომ უნივერსიტეტის ტერიტორია უშიშროების ჯარებით იყო გარშემორტყმული და შიგ არავის უშვებდნენ. მოგვიანებით გავიგეთ, რომ პოლიციას სხდომებში მონაწილე ყველა სტუდენტი დაუპატიმრებია. გოგონები და ბიჭები პოლიციის ფურგონების ფანჯრებიდან იხედებოდნენ ღამენათევი, ჩანთი-ლებული, დაქანცული თვალებით. იმ მარცხიან, სევდიან დილას ისინი კაიროს ჩაძინებულ ქუჩებს უყურებდნენ და პატარა ფანჯრებიდან ქალაქებს ყრიდნენ. ამ ქალაქებზე სულ ორი სიტყვა ეწერა: „გაიღვიძე ეგვიპტე!“

1967 წლიდან თავდაპირველად განხორციელებული პოზიტიური სვლების მიუხედავად, ბოლო სვლა არაბულ ჭადრაკში წამგებიანი იყო. ალ-ქარამას ბრძოლის მერე, სადაც პალესტინელებმა და იორდანელებმა ერთად შეუტყეს მტერს, ჩვენ საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართული შავი სექტემბრის მომსწრენი გავხდით. 1973 წლის ომისა და სუეცის არხის გადაკვეთის შემდეგ კემპ დევიდისკენ გავემართეთ. შედეგად კი მივიღეთ ის, რაც ნაკლებად სასარგებლო და მეტად სკანდალური იყო. ისრაელის ლიბანში შეჭრას პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის გამირული წინააღმდეგობის პოზიციიდან საკუთარ შიდა ბრძოლებზე გადასვლა მოჰყვა — მტრის მიერ დადგნილ წესებს დამორჩილდა და მოერგო. პალესტინაში აღმოცენებული სახალხო მოძრაობა *ინთიფადა*-დან კი ოსლოსკენ მივმართეთ იმედიანი მზერა. ჩვენ ყოველთვის ვეგუებით მტრის მიერ წამოყენებულ პირობებს. 1967 წლიდან მოყოლებული მხოლოდ ვეგუებით და ვეგუებით. და აი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ მიმდინარე მოლაპარაკებებზე ამშვიდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ მის სისასტიკეს და სიუხემეს საბოლოოდ მიეჩვევიან არაბები, რადგან ყოველთვის ერგოდნენ იმას, რასაც უნდა შეჩვეოდნენ.

მაქვს თუ არა პრობლემა 1967 წელთან დაკავშირებით? დი-  
ახ, მაქვს. იენისის მარცხი ჯერ არ დამთავრებულა. ომის  
დანებებიდან მეორე დღეს უფრო და უფრო ხმამაღალი ეროვნუ-  
ლი სიმღერები და ჰიმნები გაისმოდა რადიოში, უნივერსიტე-  
ტის სტუდენტები კი სპეციალურ ცენტრებში იკრიბებოდნენ,  
მობალისებრად რომ ჩანერილიყვნენ და საბრძოლველად წასუ-  
ლიყვნენ. მეც ჩავეწერე. პატარა მწვანე ბარათი მომცეს ზედ  
ჩემი სახელით და ასეთი წარწერით: „გამოძახებულია 1967  
წლის 12 ივნისს.“

9 ივნისს ჩემს ბინაში, ზამალექში ვიჯექი და ტელევიზორში  
ჯამალ 'აბდ ან-ნასერის გამოსვლას ისე ვუსმენდი, თითქოს იმ  
ღამეს მის ბაგეებზე მთელი ნაცია ეკიდა. ვცდილობდი, გამეგო,  
რა მოხდა, რა ხდებოდა ფრონტზე. გვერდით მეჯდა ბინის პატ-  
რონი, ქერა და საკმაოდ მაღალი ქალი, რომელსაც ქალბატონ  
სოსოსტრისს ვეძახდი. პრეზიდენტმა თქვა:

— ჩვენ უკან დავიხიეთ.

შემდეგ დაამატა, რომ გადადგებოდა თანამდებობიდან და  
მთავრობასაც გადააყენებდა. ადგილიდან წამოვხტი, კარს ვე-  
ცი, ქუჩაში გავვარდი და უამრავ ჩემნაირ ადამიანს შორის  
ამოვყავი თავი, უთავბოლოდ რომ ხტოდნენ ქუჩებისა და მო-  
მავლის სიბნელეში.

თვალის დახამხამებაში მთელი საზოგადოება ქუჩაში გამო-  
ეფინა. მთელი ღამე გარეთ, ერთ-ერთ ხიდზე გავატარეთ. თავა-  
დაც არ ვიცოდით, რას ვაკეთებდით. მეორე დღის საღამომდე  
ვიყავით ასე. და როდესაც დღეები და წლები გავიდა, მივხვ-  
დით, რომ სწორედ იმ დემონსტრაციებში მიგვიღია მონაწილე-  
ობა, რომლებსაც ისტორიკოსებმა მოგვიანებით 9 და 10 ივნის-  
ის გამოსვლები უწოდეს — გამოსვლები 'აბდ ან-ნასერის  
კვლავ ხელისუფლებაში მოსაყვანად.

ამის შემდეგ აღარავის გამოვუძახივარ სამხედრო სამსა-  
ხურში. ექვსდღიანი ომი ნასერის სიტყვით დასრულდა. ხალხის  
მომავალი ბურუსით იყო მოცული და ყოველთვის, როცა  
გვპირდებოდნენ საქმის გარკვევას, ის კიდევ უფრო გაურკვე-  
ველი ხდებოდა. ბუნდოვანებამ იმატა ნასერის გარდაცვალები-

სა და სადათის გაპრეზიდენტების შემდეგ, ოქტომბრის ომისას და კემპ დევიდის შეთანხმებისთანავე, რომელმაც მხოლოდ ის დაადგინა, რომ ოქტომბრის ომი ბოლო იყო. ჩვენი მომავალი ისრაელის ლიბანში შეჭრის შედეგად მეტად გაუგებარი გახდა. ამას მოჰყვა ბანაკებს შორის დაპირისპირება და ოსლო. დღეს ის ისევ გაურკვეველია და იდუმალებით მოცული.

1967 წლის 5 ივნისიდან მოყოლებული სიცოცხლის ეტაპებს დამარცხებების განეწილ ჩრდილებში ვანანილებთ და ეს დამარცხებაც ჯერ არ დამთავრებულა. ის ერთი განსაზღვრული ეტაპია, რომელსაც დღემდე მოვდევთ. დიახ, '67 მუდმივადაა ჩაბეჭდილი ჩემს ცნობიერებაში, რადგანაც მთელი ახალგაზრდობა მასში გავატარე.

ვიცი, არ ვივარგები პროფესიონალ პოლიტიკოსად, რადგან ჩემი რეაქციები სამყაროს მიმართ გრძნობებითა და იმპულსებით არის განპირობებული. ასეთი თვისებები პოლიტიკას არ გამოადგება. არ შემიძლია, დემონსტრაციაში მივიღო მონაწილეობა და ლოზუნგები ვიყვირო. შემიძლია, უბრალოდ, შევუერთდე მსვლელობას, რათა ჩემი პოზიცია გამოვხატო. ჩემს მეხსიერებას შემორჩენილი სახალხო გამოსვლები კომიკურია და სასაცილო. როცა უამრავი ხალხი მწყობრად მოაბიჯებს და მონოდებებს რიტმულად წამოისვრის, აიზენშტაინის ფილმი მახსენდება, სადაც თვითდაჯერებულ მომღერალთა ჯგუფი არათანაბარი თეთრი კბილებით სავსე გიგანტურ, გაღებულ პირად გარდაიქმნება. რაც შეეხება მუშტებით ჰაერის რტყმასა და ხელების ქნევას მასობრივი გამოსვლების დროს, ზოგჯერ აბნეულობისა და შიშის მიუხედავად, მეცინებოდა და ჩემი ხარხარი გარშემო მყოფთათვის უადგილო და მიუღებელი იყო.

აბუ თავფიკი მედიის კუთვნილ ჯიპში ჯდებოდა ხოლმე და ბეირუთში, ფაქიჰანის ქუჩებში დადიოდა. თან განუწყვეტილ იმეორებდა: „ო, ჩვენო მშვენიერო მსხვერპლო!“ შემდეგ ახალგარდაცვლილის დადებით თვისებებს იხსენებდა. თავდაპირველად ეს ყოველივე ნორმალურად ჩანდა, მაგრამ მსხვერპლთა მატებასთან, გაუთავებელ გასვენებებთან ერთად მისი საყვარელი ფრაზა „ო, ჩვენო მშვენიერო მსხვერპლო!“ უკვე ფამილარ-

რული გახდა. ნაღვლიან დღევანდელობაში მან უცნაური კომიკურობა შეიძინა.

სიკვდილისა და გასვენებების კომედია... გაგრძელებული ბრძოლა, ხალხს ცხოვრების ათეულობით წლები რომ წაართვა და დატოვა სიმამაცისა და გამძლეობის ჩრდილები, მაგრამ ამავე დროს შესაძლო ხვედრის მასხრად აგდებისა და ნიჰილიზმის ჩრდილებიც, რომელიც უფრო და უფრო მუქდება არაერთხელ განმეორებული უკანსვლით, რაც წინსვლის მცდელობას მოსდევს. ირონია ჩვენთვის ფსიქოლოგიურ იარაღად იქცა. ის ცხოვრებისა და ბრძოლის გაგრძელებაში გვეხმარება.

აბუ თავფიკი ისევე შეეჩვია დაკარგვას, როგორც მსხვერპლნი — მსხვერპლშენიღვის განმეორებას. ჩვენ კი მივეჩვით გასვენებებში სიარულს და მოწოდებებითა და ხმაურით გარდაცვლილების გაცილებას მეტაფორული მიზნისკენ — პალესტინისკენ და ფაქტიური მიზნისკენ — სამარისაკენ. ფაქიჰანის კედლები მათი სახეებით დამშვენებული პლაკატებით იყო სავსე. დროთა განმავლობაში ახალ მსხვერპლთა სახეები ფარავდნენ ძველებს. გასვენებები პალესტინელთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი — გადასახლებაზე თუ სამშობლოში, სინყნარეში ცხოვრებისას თუ ირთიფადას მღელვარების დროს, ომებში თუ მშვიდობის ჟამს, დროდადრო სისხლიანი დარბევები რომ გამოერეოდა ხოლმე.

ამგვარად, როცა იცხაკ რაბინი მჭევრმეტყველურად საუბობდა ისრაელის, როგორც აბსოლუტური მსხვერპლის, ტრაგედიაზე, და როგორც თეთრი სახლის ბაღში თავმოყრილი, ისე მთელი მსოფლიოს მსმენელთა თვალები ცრემლით ივსებოდა, ვიცოდი, დიდხანს არ დამავიწყდებოდა სიტყვები, რომელიც მან მაშინ თქვა:

— ჩვენ ომისა და ძალადობის მსხვერპლნი ვართ. არ გვახსოვს არც ერთი წელი და არც ერთი თვე, ჩვენს მშობლებს რომ არ ეგლოვოთ შვილები.

ვიგრძენი ცახცახი, რომელსაც მაშინ განვიცდი, როცა წარუმატებელი ვარ და არაფრის გაკეთება შემიძლია. რაბინმა ყველაფერი წაგვართვა, ჩვენი სიკვდილის ისტორიაც კი.

ამ ლიდერმა ყოველთვის იცოდა, როგორ მოეთხოვა მთელი მსოფლიოსგან, პატივი ეცათ ებრაული სისხლისთვის, ისრაელის თითოეული მოქალაქისთვის გამონაკლისის გარეშე. იცოდა, როგორ მოეთხოვა მსოფლიოსგან, პატივი ეცათ ისრაელის ცრემლებსათვის და იცოდა, როგორ წარმოეჩინა ისრაელი, როგორც ჩვენ მიერ ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლი. ის ამახინჯებდა ფაქტებს, ცვლიდა მათ თანმიმდევრობას, ყოველთვის ძალადობის ინიციატორებად გამოვყავდით და ყველაფერ ამას იშვიათი მჭევრმეტყველებით, გარკვევით და დამაჯერებლად ამბობდა. თითოეული სიტყვა მახსოვს რაბინის იმდღევანდელი გამოსვლიდან:

— ჩვენ — ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს — სისხლის ლაქები გვამჩნევია. ჩვენ ვნახეთ თვალწინ მოკლული ძმები და მეგობრები. მათ დასაფლავებაზე ვიზრუნეთ ისე, რომ თვალეზი ვერ შევხედეთ შვილდაკარგულ დედებს. დღეს სამუდამო სიყვარულით გვახსოვს თითოეული მათგანი.

იოლია სიმართლე მარტივი ლინგვისტური ფანდით დაალაქავო. ამისათვის შენი ამბავი უნდა დაიწყო სიტყვებით „მეორე მხრივ“. დიახ, სწორედ ასე მოიქცა რაბინი. ფაქტობრივად, უარი თქვა, იმაზე ესაუბრა, რაც პირველად მოხდა. დაიწყო შენი ამბის მოყოლა სიტყვებით „მეორე მხრივ“ და მთელი სამყარო უკუღმა გადატრიალდება. დაიწყო შენი ამბის მოყოლა სიტყვებით „მეორე მხრივ“ და წითელი ინდიელების ისრები ნამდვილი კრიმინალი, ხოლო თეთრი ამერიკელების თოფები მთლიანად მსხვერპლი იქნება. საკმარისია, დაიწყო სიტყვებით „მეორე მხრივ“ და შავკანიანის ბრაზი თეთრკანიანის მიმართ ბარბაროსობად წარმოჩინდება. დაიწყო სიტყვებით „მეორე მხრივ“ და განდი ბრიტანეთის ყველა ტრაგედიაზე პასუხისმგებელი გახდება. შენ მხოლოდ დაიწყო სიტყვებით „მეორე მხრივ“ და დამწვარი ვიეტნამელი ნაპალმის ჰუმანურობას შეურაცხყოფს, ვიქტორ ჯარას სიმღერები იქნება სასირცხვილო რამ და არა პინოჩეტის ტყვიები, სანტიაგოს სტადიონზე უამრავი ათასი რომ ამოწყვიტა. საკმარისია, დაიწყო სიტყვებით „მეორე მხრივ“ და ბებიჩემი უმ ‘ატა დამნაშავედ, ხოლო არიელ შარონი მსხვერპლად წარმოჩინდება.

რა უნდა ელონა აბუ თავფიკის ჯიპს ამ აბსურდულ ვითარებაში? ისრაელმა ჩვენი სახლები როგორც მსხვერპლმა, ისე დაიპყრო, ხოლო მსოფლიოს წინაშე მკვლელებად წარგვადგინა. ისრაელმა მსოფლიო ჩვენ მიმართ გამოჩენილი დიდსულოვნებით მოაჯადოვა. რაბინმა თქვა:

— ჩემთვის, როგორც ისრაელის არმიის მეგრძოლისთვის და მის ომებში მონაწილისთვის, პრინციპების დეკლარაციის ხელმონერა ადვილი არ არის. ეს არც ისრაელის ხალხისთვის და არც დიასპორაში მცხოვრები ებრალებისთვის იქნება ადვილი.

პალესტინის ბორცვებზე გაშენებული დასახლებები ელეგანტურად აცხადებენ თავიანთ მზადყოფნას, გაგებით მოეკიდონ ჩვენს უცნაურ ლტოლვას ბანაკებში ცხოვრებისაკენ, ბანაკებში, რომლებიც ღმერთებისა და ბუზების დიასპორაში მიმოფანტულა. თითქოს ჩვენ ვეხვეწეთ მათ, სახლებიდან გამოვეყარეთ და თავიანთი ბუღდოზერებით ის სახლები ჩვენ თვალწინ დაენგრიათ. მათმა დიდსულოვანმა ცეცხლსასროლმა იარაღმა დირ იასინში მოგვიტევა ის, რომ ჩვენი ცხედრები გროვებად დაახვავეს ერთი მშვენიერი დღის მიწურულს. მათი სამხედროების რეაქტიული რაკეტები პატიობენ ჩვენს მსხვერპლს ბეირუთში. მათი ჯარისკაცები კი მიუტევენ ჩვენს მოზარდებს იმას, თანდათან ძვლები რომ ემსხვრევათ. ისრაელი არის მსხვერპლი, რომელიც თავის ცხელ-ცხელ, წითელ დანას პატიების ბრწყინვალეობით აპრიალებს.

\* \* \*

საყოველთაო ზეიმში აღარავის გახსენებია აბუ თავფიკის მშვენიერი თავგანწირვა, არც ჩვენ — მისი სახელით მოლაპარაკეთ...



## ყოველდღიური განკითხვის დღე

ბალიში ჩვენი ცხოვრების ჩამწერია, ჩვენი ამბის პირველი ესკიზია, რომელსაც ყოველ ღამე ახლიდან მელნის გარეშე ვწერთ და უხმოდ ვყვებით. ის ჩვენს სიბნელეში მომკილი, განოციერებული და მორწყული ხსოვნის მინდორია.

ყოველ ადამიანს აქვს თავისი სიბნელე.

ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მხოლოდ თავისი სიბნელე ჰქონდეს.

ეს აბდაუბდა ნაჯღაბნი მოუწესრიგებლად, სპონტანურად მოდის თავში. ბალიში კი თეთრი, ბამბის უმალლესი სასამართლოა, სასიამოვნო შესახები, განაჩენის დაუნდობელი გამომტანი. როცა სიხარულითა და კმაყოფილებით, დანაკარგითა და სირცხვილით სავსე თავს მიიღებს, ბალიში ჩვენი სინდისი ხდება. ის ყოველდღიური განკითხვის დღეა, თითოეული ცოცხალი ადამიანის პერსონალური, ნაადრევი განკითხვის დღე, რომელიც არ ელოდება, როდის შევალთ სამუდამო სასუფეველში.

პატარ-პატარა ცოდვები, რომელზეც კანონი არ გვთხოვს პასუხს, მხოლოდ ღამის სიბნელეში ბალიშში ღრმად ჩარგული თავის გარშემო გაკეთებული ნაოჭებისთვისაა ცნობილი. ბალიშმა ყველაფერი იცის, არ მალავს საიდუმლოებებს და არც ფიქრობს მასზე ძილმოგვრილი ადამიანის დაცვას.

მხოლოდ აქ აღდგება ფამილარობისაგან და აჩქარებული ყოფის რიტმისგან ამღვრეული თვალისათვის შეუმჩნეველი ჩვენი სილამაზე, ყოველდღიურად უხეშად ფეხქვეშ გათელილი ჩვენი ღირსება. აქ აღვადგენთ მათ ყოველ ღამე იმისთვის, რომ შევძლოთ, განვაგრძოთ თამაში — გავაგრძელოთ ცხოვრება.

ბალიში არაფერს ამბობს. მიკროფონი შეიძლება იტყუებოდეს. შეიძლება იტყუებოდეს წერილების, მოხსენებების, კათედრების, ფიგურების, ლიდერების, ექიმების, დედის, სიყვარულის მგრძობიარე სიტყვები. ბალიში სიმართლისგანაა მოქსოვილი. სიმართლე კი იმ საიდუმლოებასავითაა, დღის გათვლებსა და აზრებს რომ მიუჩქმალავთ და მიუმალავთ.

დამარცხებულმა შესაძლოა გამარჯვებაზე დადოს თავი და თვითონაც დაიჯეროს ამის. ბალიში ეტყვის მას სიმართლეს, ძალიანაც რომ არ უნდოდეს ეს. „მე არ გამიმარჯვია“ — პირსაც არ გააღებს, ისე გამოუტყდება საკუთარ თავს. და თუ ის ვერ გაბედავს, ბალიში გაბედავს ამის თქმას — „შენ არ გაგიმარჯვია“. შესაძლოა, ხალხში ის კვლავ გამოჩნდეს, როგორც გამარჯვებული, შეიძლება მხარიც კი დაუჭირონ, მაგრამ მისი მხარდამჭერებიც იგრძობენ იმ ცივ ჟრუანტელს, როცა ღამე მარტონი დარჩებიან თავიანთ გათვლილ პოზიციებთან და ძალისძალად შეკონინებულ მხარდაჭერასთან ერთად.

ამქვეყნიურ სიმდიდრეს, თვითდამკვიდრებას, სიამაყის გრძობას, ერთი ამბის მეორეზე იოლად მიღების უნარს — ყველა ამ დღით განმტკიცებულ თვითდაჯერებულობას, ხალხმრავლობის ბულში, კონფლიქტებისა და შეჯიბრის ციებ-ცხელებაში გამობრძმედილ ურყეობას ბალიში ვარაუდად აქცევს. ის ცუდი წინათგრძობებითაა სავსე და მოითხოვს უმონყალოდ გამოცდას.

\* \* \*

ზურგზე ვწევარ საწოლში, თავქვეშ ხელებამოდებული და თავადაც ვერ ვხვდები, რამ მიმაშტერა ჭერს გახელილი თვალებით. ჭერიც აღარ ჩანს, ისეთი უკუნეთია გარშემო, მაგრამ ძილი არ მეკარება. ეტყობა, ის სხვებისთვისაა შექმნილი. ჩემი ბოლო ღამეა რამალაში, ბოლო ღამე ამ პატარა ოთახში, რომლის ფანჯარაც უთვალავ შეკითხვას გაჰყურებს, კიდეც... დასახლებასაც გაჰყურებს. თითქოს იმ ერთი ციციქნა ხის ხიდის გადმოჭრით ჩემი დღეების პირისპირ დადგომა მოვახერხე. უმიზეზოდ შევეხე განსაკუთრებულ დეტალებსა და ასევე უმი-



ზეზოდ უკუვაგდე ზოგიერთი სხვა. მთელი ცხოვრება გულში ვლულულულებდი რალაცას მაშინ, როცა სხვებს ეგონათ, რომ ვდუმდი.

აკრძალული ხიდი გადმოვკვეთე და უეცრად მოვიხარე ჩემი გაფანტული ფრაგმენტების ასაკრეფად ისე, ზამთრის გაყინულ დღეს რომ მოიკრებ პალტოს კალთებს ან როგორც შორიდან დაბრუნებული მოსწავლე ააგროვებს მინდვრიდან მოქროლილი ქარისგან გაფანტულ ფურცლებს. ბალიშზე მოვუყარე თავი დღეებსა და ღამეებს სიცილისა და ცრემლების, გაბრაზებისა და სისულელის, საფლავებზე წამომართული მარმარილოს ქანდაკებების, რომელთა მონახულებას, დუმილითა და პატივის მიგებით, ერთი ცხოვრება არ ჰყოფნის.

\* \* \*

ჩემს პატარა ჩანთას ვალაგებ. ვემზადები ხიდზე დასაბრუნებლად, იქიდან ამანში წავალ, ამანიდან — კაიროში, კაიროდან კი — მაროკოში, სადაც რაბატის ფესტივალზე უნდა გამოვიდე ჩემი ლექსებით. ალბათ, ერთი კვირაც არ გავჩერდები რაბატში, დავბრუნდები კაიროში. შემდეგ კი მე, რადვა და თამიმი ერთად გავემგზავრებით ამანში — ზაფხულს დედაჩემთან და 'ალაასთან გავატარებთ. ამანში დაველოდები, როდის მისცემენ თამიმს რამალაში შესვლის ნებართვას. აქ მასთან ერთად დავბრუნდები. თამიმი ნახავს აქაურობას, მე მნახავს ამ გარემოში და ყველა შეკითხვას ერთად დავსვამთ.

\* \* \*

ამდამ, როცა ყველას ძინავს და სადაცაა ინათებს კიდეც, ვსვამ კითხვას, რომელზეც დღეებმა აქამდე ვერ მომიტანეს პასუხი:

**რა აფერმკრთალებს სულს და რა უხუნებს ფერებს?  
მტრების ტყვიების გარდა რა აზიანებს სხეულს?**

## ბანმარტუხანი

**აბუ ჰაიან ათ-თავჭიდი** — XI ს-ის ფილოსოფოსი, მისტიკოსი მწერალი.

**ალ-აზჰარი** – კაიროს უძველესი მეჩეთი და რელიგიური სასწავლებელი.

**ბაკშიში** — ქრთამი.

**დაბქა** — ტრადიციული პალესტინური ცეკვა, ცეკვავენ მამაკაცები მწკრივში ან წრეში ურთიერთგადაჯაჭვული მკლავებით.

**ემილ ჰაბიბი (1921-1996)** — პალესტინელი მწერალი.

**ვიქტორ ჯარა (1932-1973)** – ჩილელი მასწავლებელი, პოეტი, მომღერალი.

**ზელოტები** — რადიკალური საზოგადოებრივ-რელიგიური სექტა ანტირომაული წინააღმდეგობის დროს (I საუკუნე) ფარისევლებისა და ესეელების გვერდით.

**ზოოუ ენლაი (1898-1972)** - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი პრემიერი.

**თაჯამმუ‘ი** — გაერთიანება.

**იაჰია ტაჰირ აბდ ალ-ლაჰი (1938-1981)** –სამოციანი წლების ახალგაზრდებს შორის გამორჩეული ეგვიპტელი მწერალი.

**‘იდ ალ-ფიტრი** — ხსნილის დღესასწაული რამადანის ერთვიანი მარხვის შემდეგ.

**‘იდ ალ-ადჰა** — მსხვერპლშენირვის ისლამური დღესასწაული.

**ინთიფადა** — პალესტინელთა განმათავისუფლებელი მოძრაობა ოკუპანტების წინააღმდეგ.

**იულიუს ლესტერი (1939-)** – ამერიკელი მწერალი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა აფრო-ამერიკული და ებრაულ-ამერიკული წრეების დაახლოებაში.

**იუსუფ იდრისი (1927-1991)** — ცნობილი ეგვიპტელი ნოველისტი.

**კატაფი** — პატარა, ტკბილი დახვეული ბლინები ნიგვზიანი ან კრემიანი შიგთავსით.

**კაფე „რიში“** – ცნობილი ისტორიული ლიტერატურული კაფე კაიროში, რომელიც დაარსდა 1908 წელს და სადაც იკრიბებოდნენ კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები. დღესაც ფუნქციონირებს.

**კემპ დევიდის შეთანხმება** – 1978 წელს ისრაელსა და ეგვიპტეს შორის გამართული მოლაპარაკების შედეგი, რომლის თანახმად, ცეცხლი უნდა შეწყვეტილიყო. ისრაელს სინას ნახევარკუნძულიდან უნდა გაეყვანა ჯარები, ებრაულ გემებს კი თავისუფლად შეეძლოთ სუეცის არხით სარგებლობა. ამ შეთანხმებას აშშ პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმაც მოაწერა ხელი.

**ლამ შამლ** — თანამედროვე ტექნიკური ტერმინი „ხელახლა გაერთიანება“ (არაბ.), რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტული პალესტინური ოჯახის წევრების ხელახლა გაერთიანების მნიშვნელობით. ამ ტერმინის პარალელურად იხმარება **კიბუც ჰაგალუით** — „გადასახლებულთა შეკრება“ (ებრ.) — ისრაელის ახალი სახელმწიფოს მესიანისტური იდეის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი.

**ლატიფა აზ-ზიათი (1923-1996)** — ეგვიპტელი რომანისტი, უნივერსიტეტის პროფესორი.

**ლიქუდი** — ისრაელის ლეიბორისტური პარტიის სახელი.

**მაჰმუდ დარვიში (1941-2008)** — ცნობილი პალესტინელი პოეტი.

**მუჟდინი** – პირი, რომელიც განსაზღვრულ დროს მუღსიმებს ლოცვისკენ მოუწოდებს.

**მუსტაფა ლუფტი ალ-მანფალუტი (1876-1924)** – ეგვიპტელი (დედით თურქი) პოეტი და მწერალი, თარგმნიდა ფრანგულიდან.

**მუფთი** — შარიათის კანონების მცოდნე პირი, რომელსაც სადავო საკითხებთან დაკავშირებით განაჩენი გამოაქვს სპეციალური ფორმით – ფეთვის სახით.

**ნაზიმ ჰიქმეთი (1902-1963)** – თურქი (ნახევრად პოლონელი) პოეტი, რომანისტი და დრამატურგი.

**ნაჯი ალ-ალი (1938-1987)** – პალესტინელი მხატვარი, 40 000 - ზე მეტი კარიკატურის ავტორი. აკრიტიკებდა არაბულ რეჟიმებს, ისრაელის პოლიტიკას.

**პაბლო ნერუდა (1904-1973)** – ჩილელი პოეტი და პოლიტიკოსი, ნობელიანტი.

**‘უდი** — აღმოსავლური სიმებიანი ინსტრუმენტი.

**სტოკლი კარმაიკლი (1941-1998)** – შავკანიანთა სამოქალაქო უფლებების თავგამოდებული დამცველი, პან-აფრიკული მოძრაობის წევრი.

**ფადვა ტუკანი (1917-2003)** - ცნობილი პალესტინელი პოეტი.

**ფათჰი** — პალესტინის ნაციონალური პოლიტიკური პარტია.

**ფათიჰა** — ყურანის პირველი სურა.

**ფაირუზი (1935- )** — ცნობილი ლიბანელი მომღერალი ქალი.

**ფრანც ფანონი (1925-1961)** – აფრიკულ-ფრანგული წარმოშობის ფსიქიატრი, ფილოსოფოსი. იბრძოდა კოლონიალური რასიზმის წინააღმდეგ.

**ალ-ქარმალი** – პალესტინაში გამომავალი არაბულენოვანი ლიტერატურული ჟურნალი, რომლის რედაქტორი წლების განმავლობაში პოეტი მაჰმუდ დარვიში იყო.

**ქითაზ ალ-ალანი** — ალ-ისფაჰანის მიერ X ს-ში შედგენილი კრებული, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის ნიმუშები.

**ქუნაფა** — ნუშისგან და ნიგვზისგან დამზადებული ტკბილი კერძი.

**ქუნჯუთი** – ბალახოვანი მცენარე, რომლის თესლისგანაც იღებენ ზეთს.

**ქუფია** — ზოგიერთი არაბული ქვეყნის, მათ შორის პალესტინის, ტრადიციული თავსაბურავი მამაკაცებისთვის.

**ლასან ალ-ქანაფანი (1936-1972)** — პალესტინელი მწერალი, რომელიც ებრაელებმა მანქანაში ჩადებული ყუმბარით მოკლეს.


**შავერმა** — შემწვარი ცხვრის ხორცი.

**ჩინუა აჩეხი (1930-)** – ნიგერიელი რომანისტი, პოეტი და კრიტიკოსი, ნიუ იორკის ერთ-ერთი კოლეჯის პროფესორი.

**ჯავაჰარლალ ნერუ (1889-1964)** – ინდოეთის დამოუკიდებლობის მოძრაობის ლიდერი, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი 1947-1964 წწ-ში.

**ჰამასი** — ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა.

---



---

## მთარგმნელისაგან

მურიდ ალ-ბარლუთის პირველად 2006 წელს ბეირუთში, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმზე შევხვდი. მაშინ არც მის პოეზიას ვიცნობდი და არც „მე ვნახე რამალა“ მქონდა ნაკითხული. მეტად თავმდაბალი, მოკრძალებული, შინაგანი კულტურის მქონე ადამიანის შთაბეჭდილება დამიტოვა. მოგვიანებით, როცა მის მემუარებს გავეცანი, მივხვდი რომ ამ ნიგნშიც ყველაზე მეტად მწერლის ზომიერებამ მომხიბლა, რაც არის კიდევაც ალბათ, პირველ რიგში, კულტურა. გადავწყვიტე, ქართველი მკითხველისათვის გამეზიარებინა ერთი პოეტის ამბავი, რომლის მსგავსი შესაძლოა ათასობით და ასი ათასობით პალესტინელს შეემთხვა. ჩვენს ქვეყანაშიც ბევრი სახლდაკარგული და ადგილწართმეული ცხოვრობს. უამრავი იძულებით გადაადგილებული ქართველი ან საზღვარგარეთაა, ან საქართველოს ტერიტორიაზე ელის საკუთარ სახლში დაბრუნებას. ალ-ბარლუთის შინ დაბრუნების ეს უჩვეულო მოგზაურობა მათ ბედზეც დააფიქრებს ქართველ მკითხველს. პოლიტიკურ ჭრილში პალესტინის კონფლიქტი ჩვენი კონფლიქტების ანალოგად ვერ გამოდგება, მაგრამ საკუთარი ადგილიდან ამოძირკვა მსოფლიოს ნებისმიერ ადამიანს მსგავს ვითარებაში აყენებს. ამ თვალსაზრისით ალ-ბარლუთის გამოცდილება მართლაც უნივერსალურია.

წინასიტყვის ავტორი ედვარდ საიდი (1935-2003) პალესტინელი წარმომავლობის კოლუმბიის უნივერსიტეტში მოღვაწე ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამედროვე არაბი მეცნიერი გახლდათ. მისი თხზულებები („ორიენტალიზმი“ (1978), „კულტურა და იმპერიალიზმი“ (1993) და სხვ.) დიდი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც არაბულ, ისე დასავლურ სამეცნიერო წრე-

ებში. საიდმა, რომელსაც თავადაც აქვს დაწერილი მსგავსი მემუარები სახელწოდებით „უადგილო“ (1999), „მე ვნახე რამალა“ შეაფასა, როგორც „ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი რეალისტური მონათხრობი პალესტინურ გადასახლებაზე აქამდე დაწერილ ნაწარმოებთა შორის“.

ქართული გამოცემის წინათქმა სტიუარტ რეიგელუთს ეკუთვნის. ბელგიელ-ამერიკელ მწერალს, რომელიც ახლო აღმოსავლეთის სპეციალისტია, საგანგებო კვლევა აქვს დაწერილი ემიგრაციაში მცხოვრები პალესტინელი პოეტების მაჰმუდ დარვიშისა და მურიდ ალ-ბარლუთის შემოქმედებაზე („გამეორების ხელოვნება“, 2006). მას რამდენჯერმე ჰქონდა შესაძლებლობა, ინტერვიუ აეღო „მე ვნახე რამალას“ ავტორისგან. სწორედ ამიტომ სიამოვნებით დავთანხმდი სტიუარტს, როცა ქართული გამოცემისთვის წინათქმის დაწერა შემომთავაზა.

ჩვენი საზოგადოებისთვის პალესტინის პრობლემა ძირითადად ახალი ამბების კოლაჟიდან, მედიის ენით მოწოდებული ინფორმაციით არის ცნობილი. წიგნის ნაკითხვის შემდეგ მკითხველი კიდევ ერთხელ დარწმუნდება იმაში, რომ ერთია ყოველდღიურ და ახლა უკვე ლამის ყოველნახევარსაათიან საინფორმაციო გამოშვებებში მშრალი ფრაზებით ასახული და გადმოცემული ფაქტები და სულ სხვა ადამიანური ემოციებით დახუნძლული ყოფითი რეალობა. ამ თარგმანის დაბადების ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ეს გახლდათ.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „მე ვნახე რამალა“ ქართულ (რიგით მეცამეტე) ენაზე ითარგმნა და პირველად გამოიცა. ამ ხნის განმავლობაში არაერთმა ადამიანმა გაგვიზიარა აზრი წიგნის შესახებ. ყველას მადლობას მოვახსენებ. თარგმანის მეორე გამოცემას ვურთავთ რედაქტორის – მწერალ როსტომ ჩხეიძის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების - ნინო ვახანიასა და ნანა კუციას რეცენზიებს, ასევე თსუ ასოცირებული პროფესორის, ებრალისტ მამუკა ბუცხრიკიძის გამოხმაურებას.

# ფ ა ნ ა რ თ ი

## ყოფითობის ჯადოსნური მაღლი

მურიდ აღ-ბარლუთი მაინც პოეტი რომ არის.

სხვა შემთხვევაში მისი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „მე ვნახე რამალა“ არ დამთავრდებოდა ბალიშის აპოლოგიით. შესაძლოა გაელვებუდიყო ეს სურათი – სასთუმალში თავჩარგული კაცის, სხვა თავშესაფარი რომ არც მოეპოვება – მაგრამ ასეთი გზნებითაც არ წარმოსახუდიყო, ცრემლით დაღტობილობის, გულმდულარების შეგრძნებას რომ გაუჩენდა მკითხველს.

– ბალიში ჩვენი ცხოვრების ჩამწერია, ჩვენი ამბის პირველი ესკიზია, რომელსაც ყოველდამე ახლიდან და უმელნოდ ვწერთ და უხმოდ ვყვებით. ის ჩვენს სიბნელეში მომკილი, განოყიერებული და მორწყული ხსოვნის მინდორია.

და ეს პასაჟი ამ აკორდით უნდა დაგვირგვინდეს:

– ყოველ ადამიანს აქვს თავისი სიბნელე.

მურიდ აღ-ბარლუთი მაინც ლტოლვილი რომ არის.

სხვა შემთხვევაში ამ ფრაზას – თითქოსდა ლექსის სტრიქონს – არავითარი განმარტება-დაზუსტება არ დასჭირდებოდა, პირიქით, მისი „ბურუსიანობა“ ემჯობინებოდა, ამჯერად კი ეს ფიქრიც ენაცვლება:

– ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მხოლოდ თავისი სიბნელე ჰქონდეს.

დალხინებული კაცი არასოდეს ლაპარაკობს უფლებებზე, მითუმეტეს, თუ ღრმად ინტიმურ სამყაროზე ჩამოვარდება სიტყვა.

როგორ – სიბნელის ხელმეუხებლობასაც უნდა ითხოვდეს? ეს ხომ ისედაც მისია, მისი საკუთრება, მისი შეუვალი უფლება, რომელშიც ვერავინ უნდა ჩაერიოს.

მაგრამ თუკი შენს მიწა-წყალსაც გამოგაცლიან ხელიდან და გზას მოგიჭრიან იქ საცხოვრებლად, თუკი პალესტინაში დაბრუნებას ოცნებად გადაგიქცევენ, უკვე ძალიან შიშობ, ის ნავსაყუდელიც ასევე უღმობლად არ დაგინგრიონ, შეჭირვებულ სულს სადაც იოხებ – შენი ბალიში, შენი სიბნელე... და ითხოვ, გულამოსკენილი ითხოვ ამ უფლების დაცვას, შენს იღუმალ სამყაროში ჩაკეტვა რომ ჰქვია; დროდადრო კი ამ შემორკალულ სივრცეში გაისმის მწუხარე, გულისგამყინავი ხმა, რომელიც გატყობინებს, თუ როგორ ტოვებენ წუთისოფელსაც შენი თვისტომნი, იმავე მიწა-წყლიდან აყრილნი და დედამიწის ზურგზე მიმოფანტულნი.

ეს ხმა ტრაგიკული განწყობილებით მსჭვალავს შენს პოეზიას, იქნებ ასე პირდაპირ არც მოისმოდეს, მაგრამ განმსჭვალავა სწორედ ისაა, იღუმალი ნოტი ამ შეგრძნებას რომ უტოვებს მკითხველს.

მურიდ ალ-ბარლუთი მაინც ჰუმანისტი რომ არის.

ოცდაათი წელი ფეხიც აღარ დაუდგამს პალესტინის მიწაზე, მშობლიურ ქალაქ რამალაში, მშობლიურ სოფელ დირ ლასანაში, და ამ ოცდაათი წლის შემდეგაც მეტად ხანმოკლეა მისი სტუმრობა, ერთს თუ მიმოავლებს თვალს და... კვლავ განდევნილებას უნდა დაუბრუნდეს, რათა ისევ საკუთარ წვენიში იხარშოს და გულისფანცქალით ელოდოს, კიდევ როდის დართავენ ნებას, გადაკვეთოს მრისხანედ წამომართული საზღვარი...

ასეთი გამწარებული ყოფისათვის დამუნათებით კი ამუნათებს პოლიტიკოსებს და პროტესტსაც უცხადებს ისრაელის ხელისუფლებას: ისე წარმოსახავენ რეალობას, თითქოს თვითონ მსხვერპლნი იყვნენ, ჩვენ კი მოძალადენი, და ღმერთებისა და ბუზების დიასპორაში რომ მიმოვფანტულვართ, თითქოს ჩვენი ნებითა და სურვილით მომხდარიყოს, ვითომდა ჩვენ ვეხვეწეთ მათ, სახლებიდან გამოვეყარეთ, ეს სახლები კი ჩვენივე თვალწინ დაენგრიათ ბულდოზერებითო, – მაგრამ ამ მემუარული თხზულების იდეური საძირკველი და მიზანდასახულება ადამიანისადმი თანაგრძნობაა, მისი შებრალება, სიკეთის ჩანერგვა და შემაერთებელი ხიდების ძიება სხვადასხვა ქვეყნებს შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული ის გარდუვალობა, რასაც ჰქვია მოსახლეობის აყრა საკუთარი საცხოვრისიდან და განირვა სამუდამო ემიგრაციისათვის.



მაშინ ის ხიდი – რომლის გადავლის შემდეგაც შეგიძლია შეაბიჯო შენი დაკარგული ქვეყნის საზღვრებში, თუკი სათანადო საბუთი გიპყრია ხელთ – ტრაგიკული სურათის ნივთიერი დადასტურება კი აღარ იქნება, არამედ სწორედ იმ შეერთების, ერთმანეთთან მისასვლელი გზების სიმბოლო.

თორემ ისე მის იმედად ვერ იქნები.

აგერ მწერლის ძმა, ხიდიც რომ გადაიარა, ნებართვის ფურცელიც ჯიბეში ედო, არც არავითარი მიზეზი არ მოეპოვებოდათ მესაზღვრეებს მის უკან გასაბრუნებლად, მაგრამ მაინც რაღაც ჩაელობა და არაფრისდიდებით არ დააკარებინა ფეხი იმ მინაზე, რომელზე დაბიჯებაც ოცნებად გადაქცეოდა. და საზღვრიდანვე გაძევებული მალე რომ გამოესალმებოდა სიცოცხლეს, მის ტრაგიკულ აღსასრულში უთუოდ ამ მწუხარე დღესაც ედო თავისი ნილი.

კიდევ კარგი, მწერალი რომ გადაურჩა ასეთივე ხვედრს, და სიცხეში ოფლის წვეთი რომ ჩამოუცურდება შუბლიდან ჯერ სათვალის ჩარჩოზე, შემდეგ კი მინაზე, ერთბაშად რეალობისა და ირეალობის მიჯნაზე დგება და ყოველივე ამიტომაც ეხვევა ბურუსში და ერთმანეთს ერწყმის – რასაც ხედავს, რასაც ელოდება, რაც ახსოვს... თვალწინ გაუკრთება სცენები, ცხოვრების ის მონაკვეთი რომ მოერთოთ, აქამდე მოღწევის მცდელობაში რაც გაეტარებინა:

– აი, აქ ვარ – მდინარე იორდანეს ვკვეთ, მესმის ხის ჭრიალი ფეხქვეშ. მარცხენა მხარზე პატარა ჩანთა მაქვს გადაკიდებული. თითქოს ჩვეულებრივ მივდივარ – დასავლეთისკენ მივემართები. ჩემ უკან მთელი სამყაროა, ჩემ წინ კი – ჩემი სამყარო.

მურიდ აღ-ბარლუთი მაინც საკუთარი დაბადებისაკენ რომ მიილტვის.

მისთვის პალესტინა უკვე აღარ არის ოქროს რუკა, სამშობლოს იძულებით მოწყვეტილ ქალებს ოქროს ძეწკვზე რომ ეკიდათ, ამას კი ცნობისწადილი ჰკლავდა, ნეტა კანადელ, ნორვეგიელ ან ჩინელ ქალებსაც ასევე თუ უმშვენებთ ყელს საკუთარი ქვეყნის რუკებით?..

საკუთარი დაბადების მიგნება კი იმ კართა კარიბჭეს გულისხმობს, რომლის გასაღები ხელთ რომც არ გეპყრას, მაინც შეაღწევ. ოღონდ მიახლოება შეძლო, ზღურბლამდე მიტანება.

მაგრამ ამისთვის შენი მიწის მტვერი უნდა დაგეყაროს და ნაჩქარევად ჩამოიბერტყო პერანგის საყელოდანაც და ფეხსაცმელებიდანაც, ყოველდღიურ, წარმავალ, მოსაწყენ საქმეებშიც ჩაეფლო, აბუზღუნდე იქაურ სიცხეზეც, იქ დიდხანს ყოფნით გამოწვეულ მონყენილობაზეც, და პალესტინა აღარ განიცდებოდეს ტანისამოსის, ორნამენტის, ხსოვნისა თუ ოქროს ყურანის აღკაზმულობად... და მხოლოდ მაშინ შეიგრძნობ, რა ახლოს ყოფილხარ მასთან.

მარტოდენ დაჟინებულ ფიქრსა და ოცნებაში მობორიალე მშობლიური მხარის კონტურები ვერ შეგაცნობინებს ამ სიახლოვეს.

მტვერს, ბუზღუნს, მონყენილობას აქვს ის განსაკუთრებული ხიბლი და ძალა, რაც ოცნებას გაგარღვევინებს და სამშობლო აღარ გექნება სანატრელი – ვეღარც კი იგრძნობ, როგორ ჩაჰკვრიხარ მის წიაღს და მხოლოდ პოეტურ ხილვებს კი აღარ ასდევ, არამედ ყოფითობის განუმეორებელ სილამაზესა და მაღლსაც არანაკლები სიმძაფრითა და გულისგულამდე განიცდი.

ახლა კი გაჩერებული დროც გზარავს და სასონარკვეთაში გაგდებს, რაკილა მისი აჩქარება არ შეგიძლია და ამ მისწრაფებასაც ოცნებით თუ გააგნებინებ გზას.

მაინც რა არის ოკუპაციის უმთავრესი დანაშაული?

მან ხომ მოსახლეობა აიძულა, ყველაფერი უცვლელად, მოძველებული დაეტოვებინა. მას არ ჩამოუცილებია მკვიდრთათვის გუშინდელი დღის ლუმელები, მაგრამ ჩამოაშორა იმის საიდუმლო, რაც ხვალ უნდა შეექმნათ. ამ წუთებამდე პოეტსაც ისე ენატრებოდა და სურდა დირ ლასანას წარსულთან შეხვედრა, როგორც ბავშვს – ძვირფასი და დაკარგული ნივთების პოვნა. მაგრამ როდესაც ნახა, რომ წარსული ისევ იქ იყო, სოფლის მოედანზე, მზის გულზე გაედგა ფესვი და იჯდა პატრონის მიერ მიტოვებული და მივიწყებული ძალღვივით, მოუნდა ხელი ჩაეწყო მისთვის, წინ გაეგდო თავისი მომავალი დღეებისაკენ, უკეთესი მომავლისკენ, და ეთქვა: გაიქეცი!.. – რაკილა სიცოცხლის, არსებობის აზრი ყოველთვის წინ სწრაფვაში ყოფილა.

მურიდ აღ-ბარღუთი მაინც რომ ინარჩუნებს ხუმრობის, სიხალისის უნარს.

დირ ღასანაში ყველა სახლს თავისი სახელი რომ ჰქვია – გვარის წინაპრიდან მომდინარე, ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა; და პოეტის მოგვარეთაგანაც ვინც ყველაზე მეტად ამაყობდა ტრადიციებით, ირწმუნებოდა, ჩვენი გვარი წარმოიშვა სიტყვებიდან: ალ-ბირრ (ღვთისმოსაობა) და ალ-ლაეთ (დახმარება); ხოლო სტატუსითა და სიმდიდრით თავმომწონენი იმეორებდნენ: ჩვენ დიდ პაპას ერქვა „ღავთ“ და უზარმაზარ ტერიტორიას, რომელიც მას და მის ვაჟებს ეპყრათ, „ბარრ ალ-ღავთი“ (ღავთების მიწა).

პოეტი კი ყველაზე სარწმუნო ეტიმოლოგიად მიიჩნევდა მის წარმომავლობას სიტყვისაგან... „ალ-ბარლუთ“, რაც რწყილს ნიშნავს.

რომანტიკულობის შარავანდი ერთბაშად შემოეძარცვებოდა მის ჩამომავლობას? გვარის წარჩინებულთაც გაანანყენებდა ამ ვერსიის შეთავაზებით? მაინც არაფრით არ დათმობდა თავის მოსაზრებას და დაიმონმებდა ძველი კულტურებისათვის დამახასიათებელ ნიშანს – სახელებისა და გვარების შერჩევას ცხოველების, ფრინველებისა და მწერების სახელწოდებათა მიხედვით.

ამ პასაჟს საგანგებოდ მოიხსენიებს წიგნისათვის დართულ წინასიტყვაობაში ედვარდ საიდი და მიიჩნევს მკვეთრი ირონიის გამოვლენად. ამასთან, დასძენს: თუმც არ მომეპოვება დაზუსტებული ინფორმაცია, ვფიქრობ, ალ-ბარლუთი ერთ-ერთ უდიდეს პალესტინურ გვარს წარმოადგენს, მას ხომ 25 000-ზე მეტი ადამიანი ატარებსო.

და უეცრად ამ წარჩინებული და მრავალრიცხოვანი გვარის მოქცევა ასეთ ირონიულ კონტექსტში, როდესაც სხვა არავინ გადავება, არავინ ცდილობს შენს დამცირებას... და მაშ რა გაიძულებს შენივე ხელით მიაწოდო მოქილიკეებს საქირქილო მასალა?

წინასიტყვაობის ავტორი ცოტა არ იყოს შეცბუნებულია, მაგრამ, ამავე დროს, გრძნობს, თუ რა უცნაურად ანიჭებს ეს უბრალო დეტალი თხრობას მეტ ადამიანურობასა და პიკანტურობას.

თურმე უცნაურიც არაფერი ყოფილა. ეს მწერლის სტილის ნიშანია ზომიერებასთან ერთად.

ის, რაც ამ პასაჟში ასე მკვეთრად იჩენს თავს, შეფარულად კიდევ არაერთხელ ამოჩნდება თხრობისას, და ეს მხოლოდ

მწერლური მანერაც არ არის, რათა სამშობლოში ხანმოკლე და მღელვარებით აღსავსე თავგადასავალი გოდებაში არ ჩაიძიროს, არამედ მურიდ ალ-ბარლუთის პიროვნული ხასიათის ის თვისებაა, რომელიც ასე ესაჭიროება ყოველ ადამიანს, და განსაკუთრებით მძიმე ყოფაში, უკიდურესი ტკივილების განცდისას, გადახვეწილობაში ბორიალისას.

მურიდ ალ-ბარლუთისათვის ყოველთვის უცხო რომ გახლდათ ხელისუფლებასთან დაახლოების ჟინიც და ვინმეზე აღმატების სურვილიც.

არ უკვირს, პალესტინის ინტელიგენციის დიდი ნაწილი ხელისუფლებას რომ აუწყობდა ხმას, დაუახლოვდებოდნენ და ბრძნული სახით სავარძლებში მოკალათებულთ დაემსგავსებოდნენ კიდევ ქცევით. ეგაა, თავიდან უცნაური ეჩვენებოდა, ხელისუფლების მხარდამჭერნი და ოპოზიციონერნი ერთნაირად რომ გამოიყურებოდნენ, მერე და მერე კი ამ რეალობასაც შეეჩვეოდა, ოღონდ თავის მხრივ შეეცდებოდა, რომ არ გარეუღიყო მათ შორის და გაქცეოდა პოლიტიკური თუ კულტურული დესპოტიზმის ოდნავ გამოვლინებასაც.

სულიერი ავტონომიის შენარჩუნება ყველაზე დიდი მიღწევა იქნებოდა, რისი მოპოვებაც შეუძლია სულიერებით სავსე ადამიანს, და მურიდ ალ-ბარლუთიც არ აითქვიფებოდა ინტელექტუალებად მონათლულებში, რაკილა დარწმუნდებოდა, რომ:

– ინტელექტუალთა დესპოტიზმი არაფრით ჩამოუვარდება ხელისუფალთა თუ ოპოზიციონერთა დესპოტიზმს.

ეს ისეთივე სამწუხარო სინამდვილე გახლდათ, როგორც ხელისუფლებისა და ოპოზიციის ლიდერთა თვისებების მსგავსება – არ მოეთმინათ კრიტიკა, აეკრძალათ შეკითხვები და მტკიცედ ერწმუნათ ერთადერთი რამ: მე და მხოლოდ მე ვარ მართალიც, შემოქმედებითიც, მცოდნეც, სასიამოვნოც და თანამდებობისათვის შესაფერისიც, რადგანაც ჩემი შემცვლელი არსად მოიპოვებაო.

კიდევ კარგი, ბალიში გეგულება სულის დასაშოშმინებლად და აღსარების სათქმელადაც, რაოდენ დაუნდობელი განაჩენიც უნდა გამოჰქონდეს მის თეთრ, ბამბის სამსჯავროს. პოეტი მას სინდისსაც ადარებს და ყოველდღიური განკითხვის

დღესაც, პერსონალურსა და ნაადრევს, რომელიც არ ელოდება, როდის შეაბიჯებს ადამიანი სამუდამო სასუფეველში.

– მხოლოდ აქ აღდგება ფამილარობისა და აჩქარებული ყოფის რიტმისგან ამღვრეული თვალისათვის შეუმჩნეველი ჩვენი სილამაზე, ყოველდღიურად უხეშად ფეხქვეშ გათელილი ჩვენი ღირსება. აქ აღვადგენთ მას ყოველდამე იმისთვის, რომ შევძლოთ განვავგრძოთ თამაში – გავავრძელოთ ცხოვრება... ბალიში სიმართლისგანაა მოქსოვილი. სიმართლე კი იმ საიდუმლოებასავითაა, დღის გათვლებსა და აზრებს რომ მიუჩქმალავთ და მიუმალავთ.

მურიდ ალ-ბარლუთი მაინც ისეთი ეპოქის შვილი რომ არის, სადაც მხატვრულ-დოკუმენტურ ნაკადს უპირატესობა მოუპოვებია მხატვრულ ჟანრებზე.

სხვაგვარად „მე ვნახე რამალა“ მისი პოეტური მოღვაწეობის ერთგვარი დამატება იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ლირიკულ კრებულთა თანაბრად შეფასდებოდა და ასერიგად ვერ გადანონიდა პოპულარობით, რომ ამჟამად მწერალი ჯერ ამ ავტობიოგრაფიული რომანის ავტორად იხსენიება და მხოლოდ შემდეგ – პოეტად.

და ნიშანდობლივია, რომ ქართული ენობრივი სამყაროს კარიც ამ წიგნით შემოაღო მას მერე, რაც „მე ვნახე რამალა“ არაერთ ენაზე ამეტყველდა და ბევრ ქვეყანაში იქცა ახალ ჭოგრიტად პალესტინური ტრაგედიის შესაცნობად და გასააზრებლად – ინგლისურად თუ ფრანგულად, იტალიურად თუ ესპანურად, ნორვეგიულად თუ ჰოლანდიურად, ინდურად თუ ჩინურად, პორტუგალიურად თუ კიდევ და კიდევ...

უთუოდ გაუძარტლა, რომ ქართულ სივრცეში მისი მეგზური აღმოჩნდა ნინო დოლიძე, ვის მიერ შექმნილ ორეულსაც არც ახალგაზრდული ექსპრესია აკლია და არც გამოცდილი მთარგმნელის ხელი, სულმოუთქმელად რომ გაკითხებს შინ დროებით დაბრუნების ამაღლევებელ თავგადასავალს და დიდი სულიერი განცდების უშუალო მონანილეს გხდის.

და ეს იმიტომაც, რომ გარდა დახვეწილი გემოვნებისა, თვითონ ამბავია მთარგმნელისთვის ასერიგად მახლობელი – საქართველოს ამჟამინდელი ტრაგიკული სინამდვილის ერთი უმთავრესი ნიშანი, რომლის გადალახვაც ჩვენს სახელმწიფოებ-

რივ ცხოვრებას მკვიდრ საყრდენს მოუპოვებს და აღარც სა-  
შიშროება იქნება ამ ტრაგედიის განმეორების, რაკილა ეს სა-  
ზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა დადასტურება იქნება  
რუსული იმპერიალიზმის აღკვეთისა და კავკასიური მთლიან-  
ობის იდეის საბოლოო გამარჯვებისა.

ჯერჯერობით კი ჩვენი მკითხველი – უშუალოდ სახლკარდა-  
კარგულნიც აფხაზეთის მხარესა თუ შიდა ქართლში და მათი მწა-  
რე ხვედრის საკუთარივით განმცდელნიც – მურიდ აღ-ბარლუთის  
პალესტინურ დღიურებში თავის თავგადასავალსაც ამოიკითხავს  
და ალაგ-ალაგ ისიც შეიძლება მოეჩვენოს, რომ მთხრობელი ქართ-  
ველი მწერალია, ვისაც – გაუცხოების მხატვრული მეთოდით –  
მოქმედება პალესტინის მიწა-წყალზე გადაუტანია, იქ, სადაც ქარ-  
თველობას ყოველთვის სიხარულით ეგებებოდნენ და იერუსალიმ-  
ში გაშლილი დროშებით შესვლის უფლებაც მიენიჭებინათ.

მითუფრო საშური გახლდათ „მე ვნახე რამალას“ მეგზურო-  
ბა ჩვენს სივრცეში – პალესტინური გამოცდილების ამ მართ-  
ლაც უნივერსალური სურათისა, მის სიღრმეში უმკაფიოესი და  
უზუსტესი ნვდომით რომ გამოირჩევა, სტიუარტ რეიგელუთის  
შეფასებისა არ იყოს იმ წინათქმიდან, რომელიც საგანგებოდ  
დაინერა ქართული გამოცემისათვის.

მურიდ აღ-ბარლუთი მაინც არაბი მწერალი რომ არის და  
არა, ვთქვათ, ამერიკელი.

ტომას ვულფი თავის უკანასკნელ რომანს ასეთ დრამატულ  
სათაურს შეურჩევდა – „შინ ველარ დაბრუნდები“.

მურიდ აღ-ბარლუთს „მე ვნახე რამალას“ რომ არ ემჯობინე-  
ბინა სახელწოდებად და სხვა სათაურთა ძებნაში ყოფილიყო,  
ასე დრამატიზმს აუცილებლად გაერიდებოდა, მისთვის „შინ  
ველარ დაბრუნდები“ რომ დაერქმია.

ამერიკელი მწერლისათვის ის სახელწოდება პირადი თავგადა-  
სავლის განსაზღვრებაცაა და ზოგადადამიანური საწუხარისაც.  
იგი სულიერად თითქოს ველარ აგნებს ნაცნობ გზებს მშობლიური  
კერისაკენ, მაგრამ ყოფით რეალობაში სულაც არ ჩაკეტვია იქ მი-  
სასვლელი და ამიტომაც არ ერიდება უკიდურეს სიმძაფრეს.

არაბი მწერლისათვის კი პირადულსა და ზოგადადამიანურ  
სულიერ სატკივარში იმ სიმწვავით იჭრება ყოფითი რეალობა,

რომ უპირველესად პალესტინელთა ტრაგიკულ ხვედრს ასიმბოლოვებს, და მის განსაზღვრებად „შინ ველარ დაბრუნდები“ ნიშნავს, რომ საბოლოოდ შერიგებია პალესტინელთა ბედკრულ ცხოვრებას, ერთი მხრივ, დახუფულ გარემოში მომწყვდეულსა და, მეორე მხრივ, დაშლილ-დაღავებულს შორეულ სივრცეებში. დიახ, ამ შემთხვევაში ეს ან რალაც ამგვარი სათაური დანყველილობას გამოხატავდა, სასონარკვეთას, ხელის ჩაქნევას, რასაც მურიდ აღ-ბარლუთი ვერ შეურიგდებოდა.

„მე ვნახე რამალა“ კი დიდ მონატრებასაც აგრძნობინებს მკითხველს და იმედოვნებასაც აღვივებს, რომ ეს არ დარჩება ერთჯერად აქტად, ნამიერ გამონათებად, და რამალაც, დირ ლასანაც და პალესტინის ყველა ტოპონიმი, იერუსალიმით დაგვირგვინებული, გადახვეწილობაში მიმოფანტული არაბებისათვის იქნება არა მარტოდენ ჯადოსნური სამყარო, ოცნების საუფლო, ნეტარი ზმანება, არამედ ებრაელებთან მშვიდობიანი თანაცხოვრებით მოპოვებული სავანეც, ის ყოფითი რეალობაც, რომლის მშვენიერებასაც ასე ხელმეხასებად გვაზიარებს მურიდ აღ-ბარლუთის ეს ავტობიოგრაფიული რომანი, ნარმოსახვისა და სინამდვილის მიჯნაზე გადახსნილი, გალაკტიონ ტაბიძის იმ სულისშემძვრელი სტრიქონებისა არ იყოს: მაგრამ სამშობლოს ნაცნობ გზებით ველარ მოვაგენ და არ მახსოვდა, მქონდა იგი თუ მომაგონდაო.

\* \* \*

ნუთუ არ გააჩნია ყოველ ადამიანს უფლება, მხოლოდ თავისი სიბნელე ჰქონდეს?!

და იმ სიბნელეში სისპეტაკით ბრწყინავდეს ბალიში – განკითხვის დღის ყოველდღიური მოვალეობის შეგნებით.

**როსტომ ჩხეიძე**

*(რეცენზია დაიბეჭდა  
ჟურნალში „ჩვენ მწერლობა“ №7,  
2 აპრილი, 2010)*



## ადგილისა და ღრმის მისტიკა

„რამალა არ არის ადგილი. ის დროა.“

„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.“

სახსოვარი — ხსნა, მშველელი, გადამრჩენელი ვიზიონი, სურნელი, სიტყვა, იქნებ სულაც ლელვის ხე, კრიალა აღმოსავლური ეზოს მაჩრდილობელი, თაობათა ხე, სულ რომ ჩრდილავდა სამკვიდროს და უჩრდილავდა მამათა, შვილთა, შვილიშვილთა დაღალულ სულს („ფრთათა საგრილთა შენთასა ვესვიდე“).

„როგორ აღვწერო გარემოებები, რომელშიც აღმოვჩნდი? როგორ გამოვყო, ერთი მხრივ, დიალოგები, კონფლიქტური მოსაზრებები და პოლიტიკური თეორიები და, მეორე მხრივ, აი, ეს ლელვი, სახლის გვერდით მდებარე ბორცვის ერთ მესამედს რომ ფარავს?!“ — რიტორიკულ კითხვას დასვამს პალესტინელი პოეტი მურიდ ალ-ბარლუთი.

სად დგას ეს ლელვი, ჟამიერ შიდა ეზოში, თუ წარმოსახვის მაღალ, მოუწყვლად ტალანში, ვერანაირი ოკუპაცია რომ ვერ ამოძირკვავს?!

მეხსიერება ინახავს საიმედოს, ხელჩასაჭიდს: „ეზოს შუაგულში ლელვის უზარმაზარი ხეა, რომლის უგემრიელესი ნაყოფიც ჩვენს მამა-პაპებს გაუსინჯავთ.“

ეს — მეხსიერებაში. სულის უღრმეს, საიმედო ტალანებში. მაგრამ რეალობა სხვაა. „დროთა კავშირი დაირღვა.“

ოკუპირებულ დირ-ლასანაში (რამალას მახლობელ სოფელში) ლელვის ხის ალაგას ახლა ცემენტის ბლოკი ძევს.

ლელვი ებრაელ ჯარისკაცებს არ მოუჭრიათ. უზარმაზარი, მიტოვებული სახლის ერთადერთმა მკვიდრმა, მოხუცმა ბიცოლა უმ ტალალმა მოაჭრევინა, ოცდაათი წლის შემდეგ ორიოდ



კვირით დაბრუნებულ მკვიდრს, მურიდ ალ- ბარლუთის კი განუმარტა:

„დავბერდი და დავსუსტდი. ხალხი სხვაგან გადასახლდა. ზოგი ამქვეყნად აღარც არის. ლელვი ვილასთვის მინდა, შვილო? არავინ კრეფს ხილს და არავინ ჭამს. ლელვიც გახმობამდე ეკიდა ხეზე და მერე მთელ ეზოს ანაგვიანებდა. ძალიან დამალა. ამიტომაც მოვჭერი. აინ ად-დერი დაიქცა, შვილო, მაყვლის ბურქებით დაიფარა. ტურები თავისუფლად დასეირნობენ იქ“.

ფაქტთა მშრალი კონსტატირება გაუსახდლის ტკივილს დაიმარხავს.

ფუძეზე დარჩენილი მოხუცისათვის დრო დგას. მისი დრო ადგილს სავსებით ემთხვევა. საყრდენი წანაცვლებული არაა. ოღონდ ამ დროს აქვს მხოლოდ წარსულისა და აწმყოს ჰიპოტასი, მომავლისა — აღარ. შთამომავლობა წასულა ამ სახლიდან, ნებით არა, მაგრამ წასულა.

ორი კვირით დაბრუნებისას სახსოვარს მოიძიებს სული, განშორების დრომ და მანძილმა რომ არ გასრისოს.

სამკვიდრო „არ არის ადგილი. ის დროა. გაღვიძებისა და ადრეული ლოცვების დრო. განთიადის შუქზე ხიდან ლელვის მონყვეტის, დაგემოვნების დრო. ცვრით დანამული, ენერგიული ჩიტების მიერ ჩანისკარტებული ლელვი“.

უცნაურად იგივდება ლელვის ხისა და სამშობლოს პარადიმები.

წარმოსახვის იდუმალ სამყაროში, განსხვავებით რეალურისგან, ჰარმონიაა — აქ ლელვი თავის ალაგასაა. სულ აქ იქნება, რადგან წარმოსახვა რეალობას აღემატება — უფრო საიმედოა.

წარმოსახვაში ლელვი ისევ ფარავს შიდა ეზოს, ქარვისფერი ნაყოფის სიტკბო, ალბათ, ფუტკრებსაც იტყუებს და პატიოში ისეთი მომთენთავი, დამამშვიდებელი ზუზუნია...

ადვილია მიტვევბაც: „უმ ტალალი ჩემზე მეტად იყო დამოკიდებული ლელვის ხეზე. რაღაც მომენტში მისი მოჭრა ძალიან აუცილებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე ეს არ ვიცი და არ მესმის, რადგან მე იქ ვიყავი, ის კი აქ იყო. მე რომ აქ მეცხოვრა,

შესაძლოა, თავად დამენგრია, ან ამეშენებინა, დამერგო ან მომეჭრა... ვინ იცის... მათ აქ გაატარეს თავისი წლები, მე — იქ. შეიძლება ორი დრო ერთმანეთს მიაბა?!”.

ეს არ არის პასაჟები მხატვრული, გამოგონილი ტექსტის ეს რეალობაა, ტრაგიკული, მწუხარე სინამდვილე ახლო აღმოსავლეთის (და არა მხოლოდ — ტოპონიმები, რეალურ პერსონაჟთა სახელები რომ ქართულით ჩაანაცვლო, ეს იგივე ქართული რეალობაა, ტრაგიკული, მწუხარე სინამდვილე დანაკუნებული, გასხვისებული, ოკუპირებული საქართველოსი).

მურიდ ალ-ბარლუთი უცნაური სიმშვიდით ჰყვება საზარს, ტრაგიკულს — დიდი სასონარკვეთის დიდი სიმშვიდით. დიდი ტაქტითაც. სიძულვილის და შურისძიების განცდის გარეშე.

ფესვებდაჭრილი კულტურული ადამიანის სასონარკვეთით, სიმშვიდით, ტაქტით.

„კულტურული ადამიანი მკედარი ადამიანია. ყველაფრის მიღება მისი შედგომის წინაპირობაა“ (მაკა გოგუაძე).

თითქოს იდუმალ ფრთხილობს კიდეც ალ-ბარლუთი, ეჭვიც დასძლევს წამით — ვის ააღლევენს ამ კაენურ ჟამს მისი სულის ნაღვლიანი საგა, სახეების, სახსოვრის, სიტყვების მწუხარე კორიანტელი?!

საგა გრძელია — ოცდაათი გრძელი წლის რეფლექსია, უსამშობლობის, ფესვთაგან მოწყვეტის, ამოძირკვის გრძელი ამბავი — რაც უფრო ხანგრძლივი, მით მეტად დაბლაგვებული, მიყურებული თუ მიჩუმბათებული დამადამბლაგვებელი ტკივილი.

მეტაფორებისაგან, ეპითეტებისაგან სრულიად განძარცული ტექსტი თითქოს დღიურის უბრალოებას ირეკლავს — არსად ფრაზით კეკლუცობა, ფერადოვანი სიტყვების განგებ მოძიება. ესეც პოეტის დიდი შინაგანი ტაქტის წარმომჩენია — ვარამი ვერ ითანხმირებს ვარაყს...

აქ არ არის მხოლოდ ტრაგიკულ ფაქტთა კონსტატირება, არც მათი ყალბად გულისამაჩუყებელი ანალიზი. „მე ვნახე რამალა“ რაღაც სხვაა — მიზეზთა არსის, ტრაგედიის დვრიტის წვდომა, ფიქრი პალესტინელთა მარადიულ, „წყველაკრულვიან საკითხავზე“ — „სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში“?!

ხალხისა და პიროვნების ბედისწერის საკრალური ჯუფთობა უცნაური გამჭვირვალეობით ცნაურდება დიდი მწუხარების დამმარხველ პატარა წიგნში.

პოეტისეული წვდომა არსისა იმდენად ზუსტია, პირუთენელი და ტრაგიკული, ზემოთქმულის დასტურად მთელი წიგნის ციტირება იქნებოდა უპრიანი.

დავიდასტურებთ ვრცელ ამონარიდს: „ადგილები, რომლებიც ჩვენს სურვილებშია, დროა. მაგრამ მთავარი კონფლიქტი ყოველთვის ადგილებს ეხება. კონფლიქტი ხელს გიშლის, გქონდეს ეს ადგილები და მათთან ერთად მიაქვთ შენი ცხოვრების ნაწილი [თუ მთელი ცხოვრება არა — ნ. კ.]. საქმის ვითარებამ სულ სხვადასხვა ვითარებაში გვაცხოვრა. იძულებულნი ვიყავით, ხშირად დაგვეტოვებინა ადგილები და მათ დაკარგეს ჩვენთვის მნიშვნელობა და კონკრეტულობა.

უცხოს [ამ ცნება-ტერმინით იხსენიებს ალ-ბარლუთი მთელს მსოფლიოში იძულებით მიმოფანტულ პალესტინელ თანამემამულეთ — ნ. კ.] ყოველთვის მყიფე ურთიერთობის დამყარება ურჩევნია, ღიზიანდება, როდესაც რომელიმე საცხოვრისის მიმართ მისი გრძნობები ძლიერდება. მოხეტიალე კაცი არაფერს ეჭიდება. „ცხოვრება უფლებას არ გვაძლევს, ტრაგიკულ მოვლენად აღვიქვათ არაერთხელ განმეორებული ამოძირკვა, რადგან ვიცით, რომ ეს ყოველივე ფარსია... ცხოვრების საქანელასაც ორ უკიდურესობაზე შორს არ მიყავხარ — ესაა ფარსი და ტრაგედია. სამყარო აგრძელებს ქანაობას. სინათლის ბურუსშია გახვეული ორივე ჰორიზონტი“.

თხრობის მშვიდი, დაწურული, ცეცხლში ოქროდ ნანრთობი ტკივილის დამმარხველი ტონი პოეზიის ბურუსს მოისთავს, ყოფის დელემაში მაინც გაჟონავს მეტაფორა — სინათლის ბურუსში გახვეული ჰორიზონტის უნაპირობის, ყოფიერების საქანელას არასანდოობის.

დიდი სასონარკვეთის დიდი სიმშვიდე ჟამიერ საყრდენ-სახსოვარს მოაძიებინებს პოეტს — მშობლიური სოფლის, დირღასანას საკრალური ლელვის დამკარგავი წითელ ნემსინვერებს გაახარებს კაიროს, ამანის, ბუდაპეშტის უცხო, ვერგამი-

ნაურებულ აივნებზე, მორიგი დეპორტაციისას კი (კონკრეტულ ქვეყანაში ცხოვრების „ვადა“ რომ გაუვა), ჩუმიად გულდანწყვეტილი, ქოთნის ყვავილებს ჟამიერ სამკვიდრებელ ქაღალქ-სადგურებში შექცნილ მეგობრებს უსახსოვრებს...

ამ ყვავილებმა ქოთნის მიწის საზღვარი მაინც უწყიან, როგორც ტყვე ჩიტებმა — გალიის საზღვარი, განსხვავებით ალბარლუთისაგან, პალესტინელისაგან, პალესტინელებისაგან...

პალესტინა ალ-ბარლუთისათვის ლეგენდების და „ლექსების მიწაა“ („როგორ ვიმღერო უფლის სიმღერა უცხო მიწაზე?!“ (ფს. 136) — ეს უღრმესი ტკივილი „საქანელას მეორე მხარეზე“ განუცდიათ — ყოველ კონფლიქტს ხომ ყოველთვის აქვს (თუ ჰყავს) „მეორე მხარე“).

ჭირისუფლის სატკივარს ვერ დაიმარხავს „გარეგანი ფრინველის“ „ტკბილი ხმები.“

ქვეყნის ბედზე მონაღვლე გარდაუვლად ჩაეკითხება საკუთარ სულსა და უფალს: „ჩემი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ ისეთივე ამალღებულია, როგორც ეს მასზე დანერილ სიმღერებში ჩანს?!“

ჭირისუფლის კითხვაა, განდევნილი პატრონის.

ოცდაათ წელიწადს უდაბნოში უნდა ეხეტიალა „დევილიად“, „ლტოლვილიად“, „უცხოოდ“, „უადგილოდ“ (სახელთა რა ტრაგიკული ნაირგვარობაა) სახელდებულს, მშობლიურ რამალასა და დირლასანაში უცხოს ნებართვით ორიოდ კვირით დაბრუნებულს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადრევე დაბრუნებული თანამემამულისაგან რომ მოესმინა ტრაგიკული სიმართლე ოკუპირებული პალესტინის დაბრუნების არცთუ უსაფრთხო, მაგრამ ერთადერთი გზის შესახებ: „თუკი ვინმეს შეუძლია დაბრუნება და აქ ცხოვრება [ისრაელი მხოლოდ ასაკოვანთ რთავს ნებას, დაბრუნდნენ სამშობლოში — ნ. კ.], დაუყოვნებლივ უნდა ჩამოვიდეს. განა რუსებს და ბრუკლინელ ებრაელებს უნდა დავუტოვოთ აქაურობა? თუ კოლონისტებს? ყველა უნდა დაბრუნდეს, ვისაც შეუძლია — აღდგენილი უფლებით, სამსახურით. ნებისმიერი საშუალებით. ააშენეთ სახლები თქვენს სოფლებში, თუ შეგიძლიათ. პალესტინური დასახლებები ავაშენოთ პალესტინაში“.

[იქნებ, სულაც ეს იყოს აფხაზეთში, მშობლიურ ფუძეზე ქართველთა დაბრუნების ერთი, საშიში, მაგრამ ერთადერთი გზაც?!].

ნიშნავს თუ არა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, პალესტინის სუროგატულ ნაგლეჯზე დაბრუნება პალესტინაში დაბრუნებას?! ეს ის „წყევლა-კრულვიანი საკითხავია“, ყოველ პალესტინელს რომ ანამებს, გონის თუ არა, გენის დონეზე მაინც.

«Тут я не нужна, там я невозможна», — ემიგრანტის, დევნილის უმზეო ყოფის უზუსტეს დეფინიციას იპოვის მარინა ცვეტაევა.

რა სჯობს, არ სჭირდებოდეთ და მაინც იყო მამულში (რომელიც გასხვისდა), თუ იყო „შეუძლებელი“ სხვაგან, სხვათა „მუდმივ სამშობლოებში“, რომელთა ბედნიერ მკვიდრთა სახელეხსაც შემადრწუნებელ ეპითეტებად, მეტასტაზებად არ შესცოცებია დამამცირებელი გაარსებითებული ეპითეტები: „ლტოლვილი“, „დევნილი“, „უცხო“, „უადგილო“...

აღ-ბარლუთი, ერთი შეხედვით, განსხვავებულია მირიადი თანამემამულისაგან — ის არაა „სხვაგან შეუძლებელი“ (ანუ შეუძლებელი) პერსონა, პირიქით, პოეტია, არაბულ სამყაროსა თუ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კულტურულ-ინტელექტუალურ წრეებში პატივდებული, დაფასებული კაცი (სხვათა შორის, ისევე, როგორც მისი მეუღლე, ეგვიპტელი რომანისტი, „გრანადის ტრილოგიის“ ავტორი, რადვა აშური და „პოეტთა უფლისწულის“ ტიტულის მფლობელი ვაჟი — თამიმი). მისი ხვედრი არაა, როგორც თვითონ ამბობს ტკივილიანი სარკაზმით, ფეხსაცმლის მწმენდავობა ან მენაგვეობა (როგორც პალესტინელთა სრული უმრავლესობისა), მაგრამ პალესტინური ფესვები ქოთნის მინას ვერ იგუეებს, სხვათა მდიდრული აეროპორტების, კრიალა, ფეშენებელური სასტუმროების ყალბად ზეიმურ ინტერიერში ვერ გაიხარებს.

პალესტინელ პოეტსა და ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტს, მურიდ აღ-ბარლუთის უცილობლად გაცნობიერებული აქვს ტომას ელიოტის („დაბრუნების არ მაქვს იმედი“), ტომას ვულფის („ვერასოდეს დაბრუნდები“) სტრიქონების ტრაგიზმი — ოთხმოცდაათიანი წლების რამალა (რომელშიც ორიოდ კვირით დაბრუნდა) არ შეიძლება ჰგავდეს სამოციანი წლე-

ბისას (საიდანაც გააძევეს). უნუგეშოდ ჩავლილია რამალაში გასატარებელი და არგატარებული წლები, ათწლეულები.

„ჩვენ მივეჩვიეთ გასვენებებში სიარულს, მოწოდებებითა და ხმაურით გარდაცვლილების გაცილებას მეტაფორული მიზნისკენ – პალესტინისკენ და ფაქტიური მიზნისკენ — სამარი-საკენ“ — სამწუხაროდ, ეს ტრაგიკული სტრიქონები პოეტური ვიზიონი არაა, არც ჰიპერბოლა.

ეს პალესტინელთა (და ქართველთა!) ყოფის რეფლექსიაა.

ასეთი ვიზიონები გართმულ ლექსად ვერ ჩამოინაკეთება, მხოლოდ ვერლიბრის მკაცრი უბრალოება თუ დაიმარხავს. კიდევ — დღიური, „მე ვნახე რამალა“ — დოკუმენტური პროზის ერთი შეხედვით ცივი, პირუთვნელი ქსოვილი.

მაგრამ ჟამით-ჟამ „დოკუმენტურ პროზაში“ გაკრთება მარად ახალგაზრდად დარჩენილ მიცვალებულთა პორტრეტები („ცოცხლები ბერდებიან, მიცვალებულები — არა“), შიდა ეზოს შუაგულში გაბარჯლული ლედვის, პაპის კარიბჭესთან მიბმული აქლემის (თითქოს რობაქიძისეული ბეხანის ტრაგიკულ სილუეტად გარდასახულის), რამალას ყუჩი ბიბლიოთეკის სილუეტები.

მკრეხელობა იქნება სამშობლოზე იფიქრო, „მქონდა იგი თუ მომაგონდაო...“

ალ-ბარლუთის ჰქონდა და აქვს პალესტინა — ის მის წარმოსახვაში ცოცხლობს, დროის სამივე ჰიპოსტასში ჩაღვრილი, ჩაკირული, „დამარხული.“

პალესტინა ბებია უმ ატაა, ორი შვილი რომ უქმროდ გაზარდა, ოცი წლის ასაკში დაქვრივებულმა, მშვიდი, მუდამ განონასწორებული მამა პოეტისა, მწვანეთვალეა დედა, ყვავილების გამხარებელი, არაფრით რომ ჰგავს „პოლიტიკას მიკედლებულ, აქტიურ ქალებს“, სამი ძმა — პარიზში პალესტინელობის გამო მოკლული მუნიფი და ორიც უმცროსი...

პალესტინელობა (ქართველობასავით) განაჩენია.

„არსებობენ ბედნიერი ერები, სამშობლოს თავისუფლება, ერთიანობა რომ არ ეოცნებებათ“ (ოთარ ჭილაძე).

„ოიდიპოსს სულაც არ შეუძლია, კატასტროფა კარნავალად და ფესტივალად გადააქციოს. შექსპირს ტრაგედიის დანერა

თუ უნდოდა, ტრაგედიას ნერდა, ჩვენ კი, არაბები, კომედიისა და ტრაგედიის ერთსა და იმავე გვერდზე კითხვას მივეჩვიეთ.“ — კვლავაც უემოციოდ კონსტატირდება ტრაგიკული.

ქართველებიც უცნაურად მივეჩვიეთ კომიკურისა და ტრაგიკულის „ერთსა და იმავე გვერდზე კითხვას.“

კომედიას, ტრაგედია თუ ფარსი, ჟენევაში მიმავალი სანათესაო „პასპორტთა კოქტილით“ რომ განაცვიფრებს შვეიცარიელ მებაჟეს — „თითოეულის გვარი ალ-ბარლუთი იყო, მაგრამ პასპორტები — იორდანის, სირიის, ამერიკის, ალჟირის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, ეგვიპტის, ისრაელის (ისრაელისაც კი!)... და ტრაგიკული დასკვნა: „ჩვენი ყველას ერთად მგზავრობა სირცხვილია.“ ის, რაც ასე ბუნებრივია, ადამიანური — ნათესავთა შეკრება, სიტბოსა და სიყვარულის ურთიერთგაზიარება, ტრაგიკულ იერს იძენს, უარესი — კომედიური ელფერით იფერება. ალ-ბარლუთის მახვილი თვალი იჭერს ტრაგიკულ-კომიკურის საბედისწერო ჯუფთობას.

და მაინც, ვისია წმიდა მინა, ზეციური იერუსალიმის სახელით კვართივით გადანაწილებული, მინა რამალასი — იერუსალიმის ზურმუხტოვანი გარეუბნისა, სადაც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტამდის მონაზონი და მუეძინი ერთად მკვიდრობდნენ, „ვერც ამჩნევდნენ დიდებული ქალაქის სიწმინდეს — ქალაქი მათში იყო, ისინი — მასში“.

ტრაგიზმითაა გაჯერებული იერუსალიმიდან განდევნილი პალესტინელის ფიქრი (კვლავ ვრცელ ამონარიდს დავიდასტურებთ, უზუსტესად რომ ირეკლავს ყოველი კონფლიქტის ტრაგიზმს და აბსურდულობას): „მთელი მსოფლიო იცნობს იერუსალიმს, როგორც სიმბოლოს ძღვევამოსილებას. იერუსალიმს თვალი ისე ხედავს, როგორც კლდის წვერს და კმაყოფილია. მსოფლიოსათვის ის რელიგიების, პოლიტიკის და კონფლიქტების ქალაქია, ასე რომ, დიდად არ ანალევებს ჩვენი — ხალხის იერუსალიმი — სახლების, მოკირწყლული ქუჩების, სუნელების მაღაზიების, არაბული კოლეჯის, ანტიკვარის და სადაფის, ქუნჯუთის ნამცხვრის გამყიდველების, ქუჩაში გატოტვილი პალმების, შინ გახარებული მცენარეების, ქვაფენილიანი ხეივ-

ნების, ვინრო შესახვევების, სარეცხის თოკების იერუსალიმი, ჩვენი გრძნობების, ჩვენი ბავშვობის იერუსალიმი.

აღდგომის შაბათს ქრისტიანებთან ერთად ვიზიარებდით წმინდა ტაძრის სიბნელეს და მათთან ერთად ვწევდით ერთიანად ანთებულ თეთრ სანთლებს. ეს ჩვეულებრივი იერუსალიმია, ქალაქი ჩვენი პატარ-პატარა, უმნიშვნელო შემთხვევებისა, რომლებიც მალე გვაავიწყდება, რადგანაც ჩვეულებრივია ისე, როგორც წყალი წყალია და ელვა — ელვა, ხოლო, როცა ხელიდან გვისხლტება, ცისკენ მიიწევს, სიმბოლოდ რომ იქცეს.

ყველა კონფლიქტს სიმბოლოები ურჩევნია. იერუსალიმი ახლა თეოლოგიის იერუსალიმია. მსოფლიოს მისი „სტატუსი“ ეხება, მისი იდეა და მითი, მაგრამ — არა ჩვენი ცხოვრება იერუსალიმში და არა იერუსალიმი ჩვენს ცხოვრებაში. ცის იერუსალიმი ყოველთვის იცოცხლებს, მაგრამ ჩვენს ცხოვრებას მასში გაქრობა ემუქრება“.

მურიდ აღ-ბარღუთი ეხება საკრალურს, ეხება ფრთხილად, პატრონის, მკვიდრის სიფაქიზითა და ტაქტით, ტკივილით, ასე უცნაურად რომ ეხმაურება ქართულ-აფხაზურ ტრაგედიას: „არაფრით შემიძლია დავეუშვა ორი თანაბარი უფლება მიწაზე, ვერ აღვიქვამ ღვთაებრივს მიწიერი პოლიტიკური ცხოვრების უმაღლეს ეშელონებში. სერიოზულად არასოდეს დავინტერესებულვარ თეორიული დისკუსიებით იმის თაობაზე, თუ ვის აქვს უფლება პალესტინაზე, რადგან ჩვენ მიწა დებატებში არ დაგვიკარგავს. ის ძალის გამოყენებით დაგვაკარგვინეს...“

როცა პალესტინა პალესტინა იყო, არ გვეძინოდა ებრაელები-სა, არც გვძულდა, არც მტრებად გვყავდა წარმოსახული. შუა საუკუნეების ევროპას სძულდა ისინი და არა ჩვენ. ფერდინანდი და იზაბელა ვერ იტანდნენ მათ და არა ჩვენ, ჰიტლერს ეზიზღებოდა და არა ჩვენ, მაგრამ, როდესაც ჩვენი ტერიტორია დაიკავეს და იქიდან გაგვასახლეს, ორივენი — ჩვენც და ისინიც — თანასწორი უფლებების მიღმა აღმოვჩნდით. ისინი გახდნენ მტრები და გაძლიერდნენ, ჩვენ გავხდით იძულებით გადაადგილებულები და სუსტები. მათ გეოგრაფიითა და წარმოსახვებით, სინმინდის ძალითა და ძალის სინმინდით დაიკავეს ჩვენი ტერიტორია“.



საცნაურია და ტრაგიკული ფრაზა: „არაფრით შემძლია დავუშვა ორი თანაბარი უფლება მინაზე.“

ეს ის შემთხვევა არაა, ცვეტაევა რომ წერს დაპყრობილი მიწების ფლობით განებივრებული ერის შვილის პოზიციიდან:

«И скоро под землей уснем мы все, кто на земле не давали уснуть друг другу». უფრო ის ტრაგიკული მსოფლგანცდაა, იმავე ცვეტაევას რომ დევნილობისას ამოაკენესებს: «Всяк дом мне чужд, всяк храм мне пуст, все равно, и все едино, Но, если по дороге куст встает, особенно рябина...»

პოეტისეული მრავალწერტილი აქ შემთხვევითი სულაც არაა. კამიუ იტყოდა, „მწერლისათვის უმჯობესია, არაფერი თქვას, ვიდრე თქვას ზედმეტიო.“

ცვეტაევასეული ცირცელი (рябина), ალ-ბარლუთისეული ლელვის ხე ის სახსოვარია, სასოდ რომ აქვთ, ნუგეშად — სატელეფონო ზარების მისტიური მუსიკით შეძრწუნებულთ. ვის უხმობს ზარი, ან რისთვის ხმობს? იმისთვის, რომ სამყაროს მირიად კუნჭულში მიმოფანტულებს ახლობლის გარდაცვალება აუწყოს... უიშვიათესად — სადღაც, გადაკარგულში — ქორნილი და... (გავიმეორებთ ზემოთქმულს) ალ-ბარლუთების დიდი გვარი ისრაელის, ბრაზილიის, ეგვიპტის, სირიის, იორდანის, აშშ-ის, ბრიტანეთის „პასპორტების კოქტეილით“ ბოშათა ბანაკივით დაიძრას საკუთარი სისხლისა და ხორცის ბედნიერების გასაზიარებლად, მებაჟეთა საქილიკოდ, ისიც — იმ ბედნიერ შემთხვევაში, დროებითმა სამკვიდრო ქვეყანამ თუ იწება „უადგილოთა“ მიღება...

ფესვდაჭრილ პალესტინელთა იმედებისა და სასონარკვეთის დამმარხველი მთავარი ფრაზა უცნაური ტრაგიკულობით ემთხვევა ქართველ ლტოლვილთა სევდიან ფიქრს: „სანამ ყველაფერი გაირკვევა“...

ისევე, როგორც ალენბის, თუ მეფე ჰუსეინის, თუ დაბრუნების ხიდის პარადიგმა — ასეთი ხიდი არსადაა მსოფლიოში, იტყვის ალ-ბარლუთი.

არის ასეთივე ხიდი და ეს ენგურის ხიდა.

1948 წელს პალესტინის დასავლეთის სანაპირო რომ აჰყარა ისრაელმა, იძულებით გადაადგილებულთ საკუთარ ქვეყანაში

„ლტოლვილება“ ვიხსენიებდითო, წერს ალ-ბარლუთი, ბავშვები ეგრე ვეძახდით, არც უფროსებს შეუსწორებიათ რამ ჩვენთვისო...

კონტექსტი იტევს ბარლუთის მთავარ სათქმელს — ეს განურჩევლობა „დასავლეთის სანაპიროსადმი“ ამზადებდაო 1967 წლის ტრაგედიას — ოკუპაციის გარდუვალობას.

თუ 1948 წელს დასავლეთის სანაპიროს დაინარჩუნებდნენ ებრაელები, პალესტინელთა განურჩევლობით გულმიცემულნი, რად ვეღარ დაისაკუთრებდნენ სულ რაღაც ოციოდ წელიწადში, 1967 წელს, მთელ პალესტინასაც?!

ღმერთმა ნუ ქნას, „დასავლეთის სანაპიროს“ (აფხაზეთს) დანარჩენი საქართველოც მიაყოლოს „აფხაზეთა (და ოსთა) ბედზე მონაღვლე“ იმპერიამ...

ალ-ბარლუთის წიგნის კითხვისას ოთხმოცდაცამეტის სექტემბერში სოხუმის სანაპიროზე პატრონისაგან მიტოვებული ძაღლიც წამომავიწყდა, ტალღებს რომ აწყდებოდა განბილებული და დაბნეული (ამ კადრს 27 სექტემბერს იმეორებენ ხოლმე ტელევიზიები, სოხუმის დაცემის მორიგ წლისთავზე, საინფორმაციო გამოშვებების ორწუთიან რეპორტაჟებში, რეკლამასა და რეკლამას შორის):

„წარსული ისევ იქ იყო, სოფლის მოედანზე, მზის გულზე გაედგა ფესვი და იჯდა პატრონის მიერ მიტოვებული და მივიწყებული ძაღლივით. მომინდა, ხელი ჩამეკლო მისთვის, წინ გამეგდო თავისი მომავალი დღეებისაკენ, უკეთესი მომავლისაკენ და მეთქვა: გაიქეცი!“.

„სანამ ყველაფერი გაირკვევა“, იზრდებიან თაობები უცხო ქალაქებში, უცხო ქვეყნებში, უცხო ალაგთა სიყვარულით, სხვანაირი მოგონებებით, სხვათა სასტუმროებში, არაფრით რომ ჰგავს მყუდრო სახლს («ДОМ, И НЕ ЗНАЮЩИЙ, ЧТО МОЙ, КАК ГОСПИТАЛЬ, ИЛИ КАЗАРМА» — კვლავ ცვეტაევა).

... ემშობლიურებათ კი მათ ოდესმე რამალა, ან სოხუმი, ან ცხინვალი?!

„ოკუპაციის ხანგრძლივმა პროცესმა შექმნა ისრაელის მთელი თაობები, რომლებმაც არ იციან სხვა „სამშობლო“ და, იმავე დროს, პალესტინელთა მთელი თაობები, რომელნიც უცხონი არიან პალესტინისათვის.“

ტრაგიკულია, ეგ ზისტენციური ვარამითაა გაჯერებული ერთი შეხედვით უბრალო კონსტატირება ფაქტისა.

მაგრამ იმედიც აქვია, მურიდ ალ-ბარლუთის ტრაგიკულ, უნათლეს წიგნში — ყოყმანის, დაეჭვების გამომრიცხავი:

„მოვა დრო და თამიმი აქ იცხოვრებს“.

თუ თვითონ პოეტი, მამა თუ ვერა, ალ-ბარლუთის შვილი — თამიმი მაინც — რადგან სამშობლო დროა და არა მხოლოდ ადგილი.

ალბათ, დადგება დრო, როდესაც „ყველაფერი გაირკვევა“ — უფლის მაღალი ნებით...

მამამ ნახა რამალა. შვილი დაბრუნდება რამალაში...

ალ-ბარლუთისგან ნაკარნახევი, ყოყმანისა და ეჭვის გამომრიცხავი იმედი, უკვე — აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით: „მოვა დრო და ქართველი აქ იცხოვრებს.“

## **P.S.**


სევდით ნაქსოვი წიგნი მურიდ ალ-ბარლუთისა დარჩებოდა „მტილად დახშულად, ნყაროდ დაბეჭდულად“ არაბულის არმცოდნეთათვის, რომ არა ნინო დოლიძის ზნეობრივი (ხაზგასმით ვამბობთ) არჩევანი — ეთარგმნა პალესტინური სანუხარის რეფლექსია, უზუსტესად რომ ეხმიანება ქართულს.

წიგნის თარგმანი დროის სატკივარს, ქართული ცნობიერების ღია ჭრილობას ირეკლავს და ეთანხმიერება. ღირსეული მთარგმნელი (რომლის სწორი ეროვნული პოზიციაც ნათლადაა წარმოჩენილი წიგნის ბოლოსიტყვაობაში) ალ-ბარლუთის დარდიან ტონს ქართული სიტყვის ქსოვილით ალადგენს, პალესტინურ ტკივილს ქართულ სიტყვად, ქართულ სევდად ჩამოქნის.

## **ნანა კუცია**

*(რეცენზია დაიბეჭდა  
ჟურნალში „ჩვენ მწერლობა“  
№21, 15 ოქტომბერი, 2010)*

---



---

## ნათლით გაბრწყინებული სევდიანი ნიჰნი

ხიდი...

ხიდი რეალობა, ხიდი მეტაფორა, ხიდი შემაკავშირებელი, ხიდი გამყოფ-გამთიშველი. რომანის პირველი თავი ასეა დასათაურებული — „ხიდი“. რამდენ ასოციაციას აღძრავს, რამდენ პარალელს, ლიტერატურულს, ცხოვრებისეულს. რისთვის აგებენ ადამიანები ხიდებს? ერთმანეთთან დასაახლოებლად, დასაკავშირებლად. ერთმანეთის გაგებისკენ, შეცნობისკენ, დამეგობრებისკენ მიმავალი გზა ყოველთვის ხიდზე გადის — რეალურსა თუ წარმოსახვითზე.

ადამიანური ყოფის გაუკუღმართებამ, მოუნესრიგებელმა და დარღვეულმა კანონზომიერებამ შეუცვალა ხიდს (ხიდებს) დანიშნულება. ხიდი იქცა საზღვრად, დაბრკოლებად, ჯებირად ქვეყნებს, ერებს, სარწმუნოებებს... შორის. ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდის შესახებ არაერთი საინტერესო ნაწარმოები შეიქმნა. გასაკვირი არაა, რომ რამდენიმეს ერთნაირი სათაური — „ხიდი“ ჰქვია (მაგ. სერგო წურნუმიას, ნატო კორსანტიას და სხვათა შესანიშნავი ნოველები). „ხიდი“ ჰქვია ივო ანდრიჩის ისტორიულ რომანს, რომელშიც დრინის ხიდი ორ სამყაროს ხან აერთებს, ხან თიშავს ერთმანეთისაგან... და მაინც, ალ-ბარლუთის „ხიდს“ დავუბრუნდეთ.

„იძულებით გადაადგილება სიკვდილს უდრის. ყველას ჰგონია, რომ ეს სხვებს ემართებათ“, — ვკითხულობთ რომანში. სამწუხაროდ, მე მაქვს ამის მწარე გამოცდილება და შემიძლია დაგიდასტუროთ — ეს მართლაც ასეა.

რა უბრალოდ, სადად, მარტივად გამოთქვა მწერალმა ჩვენი ნაფიქრი. „მონაგებთა დატევებაი რომ სისხლისა დათხევასა ემსგავსების“, ეს ხომ ბავშვობიდანვე ვიცით, მაგრამ ვისაც სა-

კუთარ თავზე არ გამოუცდია, მისთვის მაინც „სხვის ჭირად“ რჩება, ალბათ. ადამიანური ბუნება ვერ ჰგუობს, რომ უბედურება, ტრაგედია, მოულოდნელი ჭირი თავს დატეხილად წარმოიდგინოს. უბედურება ყოველთვის „სხვას“ ემართება, ტრაგედია „სხვისი“ ხვედრია, ჭირი — სხვისი გადასატანი. მაგრამ როცა ეს ყველაფერი შენ შეგეხება, ისე, რომ არაფერ შუაში ხარ, როცა რეალობის წინაშე დადგები, ცხოვრება უფლებას არ მოგცემს, ერთი ნუთით მაინც დაივიწყო, რომ „უცხო“ ხარ.

პალესტინელ მწერალს დავესესხები: „უცხო ის ადამიანია, რომელიც განუწყვეტლივ აახლებს „ცხოვრების უფლებას“ — ავსებს ფორმულარებს, ყიდულობს მათზე დასაკრავ მარკებს. ყოველთვის თან უნდა იქონიოს დამადასტურებელი მონმობები და დამამტკიცებელი საბუთები... არ შეუძლია, თავისი ამბავი გაბმულად მოყვეს. ყოველი მომენტი მისთვის ბუნდოვანია, მუდმივიც და დროებითიც... ძირითადად საკუთარ თავშივე დაფარულ ჩუმ ადგილას ცხოვრობს, უფრთხილდება თავის საიდუმლოს და არ უყვარს, როცა სხვები ინტერესდებიან მისით. ის სულ სხვა ცხოვრების დეტალებით სულდგმულობს და საუბრისას მათ დაფარვას ცდილობს. ის არ უყვართ იმიტომ, რომ უცხოა და სიმპათიითაც იმის გამო განენწყობიან, რომ უცხოა. მეორის ატანა პირველზე გაცილებით მძიმეა“.

ძალიან ინტიმურ, პირად განცდებზე გვესაუბრება მწერალი, მაგრამ ეს განცდები იმდენად ზოგადია, საყოველთაო, რომ სულაც გვავიწყდება, თუ შორეული პალესტინის მკვიდრს ვუსმენთ. ასე გვგონია, რომელიმე ჩვენი, აფხაზეთის ან სამაჩაბლოს ქართველი გვიყვება თავის ამბავს (თუმცა პალესტინელიც, ებრაელიც და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებიც ჩვენი არა არის, დედამიწელი?). აფხაზეთის ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები ვახსენე. ყველა საინტერესოა, ყველა მეტად თუ ნაკლებად სულის უსათუთეს სიმებს ეხება. მაგრამ ასე რეალისტურად აღწერილი ყოფა ლტოლვილისა მე პირადად არსად წამიკითხავს.

პატარა ხიდის თავში დამდგარა ადამიანი. ეს ხიდი ამორებს მას საკუთარ კუთხეს, მშობლიურ სოფელს, დედ-მამის სახლს. გადავა? ვერა? შეძლებს? ნებას დართავენ თუ უკან მოაბრუნე-

ბენ? ბედის დაცინვაა, აბა რაა, როცა თვით მასზე, მის სულიერ თუ ფიზიკურ მზაობაზე არაფერია დამოკიდებული. ვილაცის ხელშია უხილავი ძაფები, რომლითაც, ვინ იცის, რამდენი ადამიანის ბედი იმართება. „ოკუპირებული ტერიტორია“ ვილაცისთვის აბსტრაქციაა, ვილაცისთვის კი ამოგლეჯილი გულის ნაწილი. ეს პატარა და ამავე დროს უსაშველოდ გრძელი ხიდი მონსტრივით, ცერბერივით განოლილა „ჩვენსა“ და „მათ“ შუა და გვიკრძალავს, გვაფრთხილებს, გვემუქრება, არ გვიშვებს — მხატვრული სახეა, ხელშესახები სინამდვილე რომ არ იყოს!

დაძაბული მოლოდინის შემდეგ მურიდ ალ-ბარღუთის გაუმართლა, 30 წელიწადს ერთბაშად გადააბიჯა და თავის რამალაში დაბრუნდა... ერთ დროს მოუსვენარი იორდანე უცნაურად დადუმებული ეჩვენება მგზავრს. ჩვენი თერგისა არ იყოს, პირი რა რუსეთისკენ უქნია, მაშინვე რომ ჩაჩუმებულა, ბედს შეგუებია, ქედი მოუხრია. იორდანე უნებურად ბიბლიურ ასოციაციებს აღძრავს ჩვენში, მაგრამ მისი სახება აქ უფრო ხორციელი, გინდ პოლიტიკური სიმბოლოს მატარებელია და წმინდა ნათლობასთან არაფერი აკავშირებს... რამალასკენ მიმავალი გზიდან შეუძლებელი გამხდარა წმინდა ქალაქის, იერუსალიმის დანახვა. ესეც სიმბოლურია?

აგერ უკვე ჩვიდმეტი წელიწადია ჩემი (და ათასობით ჩემისთანას) გონება და ფიქრი გამუდმებით უტრიალებს ერთსა და იმავე სანუხარს. როდის შევძლებთ ჩვენს სახლში დაბრუნებას? „როგორ შევეყრები და როგორ შემეყრება?“ შევძლებთ ერთმანეთისთვის „ღვიძლი სიტყვის“ თქმას? რა დაგვხვდება იქ, სადაც ოაზისი დავტოვეთ? ჩვენ და აფხაზები — ორივე მხარე მსხვერპლი. შევძლებთ ერთმანეთის მობოდიშებას, შეცდომების აღიარებას? ამ კითხვებზე დაფიქრება და პასუხის გაცემის ცდაა მურიდ ალ-ბარღუთის რომანიც.

პალესტინაში ჩასულ მეოცნებე პალესტინელს საშინელი იმედგაცრუება ელის. ეს ის არ არის, რაც დატოვა, რაც ახსოვს, რაზეც ოცნებობდა. ომს დაუჩნევია თავისი „მსახვრალი“ ხელი ყველაფრისთვის. და აღარ გვიკვირს, რომ სიხარულს რაღაც აკლია. ნაოცნებარი შეხვედრა სრულყოფილი არ არის. გურამ

ოდიშარიას „სოხუმში დაბრუნება“ ბარლეთისგან განსხვავებით, გულს იმედითა და სიხარულით გვივსებს — იქნებ მოხდეს სასწაული... ვცდილობ შევეგუო იმ აზრს, რომ დაბრუნების სიხარული სრულყოფილი ვერ იქნება, მაგრამ ის ნაკლებიც რა საამო და სასურველია! გემოდაკარგული დაბრუნებაც გვხიბლავს და გვეოცნებება!

„ვით უბინაოს ყოფნა ბინაში“ — უსაზღვრო სურვილის გამოსახატად ზუსტად მორგებული შედარება გამოუყენებია პოეტს. ვკითხულობ და ჩემთვის ასე ტრანსფორმირდება: ვით მშობლიურ სახლს ძალით მონყევტილს საკუთარ, ბავშვობის სახლში...

„მხატვრული ლიტერატურა, სიტყვიერი ხელოვნება ყველაზე აქტიური და პატიოსანი სიზუსტით გადმოგვცემს რეალობას“ (მაკა ჯოხაძე). უკეთ ვერც იტყვი. ეს წიგნი „პატიოსანი სიზუსტითაა“ აღბეჭდილი.

ომის შედეგი (მითუმეტეს, ნაგებული ომის) მარტო იავარქმინილი სამშობლო, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები, დაქვრივებული ქალები, დაობლებული ბავშვები, შვილმკვდარი დედები კი არ არის, არც მარტო დაკარგული ტერიტორიაა, ომის უსაზარლესი შედეგია შეურაცხყოფილი ღირსება, დამცირებული, გათელილი, გამოქცევით დაღდასმული ყოფა. სამშობლოს დაკარგვით გამონვეული დამცირება პირად ბეჩაობაზე ბევრად უფრო უარესია.

მსოფლიოში, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში უამრავი ლტოლვილია. რატომ? ვინ არის დამნაშავე? თვითონ ლტოლვილები? მათ მიერ ჩადენილი ცოდვები? უხეში ძალა? ის, ვინც ამ ძალას მართავს? ყველა ერთად? არ ვიცი, ეს პროცესი ჩემთვის უხილავი და მიუწვდომელია. ათასნაირი ფარული შეთანხმებები თუ გარიგებები, მალული თუ აშკარა მიმხრობა-ნაქეზება-დახმარება, პოლიტიკის ავანსცენა თუ კულისები... ის კი ვიცი, რომ მწერლობა აღსარებაა, აღსარება — მონანიება (მაკა ჯოხაძე). სურვილი მონანიებისა, გულწრფელი მონანიება ორივე მხრიდან, ალბათ, ერთ-ერთი გზაა (თუ ერთადერთი არა) ხიდის აღდგენა-გამთლიანებისკენ. არც ერთ პოლიტიკოსს, ფი-

ლოსოფოსს, ფსიქოლოგს არ შეუძლია იმ დეტალების შემჩნევა და აღწერა, რომლებსაც მწერალი ხედავს. „უბედურება ადამიანებს ციდან კომეტებივით როდი ატყდებათ ბუნების ლამაზი სცენის ფონზე! ჩვენც ვართ რალაცაში დამნაშავენი... ამიტომაც ვეძებ საკუთარ შეცდომებს“, — წერს ალ-ბარლუთი. მეც სასოებით ველი დღეს, ყველა საკუთარ შეცდომას რომ აღიარებს და მოინანიებს... იქნებ მოხდეს სასწაული...

„მე ვნახე რამალა“ ხშირ შემთხვევაში ილიას „მგზავრის წერილებს“ მაგონებს. ორიოდე მაგალითი ზევით დავიმონწე. აი, კიდევ: ოკუპაციამდე „ჩვენ თავად ვაგვარებდით პრობლემებს“, — ამბობენ პალესტინელები. „ადრიდა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, — წუხს ლელთ ლუნია... ძალიან ხომ არ ვაქართულებ რომანს? მაგრამ რა ვქნა, რომ კერძოში ზოგადი ჩანს, სხვის საწუხარში — ჩემი ტკივილი, თითოეულის უბედურებაში — ბევრის განცდა.

თუმცა ბრძოლაში არ დაღუპულა, მაინც ომის მსხვერპლია მურიდ ალ-ბარლუთის გარდაცვლილი ძმა, ისევე როგორც ომის მსხვერპლია ათასობით უმწეობით გულგახეთქილი ადამიანი. ეს გაუთავებელი მოლაპარაკებები, შეთანხმებები, ხელშეკრულებები, ჟენევა, გაერო და მისთანანი კიდევ უფრო დამამცირებელი, დამცინავი, ირონიული და დამაბრყვებელია დამარცხებული ერისთვის. ღიმილი, ნუგეში, უსაფუძვლო დაპირება კიდევ ერთხელ თავში ხელის წამოკვრა და შეურაცხყოფაა.

ამაღელვებელი, დასამახსოვრებელი და ღირშესანიშნავი ეპიზოდია რომანში მწერლის მიერ თავის მშობლიურ სოფელ დირ-ლასანაში გამართული პოეზიის საღამო. ეს იყო სიყვარულის გამოცხადება ამ ხალხისთვის, თავისი ქვეყნისთვის, სიცოცხლის, სილამაზის, თავისუფლების წარუვალ ღირებულებათა შეხსენება. პოეზიის საერთაშორისო ენაზე ამბობდა სათქმელს სტუმარი. მიუხედავად იმისა, ესმოდა თუ არა მსმენელს ლექსი, ჰქონდა თუ არა სპეციალური განათლება პოეზიის აღსაქმელად. ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ხალხს პოეტმა აგრძობინა ბევრად მეტი, ვიდრე იმ ლექსებში სიტყვებით იყო ნათქვამი. პოეზიის აღქმას, შენიანის გაგებას, ანთებული



გულის დანახვას ასაკი არ განსაზღვრავს. რვა წლის თუ ოთხ-მოცი წლის მსმენელი ერთნაირად მონუსხულები, სევდიანნიც და გახარებულნიც, დარდიანნიც და ბედნიერნიც, ერთდროულად უიმედონიც და იმედიანნიც ერთნაირად უსმენდნენ და სუნთქავდნენ ღრმად, ლალად, თავისუფლად...

სამშობლოს მოშორებული ადამიანი სულიერად ცარიელდება და მხოლოდ ფიზიკური, მატერიალური ცხოვრებით ცხოვრობს. ეს კანონზომიერება არ ვრცელდება მათზე, ვისაც გულით და გონებით სამშობლო მუდამ თან დააქეთ. ეს სევდიანი წიგნი საოცარი ნათლითაა გაბრწყინებული. უიმედობიდან სავსებით ბუნებრივად სიცოცხლის სიხარული ჟონავს — შვილი, თამიმი, აუცილებლად დაბრუნდება რამალაში!

„მტრების ტყვიების გარდა რა აზიანებს სხეულს?“ — ამ სიტყვებით ამთავრებს წიგნს და მკითხველს საფიქრალად უტოვებს წყევლა-კრულვიან შეკითხვას პალესტინელი მწერალი.

რომ არა შესანიშნავი მთარგმნელი, ნინო დოლიძე ჩვენ ვერასოდეს მივიტანდით გულთან ახლოს პალესტინელის სატკივარს, ვერც ჩვენს საკუთარ სადარდელს გავისიგრძეგანებდით ასე ღრმად და საფუძვლიანად.

## **ნინო ვახანიას**

*(რეცენზია დაიბეჭდა  
ჟურნალში „მწვანეყვავილა“  
№5, 2014)*



## აღ-ბარღუთის რამალა

რამალა მე-8 საუკუნის დასაწყისში დაუარსებია ხალიფა სულეიმან აბენ აბდ აღ-მალექს, იმჟამად ჯანდ-პალესტინის (ცენტრალური და სამხრეთ პალესტინა) პროვინციის მმართველს. არაერთი არქეოლოგიური გათხრა, რამალას ტერიტორიაზე წარმოებული, გამორიცხავს ამ მინაზე რაიმე დასახლების არსებობას წინაისლამურ პერიოდში. ქალაქი არაბებს წინასწარ დაგეგმილი პროექტით კლასიკური რომაული სტილით აუშენებიათ. საუკუნეების განმავლობაში რამალა ხელიდან ხელში გადადიოდა. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მას სიონისტები უტევენ. 1948 წლის ივლისში ქ. ლოდის დაცემის შემდეგ რამალა 89-ე ებრაულ ლეგიონს უბრძოლველად დანებდა. რამალას უამრავმა ებრაელმა რეპატრიანტმა მიაშურა. გაჩაღდა ახალი ებრაული დასახლებების მშენებლობა. შედეგად ამჟამად მოსახლეობის სამ მეოთხედს ებრაელები შეადგენენ. ქალაქის გერბი დატვირთულია ებრაული სიმბოლიკით (დავითის ფარი – ექვსქიმიანი ვარსკვლავი და შროშანი, ებრაული წარწერით „რამალა“), რამალას ჰყავს ებრაელი მერი. 1967 წლის 6 დღიანი ომის შემდეგ ქალაქი იძულებით დატოვა არაბი მოსახლეობის უმრავლესობამ. მათ შორის იყო „მე ვნახე რამალას“ ავტორი მურიდ აღ-ბარღუთი.

თხზულებაში აღწერილია დევნილობის 30 წლის შემდეგ მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული პოეტის განცდები. ავტორი ცდილობს ზუსტად გადმოსცეს, თუ რას გრძნობს მამულში სამი ათეული წლის განშორების შემდეგ. ცდილობს, იყოს მართალი და უტყუარი საკუთარი ემოციური მდგომარეობის ჩვენებისას. მისი მცდელობა შედეგს აღწევს. თხრობა რეალისტურია, უშუალო და სულშიჩამწვდომი. საკუთარი გამოცდილებით გახსნილი დევნილის შინაგანი სამყარო და მისი მიმართება გარემოსთან უნივერსალურ განზომილებას იძენს, და, სხვათა შორის, ქართველ მკითხველსაც საკუთარ ტკივილს ახსენებს.

ნაწარმოები მემუარებს წარმოადგენს, მაგრამ ის უფრო პოეტურ მონოლოგს ჰგავს. დოკუმენტური ფაქტებისა და მოვლენების უკან პოეტის სუნთქვა ისმის. რასაკვირველია, ალ-ბარლუთი თანაუგრძნობს *ინთიფადას* – პალესტინურ წინააღმდეგობას, გამოხატავს კონფორმისტულ შეთანხმებებს, მაგრამ ის არ არის შურისგების ჟინით შეპყრობილი, პოეტისათვის უცხოა სიძულვილი. მისი აზროვნება არის აბსოლუტურად ფხიზელი და სალი. მიუხედავად მძიმე რეალობისა, ჩვენ ვერ ვგრძნობთ ავტორის მღელვარებას, არასოდეს კარგავს სიმშვიდესა და წონასწორობას. პოეტი სრულად აცნობიერებს საკუთარ ხვედრსაც და ქვეყნის ბედსაც. ამის დასტურია კითხვა, რომელსაც იგი თხზულების დასასრულს სვამს:

### **რა აფერმკრთალებს სულს და რა უხუნებს ფერებს? მტრების ტყვიების გარდა რა აზიანებს სხეულს?**

პოეტს ყველაზე უტყუარი იარაღი მოუმარჯვია დაკარგული სამშობლოს დასაბრუნებლად. ეს იარაღი მისი ხსოვნაა. ციფრი 67 (ექვსდღიანი ომის თარიღი) ღრმად ჩაბეჭდილია მის ცნობიერებაში და გამუდმებით ახსენებს თავს. უფრო სწორად, მას არც არასოდეს დაუკარგავს სამშობლო, ხსოვნის ძალით იგი მუდმივად მასთანაა. პოეტისათვის იცვლება დრო, მანძილი, გარემოებები, რეალური სურათები, მაგრამ მამულისა და გარდაცვლილი ძმის ხსოვნა უცვლელია. ვიდრე ეს ხსოვნა ცოცხლობს, პოეტის სულს ვერაფერი გააფერმკრთალებს და ფერებს ვერაფერი გაუხუნებს. ვიდრე ეს ხსოვნა ცოცხლობს, ალ-ბარლუთის ვერავინ შეეცილება ვერც რამალაში და ვერც სარეცხის თოკების იერუსალიმში, რომელიც მის წარმოდგენაში ზეციურ იერუსალიმს უთანაბრდება.

### **მამუჰა ბუცხრიკიძე**

*(რეცენზია დაიბეჭდა  
ჟურნალში „ჩვენ მწერლობაში“  
№14, 9 ივლისი, 2010)*



## თანამედროვე კალესტინური ავტობიოგრაფიული რომანი

ნებისმიერი დოკუმენტური პროზის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი რეალობას, ნამდვილ ამბებს ეფუძნება, რაც მკითხველისთვის ორმაგად საინტერესოა განსაკუთრებით დღეს და განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც ხშირად მედიის საშუალებითაც მიმდინარეობს ბრძოლა, საინფორმაციო ომი, ერთი სინამდვილის სხვადასხვაგვარად წარმოჩენა, სტერეოტიპების შექმნა. ამიტომ რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ხშირ შემთხვევაში მთხრობელის მიერ სუბიექტურად აღქმული რეალობაა სწორედ მკითხველთა ინტერესის საგანი და არა მოვლენათა „ობიექტური“ გაშუქება, მიმოხილვა თუ ანალიზი ექსპერტების, პოლიტიკოსებისა თუ ჟურნალისტების მიერ. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დოკუმენტურ პროზას, მემუარულ ლიტერატურას. ეს ის შემთხვევაა, როცა მე როგორც მკითხველს მაინტერესებს სწორედ მთხრობელის დამოკიდებულება, პოზიცია, ემოცია, ხედვა. მაინტერესებს, მან რა განიცადა, რა იგრძნო, რა შეემთხვა, რა გადახდა. აქ არ არის ვიდეოკამერა, რომელიც რაღაცას აფიქსირებს ან მესამე პირი, რომელიც რაღაცას გვიამბობს. აქ არის თვითმხილველისა და განმცდელის მიერ პირველ პირში მოთხრობილი ამბავი. ფაქტია, რომ თანამედროვე მსოფლიოში დოკუმენტური პროზა (non-fiction ან ე.წ. oral history) თანდათან მხატვრულ ფანტაზიაზე (fiction) უფრო მოთხოვნადი ხდება, ხოლო თარგმანი არის ხიდი, რომლის საშუალებით შესაძლებელია ერთი მხრივ, გამოცდილების გაზიარება, ხოლო მეორე მხრივ, იმის ამოკითხვა, რაც არ ჩანს მედიის ენით მოწოდებულ ინფორმაციაში.

მემუარულმა ლიტერატურამ განსაკუთრებული დატვირთვა პოსტკოლონიურ ეპოქაში შეიძინა. აკადემიურ სივრცეში ავტობიოგრაფია აუდიტორიასთან ურთიერთობის გარკვეული ფორმაც კი გახდა. ხშირად ამბობენ, რომ ის კონკრეტული პოლიტიკური მიზნებით იწერება. არსებობს ავტობიოგრაფიის მთელი თეორია, რომელსაც აინტერესებს ერთი მხრივ, სად გადის ზღვარი დოკუმენტურობასა და მხატვრულობას შორის, და მეორე მხრივ, ის სპეციფიკური, ადგილობრივი თემები, რომლითაც ეს ჟანრი გამოირჩევა. ამ თვალსაზრისით ავტობიოგრაფია შეიძლება განვიხილოთ როგორც ჟანრიც, კონცეფციაც და ტენდენციაც. გერმანელმა მკვლევარმა სიუზან ენდერვიცმა ავტობიოგრაფიას პალესტინურ სინამდვილეში „ერთადერთი და უნიკალური პალესტინური ფაზა“ უწოდა — ავტორები არა მარტო მოგვითხრობენ თავიანთ ცხოვრებაზე, არამედ ცდილობენ ამ მონათხრობით ნამდვილი პალესტინა დაგვანახონ და, შესაძლოა, დასავლეთის თანაგრძნობა გამოიწვიონ. მაინც რა როლი ენიჭება ავტობიოგრაფიას თანამედროვე პალესტინურ რეალობაში?

ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ანდრეას ფლიჩი აღნიშნავს: „ავტობიოგრაფია ფიქრიანი შესვლაა წარსულში, თუმცა ავტორს არა აქვს უფლება, მოსწყდეს აწმყოს ან დროს. ამგვარად, ის დროთა შემაკავშირებელი გამოდის. მემუარები მოგონებაა, გახსენებაა. გახსენება და ხსოვნა კი ერთი და იგივე არ არის“. თუმცა სწორედ ხსოვნის საკითხმა შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა პალესტინურ ავტობიოგრაფიაში. ეს არ გახლავთ უბრალოდ წარსულის გახსენება. ხსოვნა იდენტობასთანაა დაკავშირებული. 1948 წლიდან მოყოლებული ხსოვნა პალესტინურ კონტექსტში გადასახლებული ადამიანის ხსოვნაა. პარადოქსია, მაგრამ პალესტინელი არაბები იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომელშიც აქამდე ებრაელები იყვნენ.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ ჰომი ბჰაბჰას აზრით, პალესტინელები პალესტინაში წარმოადგენენ „მარგინალიზებულ უმცირესობას“, რომელიც თავის საკუთარ ეროვნულ, ნაციონალურ სივრცეს ქმნის და ამ სივრცეში არანორმალურად

აღიქმება ყოველივე ის, რაც სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ, ჩვეულებრივ, ნორმად მიიჩნევა. უმცირესობისთვის (ე.ი. პალესტინელი არაბებისთვის) პრობლემატური ხდება მიღება იმისა, თუ როგორ აღიქვამს უმრავლესობა (ე.ი. ისრაელელი ებრაელები) საკუთარ ისტორიულ მახსოვრობას. ებრაელებს კოლექტიური მახსოვრობა (ებრ. *ზიქარონ*) იდენტობის შენარჩუნებაში დაეხმარა — ძველ აღთქმაშიც ხომ არის გადასახლება, აყრა, მაგრამ მას ღმერთის მიერ აღთქმული ხსნა მოსდევს. შედეგად იარაღის ძალით განადგურებული არაბული სოფლების ადგილი „აუთენტურმა“ ებრაულმა ხედებმა შეცვალა. მეოცე საუკუნის სამოციანი წლების შემდეგ პალესტინის მიწა დაუკავშირდა ებრაელთა ისტორიულ დროს და არა გეოგრაფიული სივრცის ისტორიას. ე.წ. „ახალმა ებრაელმა“ თითქოს პირდაპირ განდევნა ახლანდელი ისტორია. ებრაული კულტურული გამოცდილების ჰომოგენურობამ პალესტინაში ეფექტურად ჩაახშო ყველა საპირისპირო ხმა. დღეს ერთი მხრივ, აქ მცხოვრები არაბები მოგვევლინენ ამ მიწის მკვიდრ ხალხად — ადგილობრივებად და გახდნენ ხაზგასმით პალესტინელი არაბები, მეორე მხრივ, ამ მიწას მთლიანად გამოაცალეს მისი არაებრაული ისტორია, მთელი ის მატერიალური მასალა, რაც ძველი ისტორიის რეკონსტრუქციას შეუწყობდა ხელს. არქეოლოგიაც კი ბრძოლის ველად იქცა. ისრაელის სახელმწიფომ თითქოს მტვერი გადანმინდა აქაურ ტერიტორიას და თავისი მემკვიდრეობა გამოაჩინა, პალესტინელები კი ამ მიწასთან დაკავშირებული ისტორიული ხსოვნის გარეშე დატოვა. შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარეობს ხსოვნების კონფლიქტი. ებრაული ხსოვნის სიჭარბემ და ყოვლისმომცველობამ პალესტინელთა მახსოვრობის კულტურის გამძაფრებას შეუწყო ხელი — თუ საუკუნეების განმავლობაში გასახლებული ებრაელები ხსოვნამ გადაარჩინა, არაბებიც ხსოვნამ უნდა გადაარჩინოს. ამიტომაც, რომ არაბ ავტორებთან ხშირია ფრაზები „ხსოვნა მომავლისათვის“, „ხსოვნა იმისათვის, რომ გახსოვდეს და არ დაივიწყო“ და სხვ. პალესტინელი პოეტი მაჰმუდ დარვიში აღნიშნავდა ამის შესახებ: „ის, ვინც თავის ისტორიას წერს, ამ ისტორიის მიწა მასზე მემკვიდრეობით გადადის...“ ამგვარად,

პალესტინური კულტურის ხსოვნა ებრაული კულტურის ხსოვნას დაუპირისპირდა.

ისრელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ პალესტინელი არაბები ისტორიული ხსოვნის მიღმა აღმოჩნდნენ. მათთვის დიდი დარტყმა იყო 1967 წელი. ამ მარცხმა დალი დაასვა მთელ მათ შემდეგდროინდელ პირად თუ საზოგადოებრივ ისტორიას: „1967 წლის ივნისის დამარცხების მერე რიცხვი 67 ჩემთვის მარცხის სიმბოლოა.“ — წერს თავის მემუარებში ალ-ბარლუთი, — „მას ტელეფონის ნომრებშიც ვარჩევ და მანქანის ნომრებშიც, სასტუმროს ოთახების კარებზეც, მსოფლიოს ნებისმიერ ქუჩაზე და თეატრისა თუ კინოს ბილეთზე, წიგნის გვერდზე, სახლის ან დანესებულების მისამართზე, მატარებლის წინა ნაწილზე, მსოფლიოს ნებისმიერი აეროპორტის ფრენის ნომერში ელექტრონულ დაფაზე. ეს რიცხვი თავის ჩარჩოში გაიყინა თითქოს. რიცხვი კი არა, მისი ქანდაკებაა ცვილის, გრანიტის, ტყვიის; ნაუშლელი ცარცის წარწერაა დაფაზე შავ დარბაზში. არ იფიქროთ, რომ მე მას ცუდ ნიშნად მივიჩნევ, უბრალოდ ვამჩნევ.“ ამ ტრამვამ თუ მენტალურ-ფსიქოლოგიურმა პრობლემამ რეპრეზენტაციის კრიზისი წარმოშვა ხელოვნებასა და ლიტერატურაში, რაც პირდაპირ უკავშირდება როგორც პიროვნულ, ისე ისტორიულ ხსოვნას. ოთხმოცდაათიან წლებში, ე.წ. პოსტსიონისტურ ისრაელში თვით ებრაელებმა აღიარეს პალესტინელი არაბები „კოლონიზებულ დაჯგუფებად“, რომლებიც თითქოს მოსწყდნენ ისტორიულ წარსულს, მათი ხსოვნა კი ლტოლვილობის პერიოდს ველარ გაცდა.

ამ ვითარებაში პალესტინური სოციალური ცხოვრების ასახვასა თუ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ავტობიოგრაფიას დაეკისრა. გერმანელი მკვლევრის, ანგელიკა ნოივირტის აზრით, პალესტინური ავტობიოგრაფია არის ერთი მხრივ, წერილობითი დოკუმენტი, რომელიც სადავო ტერიტორიაზე აცხადებს პრეტენზიას, მეორე მხრივ კი, დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მარგინალიზებული ჯგუფის კულტურა ისეთივე ფასეულია, როგორც დომინანტურის. ავტობიოგრაფიებში ასახული პალესტინა ერთი

მხრივ, იძულებით გადაადგილებულებისა და ლტოლვილთა ბანაკებში მიმოფანტულების პალესტინაა, მეორე მხრივ, საკუთარ მიწაზე დარჩენილი ფუნქციადაკარგული ადამიანების პალესტინა. ორივე შემთხვევაში პალესტინელ არაბთა დიდი უმრავლესობა უფლებო მდგომარეობაშია. მათთვის სამშობლოს ძიების პროცესი დღემდე სხოვნისა და ტექსტის ვირტუალურ სივრცეში მიმდინარეობს.

მურიდ ალ-ბარლუთის ბევრი რამ ახსენდება თორმეტდღიანი „დაბრუნებისას“. ის თავის წიგნში მოგზაურობას სწორედ ვირტუალურ სამშობლოში განაგრძობს, იქ, სადაც ახლა რეალურად ერთი ბინა, ოთახი ან საკუთარი ღამის გასათევი ადგილიც არ მოეპოვება. დაბრუნების სიხარულს მშობლიური ადგილების ცვლილებით გამოწვეული სევდა ცვლის — ოკუპაციამ ხომ ქალაქი სოფელს დაამსგავსა, სოფელი კი მოსპო. პოეტს უწევს იმის გაცნობიერება, რომ ის ბოლომდე ვერ დაბრუნდა და ვერც ველარასოდეს დაბრუნდება. აღარ არსებობს სამშობლო, რომელიც მის წარმოსახვაში აქ „დაბრუნებამდე“ არსებობდა; სამშობლო, რომელიც მას ახსოვდა. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ტრაგიკულობის განცდას. თუ, ჩვეულებრივ, ავტობიოგრაფიის ავტორისთვის უფრო მნიშვნელოვანი წარსულია, ალ-ბარლუთისთვის ანმყო არ არის ნაკლებმტკივნეული. ის სვამს შეკითხვებს არა მხოლოდ წარსულთან, არამედ მომავალთან დაკავშირებით — თუ უფლება მისცეს, როგორ უნდა დაბრუნდეს ქალაქში? ვთქვათ, ვაჟი ჩამოიყვანა. სად უნდა იცხოვროს მან? — „როგორ მოვუპოვო თამიმს თავისი უფლება ამ ადგილზე?“

კლასიკური ავტობიოგრაფია ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების აღწერაა. ძნელია განსაზღვრო, რა დამოკიდებულებაა რეალურად არსებულ წარსულსა და ავტორის მიერ აღქმულ წარსულს შორის, სად მთავრდება მის მონათხრობში პირადული და სად იწყება საზოგადო. ამასთან დაკავშირებით ალ-ბარლუთი აღნიშნავს: „ჩემთვის მთავარია გადმოვცე ის, რასაც თავად განვიცდი. პირველ რიგში საკუთარი მიკროკოსმოსის მწამს, შინაგან ხმას ვენდობი, მას აღვწერ... არც ისტორიკოსი ვარ, არც პოლიტიკოსი, არც რომელიმე პარტიის ან ფრაქციის აპოლოგეტი.



გარე სამყაროს მოვლენებთან შეხებისას ვცდილობ, პირველ რიგში საკუთარ თავთან ვიყო მართალი.“ თუმცა პირადი ამბის თხრობისას ის ვერ ასცდა პალესტინის ისტორიის მოყოლას, რომელიც ფაქტობრივად დევნილობის ისტორიაა.

საერთოდ, პოსტკოლონიური ეპოქისთვის დამახასიათებელია „კოლექტიური ხსოვნა“, „კოლექტიური ავტობიოგრაფია“, როცა ნაშლილია ზღვარი ინდივიდსა და საზოგადოებას შორის. ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი ვერენა კლემი იყენებს ტერმინს „პოლი-ბიოგრაფია“, რადგან ჩვენს ეპოქაში ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანს რამდენიმე ქვეყანაში უწევს ცხოვრება და ბიოგრაფიაც კი გლობალიზებული გამოდის. „ავტორი ირჩევს კომპლექსურ ნარატიულ სტრატეგიას, სადაც პირადი ბიოგრაფია ქვეყნის ხმებშია გადახლართული,“ — წერს ვერენა კლემი, — „იზოლირებული, გადასახლებული ინდივიდი საზოგადოების სიმბოლურ ფორმაში ბრუნდება... პირველ პირში თხრობა აუთენტურობისა და იდენტობის ხაზგასმით, ავტობიოგრაფიულის და მხატვრულობის შეზავებით ძალიან პოპულარული ნარატიული ფორმა გახდა. პოლი-ბიოგრაფიული „მე“ ახლო აღმოსავლეთის რეალობას გადმოგვცემს.“

„მე ვნახე რამალას“ ქართული თარგმანის გამოსვლის შემდეგ მკითხველებში ძირითადად ორი აზრი გამოიკვეთა: ერთი მხრივ, ბევრ ქართველ ლტოლვილს გაუჩნდა აზრი, რომ მას და ნიგნის ავტორს საერთო სულიერ-ემოციური მდგომარეობა აქვთ — როცა დრო გაშორებს ადგილს, მეორე მხრივ კი, უამრავმა ადამიანმა გაგვიზიარა აზრი იმის შესახებ, თუ რა სხვაგვარად წარმოედგინა შორიდან და არა შიგნიდან დანახული კონფლიქტი. თუ მკითხველთა ერთმა ნაწილმა თავი გააგიგივა ალ-ბარლუთისთან როგორც დევნილთან (იხ. ნანა კუციასა და ნინო ვახანიას რეცენზიები), მკითხველთა მეორე ნაწილის მოსაზრებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ როგორ ებრძვის ასეთი ტიპის ლიტერატურა სტერეოტიპულ შეხედულებებს. ჩვენს საზოგადოებაში ერთ-ერთი ასეთი შეხედულება პალესტინელ არაბებს მხოლოდ ტერორისტებთან ან უკუულტურო ბრბოსთან აიგივებს. საერთაშორისო მედიაში ხშირად უფრო მკაფიოდ ჩანს მატერიალურად

ძლიერის, ამ შემთხვევაში ისრაელის მიზანი და ინტერესები. ამასთან დაკავშირებით „მე ვნახე რამალაში“ ვკითხულობთ:

„როცა იცხაკ რაბინი მჭევრმეტყველურად საუბობდა ისრაელის, როგორც აბსოლუტური მსხვერპლის, ტრაგედიაზე, და როგორც თეთრი სახლის ბაღში თავმოყრილი, ისე მთელი მსოფლიოს მსმენელთა თვალები ცრემლით ივსებოდა, ვიცოდი, დიდხანს არ დამავიწყდებოდა სიტყვები, რომელიც მან მაშინ თქვა: „ჩვენ ომისა და ძალადობის მსხვერპლნი ვართ. არ გვახსოვს არც ერთი წელი და არც ერთი თვე, ჩვენს მშობლებს რომ არ ეგლოვოთ შვილები.“ ვიგრძენი ცახცახი, რომელსაც მაშინ განვიცდი, როცა ნარუმატებელი ვარ და არაფრის გაკეთება შემიძლია. რაბინმა ყველაფერი წაგვართვა, ჩვენი სიკვდილის ისტორიაც კი.“

ისტორიის წართმევა — აი, მთავარი პრობლემა პალესტინელებისა. ალ-ბარლუთიმ, რომელმაც ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ უამრავი ახლობელი ადამიანი დაკარგა, მსოფლიოს თავისი წიგნით უთხრა ის, რის ხმამაღლა თქმის შეუძლებლობაც მასში ბრახს, ცახცახს ინვევდა... და წარმატებასაც მიაღწია.

მწერალმა მაია ჯალიაშვილმა გულწრფელად აღიარა: „ნიგნისთვის წამძღვარებულ წინათქმამი აღნიშნულია — ალ-ბარლუთის არ ეგონა, რომ მისი წიგნის წაკითხვის შემდეგ ადამიანები აზრს შეიცვლიდნენ ამ კონფლიქტის შესახებო. მინდა გითხრათ, რომ მე ერთ-ერთი ვარ მათ შორის, აქამდე ისრაელს უფრო თანავეუგრძნობდი. ახლა ჩემთვის მეორე მხარეც არსებობს.“

მნიშვნელოვანია, განსხვავებული კუთხიდანაც დააკვირდე მოვლენებს, რომ გაიგო, სინამდვილეში რა მოხდა. ალ-ბარლუთის ავტობიოგრაფიულმა თხზულებამ ქართველ მკითხველს ამის საშუალება მისცა. უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ გლობალიზებულ მსოფლიოშიც კი მემუარების მხატვრული თარგმანი საუკეთესო კულტურათაშორისი ხიდი აღმოჩნდა. მწერალმა მაკა ჯოხაძემ აღნიშნა: „აგერ რამალა და ერთი მშობლიური სოფელი დაგვანახა პალესტინელმა მწერალმა, ჩვენ კი ზოგიერთებს კვლავ ჯორჯიის შტატი ვგონივართ... მურიდ ალ-ბარლუთი დღევანდელ შეხვედრას რომ დასწრებოდა, გაუკვირდებოდა, ბედნიერიც იქნებოდა და დაენანებოდა კიდევ ჩვენი ემოციური განწყობა და სიღ-

რმისეული განცდა ამ ყველაფრისა. მიხვდებოდა, რომ ტრაგიკული ისტორიისა და დიდი კულტურის მქონე ქვეყანა ვართ, მწერლობა და ზოგადად ხელოვნება კი ის სფეროა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები, ხალხები ვესაუბრებით ერთმანეთს.“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსმა, არაბისტიკა და მთარგმნელმა ნანა ფურცელაძემ აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ პალესტინელთა ნაწარმოებებს კარგად ვიცნობ, ამ წიგნით თითქოს შიგნიდან დავინახე პალესტინელთა პრობლემა, ძალიან ადამიანურად გადმოცემული, ყოველგვარი პოლიტიკური სარჩულის გარეშე.“

სტუდენტებმაც გამიზიარეს აზრი. ისინი ფიქრობენ, რომ პალესტინელთა შორის ბევრი არ იქნება ალ-ბარლუთისნაირი პიროვნება, რომელიც მხოლოდ სხვისი კრიტიკით არ არის დაკავებული და საკუთარ შეცდომებსაც ეძებს: „არ არის საკმარისი მხოლოდ ოკუპანტების, კოლონიზატორების, იმპერიალისტებისა და სხვათა ბრალზე საუბარი... ყველაზე ადვილია სხვას დასდო ბრალი, შენს ნაკლებზე კი თვალი დახუჭო.“

„მე ვნახე რამალამ“ ადამიანებს აზრი შეაცვლევინა. მურიდ ალ-ბარლუთის გზავნილი მიღებულია. მკითხველი დარწმუნდა, რომ პალესტინელ არაბებს ტერორისტული აქტების ჩადენის გარდა ლექსების წერაც ეხერხებათ, და რომ პალესტინაში მარგინალიზებული ჯგუფის კულტურა ისეთივე ფასეულია, როგორც დომინანტურის. ამ მემუარებს თამამად შეიძლება ეწოდოს „ერთადერთი და უნიკალური პალესტინური ფაზა“. დღეს შესაძლოა რამალა თავისი არაბული გარემოთი, დირ ლასანა თავისი სურნელებითა თუ გემოთი ამ წიგნში უფრო რეალურად არსებობს, ვიდრე რეალობაში. პოეტის ხსოვნამ გააცოცხლა ნამდვილი პალესტინა. ამ ხსოვნამ ახლა პალესტინელი არაბები უნდა გადაარჩინოს.

**ნიწო ღოლიკა**

*2014 წლის სექტემბერი*

## შინაარსი

<b>წინასიტყვა</b> <i>(ედვარდ საიდი)</i> .....	3
<b>წინათქმა ქართული გამოცემისათვის</b> <i>(სტიუარტ რეიგელუთი)</i> .....	8
<b>ხიდი</b> .....	12
<b>ეს არის რამალა</b> .....	45
<b>ღირ ლასანა</b> .....	63
<b>სოფლის მოედანი</b> .....	82
<b>დროში ცხოვრება</b> .....	101
<b>ბიძია მამიკო</b> .....	114
<b>გადაადგილება</b> .....	142
<b>ლამ შამლ — ხელახლა გაერთიანება</b> .....	163
<b>ყოველდღიური განკითხვის დღე</b> .....	190
<b>განმარტებანი</b> .....	193
<b>მთარგმნელისაგან</b> .....	196
<b>დანართი</b>	
<b>ყოფითობის ჯადოსნური მადლი</b> <i>(როსტომ ჩხეიძე)</i> .....	198
<b>ადგილისა და დროის მისტერია</b> <i>(ნანა კუცია)</i> .....	207
<b>ნათლით გაბრწყინებული სევდიანი წიგნი</b> <i>(ნინო ვახანია)</i> .....	219
<b>ალ-ბარლუთის რამალა</b> <i>(მამუკა ბუცხრიკიძე)</i> .....	225
<b>თანამედროვე პალესტინური ავტობიოგრაფიული რომანი</b> <i>(ნინო დოლიძე)</i> .....	227

რედაქტორი  
**როსტომ ჩხეიძე**

მხატვრული რედაქტორი  
**კარლო ფაჩულია**

დიზაინი და  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**თენგიზ რობიტაშვილი**



მურიდ ალ-ბარლუთი პალესტინელი პოეტია. დაიბადა 1944 წელს შთიან სოფელ დირ ლასანაში. დაამთავრა რამალას საშუალო სკოლა, კაიროს უნივერსიტეტი. თუმცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პალესტინაში ველარ დაბრუნდა — 1967 წლის ექვსდღიან ომში რამალა დაეცა. 1996 წელს ალ-ბარლუთის უფლება მისცეს, მშობლიური სოფელი დირ ლასანა და ქალაქი რამალა მოენახულებინა. სწორედ ამ დაბრუნების თუ ბოლომდე ვერდაბრუნების შემდეგ დაინერა „შე ვნახე რამალა“ — ცამეტი პოეტური კრებულის ავტორის პირველი პროზაული თხზულება, ეგვიპტელი ნობელიანტი მწერლის, ნაჯიბ მაჰფუზის მედლით რომ დაჯილოვდა. დევნილობის ტკივილიან გამოცდილებაზე დაწერილ ამ წიგნში ერთი მხრივ, გულწრფელად გადმოცემული განცდები, ხოლო მეორე მხრივ, ავტორის თანაგრძნობით აღსავსე, ყოველგვარი აგრესიისგან დაცლილი ხედვა საოცარი სიმჭაფრით წარმოგვიდგენს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ტრაგიკულობას.